სამოქალაქო განათლება

პროექტები

10

მარინა ტარუღიშვილი
ნინო ტალახაძე

გამომცემლობა
სიდი

Don't Copy

სამოქალაქო განათლება, 10
მასწავლებლის წიგნი მეათეკლასელთათვის
თბილისი, 2022

ავტორები: მარინა ტარუღიშვილი, ნინო ტალახაძე

რედაქტორი: თეონა ბექიშვილი

ტექნიკური დიზაინერი: სოფო ტარყაშვილი

© გამომცემლობა სიდი, 2022
ყველა უფლება დაცულია

შპს „გამომცემლობა სიდი“
ტელეფონი: 599623610
ვებ-გვერდი: www.ceed.ge
ელ-ფოსტა: info@ceed.ge
ceedgeorgia@yahoo.com

https://www.facebook.com/gamomcemloba sidi
Citizenship 10
Student’s Book
© Ceed Publishing, 2022
all rights reserved.
Tbilisi, Georgia, 2022

ISBN 978-9941-8-48605

Don't Copy

სარჩევი

1. შესავალი----------2

2. **მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა სამოქალაქო განათლება – პროექტი** ----------4

3. პრაქტიკული რჩევები----------8

4. შემოთავაზებული პროექტების ნიმუშები----------15

პროექტი **N1**. შეაჩერე ბულინგი----------15

პროექტი **N2.** განათლების უფლების პოპულარიზება თანატოლგანმანათლებლობის გზით---------- 52

პროექტი **N3**. მირანდას უფლებები-სამართლიანი სასამართლოსა და კანონის უზენაესობის გარანტი----------83

პროექტი **N4**. მონაწილეობა სასკოლო სივრცის კეთილმოწყობაში----------116

პროექტი **N5**. გაიგე მეტი ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობის ფორმების შესახებ----------142

პროექტი **N6**. გადავარჩინოთ გარემო მავნე ნარჩენებისაგან ----------172

პროექტი **N7**. ვებრძოლოთ ადიქციას----------204

პროექტი **N8**. ვიზრუნოთ შინაურ ცხოველებზე----------239

5. გამოყენებული ლიტერატურა----------267

Don't Copy

შესავალი

პედაგოგიურ პრაქტიკაში პოპულარულია სასწავლო პროექტების გამოყენება. პროექტზე დაფუძნებული სწავლება ინტერაქტიული მეთოდია, რომელიც მოსწავლეთა მაღალ თანამშრომლობით ჩართულობას მოითხოვს. პროექტული სწავლების გზით მოსწავლეებს შეუძლიათ კვლევითი და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სამოქალაქო განათლების საგანში სასკოლო პროექტებზე მუშაობისას სკოლებმა უნდა გაითალისწინონ შემდეგი კრიტერიუმები:

- რამდენად ორიენტირებულია სასკოლო პროექტი დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებაზე;
- რამდენად ორიენტირებულია პროექტი ეროვნული სასწავლო გეგმის სამიზნე ცნებასთან/ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე;
- უწყობს თუ არა პროექტი ხელს ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ თემაზე/თემებზე მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას;
- რამდენად გამოკვეთს პროექტი ინტერდისციპლინურ კავშირებს, ასევე კლასებს/საფეხურებს შორის კავშირებს;
- რამდენად ითვალისწინებს პროექტი სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან (კათედრები, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და სხვა) თანამშრომლობას და სასკოლო საზოგადოების/თემის ჩართულობას;
- რამდენად ავითარებს პროექტი თემთან/გარე ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესაძლებლობებს;
- რამდენად ითვალისწინებს სასკოლო პროექტი ფორმალური და არაფორმალური განათლების კომპონენტს;
- რამდენად აქვს ყველა მოსწავლეს თანაბრად ჩართვის შესაძლებლობა;
- რამდენად მოაიაზრებს პროექტის იდეა და შედეგები კავშირს სკოლის განვითარებასთან.

პროექტი არის კონკრეტული პრობლემის მოგვარებისთვის დაგეგმილი აქტივობების ერთობლიობა, რომელსაც შეთანხმებულად ახორციელებს მონაწილეთა გუნდი. საერთო ინტერესების მქონე მოსწავლეების ერთობლივი სასწავლო-შემეცნებითი, შემოქმედებითი, შეთანხმებული ქმედება, რომელიც მიმართულია მათთვის მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრაზე. მოსწავლეები წინასწარ ისახავენ საერთო მიზანს და განსაზღვრავენ მისაღწევ შედეგებს.

პროექტის საშუალებით, მოსწავლეები შეძლებენ აქტიურად, მოხალისეობრივ საწყისებზე ჩაერთონ, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ საქმიანობებში. შეარჩიონ მათთვის საინტერესო პრობლემები რეალური ცხოვრებიდან, გამოიჩინონ

Don't Copy

ინიციატივა დასახული მიზნის მისაღწევად, ითანამშრომლონ ერთმანეთთან, გადასაჭრელი პრობლემით დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებთან, ადგილობრივ თვითმმართველობასთან. მასწავლებელი პროექტული სწავლა-სწავლების პროცესში ასრულებს კოორდინატორის, ექსპერტის, კონსულტანტის როლს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ პროექტული სწავლების გამოყენება არის ერთ-ერთი მთავარი იარაღი მოსწავლეთა მოტივაციის გასაზრდელად. მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც ბევრად უადვილდებათ იდეების დაბადება, რეალიზაცია და პრობლემების გადაწყვეტა. იგი ხელს უწყობს საგანმანათლებლო კულტურის ზრდას, აერთიანებს ცოდნასა და პრაქტიკას. პროექტული სწავლება ხელს უწყობს, ასევე, პედაგოგიკური პრაქტიკის სრულყოფას.

Don't Copy

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა სამოქალაქო განათლება – პროექტი

საშუალო საფეხურზე სამოქალაქო განათლების ფარგლებში მოსწავლეებისთვის შეთავაზებულია სავალდებულო პროექტები X კლასში ისწავლება კვირაში 1-სთ, წელიწადში – 36 საათი.

თითოეულ პროექტზე მუშაობა მიმდინარეობს 1 სემესტრის განმავლობაში. საგანში უნდა განხორციელდეს ჯამში 2 პროექტი.

საფეხურის შედეგები საშუალო საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., „მოქ.პროექტი**.1.**: „მოქ.“ – მიუთითებს საგანს „მოქალაქეობა“; „პროექტი“ – მიუთითებს, რომ სწავლების ფორმაა პროექტის შესრულება; „**1**“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

Don't Copy

სამოქალაქო განათლების სავალდებულო პროექტების სტანდარტის შედეგები საშუალო საფეხურზე		
შედეგების ინდექსი	**მიმართულება: პიროვნული განვითარება და სოციალიზაცია**	**სამიზნე ცნებები**
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
მოქ.პროექტი.**1.**	გადაწყვეტილებების მიღებისას უმთავრესი სამართლებრივი დოკუმენტების (მათ შორის, საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ბავშვის უფლებების კონვენცია) შინაარსის გათვალისწინება;	საზოგადოება (მოქ.პროექტი.1,2)
მოქ.პროექტი.**2.**	საზოგადოებისა და ქვეყნისთვის აქტუალური სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების ამოცნობა და საკუთარი ჩართულობით მათ გამოსწორებაზე ზრუნვა დემოკრატიის პრინციპების გათვალისწინებით;	დემოკრატია (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები) (მოქ.პროექტი.1,2,3,4) სამოქალაქო მონაწილეობა (მოქ.პროექტი.2,4) მდგრადი განვითარება (მოქ.პროექტი.3)
მოქ.პროექტი.**3.**	მდგრადი განვითარების პრინციპების გააზრება და მათ საფუძველზე მოქმედება (მათ შორის, ცხოვრებისეულ და საგანგებო (ბუნებრივი და ტექნოგენური მიზეზებით გამოწვეულ) ვითარებაში უსაფრთხოების წესების დაცვით მოქმედება);	
მოქ.პროექტი.**4.**	ცალკეული იდეების ლობირება, ადვოკატირება სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფთან და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით.	

სავალდებულო პროექტების ჩამონათვალი სამოქალაქო განათლებაში

ქვემოთ მოცემულია სამოქალაქო განათლების პროექტის სხვადასხვა ტიპი. რომელი ტიპის პროექტს აირჩევს მოსწავლე/მოსწავლეთა ჯგუფი/სკოლა და რა თანმიმდევრობით, თავად სკოლის გადასაწყვეტია. პროექტები შესაძლოა განხორციელდეს ჯგუფურად ან ინდივიდუალურად.

Don't Copy

პროექტის ტიპები			
ტიპი	**აღწერილობა/შინაარსი**	**დავალების ფორმა**	**ინტეგრაციის შესაძლებლობა**
ქველმოქმედება	პროექტები, რომლებიც გულისხმობს სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის დახმარებას: • მოხუცთა თავშესაფრებში მოწყობილ ღონისძიებებში მონაწილეობა, • დევნილების/ლტოლვილების ოჯახების დახმარება, • სნეულთა მოვლა-პატრონობაში მონაწილეობა, • მცირეწლოვნების მოვლა-აღზრდაში მონაწილეობა, • თანატოლგანმანათლებლობა (რეპეტიტორობა), შინაური ცხოველების მოვლა და სხვა.	• საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება • მუშაობა სხვადასხვა ინსტიტუციაში; მოხალისეობა.	ქართული ენა და ლიტერატურა – კონკრეტულ ლიტერატურულ ნაწარმოებებში გამოკვეთილი დილემების დაკავშირება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასთან; ისტორია – ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განხილვა სამოქალაქოპოლიტიკური ცხოვრებისთვის
ინფორმირება	პროექტები, რომლებიც გულისხმობს ადამიანების ინფორმირებას საზოგადოებისთვის აქტუალურ პრობლემებთან დაკავშირებით: - ჯანსაღი ცხოვრება; • გარემოს დაცვა; • კულტურული მემკვიდრეობის დაცვა; • ადამიანის უფლებები;ა • სამოქალაქო უსაფრთხოება; • ფინანსური წიგნიერება და სხვა.	სამოქალაქო პროცესების სიმულაცია: • მონაწილეობა იმიტირებულ სასამართლო პროცესში; • მონაწილეობა დისპუტში;	აქტუალურ პრობლემებთან მიმართებით; გეოგრაფია – მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - მდგრად განვითარებასთან პრობლემების ანალიზი, ტექნოლოგიების განვითარებასთან

Don't Copy

ადვოკატირება	• პროექტები, რომლებიც ორიენტირებულია კონკრეტული იდეის მხარდაჭერაზე: • ბრძოლა სახელმწიფო მხრიდან ნეგატიური უფლებების დაცვის მხარდაჭერად; • ბრძოლა სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური ვალდებულებების განსახორციელებლად; • ბრძოლა ადამიანის კოლექტიური უფლებებისთვის.	• მონაწილეობა დებატებში; • პერფორმანსი; • პრეზენტაცია; • აუდიო-ვიდეოფონო მასალების შექმნა; • და სხვა	დაკავშირებული დილემების ანალიზი საზოგადოებრივ ცხოვრებასთან მიმართებით; ხელოვნება, მუსიკა – ხელოვნებისა და მუსიკის საშუალებით გადმოცემული იდეების დაკავშირება სამოქალაქოპოლიტიკურ ცხოვრებასთან; ხელოვნებისა და მუსიკის საშუალებით სამოქალაქო პროტესტის გამოხატვა.
ინფრასტრუქტურული პროექტი	• ღონისძიებები, რომლებიც ორიენტირებულია კონკრეტული მიზნობრივი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე: • უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული პროექტები; • სამუშაო და სოციალური სივრცეების კეთილმოწყობასთან დაკავშირებული პროექტები.		

Don't Copy

პრაქტიკული რჩევები

პროექტის დასახელება

სასურველია, პროექტის დასახელება არ იყოს ძალიან გრძელი და რთულად აღსაქმელი; მოკლე, მარტივი, ადვილად დასამახსოვრებელი, ყველასთვის მისაღები უნდა იყოს. სახელწოდება მოკლედ აღწერს პროექტის ძირითად შინაარსს.

პროექტის ტიპი

სამოქალაქო განათლების პროექტის სხვადასხვა ტიპიდან შეგიძლიათ შეარჩიოთ: ქველმოქმედება, ინფორმირება, ადვოკატირება, ინფრასტრუქტურული პროექტი. რომელი ტიპის პროექტს აირჩევს მოსწავლე/მოსწავლეთა ჯგუფი/სკოლა, ეს სკოლის გადასაწყვეტია.

პროექტის განხორციელების ვადები

აღნიშნეთ დროის კონკრეტული პერიოდი, როდესაც გეგმავთ პროექტის განხორციელებას. მნიშვნელოვანია პროექტის დროში გაწერა. სახელმძღვანელოში შემოთავაზებული თითოეული პროექტის განხორციელება გათვლილია ერთ სემესტრზე (დაახლოებით 14-18 საათი). მასწავლებლის მიერ სწორი გათვლაა საჭირო, რომელ აქტივობას, რა დრო უნდა დაუთმოს (მაგალითად, მოსწავლეებთან კონსულტაციები, დისკუსია, ლიტერატურის დამუშავება და სხვა). ასევე, გასათვალისწინებელია დრო მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობისათვის (მასალების მოძიება, დავალების შესრულება და სხვა).

შემოთავაზებულ პროექტებში თითოეულ აქტივობაზე მითითებულია მხოლოდ განხორციელების სავარაუდო დრო(ერთი, ორი ან სამი კვირა), მასწავლებელმა, საჭიროების მიხედვით უნდა გაწეროს აქტივობები, მოარგოს მოსწავლეებს.

იმისათვის, რომ უფრო გაგიადვილდეთ თქვენი პროექტის შესრულებისათვის თვალის დევნება, თქვენი აქტივობების განრიგის შესაქმნელად შეგიძლიათ მიმართოთ Google კალენდარს, რომელიც ძალზე მოსახერხებელია. კალენდრის შესაქმნელად იხილეთ ინსტრუქცია ბმულზე https://www.youtube.com/watch?v=HKp45sMaJ9U. ძალიან ეფექტურად გამოიყენება თითოეული აქტივობის დროში გასაწერად შემდეგი ცხრილიც:

Draft Copy

აქტივობების ვადები:

(ცხრილში მიუთითეთ დაგეგმილი აქტივობის დასახელება და „√“ სიმბოლოს გამოყენებით მონიშნეთ დროის კონკრეტული პერიოდი, როდესაც გეგმავთ მის განხორციელებას)

N	აქტივობის დასახელება	I თვე				II თვე				და ა.შ.
		I	II კვირა	III კვირა	IV კვირა	I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა	I კვირა
1										
2										
3										
4										

პროექტის სამიზნე ჯგუფი

ჯგუფები, რომლებიც მიიღებენ სარგებელს პროექტის განხორციელების შემთხვევაში. პროექტები შესაძლოა განხორციელდეს ჯგუფურად ან ინდივიდუალურად. ვინ იქნება პროექტის სამიზნე ჯგუფი (ვისთვის იქნება განკუთვნილი პროექტი? რომელი კლასის მოსწავლეებისთვის? მასწავლებლებისთვის? მშობლებისთვის?)?

Don't copy

პრობლემის იდენტიფიცირება

პრობლემის ანალიზისას პასუხი უნდა გასცეთ შემდეგ კითხვებზე: რაში ხედავთ პრობლემას? რატომ მიგაჩნიათ, რომ თქვენ მიერ ჩამოყალიბებული პრობლემა/ები არის მნიშვნელოვანი, ზოგადად, საზოგადოებისთვის და კონკრეტულად შერჩეული სამიზნე ჯგუფისთვის?
პრობლემის განსაზღვრა, მისი გამომწვევი მიზეზებისა და ამ პრობლემით განპირობებული შედეგების გაანალიზება ნებისმიერი პროექტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. პრობლემათა გამოსავლენად ეფექტურია გონებრივი იერიშის ჩატარება. ამ დროს გუნდის წევრები ასახელებენ ყველა იმ პრობლემას, რომლებიც გარკვეული თემის ირგვლივ არსებობს და შემდეგ ამ მეთოდით შეირჩევა ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლის გადაწყვეტისთვისაც პროექტი მომზადდება.

პრობლემის ზუსტი იდენტიფიკაციისთვის მონაწილეებმა ყველა სახის ინფორმაცია წინასწარ უმდა მოიძიონ და დაამუშაონ. ინფორმაციის მოძიების საშუალებებია: ინფორმაციის პირველადი და მეორეული წყაროები, როგორიც არის შესაბამისი ლიტერატურის გაცნობა, სხვადასხვა ჩანაწერის შესწავლა, ხოლო პირველადი ინფორმაციის შესაგროვებლად შემდეგი მეთოდები გამოიყენება: პირდაპირი დაკვირვება, კითხვარების საშუალებით აზრის გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფები, ტესტები და სხვა.

აღწერეთ არსებული მდგომარეობა, რომელსაც პასუხობს დაგეგმილი საქმიანობა; ასევე, აღწერეთ პრობლემა, რომლის გადაჭრასაც ემსახურება მოცემული პროექტი. მიუთითეთ, როგორ გადაიჭრება აღნიშნული პრობლემა პროექტის განხორციელების შედეგად.

ახსენით, თუ რა პრობლემის მოგვარებას ცდილობთ თქვენი პროექტით და რატომ? გამოკვეთეთ მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომელთა მოგვარებაც გავლენას მოახდენს პრობლემის შემცირებაზე ან აღმოფხვრაზე. დეტალურად აღწერეთ პროექტის ბენეფიციართა (მოსარგებლე პირთა) მდგომარეობა, მოიყვანეთ ფაქტები და სტატისტიკა.

პრობლემის აღწერას დამაჯერებლობას სძენს კვლევის შედეგები, შესაბამისი მაგალითები და ექსპერტთა შეფასებები. აუცილებლად მიუთითეთ ინფორმაციის წყარო; დარწმუნდით ყველა გამოყენებული მონაცემის სიზუსტეში; შეეცადეთ, რომ პრობლემა ლაკონიურად და გასაგებად გადმოსცეთ. ეცადეთ, მოკლედ აღნიშნოთ ამ დარგის ყველაზე მნიშვნელოვანი და უახლესი კვლევები, დანარჩენი კი მიუთითეთ ბმულების (ან ბიბლიოგრაფიის) სახით.

Don't Copy

პროექტის მიზანი

მიზანი არის სასურველი მდგომარეობა, რის მიღწევასაც პროექტის განხორციელებით ცდილობთ. მიზანი ლოგიკურად უნდა უკავშირდებოდეს პრობლემას, რომლის მოგვარებას ან ნაწილობრივ გადაჭრასაც ემსახურება პროექტი.
მოკლედ ჩამოაყალიბეთ, რა არის პროექტის მიზანი. აღწერეთ, სასურველი გარემო ან პირობები, რომლებიც შეესაბამება ზემოთ მოცემულ პრობლემას. პროექტის მიზნები ნათელი და კონკრეტული უნდა იყოს, რაც შესაძლებელს გახდის შედეგების გაზომვას. მიზნები სრულად უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ სასწავლო გეგმას.
პროექტის მიზანში უნდა აისახოს გადასაჭრელი პრობლემა და იყოს მონაწილეებზე ორიენტირებული. მაგალითად, ასე: „პროექტის მონაწილეები შეძლებენ“...
ყოველთვის უფრო მომგებიანია პროექტი, რომელსაც კონკრეტული, ხელშესახები და რეალისტური მიზანი აქვს. თავიდანვე დაფიქრდით, ხომ არ არის თქვენი იდეა მეტისმეტად ზოგადი? ასეთ შემთვევაში გაგიჭირდებათ შემდეგი საფეხურების დამაჯერებლად ჩამოყალიბება.

პროექტის ამოცანები

ამოცანები არის ის ძირითადი ნაბიჯები, რომელთა განხორციელებაც საჭიროა მიზნის მისაღწევად. ამოცანა შესაძლებელია იყოს რამდენიმე. მასში იწერება ის კონკრეტული საკითხები, რომელთა გადაჭრაც იმ მიზნამდე მიგვიყვანს, რისთვისაც განხორციელდება აქტივობები. ამოცანებში უნდა იყოს კონკრეტული მიმართულებები პროექტით დასახული მიზნის მისაღწევად.

პროექტის ეტაპები

სამოქმედო გეგმა პროექტის შესრულების ეტაპებია, რომლებშიც დაწვრილებით არის ასახული პროექტის საქმიანობები. პროექტით დაგეგმილი აქტივობები ლოგიკურად და თანმიმდევრულად წარმოაჩინეთ, რა აქტივობების გზით აპირებთ პროექტის მიზნების განხორციელებას. დააკვირდით, რომ აქტივობები იყოს რეალისტური, ლოგიკურად უკავშირდებოდეს ერთმანეთს, პროექტის მიზნებსა და შედეგებს. მოსწავლეთა ჩართულობა – პროექტი იმ პრობლემის მოგვარებას ისახავს მიზნად, რომელიც უშუალოდ მოსწავლეებს ეხება. ამიტომ, მათი ჩართულობა პროექტის ყველა ეტაპზე მნიშვნელოვანია. მოსწავლეები უნდა მონაწილეობდნენ როგორც დაგეგმვის, ისე განხორციელების, მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშგების პროცესში. აღწერეთ მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლეთა ეფექტიან ჩართულობას უზრუნველყოფთ.

Do not copy

მოსალოდნელი შედეგები

ჩამოთვალეთ, რა კონკრეტული შედეგების მიღწევას გეგმავთ ამ პროექტით (მაგალითად, რა იქნება მიღწეული, გაუმჯობესებული, ხელმისაწვდომი და სხვა)?

შედეგები არის მოკლევადიანი და გრძელვადიანი. მოკლევადიანი შედეგები ისინია, რომელთა მიღწევასაც პროექტის ფარგლებში გეგმავთ, დაგეგმილი აქტივობების საშუალებით. ესაა ხელშესახები შედეგები, რომლებსაც რეალურად ელით პროექტის დასასრულს. გრძელვადიანი შედეგების მიღწევის პირობას თქვენ არ დებთ პროექტის ფარგლებში.
დეტალურად უნდა გაიწეროს პროექტის მოსალოდნელი მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგები და სრულად უნდა შეესაბამებოდეს მიზნებს. უმჯობესია, მიუთითოთ იმ ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც კონკრეტულ სარგებელს მიიღებენ პროექტის განხორციელების შემთხვევაში. გეგმაში უნდა ჩანდეს პროექტის შედეგების მდგრადობა. სასურველია შედეგები დაყოთ: რაოდენობრივი მაჩვენებლებით, თვისობრივი მაჩვენებლებით, აგრეთვე, სასურველია, მიუთითოთ, რა გავლენა შეიძლება იქონიოს თქვენ მიერ განხორციელებულმა პროექტმა სფეროზე, საზოგადოებაზე და ა. შ.

პროექტის მდგრადობა

პროექტის ამ ნაწილში უნდა აღიწეროს, რა სარგებლის მოტანა შეუძლია პროექტს გრძელვადიან პერსპექტივაში; გაგრძელდება თუ არა პროექტის რომელიმე კომპონენტი ამ პროექტის დასრულების შემდეგ და როგორ მოხდება ეს. მაგალითად, განხორციელებული პროექტი გახდება სასკოლო კურიკულუმის ნაწილი.

კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ თემასთან/თემებთან

პროექტი ხელს უნდა უწყობდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ თემაზე/თემებზე მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას.
ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოყოფილია პრიორიტეტული თემები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის სამოქალაქო ცნობიერების ჩამოსაყალიბებლად. პრიორიტეტული თემებია: კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, გარემოს დაცვა, ჯანსაღი ცხოვრება, სამოქალაქო უსაფრთხოება, კონფლიქტების მართვა, ფინანსური წიგნიერება, კულტურული მრავალფეროვნება, ადამიანის უფლებები.

Don't Copy

კავშირი XXI საუკუნის რვა საკვანძო(ევროკავშირის) კომპეტენციასთან

უმჯობესია, თუ პროექტში ჩანს კავშირი ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციასთან. ესენია: წიგნიერება, ციფრული წიგნიერება, მულტილინგვური წიგნიერება, კულტურული ცნობიერება და თვითგამოხატვა, რაოდენობრივი წიგნიერება, პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია, სამოქალაქო კომპეტენცია, მეწარმეობა.

პროექტის შესაბამისობა სამიზნე ცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან

პროექტი ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი სტანდარტის სამიზნე ცნებასა/ცნებებსა და მათ მკვიდრ წარმოდგენებზე;

თანამშრომლობა და პარტნიორობა

შეეცადეთ, პროექტი იძლეოდეს სასკოლო საზოგადოების, თემისა და გარე ორგანიზაციების ურთიერთთანამშრომლობის შესაძლებლობებს.

ინტერდისციპლინური კავშირები

პროექტის განხორციელება გუნდური სამუშაოა. ხშირად მასში რამდენიმე დისციპლინა ერთვება და ინტეგრირებულ სამუშაო პროცესს წარმართავს.

დამხმარე რესურსები პროექტისათვის

პროექტის ეფექტურად განსახორციელებლად საჭიროა შესაბამისი რესურსების გამოყენება. მიუთითეთ ვებმისამართები, რომლებიც დაგჭირდებათ პროექტის განხორციელებაში, სხვა დამატებითი რესურსები, მაგალითად, საველე ვიზიტები, ექსპერიმენტები, სამეცნიერო ლიტერატურა, მოწვეული სტუმრები, მოსწავლეები სხვა კლასიდან/სკოლიდან, ადგილობრივი თემის/საზოგადოების წარმომადგენლები, მშობლები და ა.შ.

Don't Copy

პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები

შეიძლება რაიმე ფაქტორებმა შეაფერხოს ან ხელი შეუშალოს პროექტის განხორციელებას. ახსენით, როგორ შეეცდებით ამ რისკების შემცირებას/გადალახვას. აღნიშნულ ნაწილში მოკლედ უნდა აღწეროთ პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკფაქტორები და ის, თუ როგორ შეიძლება მათი მინიმუმამდე შემცირება. რისკების შეფასებისთვის დაგეხმარებათ, თუ დაგეგმვის პროცესში თქვენ რამდენჯერმე შეჩერდებით და გააანალიზებთ პროექტის განხორციელებადობას. რისკების მართვისას გასათვალისწინებელია შიდა და გარე ფაქტორი. გარე ფაქტორი რისკებში შეიძლება იყოს პანდემიის გამო პროექტში ჩართული პირების ავადმყოფობა. ასეთ ვითარებაში ეფექტური იქნება ონლაინსივრცის გამოყენება (მაგალითად, Teams-ის პლატფორმა, ელ. ფოსტა და ა. შ);

შიდა ფაქტორი რისკებში შეიძლება იყოს ინფორმირებულობის ნაკლებობა საკითხთან მიმართებაში, ნაკლები მოტივაცია და ჩართულობა. ასეთ დროს ეფექტური იქნება საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა, სიტუაციური ამოცანების განხილვა, საკითხის ირგვლივ ცნობიერების ამაღლება, ისეთი აქტივობების გამოყენება, რომლებიც გააძლიერებს თანამშრომლობის ხარისხს.

მონიტორინგი და შეფასება

პროექტის გეგმაში დეტალურად უნდა იყოს გაწერილი პროექტის მონიტორინგისა და შეფასების სტრატეგია და პროექტის წარმატების გასაზომი კრიტერიუმები, რომელიც სრულიად იძლევა პროექტის მიმდინარეობისა და პროდუქტის შეფასების საშუალებას.

იმისათვის, რომ პროექტის საბოლოო შედეგების შეფასება ობიექტურად შეძლოთ, აუცილებელია, თავიდანვე შეიმუშაოთ პროექტის მონიტორინგისა და შეფასების გეგმა. ამისათვის უნდა გააკეთოთ სია, რომელიც დაგეხმარებათ თქვენი პროექტის მონიტორინგში.

მონიტორინგი განსაზღვრავს, თუ რამდენად ზედმიწევნით განხორციელდა პროექტის ფარგლებში დაგეგმილი თითოეული აქტივობა. მაგალითად, ჩატარდა თუ არა ლექცია ბულინგის თემაზე, რამდენი მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი დაესწრო. შეფასებები კი ეყრდნობა მონიტორინგის შედეგად შეგროვილ ინფორმაციას და მოიაზრებს პროექტის შედეგების ხარისხის შეფასებას. მაგალითად, ჩატარებული ღონისძიებების შედეგად ამაღლდა თუ არა მონაწილეთა ცნობიერება და როგორ აისახა ეს სასკოლო კლიმატის გაუმჯობესებაზე.

იმისათვის, რომ გაიგოთ, წარმატებულია თუ არა პროექტი, შედეგები წინასწარ განსაზღვრული შეფასების მეთოდების გამოყენებით უნდა გაზომოთ.

Don't Copy

შემოთავაზებული პროექტების ნიმუშები

პროექტი N1

პროექტის დასახელება:

შეაჩერე ბულინგი

პროექტის ტიპი ადვოკატირება
პროექტის განხორციელების ვადები: პროექტის განხორციელება გათვლილია ერთ სემესტრზე (დაახლოებით 14-18 საათი); თითოეულ აქტივობას მითითებული აქვს განხორციელების სავარაუდო ვადა.
პროექტის სამიზნე ჯგუფი: X კლასის მოსწავლეები
კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ თემასთან/თემებთან: ადამიანის უფლებები
პროექტის შესაბამისობა სამიზნე ცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან: საზოგადოება, დემოკრატია, სამოქალაქო მონაწილეობა, მდგრადი განვითარება
კავშირი XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციასთან: წიგნიერება, სამოქალაქო კომპეტენცია, ციფრული წიგნიერება

Don't Copy

I ეტაპი სფეროს (თემის დახასიათება), პრობლემების იდენტიფიცირება სფეროსთან მიმართებით
მოსწავლეთა აქტივობა: • მოსწავლეები ირჩევენ ბულინგის თემას, რომელიც მნიშვნელოვნად ეჩვენებათ სასკოლო თემისთვის; • მოსწავლეები ეცნობიან შესაბამის ლიტერატურას შერჩეულ სფეროსთან დაკავშირებით; • მოსწავლეები აკეთებენ სიტუაციურ ანალიზს; საამისოდ ისინი არჩევენ შესაბამის წყაროებსა და კვლევის მეთოდებს. **ძირითადი რესურსები:** 1. „ბულინგი“- https://befriend.mes.gov.ge/what-is/?id=15 2. „ეროვნული კვლევა საქართველოს სკოლებში ძალადობის შესახებ“- https://www.unicef.org/georgia/media/2171/file/zaladoba-skolebshi-kvleva.pdf- გვ.10-19 **დამატებითი რესურსები:** 3. საქართველოს ორგანული კანონი სახალხო დამცველის შესახებ, მუხლი 3^2 https://matsne.gov.ge/ka/document/view/33034?publication=27 4. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი- https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=21 5. „ბავშვის უფლებათა კონვენცია“, სამართლებრივი კულტურა- https://bit.ly/3Ly9g9O 6. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, მასალა 1- http://phf.org.ge/ka/resources/maswavleblis-roli-bulingis-problemis-gadachrashi/ 7. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, მასალა 2- http://phf.org.ge/ka/resources/bulingi/ 8. ბულინგის ფსიქოლოგიური ბუნება და მისი განმაპირობებელი ფაქტორები (საქართველოში მცხოვრები მოზარდების მაგალითზე), ნატო ასათიანი, სადოქტორო ნაშრომი, თსუ, 2020 წ, გვ. 5-45

Don't Copy

https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/july/dissertations/asatiani-disertacia.pdf

9. „როგორ დავიცვათ ბავშვები ბულინგისგან“-ინტერვიუ ფსიქოლოგ მაია ცირამუასთან, გაზეთი „ახალი განათლება“, 2022 https://bit.ly/3r9YdLO
10. „რა არის ბულინგი“, სტატია- https://www.stopbullying.ge/ka/about-bullying
11. „ბულინგი სკოლაში“, ანიმაცია https://www.youtube.com/watch?app=desktop&v=cH9bNXcTKRE&t=19s
12. „ბულინგი სკოლაში“, ინტერვიუ- https://ekimo.ge/blog/bulingi-skolashi-inteviu-elene-maghradzestan
13. „ჩაანაცვლე ბულინგი მეგობრობით“, ვიდეორესურსი, ევროკავშირი საქართველოსთვის- https://youtu.be/3-kpZexGCTY
14. „ბულინგის ფორმები და მახასიათებლები“, არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰერა“- https://bit.ly/3JY6B8Z
15. „კიბერბულინგი – რა უნდა იცოდეს მშობელმა ამის შესახებ?“, სტატია- https://www.izrune.ge/?id=1130
16. „11 მიზეზი, რატომ არჩევს მსხვერპლი ბავშვი დუმილს“– https://dedamicis.ge/11-mizezi-ratom-archevs-msxverpli-dumils/
17. „ბულინგი“, სტატია – https://bit.ly/3DwCNhr
18. საკლასო განხილვის სცენარი მოსწავლეთა შორის ძალადობის თემაზე – (მეთოდური რესურსი) https://befriend.mes.gov.ge/article/?id=32

საკვანძო კითხვები:

- რა არის ბულინგი?
- რამდენად მნიშვნელოვანია ჩაგვრის მრავალფეროვანი ხასიათი (მაგალითად, კიბერბულინგი, ფარული ბულინგი) და როგორ მოქმედებს ის ადამიანის ფსიქიკაზე?
- როგორ წარმოგიდგენია არაძალადობრივი ურთიერთობები? პასუხი დაასაბუთე;
- რა მნიშნელობა აქვს პიროვნების თავისუფალ განვითარებასა და სხვადასხვა მოთხოვნილების (მაგალითად, უსაფრთხოების) დაკმაყოფილებას? პასუხი დაასაბუთე;
- რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ინფორმირებულობას ბულინგის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით?
- როგორ ირღვევა ადამიანის უფლებები და რამდენად საფრთხის შემცველია საზოგადოების გულგრილობა?
- როგორ ფიქრობ, რა საფრთხეები არსებობს, როცა საზოგადოება არაფერს აკეთებს ბულინგის პრევენციისთვის?
- როგორ ფიქრობ, რამდენად მნიშვნელოვანია ბულინგის წინააღმდეგ ბრძოლაში მოსწავლეებთან ერთად მშობლებისა და მასწავლებლების ჩართვა? პასუხი დაასაბუთე;

Don't copy

- რამდენად დიდია მშობლის პასუხისმგებლობის საკითხი მოზარდისადმი მხარდაჭერისა და მის საუკეთესო ინტერესზე მორგებულ რეაგირებაში? პასუხი არგუმენტებით გაამყარე;
- რატომ არის გასათვალისწინებელი აქტიური მოქალაქეების მიერ ბულინგთან ბრძოლისკენ მიმართულ ღონისძიებებში ასერტულობის დაცვა და სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინება?
- რატომ არის აუცილებელი ბულინგის პრევენციისკენ მიმართულ აქტივობებში მონაწილეობის მიღება-თანამშრომლობა სახელმწიფო სტრუქტურებთან, ადვოკატირება ბულინგის აღმოსაფხვრელად?
- რამდენად მნიშვნელოვანია აქტიური მოქალაქეების მიერ დემოკრატიული საზოგადოების პოპულარიზაციის ხელშემწყობი აქტივობების დაგეგმვა?
- როგორ უნდა დაგეგმონ აქტიურმა მოქალაქეებმა ბულინგის პრევენციისკენ მიმართული ლოკალური ნაბიჯები, რომ თავიდან აიცილონ გლობალური საფრთხეები? პასუხი არგუმენტებით გაამყარე.

I ეტაპის შედეგად მოსწავლემ უნდა ჩამოაყალიბოს სიტუაციური ანალიზი

სასკოლო კლიმატის უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმს წარმოადგენს მოსწავლეების ფიზიკური და ფსიქიკური უსაფრთხოება, პოზიტიური ურთიერთობები სასკოლო გარემოში, რაც ხელს შეუწყობს მათ პიროვნულ განვითარებას. შესაბამისად, ბულინგის ამოცნობა და პრევენცია სკოლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. ძალადობა მრავალი ფორმით გვხვდება და მას შედეგებიც განსხვავებული აქვს. მის შესახებ ინფორმირებულობა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა სიტუაციის შეფასებისთვის, ბულინგის ამოცნობისა და შესაბამისად პრევენციის დაგეგმისთვის. *

მოზარდებს ძალადობასთან შეხება სხვადასხვა სოციალურ გარემოში უხდებათ – ოჯახში, სკოლაში, ეზოში, ქუჩაში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. ბულინგი ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა. გვხვდება, ასევე, კიბერბულინგი. მისი განვითარება ინტერნეტსივრცის აქტიურ გამოყენებას მოჰყვა. მას, განსხვავებით ტრადიციული ბულინგისგან, ფსიქოლოგიური ძალადობის კიდევ უფრო მეტი გამოხატვის საშუალება აქვს.

---

*„სასკოლო ბულინგი: დეფინიცია, ინტერვენცია, პრევენცია“-გვერდი „შეაჩერე ძალადობა, იყავი მეგობრული“
https://befriend.mes.gov.ge/article/?id=21

Don't copy

აქ მაღალია ანონიმურობა. დამამცირებელი მოპყრობა შესაძლოა ყველასთვის გახდეს დასანახი. კიბერბულინგი მოზარდის მიერ მძაფრად აღიქმება და, შესაბამისად, მაღალია ემოციური ზიანი. ონლაინ სწავლებაზე აქტიურმა გადასვლამ (პანდემიის დროს) გამოავლინა კიბერბულინგის საშიშროება. ასევე, მტკივნეულია ფარული ბულინგი, რომლის დროსაც აგრესია ღიად არ არის გამოხატული, მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ბავშვს პასუხს არავინ არ სცემს, არ ესალმებიან, თამაშში ჩართვის უფლებას არ აძლევენ და ა.შ.

ბულინგი, ანუ ძალადობა ბავშვებს შორის, საქართველოს სკოლებში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, 21-ე საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან, მასშტაბურ და გადაუჭრელ პრობლემად რჩება. მუდმივად ტარდება კვლევები მოზარდებში იმის დასადგენად, თუ რამდენი მათგანი არის/ყოფილა ბულინგის მსხვერპლი.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის მიერ 2016–2017 სასწავლო წლის განმავლობაში საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვთა მიმართ ძალადობის კუთხით ჩატარებული მონიტორინგის შედეგებს ასახავს. აღნიშნული მონიტორინგი გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ მხარდაჭერილი პროექტის, „ბავშვის უფლებების ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერება“, ფარგლებში ჩატარდა.

მონიტორინგმა გამოავლინა, რომ მოსწავლეებს აქვთ ინფორმაცია ბავშვთა უფლებების, ძალადობის სხვადასხვა ფორმის, ტოლერანტობის, თანასწორობის შესახებ, თუმცა, მათი ცოდნა ზედაპირულია და უჭირთ უფლებებისა და მოვალეობების ერთმანეთისგან გამიჯვნა. მოსწავლეები საუბრობდნენ ბულინგის სხვადასხვა ფორმაზე: თანატოლებს შორის დაცინვა, მეტსახელით მოხსენიება პრობლემად იშვიათად აღიქმება. მოსწავლეთა საუბრიდან ცხადი ხდება, რომ მეტსახელის შერქმევა ნორმალიზებულია. ვერბალური ბულინგი ხშირია გარეგნობისა და ფიზიკური მონაცემების, სოციალური მდგომარეობის, ასევე, აკადემიური მოსწრების გამო.

მოსწავლეებმა ფოკუს ჯგუფების მიმდინარეობისას ფიზიკური ბულინგის არაერთი შემთხვევაც დაასახელეს: ჩხუბი, ფეხის დადება, თმის მოქაჩვა, ხელის გადატრიალება, დაჯახება, „წაპორწიალება“, პირადი ნივთების განზრახ დაზიანება ან წართმევა, უმცროსკლასელების ფანჯრიდან გადაკიდება, ფულის გამოძალვა ტუალეტში შეშვების საფასურად, სიგარეტის მოწევის იძულება. გავრცელებულია უფროსკლასელების მიერ სკოლის ტუალეტთან პატარა ბავშვების „გამოჭერა“ და მათი ჩხუბში ჩართვა. ამ ყველაფრის გამო მოსწავლეებს მიუმართავთ მასწავლებლისათვის, თუმცა, ბავშვები ხშირად იმასაც ამბობენ, რომ მიმართვას „აზრი არ აქვს“. მათი თქმით, ყოფილა შემთხვევა, როდესაც მასწავლებელი თავადაც შესწრებია ამგვარ ფაქტებს, მაგრამ მიუხედავად არაერთი შენიშვნისა, ბულერებს ქცევა არ შეუცვლიათ. ფოკუს ჯგუფებში მუშაობისას გამოვლინდა, რომ კიბერბულინგის შემთხვევები საერთოდ არ აღიქმება ძალადობად.

Draft copy

ყოველივე ზემოთქმულს ამყარებს მონიტორინგის რაოდენობრივი კველევის შედეგები. კერძოდ, გამოვლინდა მოსწავლეთა გარკვეული კატეგორია, რომელიც აღიარებს, რომ მართლაც სჩადიოდა სხვადასხვა სახის ძალადობრივ ქმედებებს თანაკლასელების და/ან თანასკოლელების მიმართ. გამოკითხულთაგან ყველაზე ხშირად სახელდება გართობის მიზნით პირადი ნივთების დამალვა – 111 მოსწავლე. ძალადობრივ ქმედებათაგან მოსწავლეები გაცილებით ხშირად („ზოგჯერ“) მიმართავენ შემდეგს: დამამცირებელი მეტსახელით მიმართვა (34.1%), უხეში კომენტარების გაკეთება (28.6%), დაცინვა (27.8%), გართობის მიზნით პირადი ნივთების დამალვა (38.5%), ხელის დარტყმა/წიხლის ჩარტყმა (20.8%), ძალით შეჯახება (19.9%).** მნიშვნელოვანი კვლევებია გამოქვეყნებული ევროკავშირის პუბლიკაციების ოფისის, კემბრიჯის უნივერსიტეტის პრესისა და განათლების სტატისტიკის ეროვნული ცენტრის მიერ. ყოველი ჩატარებული/გამოქვეყნებული კვლევის შედეგები ბულინგის მაღალ სიხშირეს აჩვენებს. ***

ბულინგში არსებობს სამი როლი: მსხვერპლი, აგრესორი და მოწმე. ფსიქოლოგების აზრით, ბულინგის უარყოფითი შედეგები გვხვდება მონაწილეთა სამივე ჯგუფში. ბულინგის ყველაზე მძიმე შედეგები უვითარდება ბულინგის მსხვერპლს. ყველაზე ხშირად, ბულინგი იწვევს მსხვერპლის თვითდაჯერებულობის დაკარგვას. ასევე, ამ ფენომენმა შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა სიმძიმის ფსიქიკური აშლილობები და ფსიქოსომატური დაავადებები, მძიმე შემთხვევაში კი თვითმკვლელობა ან ორგანიზებული შეტევა მოძალადეებზე.

აღსანიშნავია, რომ ბულინგის მსხვერპლები იშვიათად საუბრობენ სახლში საკუთარი პრობლემების და განცდების შესახებ; ამიტომ მშობლებმა აუცილებლად უნდა მიაქციონ ყურადღება არაპირდაპირ (ქცევითი და ემოციური ნიშნები) და პირდაპირ (ფიზიკური) ნიშნებს: ქცევითი და ემოციური დარღვევები.

**„სპეციალური ანგარიში-ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობა“, საქართველოს სახალხო დამცველი, ბავშვის უფლებების ცენტრი, 2017 წ, გვ.16-17

https://bit.ly/3CSLpQF

,***,ბულინგი საქართველოს საჯარო სკოლებში“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკადემიური ნაშრომი, ქეთევან პოპიაშვილი, 2019 წ. https://www.qwelly.com/profiles/blogs/bulingo

Don't Copy

იმ შემთხვევაში, თუ ბულინგი წარმოებს სკოლაში, ბავშვი ხშირად უარს ამბობს სკოლაში წასვლაზე სხვადასხვა მიზეზის გამო, ცვლის სკოლამდე მისასვლელ მარშრუტს, ეშინია სკოლაში წასვლის, არ სურს სკოლის ტრანსპორტით სარგებლობა, აკადემიური მოსწრება ქვეითდება. ამიტომ არის პრობლემის მოგვარება მეტად აქტუალური.

ბულინგის პრევენციისკენ მიმართული ღონისძიებები სასარგებლოა ცალკეული ინდივიდებისა და, საერთოდ, საზოგადოებისათვის. ემოციური რეაგირებისა და ქცევაში ცვლილების დროს მშობელი და შვილი ერთმანეთთან გულახდილად უნდა საუბრობდნენ. დაუშვებელია ბულინგის მსხვერპლის დადანაშაულება და მითითება, რომ საკუთარი ძალებით გაუმკლავდეს პრობლემას. აუცილებელია, ბავშვმა იგრძნოს მშობლის მხარდაჭერა. ხშირ შემთხვევაში საჭირო ხდება ფსიქოლოგის ჩარევა. ****

მოსწავლეთა შორის ბულინგი არასრულწლოვანთა ურთიერთობის ფართო მასშტაბით გავრცელებული ფორმაა. სუსტია მოსწავლეთა ცოდნა თავიანთი უფლებების და ძალადობის ფორმების შესახებ, დაბალია პასუხისმგებელ პირთა კომპეტენცია ბავშვის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობაზე რეაგირების მექანიზმთან დაკავშირებით; შესაბამისად, არ არის დაცული ბავშვთა საუკეთესო ინტერესები, არასაკმარისია ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისები, სკოლებს არ აქვთ ძალადობის დაძლევის ერთიანი პოლიტიკა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბულინგის პრევენციის დაგეგმვის დროს აუცილებელია სკოლაში პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა, მათ შორის საჭიროა ფსიქოლოგიური და სამართლებრივი სფეროებიდან სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომელთა ჩართვა, რადგანაც ბულინგი ხელს უშლის საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ღონისძიებები უშედეგო იქნება, თუ ძალადობას სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი(მსხვერპლი, თვითმხილველი, თანაკლასელი, მასწავლებელი) ერთობლივად არ დაუპირისპირდება. აუცილებელია უფროსკლასელების ჩართვა ბულინგის საინტერვენციო ჯგუფებში. მიუხედავად პრობლემის მასშტაბურობისა, ადრეულ, თანმიმდევრულ, სწორად შერჩეულ პრევენციასა და ინტერვენციას შეუძლია ბულინგის შემცირება და მისი მძიმე შედეგების თავიდან აცილება.

****„როგორ ამოვიცნოთ ბულინგი“, სტატიის ავტორი ნეიროგანვითარების ცენტრის ფსიქიატრი თამარ ბაზღაძე
https://m.facebook.com/ndc.ge/photos/a.365441060313956/1233670093491044/

Don't Copy

II ეტაპი
იდეები და შესაძლებლობები

მოსწავლეთა აქტივობა:

- მოსწავლეები გამოკვეთენ ფორმებს აქტივობებისთვის, აყალიბებენ აქტივობების იდეებს;
- მოსწავლეები ქმნიან მიზნების იერარქიას: აქტივობის მიზანი, პროექტის მიზანი;
- მოსწავლეები აყალიბებენ მოსალოდნელ შედეგებს: რა გავლენას მოახდენს პროექტი სასკოლო საზოგადოების განვითარებაზე, აანალიზებენ, თუ რა რესურსები სჭირდებათ დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად, რამდენად ხელმისაწვდომია ეს რესურსები;
- მოსწავლეები აყალიბებენ სამოქმედო გეგმას დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად.

საჭირო რესურსები:

პროექტების ანალოგიები სფეროსთან დაკავშირებით

იდეების გენერირებისთვის, კარგი იქნება, მოსწავლეები გაეცნონ ბულინგის თემაზე განხორციელებული პროექტების სხვადასხვა მაგალითს.
ქვემოთ არის პროექტების ჩამონათვალი შესაბამისი ბმულებით, რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარება იდეების ჩამოყალიბებაში:

- თბილისის 128 საჯარო სკოლის სასწავლო პროექტი „ბულინგი და ძალადობა“ http://128skola.blogspot.com/p/blog-page_81.html
- ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ღების საჯარო სკოლის მოსწავლეებმა პროექტი „უთხარი არა ბულინგს“(ინგლისურ და ქართულ ენებზე წარმოადგინეს https://www.etaloni.ge/geo/main/index/46770
- სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გაღმა დვაბზუს საჯარო სკოლის სოციალური პროექტი „ნუ გავხდებით კიბერულინგის მსხვერპლი!“ http://khatunamacwavlebeli.blogspot.com/p/blog-page_74.html
- სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ცეცხლაურის N2 საჯარო სკოლის სოციალური პროექტი „არ გვინდა ძალადობა“ http://mananamanana1974.blogspot.com/2019/05/blog-post.html

Don't Copy

II ეტაპის შედეგად მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ პროექტის სატიტულო ნაწილი: მიზანი, შედეგი, აქტივობა, სამოქმედო გეგმა

პროექტის მიზანი:

ბულინგის შესახებ ცნობიერების ამაღლება, პრევენცია და სასკოლო თემში არაძალადობრივი კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა

პროექტის ამოცანები:

1. მოსწავლემ შეძლოს ადამიანის უფლებების დაცვის, პიროვნების თავისუფალი განვითარების, ბულინგის, ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაცვისკენ მიმართული სამართლებრივი დოკუმენტების (საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები) შესახებ ცნობიერების ამაღლება და ამ თვალსაზრისით საკუთარი მონაწილეობის აუცილებლობის დანახვა.
2. მოსწავლემ შეძლოს ბულინგის სავალალო შედეგებისა და იმის გააზრება, თუ რა ლოკალური და გლობალური საფრთხეები შეიძლება მოჰყვეს ბულინგის მიმართ თემის მაცხოვრებელთა გულგრილ დამოკიდებულებას;
3. მოსწავლემ შეძლოს სამოქალაქო მონაწილეობის, როგორც საზოგადოებრივ საჭიროებებზე ზრუნვის გააზრება, დემოკრატიული ფასეულობების პოპულარიზაციისა და არაძალადობრივი ურთიერთობების კულტურის ამაღლების ხელშემწყობი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება სასკოლო საზოგადოებაში ბულინგის წინააღმდეგ დისციპლინური სახდელის გამკაცრების შესახებ.
4. მოსწავლემ შეძლოს აქტიური მოქალაქის როლის მორგება; ადვოკატირებითა და თანამშრომლობით სახელმწიფო სტრუქტურებთან, ასერტულობის დაცვითა და სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინებით სასკოლო თემის მიერ ორგანიზებულ ბულინგის პრევენციისა და ადამიანის პიროვნული განვითარების ხელშეწყობისკენ მიმართულ აქტივობებში მონაწილეობის მიღება.

მოსწავლეები აყალიბებენ მოსალოდნელ შედეგებს:

რა გავლენას მოახდენს პროექტი სასკოლო საზოგადოების განვითარებაზე?

Draft Copy

პროექტის განხორციელების შედეგად გაიზრდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა; მოსწავლეები გაეცნობიან დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჩარჩოს. გამყარდება კავშირი არა მხოლოდ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან, არამედ გარე ორგანიზაციებთან.

მოსწავლეები გააცნობიერებენ ბულინგის სავალალო შედეგებს, აიმაღლებენ ადამიანის უფლებების დაცვისკენ მიმართული სამართლებრივი დოკუმენტების (საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო დოკუმენტები) შესახებ ცნობიერებას და საკუთარ მონაწილეობას გაიაზრებენ არაძალადობრივი ურთიერთობების კულტურის ხელშემწყობ აქტივობებში.
პროექტის მიზნის მისაღწევად ეფექტური გზა იქნება მოსწავლეებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან საინფორმაციო შეხვედრების დაგეგმვა, რჩევების შეთავაზება და ბულინგის წინააღმდეგ დისციპლინური სახდელის გამკაცრებაზე მსჯელობა, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს არაძალადობრივი კულტურის ჩამოყალიბებას სასკოლო საზოგადოებაში.
პროექტის განხორციელებით მოსწავლეები მოირგებენ აქტიური მოქალაქის როლს, ითანამშრომლებენ სახელმწიფო სტრუქტურებთან, მონაწილეობას მიიღებენ ასერტულობის დაცვითა და სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინებით სასკოლო თემის მიერ ორგანიზებულ ბულინგის პრევენციისკენ მიმართულ აქტივობებში.

პროექტის განხორციელება გააუმჯობესებს სასკოლო კლიმატს, რადგან დაგეგმილი ღონისძიებები შეამცირებს, ზოგ შემთხვევაში, აღმოფხვრავს კიდეც ბულინგის შემთხვევებს. პროექტის განხორციელებით გაფართოვდება საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ცოდნის დონე ბულინგის პრევენციაზე, მოსწავლეები განივითარებენ შესაბამის (კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების, ძალადობასთან გამკლავების, სწორი რეაგირების) უნარ-ჩვევებს, რომლებიც გამოადგებათ რეალურ ცხოვრებაში. პროექტის განხორციელებით ხელი შეეწყობა დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ფორმირებას.

პროექტის სამოქმედო გეგმა

ამოცანა 1

მოსწავლემ შეძლოს ადამიანის უფლებების დაცვის, პიროვნების თავისუფალი განვითარების, ბულინგის, ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაცვისკენ მიმართული სამართლებრივი დოკუმენტების (საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები) შესახებ ცნობიერების ამაღლება და ამ თვალსაზრისით საკუთარი მონაწილეობის აუცილებლობის დანახვა.

ნაბიჯი 1

Don't Copy

პრეზენტაციის მოწყობა, ადამიანის უფლებების დარღვევისა და მისი დაცვის სამართლებრივი დოკუმენტების გაცნობა, ბულინგის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რაც ხელს შეუწყობს მასთან ბრძოლის აქტუალურობის დანახვას.

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ბულინგზე, ადამიანის უფლებების სხვადასხვა დარღვევასა და მასთან ბრძოლის აუცილებლობაზე (შეიძლება დაირღვეს პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და კერძო საკუთრების უფლება, დისკრიმინაცია სხვადასხვა ნიშნით, პიროვნული ღირსების შელახვა, ჯანმრთელობის უფლება(ფიზიკური და ფსიქოლოგიური).

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები მოიძიებენ მასალებს ბულინგის, ადამიანის უფლებების დარღვევის სხვადასხვა შემთხვევებისა და სამართლებრივი დოკუმენტების შესახებ;
- ააწყობენ პრეზენტაციას. პროგრამა PowerPoint-ში (შესაძლოა სხვა საპრეზენტაციო პროგრამაც იყოს გამოყენებული. მაგალითად, Sway);
- მოსწავლეები მოამზადებენ აუდიტორიას პრეზენტაციის ჩასატარებლად, მოიმარაგებენ ტექნიკურ აღჭურვილობას, რომელიც საჭიროა საპრეზენტაციოდ;
- სასკოლო საზოგადოებას პროექტორით აჩვენებენ პრეზენტაციას სახელწოდებით „ბულინგი და ადამიანის უფლებები“;
- პრეზენტაციის მოსმენის შემდეგ გაიმართება კითხვა-პასუხი და შედეგების შეჯამება.

მოსწავლეები აღწერენ პრობლემას, ახსნიან გამომწვევ მიზეზებს, შეაფასებენ მოსალოდნელ შედეგებს და გაიაზრებენ მასთან ბრძოლაში საკუთარი მონაწილეობის საჭიროებას; გარდა ამისა, ეს აქტივობა ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ინფორმაციის მოძიების, ანალიზისა და პრეზენტაციის უნარების განვითარებას.

ძირითადი რესურსები:

Don't Copy

- ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო „მოკლედ უფლებების შესახებ- http://myrights.gov.ge/ka/my%20rights/on%20human%20rights
- კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები

  https://www.civiceducation.ge/ka/lessons/2-22

- საქართველოს კონსტიტუცია, თავი II, ადამიანის ძირითადი უფლებები- https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36
- საქართველოს ორგანული კანონი სახალხო დამცველის შესახებ, მუხლი 3^2 https://matsne.gov.ge/ka/document/view/33034?publication=27
- რა არის ბულინგი?

  https://www.stopbullying.ge/ka/about-bullying

მეთოდური რესურსი:

„როგორ მოვემზადოთ კარგი პრეზენტაციისთვის“, სოფიკო ლობჟანიძის სტატია ჟურნალ „მასწავლებელში“- http://mastsavlebeli.ge/?p=278

აქტივობის შემსრულებელი-პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო-ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა

ნაბიჯი 2

დისკუსიის მოწყობა საკითხზე „რატომ არის ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაცვა მორალური ვალდებულება?“

Don't Copy

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებში ხელი შეეწყოს დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპების გააზრებას; დისკუსიის დროს მოსწავლეები გამოიმუშავებენ აქტიური მოსმენის, საკუთარი აზრის არგუმენტებით დასაბუთების, მსჯელობის, სხვისი აზრის მოსმენა-გათვალისწინების, დასკვნების გამოტანის, კომუნიკაციის უნარებს.

აქტივობის აღწერა:

- აქტივობის დაწყებამდე მოსწავლეები კარგად უნდა იცნობდნენ საკითხს, რათა დისკუსიის დროს არ გაუჭირდეთ მოსაზრებების გამოთქმა; ამის გამო ისინი დაამუშავებენ შესაბამის ლიტერატურას;
- მოსწავლეები განმარტავენ დისკუსიის წესებს, რაც შექმნის ნდობისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროს;
- შეარჩევენ დისკუსიის ფორმას –„მრგვალი მაგიდა“, რომლის წარმართვის დროსაც საუბარი თანაბარ საწყისებზე მიმდინარეობს;
- მოსწავლეები ერთმანეთს აზრებს გაუზიარებენ და შედეგებს შეაჯამებენ.

რეკომენდაცია მასწავლებელს:

შესაძლოა, დისკუსიის სხვა ფორმების გამოყენებაც. მაგალითად, ფორუმი, სიმპოზიუმი. საკითხის განსახილველად ის ფორმა შეირჩევა, რომელიც უფრო ეფექტური იქნება.

ძირითადი რესურსები:

- ტელესკოლის გაკვეთილი „ადამიანის უფლებები და დაცვის საშუალებები https://www.youtube.com/watch?v=4xbXARGT71I
- სამოქალაქო განათლება ყველასათვის „ადამიანის უფლებათა დაცვის შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმები“ https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-16
- „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“მოსაზრებები ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიასთან დაკავშირებით, 1-9 გვ, 2020 წ. https://idfi.ge/public/upload/Blogs/IDFIs-Recommendations.pdf
- ადამიანის უფლებები და უსაფრთხოების სექტორი- https://bit.ly/3axuIib

Don't Copy

მეთოდური რესურსი:

- დისკუსიის წესები – „განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება“, სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის, მარიანა ხუნძაყიშვილი, სარა ბივერი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2018 წ, გვ.147 **https://bit.ly/3fnj4si**

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა

ამოცანა N 2

მოსწავლემ შეძლოს ბულინგის სავალალო შედეგებისა და იმის გააზრება, თუ რა ლოკალური და გლობალური საფრთხეები შეიძლება მოჰყვეს ბულინგის მიმართ თემის მაცხოვრებელთა გულგრილ დამოკიდებულებას;

ნაბიჯი 1

სასკოლო თემში **შეხვედრების** გამართვა თემაზე „როდის ხდება ადამიანი ბულერი, რა საფრთხეები მოაქვს ადამიანთა გულგრილობას და პრევენციისთვის რა ლოკალური ნაბიჯებია საჭირო გლობალური შედეგების მისაღწევად?“ მოსწავლეები გამართავენ დისკუსიას, შედეგებს შეაჯერებენ, დასკვნებს გამოიტანენ, დაწერენ **სტატიებს** და გამოაქვეყნებენ სკოლის Facebook გვერდზე.

მოსწავლეთა აქტივობა:

Don't Copy

აქტივობის მიზანი: მოსწავლეების მიერ ბულინგის პრევენციისთვის ლოკალური ნაბიჯების აუცილებლობის გააზრება გლობალური შედეგების მისაღწევად; დისკუსიის დროს მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს, რომლებსაც არგუმენტებით გაამყარებენ და ამ ყველაფერს სტატიის სახით გადმოსცემენ.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, პირველ შეხვედრაზე გაიმართება დისკუსია „როდის ხდება ადამიანი ბულერი, რა საფრთხეები მოაქვს ადამიანთა გულგრილობას და პრევენციისთვის რა ლოკალური ნაბიჯებია საჭირო გლობალური შედეგების მისაღწევად?“
- მოსწავლეები საკითხს დეტალურად განიხილავენ და გაანალიზებენ;
- მეორე შეხვედრაზე კი სტატიებისთვის მასალებს მოამზადებენ;
- სტატიებს გამოაქვეყნებენ სკოლის Facebook გვერდზე.

ძირითადი რესურსი:

- „ბულინგის ფსიქოლოგიური ბუნება და მისი განმაპირობებელი ფაქტორები“ (საქართველოში მცხოვრები მოზარდების მაგალითზე), თსუ, 2020 წ, სადოქტორო ნაშრომი, გვ. 5-45
  https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/july/dissertations/asatiani-disertacia.pdf

მეთოდური რესურსები:

- დისკუსიის წესები-„განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება“, სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის, მარიანა ხუნძაყიშვილი, სარა ბივერი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2018 წ, გვ.147
  https://bit.ly/3rn4yDD
- როგორ დავწეროთ სტატია-
  https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-3/part-3/unit-7/student-handout-6/

აქტივობის შემსრულებელი-მოსწავლეთა თვითმმართველობა

Don't Copy

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა
თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის ადმინისტრაცია

ნაბიჯი 2

შეხვედრების მოწყობა თემაზე „ბულინგის დაძლევის გზები და არაძალადობრივი ურთიერთობები". მოწვეული იქნება ფსიქოლოგი ორგანიზაციიდან-**საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი "თანადგომა".** შეხვედრების ბოლოს გაიმართება კითხვა-პასუხი, შემდეგ კი მოსწავლეები შედეგებს შეაჯამებენ და დასკვნებს გამოიტანენ.

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა მიიღონ მეტი ინფორმაცია, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ბულინგს, რა საფრთხეები მოსდევს ამ ყველაფერს, თუ არ გატარდა პრევენციული ღონისძიებები; მოსწავლეები გააცნობიერებენ ბულინგის დაძლევის გზებს, გაიაზრებენ არაძალადობრივი ურთიერთობების უპირატესობას, ასევე, გააანალიზებენ, რამდენად საჭიროა თემის ინფორმირებულობა და აქტიური ჩართულობა ამ თვალსაზრისით.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივითა და სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით სკოლაში მოწვეული იქნება ფსიქოლოგი და დაიგეგმება „საუბრები ფსიქოლოგთან" თემაზე „ბულინგის დაძლევის გზები და არაძალადობრივი ურთიერთობები"; შეხვედრის ბოლოს გაიმართება კითხვა-პასუხი;
- საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, მოსწავლეები გამართავენ მეორე შეხვედრას, რომელიც, ასევე, კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართება;
- მოსწავლეები შეხვედრების ბოლოს შედეგებს შეაჯამებენ.

რეკომენდაცია მასწავლებელს:

Don't copy

ფსიქოლოგის ჩართულობა დადებითად წაადგება პროექტით გათვალისწინებულ ინტერვენციებს, მაგრამ თუ მისი მოწვევა ვერ მოხერხდა, მასწავლებელს შეუძლია ისარგებლოს რესურსებით, სადაც ფსიქოლოგები მარინა კაჭარავა და ნინო ფირცხალაიშვილი საუბრობენ მოზარდების ბულინგზე (ბმულები იხილე საჭირო რესურსებში).

საჭირო რესურსები:

- ბულინგი სკოლებში, „ზღვარი მარინა კაჭარავასთან ერთად" სტუმარი -ფსიქოლოგი ნინო ფირცხალაიშვილი. https://youtu.be/b8NZeC71VNc
- საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, მასალა 1 http://phf.org.ge/ka/resources/maswavleblis-roli-bulingis-problemis-gadachrashi/
- საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, მასალა 2 http://phf.org.ge/ka/resources/bulingi/
- როგორ ამოვიცნოთ ბულინგი-რჩევები https://netgazeti.ge/news/238250/
- როგორ ავირიდოთ თავიდან კონფლიქტი https://www.youtube.com/watch?v=mV38-1ZeOew

აქტივობის შემსრულებელი – მოსწავლეთა თვითმმართველობა
აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა
თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის ადმინისტრაცია, საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი "თანადგომა".

ნაბიჯი 3

აქცია-პერფორმანსი სახელწოდებით „შეაჩერე ბულინგი!"; ფლაერების/ბუკლეტების დამზადება და გავრცელება თემში, რაც ხელს შეუწყობს დემოკრატიული საზოგადოების ფორმირების პოპულარიზაციას.

მოსწავლეთა აქტივობა:

Do not Copy

აქტივობის მიზანი: სასკოლო თემის ინფორმირებულობა დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპების შესახებ და არაძალადობრივი კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობა.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები გამართავენ სამუშაო შეხვედრას, სადაც დაგეგმავენ და მოამზადებენ აქცია-პერფორმანსს სახელწოდებით „შეაჩერე ბულინგი!“;
- მეორე შეხვედრაზე ისაუბრებენ ბუკლეტების/ფლაერების დიზაინსა და შინაარსობრივ მხარეზე;
- მოსწავლეები შექმნიან ბუკლეტებს/ფლაერებს და გაავრცელებენ თემში.

საჭირო რესურსები:

- ბულინგი სკოლაში-ინტერვიუ ელენე მაღრაძესთან- https://ekimo.ge/blog/bulingi-skolashi-inteviu-elene-maghradzestan
- როგორ შევქმნათ საინფორმაციო ბუკლეტი- https://www.youtube.com/watch?v=sKLUDHXmXII
- როგორ შევქმნათ საინფორმაციო ფლაერი- https://www.printpeppermint.com/ka/faqs/flyers-faqs/how-to-make-a-flyer-in-photoshop/

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი
აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა
თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის ადმინისტრაცია.

Don't Copy

ნაბიჯი 4

სლოგანების კონკურსის მოწყობა ბულინგის თემაზე, რომელსაც პროექტის ფარგლებში საინფორმაციო დანიშნულება აქვს (თემის ინფორმირება);

მოსწავლეთა აქტივობები:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გაიაზრონ ბულინგის სავალალო შედეგები, გააანალიზონ მისგან გამოწვეული ლოკალური და გლობალური საფრთხეები და ამის შესახებ სლოგანით თემს მოუწოდონ, ნუ იქნებიან გულგრილნი.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები დაგეგმავენ კონკურსს, მოაწყობენ შეხვედრას, რომ დრო განსაზღვრონ, ჩამოაყალიბონ კრიტერიუმები, რითიც უნდა შეფასდეს სლოგანი, შეარჩიონ ჟიური;
- კონკურსის ჩატარების შემდეგ ჟიური განიხილავს ნამუშევრებს;
- კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება სკოლის Facebook გვერდზე;
- ჟიური კონკურსის გამარჯვებულ სლოგანს გამოავლენს მოწონებების (Like) რაოდენობის მიხედვით;
- საკონკურსო კომისიას ექნება შესაძლებლობა გადაამოწმოს მონაცემები;
- ყველაზე მეტი მოწონების მფლობელი დაჯილდოვდება სკოლის მიერ სიმბოლური საჩუქრით (საჩუქარზე თანხას გამოყოფს სამეურვეო საბჭო).

საჭირო რესურსები:

რჩევები სლოგანების კონკურსის მოწყობისთვის:

- სლოგანი უნდა იყოს მოკლე, მაქს.10 სიტყვა;
- არ უნდა იყოს ეთნიკური, რელიგიური, გენდერული დისკრიმინაციის შემცველი;
- არ უნდა წარმოადგენდეს ცნობილი გამონათქვამების კოპირებას;
- აქცენტი უნდა იყოს გაკეთებული რეალურ პრობლემაზე.

Don't Copy

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი
აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა
თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის ადმინისტრაცია, სამეურვეო საბჭო

ამოცანა 3

მოსწავლემ შეძლოს სამოქალაქო მონაწილეობის, როგორც საზოგადოებრივ საჭიროებებზე ზრუნვის გააზრება, დემოკრატიული ფასეულობების პოპულარიზაციისა და არაძალადობრივი ურთიერთობების კულტურის ამაღლების ხელშემწყობი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება სასკოლო საზოგადოებაში ბულინგის წინააღმდეგ დისციპლინური სახდელის გამკაცრების შესახებ.

ნაბიჯი 1

საინფორმაციო შეხვედრები მოსწავლეებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან ბულინგის კატეგორიების, მისი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების, არაძალადობრივი ურთიერთობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, განხილვების გამართვა, რჩევების შეთავაზება, ბულინგის წინააღმდეგ დისციპლინური სახდელის გამკაცრების შესახებ მსჯელობა, რაც ხელს შეუწყობს ცნობიერების ამაღლებასა და მის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის გააზრებას.

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლეების ინფორმირებულობა ბულინგის კატეგორიების, მისი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების, არაძალადობრივი ურთიერთობების შესახებ ცნობიერების ამაღლება და ბულინგის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის გააზრება.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები დაგეგმავენ შეხვედრებს, დაამუშავებენ მასალებს და მოამზადებენ აუდიტორიას;
- შეხვედრა N1 მოეწყობა მოსწავლეებთან და განიხილება მნიშვნელოვანი რჩევები;
- შეხვედრა N2 გაიმართება მშობლებთან და შეთავაზებული იქნება ყურადსაღები რჩევები;
- შეხვედრა N3 მასწავლებლებთან გაიმართება და განიხილება გასათვალისწინებელი რჩევები;

Don't Copy

- შეხვედრა N4-სასკოლო თემში ბულინგის წინააღმდეგ დისციპლინური პასუხისმგებლობისა და შესაბამისი სახდელის გამკაცრების საკითხზე;
- მონაწილეები შეაჯამებენ შეხვედრის შედეგებს;

საჭირო რესურსები:

- რჩევები მშობლებს:
  https://befriend.mes.gov.ge/banners/poster/parents.pdf
  http://phf.org.ge/ka/resources/bulingi/
- როგორ უნდა მოიქცეს მშობელი, თუ ბავშვი ბულინგის მსხვერპლია? - მარინა კაჭარავას რეკომენდაციები მშობლებს
  https://youtu.be/7iIHP-oGses
- რჩევები ბავშვებს:
  https://befriend.mes.gov.ge/banners/poster/children.pdf
- რჩევები მასწავლებლებს-
  https://befriend.mes.gov.ge/banners/poster/teachers.pdf
- ბავშვზე ძალადობა-მომზადებულია საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის მიერ მომზადებული ვიდეომასალა
  https://youtu.be/qBcCUrZTyPM
- ოჯახისა და სკოლის როლი ბავშვის ცხოვრებაში
  https://befriend.mes.gov.ge/article/?id=36

ქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი
აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა
თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის ადმინისტრაცია, დისციპლინური კომიტეტი, პედაგოგიური საბჭო

ნაბიჯი 2

სასკოლო საზოგადოების გააქტიურება ბულინგის წინააღმდეგ **დისციპლინური პასუხისმგებლობის** გამკაცრების შესახებ, თანამშრომლობა ერთმანეთთან და დემოკრატიულ პრინციპებზე, არაძალადობრივ ურთიერთობებზე აწყობილი ადეკვატური, სამართლიანი დისციპლინური სახდელის პაკეტის მომზადება (სადაც გათვალისწინებული იქნება სხვა ადამიანთა

Don't Copy

ინტერესებიც) და სამეურვეო საბჭოსთვის შინაგანაწესში ცვლილებების შეთავაზება, რაც მნიშვნელოვანია თემში მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის;

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: სასკოლო საზოგადოების გააქტიურება ბულინგის წინაღმდეგ, რათა მოსწავლეებში გამომუშავდეს თანამშრომლობის, სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინების, არაძალადობრივი ურთიერთობების უნარები.

აქტივობის აღწერა:

- სამუშაო შეხვედრა N1 – მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების მსჯელობა ბულინგის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიებზე, დისციპლინური პასუხისმგებლობის გამკაცრებაზე;
- სამუშაო შეხვედრა N 2– მომზადდება სამართლიანი სახდელის პაკეტი;
- სამუშაო შეხვედრა N3 – დისციპლინური გადაცდომების შესაბამისი სახდელების პაკეტის წარდგენა სამეურვეო საბჭოსათვის და შინაგანაწესში ცვლილების შეთავაზება;

საჭირო რესურსები:

- სასკოლო ბულინგი: დეფინიცია, ინტერვენცია, პრევენცია
  https://befriend.mes.gov.ge/article/?id=21
- ხუმრობა, ბულინგი, კონფლიქტი
  https://www.youtube.com/watch?v=Atr99AErh9s
- ბულინგი
  https://www.youtube.com/watch?v=UNrLnesc7f0

აქტივობის შემსრულებელი-პროექტის გუნდი
აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

Don't Copy

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის ადმინისტრაცია, დისციპლინური კომიტეტი, სამეურვეო საბჭო

ნაბიჯი 3

სასკოლო საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპებისა და ბულინგის წინააღმდეგ მიღებული ახალი რეგულაციების შესახებ.

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლემ გაიაზროს დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპები და ბულინგის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა, გამოუმუშავდეს პრეზენტაციის უნარები.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები მოამზადებენ პრეზენტაციას დემოკრატიის ფუნდამენტურ პრინციპებზე (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა) და ბულინგის წინააღმდეგ მიღებულ ახალ რეგულაციებზე. პრეზენტაციას უნდა დაერთოს თვალსაჩინოებები, მთავარი მიგნებები, უნდა აღწეროს საკითხი, ახსნას, რამდენად მნიშვნელოვანია ბულინგთან ბრძოლა და შედეგების მნიშვნელობა შეაჯამოს;
- მოსწავლეები მოამზადებენ აუდიტორიას;
- პრეზენტაციას გამართავენ;
- შემდეგ კი შედეგებს შეაჯამებენ.

ძირითადი რესურსი:

- საქართველოს კონსტიტუცია, თავი II
  https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

Don't Copy

მეთოდური რესურსები:

- „როგორ მოვემზადოთ კარგი პრეზენტაციისთვის“, სოფიკო ლობჟანიძის სტატია ჟურნალ „მასწავლებელში“- http://mastsavlebeli.ge/?p=278
- პრეზენტაცია „განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება“, სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის, მარიანა ხუნძაყიშვილი, სარა ბივერი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2018 წ, გვ.155

https://bit.ly/3rn4yDD

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი
აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა
თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის ადმინისტრაცია, დისციპლინური კომიტეტი, სამეურვეო საბჭო.

ამოცანა 4

მოსწავლემ შეძლოს აქტიური მოქალაქის როლის მორგება; ადვოკატირებითა და თანამშრომლობით სახელმწიფო სტრუქტურებთან, ასერტულობის დაცვითა და სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინებით სასკოლო თემის მიერ ორგანიზებულ ბულინგის პრევენციისა და ადამიანის პიროვნული განვითარების ხელშეწყობისკენ მიმართულ აქტივობებში მონაწილეობის მიღება.

ნაბიჯი 1

ბულინგის პრევენციის დროს აქტიური მოქალაქეობისა და არაძალადობრივი კულტურის დამკვიდრების მნიშვნელობის შესახებ შეხვედრის მოწყობა, **პოსტერების/პლაკატების** დამზადება სახელწოდებით „ჩაანაცვლე ბულინგი მეგობრობით“ და თემში გავრცელება;

მოსწავლეთა აქტივობა:

Don't Copy

აქტივობის მიზანი: მოსწავლეების მიერ აქტიური მოქალაქის როლის გაცნობიერება ბულინგის პრევენციისა და არაძალადობრივი კულტურის დამკვიდრების საქმეში, საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობის გააზრება, ამ შემთხვევაში, თემის ინფორმირებულობის თვალსაზრისით.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები დაგეგმავენ შეხვედრას;
- მოამზადებენ მასალებს;
- შეხვედრაზე გაიმართება მსჯელობა საკითხზე „ჩაანაცვლე ბულინგი მეგობრობით“, ისაუბრებენ პოსტერის დიზაინსა და შინაარსობრივ მხარეზე;
- მოსწავლეები შექმნიან პოსტერებს;
- მოსწავლეები პოსტერებს თემში გაავრცელებენ.

საჭირო რესურსები:

- ცირამუა მაია „ანტიბულინგური პროგრამა სკოლაში, თბილისი 2018. 5-22;
- „ბულინგი სკოლაში“, ანიმაცია https://www.youtube.com/watch?app=desktop&v=cH9bNXcTKRE&t=19s
- როგორ შევქმნათ პოსტერი https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-2/students-manual-10/tool-2/toolbox-6/

აქტივობის შემსრულებელი – მოსწავლეთა თვითმმართველობა
აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო--ერთი კვირა
თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, თემი, სკოლის ადმინისტრაცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა.

Don't Copy

ნაბიჯი 2

სახელმწიფო სტრუქტურებიდან **სამართალდამცავის** (უბნის რწმუნებული, პოლიციელი) მოწვევა, საუბრები სამართლებრივი დოკუმენტების შესახებ. სამართალდამცავი ისაუბრებს და შემდეგ მოსწავლეები კითხვებს დაუსვამენ.

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გააცნობიერონ, რა შედეგები მოსდევს ბულინგს და როგორ რეგულირდება მისი დარღვევა კანონით, გაიაზრონ ადვოკატირებითა და სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობით, ასერტულობის დაცვითა და სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინებით სასკოლო თემის მიერ ორგანიზებული ბულინგის პრევენციისკენ მიმართულ აქტივობებში საკუთარი მონაწილეობის აუცილებლობა.

აქტივობის აღწერა:

სამართლებრივი დოკუმენტების განხილვა:

- შეხვედრა N1 – „ადამიანის უფლებათა და ძირითად უფლებათა დაცვის კონვენციისა“ და „ბავშვთა უფლებათა კონვენციის“ განხილვა;
- შეხვედრა N2 – „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ განხილვა;
- შეხვედრა N3 – საუბრები სამართალდამცავთან თემაზე „ბულინგი და კანონი“;
- შეხვედრების შემდეგ გაიმართება კითხვა-პასუხი, შემდეგ კი შეჯამება.

საჭირო რესურსები:

- ბავშვის უფლებათა კონვენცია – https://bit.ly/3Ly9g9O; https://befriend.mes.gov.ge/legal/
- ილუსტრირებული ბავშვთა უფლებები – https://www.living-democracy.com/pdf/ge/V5/V05_CRC.pdf
- ადამიანის უფლებათა და ძირითად უფლებათა დაცვის კონვენცია – https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი –

Don't Copy

https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=21

- საქართველოს ორგანული კანონი სახალხო დამცველის შესახებ, მუხლი 3^2
  https://matsne.gov.ge/ka/document/view/33034?publication=27
- ბულინგი https://bit.ly/3DwCNhr

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი
აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო --ორი კვირა
თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის ადმინისტრაცია, გარე ორგანიზაცია

ინტერდისციპლინური აქტივობები:

პროექტი მეტად აქტუალურ და სენსიტიურ საკითხს ეხება, რაც იძლევა ინტერდისციპლინული კავშირების დამყარების საშუალებას. პროექტის ფარგლებში მოსწავლეები სწავლობენ სხვადასხვა საგანში შესწავლილ მასალას, აანალიზებენ, აკავშირებენ, რაც ხელს უწყობს ცოდნის ტრანსფერს.

პროექტის ფარგლებში აქტივობები მიმდინარეობს სხვადასხვა დისციპლინის ფარგლებში. მოსწავლეები გაიღრმავებენ ცოდნას და განივითარებენ პრაქტიკულ უნარებს.

ქართული ენა და ლიტერატურა

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გაიაზრონ, რამდენად მნიშვნელოვანია პიროვნების თავისუფალი განვითარება დემოკრატიულ სახელმწიფოში, ბულინგის მსხვერპლისადმი ემპათია, მისი საზოგადოებასთან ინტეგრაციაზე ზრუნვა, რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ინფორმირებულობას ამ თვალსაზრისით, რა როლი აქვს აქტიურ მოქალაქეს თემში არაძალადობრივი კულტურის დამკვიდრების საქმეში.

Don't Copy

აქტივობის აღწერა:

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს ძალადობის თემაზე დაწერილ ნაწარმოებებზე ქართული და უცხოური ლიტერატურიდან: **რეზო ჭეიშვილის „სურათებიანი წიგნი“, არჩილ სულაკაურის „ბიჭი და ძაღლი“, ნოდარ დუმბაძის „ჰელადოსი“** (ყველა მათგანი შედის სასკოლო პროგრამაში), **ორჰან ფამუქის „სკოლაში არ მივდივარ“ (წიგნიდან „სხვა ფერები“).**
მასწავლებელი ჯგუფებს დაუნაწილებს წასაკითხად ტექსტებს (იმ ნაწილს, რომელშიც ბულინგი იკვეთება), სწორად შერჩეული სტრატეგიით წააკითხებს და დააფიქრებს პრობლემაზე, მის გამომწვევ მიზეზებზე, აპოვნინებს პრობლემის გადაჭრის გზებს. მოსწავლეები ტექსტებს წაიკითხავენ, გამოხატავენ საკუთარ ემოციებს წაკითხულის გარშემო, ჯგუფებში შეავსებენ დიაგრამებს (პერსონაჟის რუკა და ვენის დიაგრამა ტექსტების შედარებისთვის).

მასწავლებელი სვამს კითხვებს:

- რა საერთო პრობლემა იკვეთება განხილულ ტექსტებში?
- შენი აზრით, როგორია ბულერი პერსონაჟის პიროვნული მახასიათებლები, შეხედულებები, ფასეულობები?
- ტექსტებიდან გამომდინარე, როგორ ფიქრობთ, რას განიცდის ბულინგის მსხვერპლი?
- როგორ ასახავ ესეში ბულერისა და ბულინგის მსხვერპლის შინაგან სამყაროს?

მასწავლებელი დაავალებს მოსწავლეებს, დაწერონ ესე სახელწოდებით **„ნუ იქნები მჩაგვრელი“.** ის ურჩევს იმ აუცილებელ აქცენტებზე ყურადღების გამახვილებას, რომლებიც ესეში უნდა ჩანდეს – იმსჯელონ ტექსტებში დასმულ პრობლემაზე, მის გამომწვევ მიზეზებზე, გამოიტანონ დასკვნები, დაუკავშირონ წაკითხული საკუთარ გამოცდილებას;
მოსწავლეები დაწერენ ესეს, რომელშიც ბულინგს დაუკავშირებენ დღევანდელობასა და თავიანთ ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ისინი ესეებს თანატოლებს გააცნობენ.

ისტორია

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გაიაზრონ საკითხი ისტორიულ დროში, როგორ აწესრიგებდა კანონი ჩაგვრის პრობლემებს უწინ და ახლა, ადამიანის უფლებების დაცვასა და პიროვნების თავისუფალ განვითარებას, როგორ არის მოწესრიგებული დემოკრატიულ სახელმწიფოში ბულინგის მსხვერპლის საზოგადოებასთან ინტეგრაცია.

Don't copy

აქტივობის აღწერა:

- ისტორიის მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები მოიძიებენ ინფორმაციას, თუ როგორ აწესრიგებდა საბჭოთა პერიოდის კონსტიტუცია ადამიანის ჩაგვრის შემთხვევებს, მისი უფლებების დაცვას;
- შეადარებენ საქართველოს საბჭოთა და დემოკრატიულ კონსტიტუციებს ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით;
- შედეგებს შეაჯამებენ;
- დაწერენ **სტატიას** სახელწოდებით „ბულინგის პრევენცია სკოლაში წარსულში და ახლა". სტატიის საშუალებით მოსწავლეები საკუთარ ნააზრევს არგუმენტებით წარმოადგენენ;
- სტატიებს გამოაქვეყნებენ სკოლის Facebook გვერდზე.

საბოლოო ჯამში, კათედრებთან თანამშრომლობით, პროექტი წარმატებით განხორციელდება. ინტერდისციპლინური კავშირები საშუალებას იძლევა, მოსწავლემ სხვადასხვა საგნის ჭრილიდან დაინახოს საკითხი.

მეთოდური რესურსები:

- რჩევები არგუმენტირებული ესეს დასაწერად – https://edu.aris.ge/news/rogor-davwerot-kargi-ese-14-nabiji.html
- როგორ დავწეროთ საგაზეთო სტატია – https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-3/part-3/unit-7/student-handout-6/

აქტივობის შემსრულებელი – საგნობრივი კათედრები
აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა
თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, საგნობრივი კათედრები, სკოლის ადმინისტრაცია

III ეტაპი

პროექტის განხორციელება

Don't Copy

მოსწავლეთა აქტივობა:

პროექტის განხორციელების პროცესში მოსწავლეები ეძებენ გადაკვეთის წერტილებს და თანამშრომლობენ სასკოლო საზოგადოების წევრებთან:

- სკოლის სხვა მოსწავლეებთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან;
- სკოლის სხვა მასწავლებლებთან;
- სკოლის ადმინისტრაციასთან;
- გარე პარტნიორებთან;

მოსწავლეები წარადგენენ პროექტს სასკოლო საზოგადოების წინაშე.

საჭირო რესურსები:

ფუნქციურ-კომპონენტური უნარები და რესურსები, რომლებიც ამ უნარებს ავითარებს

ფუნქციურ-კომპონენტური უნარები:
შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება, კრიტიკული აზროვნება.

ფუნქციურ-კომპონენტური უნარების შესახებ რესურსები, რომელთა საშუალებითაც მოსწავლეები აანალიზებენ, როგორ იურთიერთონ საზოგადოების წევრებთან გამოკვეთილ სფეროსთან მიმართებით:

- შემოქმედებითი აზროვნების შესახებ
  http://mastsavlebeli.ge/?p=16961
- პიროვნული უნარ-ჩვევები -კომუნიკაცია, კრიტიკული აზროვნება, ღირებულებები
  https://www.civiceducation.ge/ka/lessons/4-47
- კოლაბორაციული სწავლების თეორიული და პრაქტიკული საკითხები და "მსოფლიო კაფე"
  http://mastsavlebeli.ge/?p=2452
- მოქალაქე, მისი როლი და პასუხისმგებლობა
  https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-9
- პიროვნება და საზოგადოება(ხასიათი, ნება)
  https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-1
- როგორ განვავითაროთ კრიტიკული აზროვნება მოსწავლეებში?
  https://bit.ly/3rbDkzR

Do not copy

- კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების მიდგომების გამოყენება სწავლებაში http://mastsavlebeli.ge/?p=16208

III ეტაპის შედეგად მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ პროექტის შედეგები

პროექტის განხორციელების დროს ინტენსიურად მიმდინარეობდა მოსწავლეთა კომუნიკაცია და თანამშრომლობა არა მხოლოდ სასკოლო საზოგადოებასთან, არამედ გარე ორგანიზაციებთან(სახელმწიფო სტრუქტურებიდან სამართალდამცავი (უბნის რწმუნებული, პოლიციელი). სამართალდამცავთან შეხვედრისა და საუბრის შემდეგ მოსწავლეებმა აიმაღლეს ცნობიერება ბულინგთან და მის წინააღმდეგ ბრძოლის გზებთან დაკავშირებით. სკოლას მუდმივად უნდა ჰქონდეს კავშირი სამართალდამცავ ორგანოებთან და ასეთ შეხვედრებს უნდა მიეცეს სისტემატური ხასიათი. პროექტის ფარგლებში მოსწავლეთა მჭიდრო თანამშრომლობა განხორციელდა მასწავლებლებთან, მშობლებთან, სამეურვეო საბჭოსთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან. მოსწავლეებმა, მშობლებმა და მასწავლებლებმა შეიმუშავეს დისციპლინური სახდელების ახალი პაკეტი და სამეურვეო საბჭოს აქტიური მხარდაჭერით სკოლის შინაგანაწესში ცვლილება შევიდა სახდელის გამკაცრების მიზნით.

პროექტში მონაწილეობის შედეგად სასკოლო საზოგადოებამ აიმაღლა ცნობიერება ბულინგის შესახებ და ხელი შეუწყო თემში ამ ინფორმაციის გავრცელებას, რაც დადებითად აისახა მოსწავლეთა პიროვნული და სასკოლო კულტურის განვითარებაზე.

პროექტის განხორციელების შედეგად პრობლემის იდენტიფიცირებისას აღმოჩენილი ბულინგის (მათ შორის, ფარული ბულინგის) შემთხვევები აღმოიფხვრა, სკოლის ცხოვრებაში გაიზარდა მშობელთა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.

სამართალდამცავის ჩართულობა პროექტში მიზნად ისახავდა სასკოლო თემისთვის სამართლებრივი დოკუმენტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. მოსწავლეებმა გააცნობიერეს ბულინგის სავალალო შედეგები, აიმაღლეს ადამიანის უფლებების დაცვისკენ მიმართული სამართლებრივი დოკუმენტების (საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო დოკუმენტები) შესახებ ცნობიერება და საკუთარი მონაწილეობა გაიაზრეს არაძალადობრივი ურთიერთობების კულტურის ხელშემწყობ აქტივობებში.

პროექტის განხორციელებით მოსწავლეებმა მოირგეს აქტიური მოქალაქის როლი, ითანამშრომლეს სახელმწიფო სტრუქტურებთან, მონაწილეობა მიიღეს ასერტულობის დაცვითა და სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინებით სასკოლო თემის მიერ ორგანიზებულ ბულინგის პრევენციისკენ მიმართულ აქტივობებში.

პროექტის განხორციელებამ გაუმჯობესა სასკოლო კლიმატი, რადგან დაგეგმილმა ღონისძიებებმა შეამცირა, ზოგ შემთხვევაში აღმოფხვრა კიდეც ბულინგის შემთხვევები. პროექტის განხორციელებით გაფართოვდა საშუალო საფეხურის მოსწავლეთა

Do not copy

ცოდნის დონე ბულინგის პრევენციაზე; მოსწავლეებმა განივითარეს შესაბამისი (კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების, ძალადობასთან გამკლავების, სწორი რეაგირების) უნარ-ჩვევები, რომლებიც გამოადგებათ რეალურ ცხოვრებაში. ასევე, ხელი შეეწყო ტოლერანტული დამოკიდებულებისა და ასერტული ქცევების გათვალისწინებით მოქმედებას; კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციის, შემოქმედებითი უნარების განვითარებასა და დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ფორმირებას.

IV ეტაპი

მდგრადობა და მომავლის გეგმები

მოსწავლეთა აქტივობა:

მოსწავლეები სასკოლო საზოგადოების წევრებთან ერთად აფასებენ პროექტის შედეგებს და გეგმავენ, რა არის საჭირო მდგრადობის უზრუნველყოფისთვის.

საჭირო რესურსები:

პროექტის მდგრადობის უზრუნველყოფის გეგმის შემუშავება – მოსწავლეები გეგმავენ, რა არის საჭირო მდგრადობის უზრუნველყოფისთვის.

პროექტის სარგებელი გრძელვადიან პერსპექტივაში ის არის, რომ მისი განხორციელების შედეგად მოხდა პრობლემის იდენტიფიცირებისას აღმოჩენილი ბულინგის(მათ შორის, ფარული ბულინგის) შემთხვევების აღმოფხვრა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა სკოლის ცხოვრებაში, სასკოლო კლიმატის გაუმჯობესება და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებზე. სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა უნდა გაგრძელდეს პროექტის დასრულების შემდეგაც. სასკოლო საზოგადოებამ ინტენსიურად უნდა ითანამშრომლოს სახელმწიფო სტრუქტურებთან და სხვა გარე ორგანიზაციებთან, რაც ბულინგის პრევენციის მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

IV ეტაპის შედეგად სასკოლო სასწავლო გეგმაში გაჩნდება ჩანაწერი, რომელიც იქნება მოსწავლეების მიერ განხორციელებული პროექტის მდგრადობის გარანტი. პროექტი გახდება სასკოლო კურიკულუმის ნაწილი. იქმნება მონიტორინგის ჯგუფი (მოსწავლე/მასწავლებელი/მშობელი). მოსწავლეები სასკოლო საზოგადოების წევრებთან ერთად აფასებენ პროექტის შედეგებს სოლო ტაქსონომიის დონეებით, რომელთაც აქვთ განმავითარებელი ხასიათი (შეფასების რუბრიკა იხილე **დანართი N 1**).

Don't Copy

დანართი N 1

მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტის შეფასების რუბრიკა

შეფასების კრიტერიუმები	**პრესტრუქტურული**	**უნისტრუქტურული**	**მულტისტრუქტურული**	**მიმართებითი**	**აბსტრაქტული**
მოსწავლემ შეძლოს ადამიანის უფლებების დაცვის, პიროვნების თავისუფალი განვითარების, ბულინგის, ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაცვისკენ მიმართული სამართლებრივი დოკუმენტების (საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები)შეს ახებ ცნობიერების ამაღლება და ამ თვალსაზრისით საკუთარი მონაწილეობის აუცილებლობის დანახვა.	მოსწავლეს არ აქვს რელევანტური ინფორმაცია ადამიანის უფლებების დაცვის, პიროვნების თავისუფალი განვითარების, ბულინგის, სამართლებრივი დოკუმენტების შესახებ.	მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტური რებული ასოციაცია/წარმ ოდგენა ბულინგთან დაკავშირებით. არ აქვს წარმოდგენა ადამიანის უფლებების დაცვის, პიროვნების თავისუფალი განვითარების, ბულინგის, სამართლებრივი დოკუმენტების შესახებ.	მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმო დგენა ადამიანის უფლებების დაცვის, პიროვნების თავისუფალი განვითარების, ბულინგის, სამართლებრივი დოკუმენტების შესახებ ცნობიერების ამაღლება, მაგრამ ვერ უკავშირებს ამ თვალსაზრისით საკუთარი მონაწილეობის აუცილებლობას.	მოსწავლეს შეუძლია ადამიანის უფლებების დაცვის, პიროვნების თავისუფალი განვითარების, ბულინგის, სამართლებრივი დოკუმენტების(საქ ართვ ელოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაცვას) შესახებ ცნობიერების ამაღლება და ამ თვალსაზრისით საკუთარი მონაწილეობის	მოსწავლეს შეუძლია ადამიანის უფლებების დაცვის, პიროვნების თავისუფალი განვითარების, ბულინგის, სამართლებრივი დოკუმენტების(საქ ართვ ელოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაცვას) შესახებ ცნობიერების ამაღლება და ამ თვალსაზრისით საკუთარი მონაწილეობის აუცილებლობის დანახვა.

Don't copy

				აუცილებლობის დანახვა. შეუძლია საკითხის ახსნა, ანალიზი, ხედავს ურთიერთმიმართ ებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	მას სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი, უკავშირებს პირად გამოცდილებას, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს.
მოსწავლემ შეძლოს ბულინგის სავალალო შედეგებისა და იმის გააზრება, თუ რა ლოკალური და გლობალური საფრთხეები შეიძლება მოჰყვეს ბულინგის მიმართ თემის მაცხოვრებელთა გულგრილ დამოკიდებულება ს	მოსწავლეს არ აქვს არანაირი ცოდნა ბულინგთან და მისგან გამოწვეულ საფრთხეებთან დაკავშირებით	მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურ ი რებული ასოციაცია/წარ მ ოდგენა ბულინგთან დაკავშირებით. შეუძლია მხოლოდ მარტივი, ზედაპირული კავშირების დამყარება. არ შეუძლია იმის გააზრება, თუ რა	მოსწავლეს შეუძლია იმის გააზრება, თუ რა ლოკალური და გლობალური საფრთხეები შეიძლება მოჰყვეს ბულინგის მიმართ თემის მაცხოვრებელთა გულგრილ დამოკიდებულება ს, თუმცა, აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან	მოსწავლეს შეუძლია ბულინგის სავალალო შედეგებისა და იმის გააზრება, თუ რა ლოკალური და გლობალური საფრთხეები შეიძლება მოჰყვეს ბულინგის მიმართ თემის მაცხოვრებელთა გულგრილ დამოკიდებულებ ას. მოსწავლეს შეუძლია	მოსწავლეს შეუძლია ბულინგის სავალალო შედეგებისა და იმის გააზრება, თუ რა ლოკალური და გლობალური საფრთხეები შეიძლება მოჰყვეს ბულინგის მიმართ თემის მაცხოვრებელთა გულგრილ დამოკიდებულება ს. მოსწავლეს შეუძლია

Do not copy

		ლოკალური და გლობალური საფრთხეები შეიძლება მოჰყვეს ბულინგის მიმართ თემის მაცხოვრებელთა გულგრილ დამოკიდებულებ ას.	დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა ბულინგთან დაკავშირებით. ესმის საკითხის არსი, მაგრამ ბულინგის შედეგებთან და პრევენციის გზებთან მიმართებებს ვერ ამყარებს.	საკითხის ახსნა მიზეზებისა და შედეგების კუთხით, შეუძლია გაანალიზება, მიმართებების დამყარება.	სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში.
მოსწავლემ შეძლოს სამოქალაქო მონაწილეობის, როგორც საზოგადოებრივ საჭიროებებზე ზრუნვის გააზრება, დემოკრატიული ფასეულობების პოპულარიზაციისა და არაძალადობრივი ურთიერთობების კულტურის ამაღლების ხელშემწყობი	მოსწავლეს არ აქვს წარმოდგენა დემოკრატიული ფასეულობების პოპულარიზაციისა და არაძალადობრივი ურთიერთობების კულტურის ამაღლების ხელშემწყობი აქტივობების შესახებ.	მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტური რებული წარმოდგენა დემოკრატიული ფასეულობების პოპულარიზაციისა და არაძალადობრივი	მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა სამოქალაქო მონაწილეობის, როგორც საზოგადოებრივ საჭიროებებზე ზრუნვის გააზრება, დემოკრატიული ფასეულობების	მოსწავლეს შეუძლია 1. მოსწავლემ შეძლოს სამოქალაქო მონაწილეობის, როგორც საზოგადოებრივ საჭიროებებზე ზრუნვის გააზრება, დემოკრატიული ფასეულობების პოპულარიზაციისა და არაძალადობრივი ურთიერთობების კულტურის	მოსწავლეს შეუძლია სამოქალაქო მონაწილეობის, როგორც საზოგადოებრივ საჭიროებებზე ზრუნვის გააზრება, დემოკრატიული ფასეულობების პოპულარიზაციისა და არაძალადობრივი ურთიერთობების კულტურის ამაღლების

Don't copy

აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება სასკოლო საზოგადოებაში ბულინგის წინააღმდეგ დისციპლინური სახდელის გამკაცრების შესახებ.		ურთიერთობები ს კულტურის ამაღლების ხელშემწყობი აქტივობების დაგეგმვის შესახებ.	პოპულარიზაციის ა და არაძალადობრივი ურთიერთობების კულტურის ამაღლების ხელშემწყობი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება სასკოლო საზოგადოებაში ბულინგის წინააღმდეგ დისციპლინური სახდელის გამკაცრების შესახებ.	ამაღლების ხელშემწყობი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება სასკოლო საზოგადოებაში ბულინგის წინააღმდეგ დისციპლინური სახდელის გამკაცრების შესახებ რჩევების შეთავაზება, ბულინგის წინააღმდეგ სასჯელის გამკაცრების შესახებ მსჯელობა, აქვს იმის კომპეტენცია, რომ საკითხი გაიაზროს, დაამყაროსა მიმართებები, გააანალიზოს.	ხელშემწყობი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება სასკოლო საზოგადოებაში ბულინგის წინააღმდეგ დისციპლინური სახდელის გამკაცრების შესახებ მსჯელობა. მოსწავლეს შეუძლია იდეების ტრანსფერი სხვა სიტუაციაში და აქტიური მოქალაქის როლის მორგება. პროექტის მიზნის შესასრულებლად თანამშრომლობით აქტივობას უკავშირებს პირად გამოცდილებას.
მოსწავლემ შეძლოს აქტიური მოქალაქის როლის მორგება; ადვოკატირებითა და	მოსწავლეს არ აქვს წარმოდგენა სასკოლო თემის	მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტური რებული წარმოდგენა	მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი,	მოსწავლეს შეუძლია აქტიური მოქალაქის როლის მორგება;	მოსწავლეს შეუძლია აქტიური მოქალაქის როლის მორგება;

Don't copy

თანამშრომლობით სახელმწიფო სტრუქტურებთან, ასერტულობის დაცვითა და სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინებით სასკოლო თემის მიერ ორგანიზებულ ბულინგის პრევენციისა და ადამიანის პიროვნული განვითარების ხელშეწყობისკენ მიმართულ აქტივობებში მონაწილეობის მიღება.	მიერ ორგანიზებულ ბულინგის პრევენციისა და ადამიანის პიროვნული განვითარების ხელშეწყობის კენ მიმართულ აქტივობებში მონაწილეობის შესახებ.	სასკოლო თემის მიერ ორგანიზებულ ბულინგის პრევენციისა და ადამიანის პიროვნული განვითარების ხელშეწყობისკენ მიმართულ აქტივობებში მონაწილეობის შესახებ.	უსისტემო ასოციაცია/წარმოდგ ენა სასკოლო თემის მიერ ორგანიზებულ ბულინგის პრევენციისა და ადამიანის პიროვნული განვითარების ხელშეწყობისკენ მიმართულ აქტივობებში მონაწილეობის შესახებ. მას შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გარეშე.	ადვოკატირებითა და თანამშრომლობით სახელმწიფო სტრუქტურებთან, ასერტულობის დაცვითა და სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინებით სასკოლო თემის მიერ ორგანიზებულ ბულინგის პრევენციისა და ადამიანის პიროვნული განვითარების ხელშეწყობისკენ მიმართულ აქტივობებში მონაწილეობის მიღება. შეუძლია საკითხის გააანალიზება, ახსნა მიზეზებისა და შედეგების კუთხით.	ადვოკატირებითა და თანამშრომლობით სახელმწიფო სტრუქტურებთან, ასერტულობის დაცვითა და სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინებით სასკოლო თემის მიერ ორგანიზებულ ბულინგის პრევენციისა და ადამიანის პიროვნული განვითარების ხელშეწყობისკენ მიმართულ აქტივობებში მონაწილეობის მიღება, რჩევების შეთავაზება, ჰიპოთეზური დასკვნების გაკეთება.

Don't copy

პროექტი N2

პროექტის დასახელება:

განათლების უფლების პოპულარიზება თანატოლგანმანათლებლობის გზით

პროექტის ტიპი ქველმოქმედება
პროექტის განხორციელების ვადები: პროექტის განხორციელება გათვლილია ერთ სემესტრზე (დაახლოებით 14-18 საათი); თითოეულ აქტივობას მითითებული აქვს განხორციელების სავარაუდო ვადა.
პროექტის სამიზნე ჯგუფი: X კლასის მოსწავლეები
კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ თემასთან/თემებთან: ადამიანის უფლებები
პროექტის შესაბამისობა სამიზნე ცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან: საზოგადოება, დემოკრატია, სამოქალაქო მონაწილეობა, მდგრადი განვითარება
კავშირი XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციასთან: წიგნიერება, სამოქალაქო კომპეტენცია, ციფრული წიგნიერება
I ეტაპი სფეროს (თემის დახასიათება), პრობლემების იდენტიფიცირება სფეროსთან მიმართებით

Don't Copy

მოსწავლეთა აქტივობა:

- მოსწავლეები ირჩევენ განათლების უფლების პოპულარიზების თემას თანატოლგანმანათლებლობის გზით, რომელიც მნიშვნელოვნად ეჩვენებათ სასკოლო თემისთვის;
- მოსწავლეები ეცნობიან შესაბამის ლიტერატურას შერჩეულ სფეროსთან დაკავშირებით;
- მოსწავლეები აკეთებენ სიტუაციურ ანალიზს; საამისოდ ისინი არჩევენ შესაბამის წყაროებსა და კვლევის მეთოდებს.

ძირითადი რესურსები:

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, გვ.13, მუხლი 26
   file:///C:/Users/User/Downloads/aqtebi3.pdf
1. განათლების უფლების საერთაშორისო სტანდარტები და თანამედროვე ქართული კანონმდებლობის გამოწვევები, თსუ, სადოქტორო, დავით ლომინაშვილი, 2020 წ, გვ. 17-33
   file:///C:/Users/User/Downloads/Davit_Lominashvili.pdf
2. ბავშვის უფლებები და უფლება განათლებაზე
   https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-1/part-1/unit-1/chapter-2/
3. ზოგადი განათლება
   https://uni.cf/3URko7b

დამატებითი რესურსები:

4. განათლების უფლება და ხელმისაწვდომობა საქართველოში
   https://bit.ly/3SHlkcZ
5. თამაშით სწავლების უპირატესობა სკოლებში-
   https://www.youtube.com/watch?v=pFkOrxOiLaU
6. „თანამშრომლობა საზოგადოებრივი სარგებლისათვის“, თემა 2, 32-55
   https://civics.ge/uploads/library/acett_library/Tanamshromloba%20sazogadoebrivi%20sargeblisatvis,%20maswavleblis%20wigni, %20October%2026,%202011%20stamba.pdf

საკვანძო კითხვები:

- რა არის თანატოლგანმანათლებლობა?

Don't Copy

- რა როლი აქვს ურთიერთსწავლებას განათლების საფუძვლიანად დაუფლებაში?
- რა მნიშვნელობა აქვს განათლების უფლებას და როგორ მოქმედებს ის ადამიანის პიროვნულ განვითარებაზე?
- რამდენად ფასეულია დემოკრატიულ საზოგადოებაში განათლების უფლება და აისახება თუ არა ადამიანის იდეებზე, ღირებულებებზე, მსოფლმხედველობაზე?
- რამდენად უწყობს ხელს განათლება ადამიანს ასერტული ქცევის ჩამოყალიბებაში?
- საშუალებას აძლევს თუ არა ადამიანს განათლების უფლება, დაამყაროს სოციალური კონტაქტები, რომელიც დადებითად აისახება მის პიროვნულ განვითარებაზე?
- როგორ უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები ადამიანის უფლებების დაცვას და რამდენად მნიშვნელოვანია განათლების უფლება?
- რამდენად მნიშვნელოვანია ურთიერთსწავლებისას თანასწორობის, ინკლუზიურობის, ტოლერანტობის გამოჩენა და რატომ არის აუცილებელი თანატოლგანმანათლებელი ტრენერის მიერ პასუხისმგებლობითა და არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება?
- შენი აზრით, რატომ არის აქტიური მოქალაქე ორიენტირებული საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე, თანამშრომლობაზე და სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინებაზე?
- შენი აზრით, თანატოლგანმანათლებელი ტრენერების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ლოკალური ქმედებები რამდენად ითვალისწინებს მომავლის პერსპექტივებს?

I ეტაპის შედეგად მოსწავლემ უნდა ჩამოაყალიბოს სიტუაციური ანალიზი

„ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ 26-ე მუხლში აღნიშნულია რომ „განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარების, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის განდიდებისაკენ. განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის, რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად“.*
განათლების სოციალური ფუნქციის მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ის ასახულია მთელ რიგ საერთაშორისო ხელშერულებებში/კონვენციებში და სახელმწიფოების შიდა სამართლებრივ აქტებში.

*ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, გვ.13, მუხლი 26 https://bit.ly/3TedKWU

Draft Copy

„ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, მათ შორის საქართველო, შეთანხმდნენ, რომ განათლება უნდა ემსახურებოდეს ადამიანის პიროვნებისა და მისი ღირსებების შემეცნების სრულად განვითარებას და განამტკიცებდეს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას. ისინი, ასევე, თანხმდებიან, რომ განათლებამ ყველას უნდა მისცეს თავისუფალ საზოგადოებაში ქმედითი მონაწილეობის შესაძლებლობა.**

„ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ თანახმად, განათლება უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.***

ზემოთ აღნიშნული ნორმები ცალსახად მიუთითებენ განათლების სოციალურ ფუნქციაზე, მის პრიორიტეტულობასა და სახელმწიფოებრიობაზე. განათლების სახელმწიფოებრივმა ხასიათმა განაპირობა მისი, როგორც პროცესის და შედეგის სოციალური საჭიროებების, ფუნქციების განსაზღვრა, რომელიც, თავის მხრივ, საზოგადოების კულტურის დონითაა განპირობებული. ამიტომაც მეცნიერულ ლიტერატურაში განათლება განიმარტება, როგორც სისტემური, მეცნიერული ცოდნის შეძენის პროცესი და შედეგი. განათლება მოიაზრებს ადამიანის მიერ ცოდნის დაუფლებას და მის საფუძველზე უნარებისა და ჩვევების განვითარებას, კაცობრიობის მიერ ამა თუ იმ სფეროში დაგროვილი გამოცდილების მიზანმიმართულ შეთვისებას. მაშასადამე, განათლება საზოგადოების კულტურასთან მიმართების თავისებური და აუცილებელი ფორმაა, განათლების გარეშე ადამიანი ვერ გახდება საზოგადოების სრულფასოვანი წევრი. ისე, როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც მნიშვნელოვანია განათლების სოციალური ფუნქციის სწორად აღქმა და განხორციელება, საქართველოში მცხოვრები პირი საზოგადოების სრულფასოვან წევრად რომ ჩამოყალიბდეს, აუცილებელია შეიქმნას ცოდნის გადაცემის და მიღების ისეთი მექანიზმები, რომლებიც სისტემური, მეცნიერული ცოდნის შეძენის საშუალება იქნება. ამ მხრივ ძალზე მნიშვნელოვანია „თანატოლგანმანათლებლობა“, რომელიც ინტერაქციის საუკეთესო მეთოდია **(peer to peer),** როცა თანატოლები ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას და ასწავლიან. ეს არის ურთიერთსწავლების საუკეთესო პრაქტიკა, რომელსაც საკმაოდ დიდი შედეგები აქვს.

**განათლების უფლების საერთაშორისო სტანდარტები და თანამედროვე ქართული კანონმდებლობის გამოწვევები, თსუ, სადოქტორო, დავით ლომინაშვილი, 2020 წ, გვ. 24 https://bit.ly/3VlnHUr

***ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები https://matsne.gov.ge/ka/document/view/11098?publication=0

Doc Copy

კონსტრუქტივისტული მიდგომა გულისხმობს ურთიერთსწავლებას, ერთობლივ მუშაობას. ყველა კლასში არიან მოსწავლეები, რომელთაც შეუძლიათ თანატოლების დახმარება. ეფექტურია მოსწავლეებში თანატოლებისგან სწავლის უნარის განვითარება. დევიდ პერკინსის აზრით, ბავშვებს ბევრი რამის სწავლა შეუძლიათ ერთმანეთისაგან და მასწავლებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს ამ ბუნებრივი პროცესის ეფექტურად განხორციელებას. ****
იმისათვის, რომ საგაკვეთილო პროცესი ეფექტური გახდეს, საჭიროა ურთიერთსწავლების მეთოდის ინტენსიურად გამოყენება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მასწავლებლებისა და მოსწავლეების ერთობლივი ძალისხმევა, ასევე, სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერა. ურთიერთსწავლებას ყოველთვის აქვს დადებითი ეფექტი და საბოლოო ჯამში მივიღებთ შემოქმედებით საკლასო გარემოს.

****სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიები, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მასალა
http://old.tpdc.ge/uploads/pdf_documents/saazrovn%20unarebi.pdf

II ეტაპი
იდეები და შესაძლებლობები

მოსწავლეთა აქტივობა:

- მოსწავლეები გამოკვეთენ ფორმებს აქტივობებისთვის, აყალიბებენ აქტივობების იდეებს;
- მოსწავლეები ქმნიან მიზნების იერარქიას: აქტივობის მიზანი, პროექტის მიზანი;
- მოსწავლეები აყალიბებენ მოსალოდნელ შედეგებს: რა გავლენას მოახდენს პროექტი სასკოლო საზოგადოების განვითარებაზე, აანალიზებენ, თუ რა რესურსები სჭირდებათ დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად, რამდენად ხელმისაწვდომია ეს რესურსები;
- მოსწავლეები აყალიბებენ სამოქმედო გეგმას დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად.

საჭირო რესურსები:

პროექტების ანალოგიები სფეროსთან დაკავშირებით

Draft copy

იდეების ჩამოყალიბების დროს უპრიანი იქნება, მოსწავლეები გაეცნონ მსგავს თემაზე განხორციელებული პროექტების მაგალითებს. ეს დაეხმარება მათ იდეების გენერირებისთვის. ქვემოთ იხილე იდეების ჩამონათვალი განხორციელებული პროექტების მაგალითზე: • თანატოლგანმანათლებლობის მაგალითი – სასკოლო სამოქალაქო კლუბის წევრები სოფელ კურტლარის, აზერბაიჯანული სექტორის სკოლაში, უმცროსკლასელებს ქართული ენის შესწავლაში ეხმარებიან https://bit.ly/3zJGm2m • თანატოლგანმანათლებლები თანატოლთა უფლებებისთვის"– დაბა წაღვერის საჯარო სკოლის პროექტი https://www.etaloni.ge/geo/main/index/8419 • პროექტი „წიგნის მეგობარი" კონცეფციის მიხედვით არის თანატოლგანმანათლებლობის (ურთიერთსწავლების) მაგალითი. უფროსკლასელები და სხვა მოხალისეები უმცროსკლასელებს კლასგარეშე ლიტერატურას უკითხავენ, რის შემდეგაც იმართება დისკუსია წაკითხული მასალის ირგვლივ, გვ. 6. https://bit.ly/3oXXwUX
II ეტაპის შედეგად მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ პროექტის სატიტულო ნაწილი: მიზანი, შედეგი, აქტივობა, სამოქმედო გეგმა **პროექტის მიზანი:** ურთიერთსწავლების საშუალებით განათლების უფლების პოპულარიზების ხელშეწყობა **პროექტის ამოცანები:** 1. მოსწავლემ შეძლოს გაცნობიერება, თუ რამდენად აუცილებელია განათლების უფლება ადამიანის პიროვნული განვითარების, მისი მსოფლმხედველობისა და ღირებულებების ჩამოყალიბებისთვის; 2. მოსწავლემ შეძლოს გაანალიზება, რომ ყველა ადამიანს აქვს განათლების უფლება და როგორ უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები ამ უფლებების დაცვას;

Don't Copy

3. მოსწავლემ შეძლოს აქტიური მოქალაქის როლის მორგება, იზრუნოს თანატოლების განათლებაზე და ითანამშრომლოს საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, განათლების უფლების პოპულარიზების მიზნით სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინებით დაგეგმოს ლოკალური ქმედებები.

მოსწავლეები აყალიბებენ მოსალოდნელ შედეგებს:

პროექტის განხორციელების შედეგად სასკოლო საზოგადოება გააქტიურდება ურთიერთსწავლების კულტურის დასანერგად, გამყარდება კავშირი არა მხოლოდ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან, არამედ გარე ორგანიზაციებთანაც.

პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს სკოლაში ურთიერთსწავლებისა და თანამშრომლობის ტრადიციის დანერგვას, რადგან დაგეგმილი ღონისძიებები გადაჭრის ამ მხრივ არსებულ პრობლემებს, რაც დადებითად აისახება სასკოლო საზოგადოების განვითარებაზე.

პროექტის განხორციელებით გაფართოვდება საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ცოდნის დონე განათლების უფლებასა და ურთიერთსწავლებაში საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობის გააზრებასთან დაკავშირებით; მოსწავლეები გააცნობიერებენ თანამშრომლობის მნიშვნელობას, რომელშიც დაცული იქნება ასერტული ქცევა და ტოლერანტობის კულტურა.

მოსწავლეები შეძლებენ აქტიური მოქალაქის როლის მორგებას, ურთიერთსწავლებისას გაითვალისწინებენ სხვა ადამიანთა ინტერესებს და გააცნობიერებენ არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედების აუცილებლობას ლოკალური ქმედების დაგეგმვისას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მომავლის პერსპექტივები; დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები ხელს შეუწყობს ციფრული წიგნიერების უნარების განვითარებას სასკოლო თემში.

პროექტის სამოქმედო გეგმა

ამოცანა 1

მოსწავლემ შეძლოს გაცნობიერება, თუ რამდენად აუცილებელია განათლების უფლება ადამიანის პიროვნული განვითარების, მისი მსოფლმხედველობისა და ღირებულებების ჩამოყალიბებისთვის;

ნაბიჯი 1

Don't Copy

მოსწავლეების მიერ გამოკითხვის ჩატარება სასკოლო საზოგადოებაში „რა ვიცი განათლების უფლების შესახებ და როგორ წარმომიდგენია თანამშრომლობა ამ თვალსაზრისით?“ და შედეგების ანალიზი;

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: პროექტის შემდგომი ღონისძიებების დასაგეგმად საჭიროა გაგება, რა ინფორმაცია და ცოდნა არსებობს სასკოლო თემში განათლების უფლებაზე და ამ თვალსაზრისით თანამშრომლობის მნიშვნელობის შესახებ.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები დაგეგმავენ გამოკითხვის ჩატარებას, შეიმუშავებენ კითხვარს, ჩაატარებენ გამოკითხვას მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან. კითხვარის შედგენა შეიძლება პროგრამა Forms-ში, თუმცა, შესაძლოა, ფურცლებზეც იყოს დაბეჭდილი კითხვები;
- შემდეგ კი შედეგებს გაანალიზებენ Excell-ის ცხრილში მონაცემებს გრაფიკულად გამოსახავენ, რათა ადვილი გახდეს საკითხის გააზრება.

რეკომენდაცია მასწავლებელს:

რადგან პროექტის მიზანია ურთიერთსწავლების საშუალებით განათლების უფლების შესახებ ცნობიერების ამაღლება, კარგი იქნება, თუ პირველ და ბოლო აქტივობად გამოკითხვა დაიგეგმება, რომელიც ეფექტურია პროექტის შედეგების გაზომვის თვალსაზრისითაც.

მეთოდური რესურსი:

კითხვარების შედგენის წესები https://bit.ly/3S2YTih

Don't Copy

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, სკოლის ადმინისტრაცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა

ნაბიჯი 2

მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგიური საბჭოს მხარდაჭერით სასკოლო თემისთვის პრეზენტაციის მოწყობა სააქტო დარბაზში სახელწოდებით „განათლების უფლება, პიროვნება და მსოფლმხედველობა“;

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: ცნობიერების ამაღლება სასკოლო თემში განათლების უფლებასთან მიმართებაში; მოსწავლეებმა შეძლონ გაანალიზება, რა როლი აქვს განათლებას ადამიანის პიროვნული განვითარებისა და მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

აქტივობის აღწერა:

მოსწავლეები მოიძიებენ მასალებს, დაამუშავებენ, შექმნიან პრეზენტაციას და საამისოდ მოამზადებენ სააქტო დარბაზს, მოიმარაგებენ ტექნიკურ აღჭურვილობა; პრეზენტაციის ჩატარებას მოჰყვება მსჯელობა და შედეგების შეჯამება.

მოსწავლეები შეძლებენ, აღწერონ პრობლემა, ახსნან გამომწვევი მიზეზები, შეაფასონ მოსალოდნელი შედეგები და გაიაზრონ მასთან ბრძოლაში საკუთარი მონაწილეობის საჭიროება. გარდა ამისა, ეს აქტივობა ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ინფორმაციის მოძიების, ანალიზისა და პრეზენტაციის უნარების განვითარებას.

ძირითადი რესურსი:

- ბავშვის უფლებები და უფლება განათლებაზე –

Don't Copy

https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-1/part-1/unit-1/chapter-2/

მეთოდური რესურსი:

- „როგორ მოვემზადოთ კარგი პრეზენტაციისთვის“, სოფიკო ლობჟანიძის სტატია ჟურნალ „მასწავლებელში“ – http://mastsavlebeli.ge/?p=278

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში-მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა

ამოცანა 2

მოსწავლემ შეძლოს გაანალიზება, რომ ყველა ადამიანს აქვს განათლების უფლება და როგორ უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები ამ უფლებების დაცვას;

ნაბიჯი 1

საუბრები სამართლებრივ დოკუმენტებზე--როგორ აწესრიგებს საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები ადამიანის განათლების უფლებას.

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა აიმაღლონ ცნობიერება იმ სამართლებრივ დოკუმენტებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის განათლების უფლებას.

Don't Copy

აქტივობის აღწერა:

მოსწავლეებს რამდენიმე დღით ადრე დაურიგდებათ სამართლებრივი დოკუმენტების ამონარიდები, რომლებშიც განათლების უფლებაზე იქნება საუბარი. შეხვედრაზე სკოლის მანდატური ისაუბრებს განათლების უფლებაზე, საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო დოკუმენტებზე. მოსწავლეები ჩაერთვებიან საუბარში, გაიმართება კითხვა-პასუხი და მსჯელობა განათლების უფლებასა და მის დაცვაზე.

საჭირო რესურსი:

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, გვ.13, მუხლი 26 –
https://bit.ly/3TedKWU

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მანდატურის სამსახური

ნაბიჯი 2

მოსავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით ვიდეორგოლის შექმნა განათლების უფლებასა და მის სამართლებრივ უზრუნველყოფაზე.

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: სასკოლო თემის ინფორმირებულობა განათლების უფლებაზე, საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო დოკუმენტებზე, რომლებიც ამ უფლებებს აწესრიგებენ.

აქტივობის აღწერა:

Don't Copy

მოსწავლეები ჯგუფებად დაიყოფიან, შეისწავლიან საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო დოკუმენტებით განსაზღვრულ განათლების უფლებაზე არსებულ ინფორმაციას, შეთანხმდებიან ვიდეორგოლში გამოსაქვეყნებელი სიუჟეტის სტრუქტურაზე, შექმნიან ვიდეორგოლებს და გამოაქვეყნებენ სკოლის Facebook გვერდზე.

საჭირო რესურსი:

როგორ შევქმნათ ვიდეორგოლი https://www.youtube.com/watch?v=71rcIw5GXtY

აქტივობის შემსრულებელი – მოსწავლეთა თვითმმართველობა
აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა
თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა

ამოცანა 3

მოსწავლემ შეძლოს აქტიური მოქალაქის როლის მორგება, იზრუნოს თანატოლების განათლებაზე და ითანამშრომლოს საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, განათლების უფლების პოპულარიზების მიზნით სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინებით დაგეგმოს ლოკალური ქმედებები.

ნაბიჯი 1

ურთიერთსწავლების მიზნით Minecraft-ის შესახებ ცნობიერების ამაღლება, კომპანია "Mindworks"-თან თანამშრომლობა, მისი წარმომადგენლის მოწვევა და შეხვედრის მოწყობა;

მოსწავლეთა აქტივობა:

Don't Copy

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა აიმაღლონ ცნობიერება Minecraft-ის პორტალზე სამუშაოდ, ითანამშრომლონ კომპანია "Mindworks"-თან, გაიაზრონ, პიროვნების განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ადამიანის უფლება განათლების მიღების შესახებ, გააანალიზონ ამ თვალსაზრისით სოციალური კონტაქტებისა და თანამშრომლობის მნიშვნელობა.

აქტივობის აღწერა:

- თვითმმართველობის ინიციატივითა და სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით მოსწავლეები მოიწვევენ კომპანია "Mindworks"-ის წარმომადგენელს;
- მოსწავლეები წინასწარ მოამზადებენ კომპიუტერის ლაბორატორიას შეხვედრისთვის, მოამზადებენ კითხვებს. შეხვედრაზე ისაუბრებენ თამაშით სწავლის უპირატესობაზე, მის სარგებლიანობაზე. შეხვედრა დატვირთული იქნება ვიზუალური მასალების ეკრანზე ჩვენებით (ვიდეორესურსებისა და სამყაროების ჩვენება);
- შეხვედრის ბოლოს მოსწავლეები კითხვებს დაუსვამენ კომპანია მაინდვორქსის წარმომადგენელს;
- ბოლოს კი მონაწილეები შეაჯამებენ შეხვედრის შედეგებს.

საჭირო რესურსები:

- Minecraft EE - სამყაროს შემქმნელის (World Builder) რეჟიმი https://youtu.be/8FUjvsoLCdk
- Minecraft EE – ბიომები, ანუ გამზადებული ეკოსისტემები – https://youtu.be/Hj-Zk9HW-L4
- Minecraft EE– მასწავლებლის რესურსები – გაკვეთილების ბიბლიოთეკა https://youtu.be/0Q-fUFuc4Tk

აქტივობის შემსრულებელი – მოსწავლეთა თვითმმართველობა;

აქტივობის განხორციელების საერაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, სკოლის ადმინისტრაცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა, კომპანია "Mindworks".

Don't Copy

ნაბიჯი 2

ბუკლეტის შექმნა სლოგანით „ვასწავლით ერთმანეთს Minecraft-ის პორტალზე მუშაობას“, რომელშიც საუბარი იქნება Minecraft-ის ურთიერთსწავლების დროს სოციალური კონტაქტებისა და თანამშრომლობის აუცილებლობის შესახებ და სასკოლო თემში გავრცელება.

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლემ გაიაზროს სოციალური კონტაქტებისა და თანამშრომლობის მნიშვნელობა თამაშით სწავლების დროს, გაუჩნდეს სურვილი, სხვასაც გაუზიაროს საკუთარი ცოდნა და გამოცდილება საკითხის ირგვლივ, რაც დადებითად აისახება მის პიროვნულ განვითარებაზე.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები გაეცნობიან ლიტერატურას იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ურთიერთსწავლების დროს თანამშრომლობას, გაიაზრებენ Minecraft-ით სწავლებაში თანატოლგანმანათლებლობის აუცილებლობას;
- სასკოლო საზოგადოების ინფორმირების მიზნით ქმნიან საინფორმაციო ბუკლეტს. შეიმუშავებენ ბუკლეტის დიზაინსა და შეთანხმდებიან შინაარსობრივ მხარეზე. ბუკლეტში შეიძლება წარმოჩინდეს მოტივაცია, თანამშრომლობა, თამაშით სწავლების უპირატესობა და ა. შ;
- შექმნილ ბუკლეტებს მოსწავლეები გაავრცელებენ სასკოლო თემში.

საჭირო რესურსები:

- თამაშით სწავლების უპირატესობა სკოლებში – https://www.youtube.com/watch?v=pFkOrxOiLaU
- „თანამშრომლობა საზოგადოებრივი სარგებლისათვის“, თემა 2, 32-55 https://civics.ge/uploads/library/acett_library/Tanamshromloba%20sazogadoebrivi%20sargeblisatvis, %20maswavleblis%20wigni, %20October%2026,%202011%20stamba.pdf

Don't Copy

- როგორ შევქმნათ საინფორმაციო ბუკლეტი – https://www.youtube.com/watch?v=sKLUDHXmXII
- საინფორმაციო ბუკლეტის შექმნა – https://www.youtube.com/watch?v=sKLUDHXmXII&t=109s

აქტივობის შემსრულებელი – მოსწავლეთა თვითმმართველობა;

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა

ნაბიჯი 3

კომპიუტერის ლაბორატორიაში თანატოლგანმანათლებელი ტრენერების ინიციატივით სამუშაო პროცესის წარმართვა „ჩვენ ვქმნით ჩვენს სამყაროს!"– პრაქტიკული მუშაობა;

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ ურთიერთსწავლების დროს აქტიური მოქალაქის როლის მორგება, არაძალადობრივი მეთოდებითა და სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინებით საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე ორიენტირებული საკუთარი მონაწილეობის დაგეგმვა.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები სამუშაო პროცესისთვის მოამზადებენ კომპიუტერულ ლაბორატორიას;
- თანატოლგანმანათლებელი ტრენერები გააცნობენ მოსწავლეებს რესურსებს, გააქტიურებენ Minecraft-ის ანგარიშებს;

Don't Copy

- მოსწავლეები იმუშავებენ პრაქტიკულ სავარჯიშოებზე: მშენებლობის საწყისებზე, გრაფიკის პარამეტრების რედაქტირებაზე, ნავიგაციის სავარჯიშოებზე, ნარატივის ხელსაწყოებზე, მანიშნებლებზე, დაფებზე, არასათამაშო პერსონაჟებზე, მომხმარებლის ინტერფეისის ჩართვა/გამორთვაზე, ამინდის პარამეტრებზე;
- მოსწავლეები შეძლებენ სამყაროს შექმნას.

საჭირო რესურსები:

- Minecraft EE – მშენებლობის საწყისები – https://youtu.be/cKdfa7Jnf7Y
- Minecraft EE – ვიდეო გრაფიკის პარამეტრების რედაქტირება – https://www.youtube.com/watch?v=D1cpfbTMfVs
- Minecraft EE – ნავიგაციის სავარჯიშო – https://youtu.be/WpFc9pIZmLs
- Minecraft EE – ნარატივის ხელსაწყოები, მანიშნებლები, დაფები, არასათამაშო პერსონაჟები, სკივრები – https://youtu.be/nyxxVCQCGbA
- Minecraft EE – მომხმარებლის ინტერფეისის ჩართვა/გამორთვა – https://youtu.be/FNAJyrroG3c
- Minecraft EE – ამინდის პარამეტრები – https://youtu.be/werEwUMyHWA

აქტივობის შემსრულებელი – მოსწავლეთა თვითმმართველობა;

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაცია, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, თანატოლგანმანათლებელი ტრენერები.

ნაბიჯი 4

თანატოლგანმანათლებელთა მიერ სამუშაო შეხვედრის დაგეგმვა „Minecraft-ში მუშაობის შედეგები“– ანალიზი;

Don't Copy

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გააანალიზონ, როგორ ითანამშრომლეს ერთმანეთთან თანატოლგანმანათლებელი ტრენერების დახმარებით, რამდენად მნიშვნელოვანი იყო სამოქალაქო აქტივიზმი, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება და სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინება საერთო საქმეში.

აქტივობის აღწერა:

- თანატოლგანმანათლებელი ტრენერები დაგეგმავენ სამუშაო შეხვედრას, რომლისთვისაც მოამზადებენ კომპიუტერულ ლაბორატორიას;
- სასკოლო საზოგადოებისთვის თანატოლგანმანათლებელი ტრენერები შეხვედრაზე პრეზენტაციის სახით Minecraft-ით სწავლების შედეგებს გააზიარებენ;
- სამუშაო შეხვედრის მონაწილენი შედეგებს შეაჯამებენ.

მეთოდური რესურსები:

- „როგორ მოვემზადოთ კარგი პრეზენტაციისთვის“, სოფიკო ლობჟანიძის სტატია ჟურნალ „მასწავლებელში“- http://mastsavlebeli.ge/?p=278
- პრეზენტაცია –„განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება“, სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის, მარიანა ხუნძაყიშვილი, სარა ბივერი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2018 წ, გვ.155

  https://bit.ly/3rn4yDD

აქტივობის შემსრულებელი– თანატოლგანმანათლებელი ტრენერები

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაცია, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, თანატოლგანმანათლებელი ტრენერები.

Don't Copy

ნაბიჯი 5

მოსწავლეთა მიერ Minecraft-ში შექმნილი რესურსებისა და სამყაროების წარმოჩენა;

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გაიაზრონ, რომ თანატოლგანმანათლებელი ტრენერების დახმარებით მიიღეს Minecraft-ის ურთიერთსწავლების ლოკალური შედეგები, რომლებიც დადებითად აისახება სასწავლო პროცესის მომავლის პერსპექტივებზე.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები დაგეგმავენ შეხვედრას, სადაც გაიმართება თანატოლგანმანათლებელი ტრენერების დახმარებითა და თანამშრომლობით შექმნილი სამყაროების პრეზენტაცია;
- პრეზენტაციების შემდეგ მონაწილეები ნამუშევრებს (რესურსები, სამყაროები) სკოლის Facebook გვერდზე გამოაქვეყნებენ.

მეთოდური რესურსი:

„როგორ მოვემზადოთ კარგი პრეზენტაციისთვის“, სოფიკო ლობჟანიძის სტატია ჟურნალ „მასწავლებელში“- http://mastsavlebeli.ge/?p=278

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

Don't copy

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, თანატოლგანმანათლებელი ტრენერები, სასკოლო თემი, სკოლის ადმინისტრაცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა

ნაბიჯი 6

სასკოლო კონფერენციის დაგეგმვა Minecraft-ის პორტალზე მუშაობის, ურთიერთსწავლებისა და თანამშრომლობის შედეგების წარმოსაჩენად სახელწოდებით „Minecraft არის ურთიერთთანამშრომლობის საშუალება“.

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ პრაქტიკის გაზიარება, იმის გააზრება, რომ Minecraft-ით ურთიერთსწავლებისას ლოკალური ქმედებების გონივრული დაგეგმვა არის გლობალური შედეგების მიღწევის გარანტი.

აქტივობის აღწერა:

- თვითმმართველობის ინიციატივით მოსწავლეები დაგეგმავენ სასკოლო კონფერენციას;
- მოამზადებენ საკონფერენციო დარბაზს;
- სკოლის ადმინისტრაციისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის დახმარებით მოიწვევენ სტუმრებს (განათლების სამინისტროდან, კომპანია “Mindworks“-დან);
- შეარჩევენ მომხსენებლებს, გაამზადებენ სერტიფიკატებსა და სამკერდე ნიშნებს (Minecraft-ის ლოგოთი);
- მოსამზადებელი სამუშაოს შემდეგ ჩატარდება კონფერენცია საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით;
- სერტიფიკატები გადაეცემა პრეზენტატორებს;

რეკომენდაცია მასწავლებელს:

შესაძლოა მიმდინარეობდეს კონფერენციის პირდაპირი ტრანსლაცია **(Facebook live);**

Don't Copy

საჭირო რესურსი:

- როგორ დავამზადოთ სერტიფიკატი https://www.youtube.com/watch?v=zF0oo6t8Sg0&t=71s

აქტივობის შემსრულებელი – მოსწავლეთა თვითმმართველობა

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ორი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგიური საბჭო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, კომპანია "Mindworks Education", თანატოლგანმანათლებელი ტრენერები.

ნაბიჯი 7

მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგიური საბჭოს მხარდაჭერით თანატოლგანმანათლებელი ტრენერები ჩაატარებენ **პრეზენტაციას** სახელწოდებით „ტოლერანტობა".

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: თანატოლგანმანათლებელმა ტრენერებმა მოირგონ აქტიური მოქალაქის როლი, იზრუნონ თანატოლების განათლებაზე და პრეზენტაციის საშუალებით დაეხმარონ მათ ტოლერანტობაზე ცოდნის გაღრმავებაში.

აქტივობის აღწერა:

თანატოლგანმანათლებელი ტრენერები ტოლერანტობის საკითხის ურთიერთსწავლების მიზნით მოამზადებენ მასალებს ამ თემაზე, პრეზენტაციას ჩაატარებენ, შემდეგ კი გაიმართება **დისკუსია.**

Don't Copy

რეკომენდაცია მასწავლებელს:

შესაძლოა ურთიერთსწავლებისას ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით სხვადასხვა საკითხის სწავლება; მაგალითად, ბავშვთა უფლებების, კონფლიქტების, ტრეფიკინგის, ადრეული ქორწინების, ბულინგის და სხვა გამოწვევების შესახებ.

მეთოდური რესურსები:

- „როგორ მოვემზადოთ კარგი პრეზენტაციისთვის“, სოფიკო ლობჟანიძის სტატია ჟურნალ „მასწავლებელში“- http://mastsavlebeli.ge/?p=278
- პრეზენტაცია „განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება“, სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის, მარიანა ხუნძაყიშვილი, სარა ბივერი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2018 წ, გვ.155

  https://bit.ly/3rn4yDD

აქტივობის შემსრულებელი – მოსწავლეთა თვითმმართველობა

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგიური საბჭო, თანატოლგანმანათლებელი ტრენერები.

ნაბიჯი 8

მოსწავლეების მიერ სასკოლო საზოგადოებაში განმეორებითი გამოკითხვის ჩატარება „რა შევისწავლე განათლების უფლების შესახებ და როგორ შევძელი თანამშრომლობა ამ თვალსაზრისით?“ და შედეგების ანალიზი;

მოსწავლეთა აქტივობა:

Don't Copy

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გააკეთონ დასკვნები, როგორ განხორციელდა პროექტის მიზანი, რამ იმუშავა, რამ ვერა, ასევე, დაგეგმონ შემდგომი ღონისძიებები; რა ინფორმაცია და ცოდნა არსებობს სასკოლო თემში განათლების უფლებასა და ამ თვალსაზრისით თანამშრომლობის მნიშვნელობის შესახებ.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები დაგეგმავენ გამოკითხვის ჩატარებას;
- შეიმუშავებენ კითხვარს;
- ჩაატარებენ გამოკითხვას მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან;
- შემდეგ კი მონაწილეები შედეგებს გააანალიზებენ.

რეკომენდაცია მასწავლებელს:

კითხვარის შედგენა უფრო მოსახერხებელია პროგრამა Forms-ში, თუმცა, შესაძლოა ფურცლებზეც იყოს დაბეჭდილი კითხვები.

საჭირო რესურსი:

კითხვარების შედგენის წესები-
https://bit.ly/3S2YTih

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, სკოლის ადმინისტრაცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა

Don't Copy

ინტერდისციპლინური კავშირები:

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები(ისტ)

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: თანატოლგანმანათლებელი ტრენერების დახმარებით მოსწავლეებმა აითვისონ Minecraft-ის პორტალზე მუშაობა და ამ მიზნით ერთმანეთთან ითანამშრომლონ ისე, რომ დაიცვან ასერტული ქცევის პრინციპი და გაითვალისწინონ სხვა ადამიანთა ინტერესები.

აქტივობის აღწერა:

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებლის დახმარებით თანატოლგანმანათლებელი ტრენერები შეძლებენ, რომ მოსწავლეებმა აითვისონ Minecraft-ის პორტალზე მუშაობა და ამ მიზნით ერთმანეთთან ითანამშრომლონ. მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები ქმნიან კითხვარებს პროგრამა Forms-ში, რომელსაც გამოიყენებენ გამოკითხვისათვის;

- ქმნიან ბუკლეტებს, სერტიფიკატებს და ა. შ;
- შექმნილ რესურსებს განათავსებენ ინტერნეტსივრცეში შესაბამის პლატფორმაზე.

პროექტის ფარგლებში თანატოლგანმანათლებელი ტრენერებისა და ისტ-ის მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები პრაქტიკულ სამუშაოს ასრულებენ: მუშაობენ მშენებლობის საწყისებზე, გრაფიკის პარამეტრების რედაქტირებაზე, ნავიგაციის სავარჯიშოებზე, ნარატივის ხელსაწყოებზე, მანიშნებლებზე, დაფებზე, არასათამაშო პერსონაჟებზე, მომხმარებლის ინტერფეისის ჩართვა/გამორთვაზე, ამინდის პარამეტრებზე;

- საბოლოო ჯამში, მოსწავლეები ქმნიან სამყაროებს.

Don't Copy

რეკომენდაცია მასწავლებელს:

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები(ისტ) მოწყვეტილი არ არის სასწავლო დისციპლინების კონტექსტს, რეალიზდება ყოველ ცალკეულ სასწავლო დისციპლინაში. უფრო მეტიც, მისი საშუალებით შესაძლებელია ერთმანეთთან სასწავლო დისციპლინების ეფექტური დაკავშირება. ამიტომ პროექტის ფარგლებში, Minecraft-ის ურთიერთსწავლებისას შეიძლება გამოყენებული იყოს რესურსები სხვადასხვა საგნიდან.

საჭირო რესურსები სხვადასხვა საგნიდან:

- კოდის ერთი საათი (ისტ)
  https://education.minecraft.net/en-us/lessons/hour-of-code-2021-timecraft
- ქიმიური ელემენტები (ქიმია)
  https://education.minecraft.net/en-us/lessons/element-scavenger-hunt
- ფლორენციის შესახებ (ისტორია)
  https://education.minecraft.net/en-us/lessons/the-city-of-florence-italy
- კომპლექსური დავალება-მასა, მოცულობა, სიმკვრივე(ფიზიკა)-
  https://bit.ly/3IOcjsN
- „ფართობი და მოცულობა (მათემატიკა)
  https://education.minecraft.net/en-us/lessons/area-and-volume-2

ქართული ენა და ლიტერატურა

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ განათლებისა და ამ თვალსაზრისით ურთიერთდახმარების მნიშვნელობის გააზრება, გაანალიზება, დასკვნების გამოტანა და ესეს სახით წარმოდგენა.

აქტივობის აღწერა:

Don't Copy

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს განათლებაზე, ქველმოქმედებაზე, ურთიერთდახმარებაზე. რაც უფრო განათლებულია ადამიანი, მით უფრო უადვილდება მას საკუთარი თავისა და მის გარშემო არსებული სამყაროს გაგება, პრობლემების გადაჭრა, რომლებიც პერიოდულად უჩნდება ყველას. ასახელებს პერსონაჟებს ლიტერატურიდან: თეიმურაზ ხევისთავი (მიხეილ ჯავახიშვილის **„ჯაყოს ხიზნები“),** ლუარსაბ თათქარიძე (ილია ჭავჭავაძის **„კაცია ადამიანი?!“),** გრიგოლ ხანძთელი(გიორგი მერჩულეს **„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“)** და ა. შ. მოსწავლეებს ავალებს, დაწერონ ესე სახელწოდებით **„ცოდნა ძალაა“,** რომელშიც საკუთარ აზრებს არგუმენტებით გაამყარებენ.
მოსწავლეები მსჯელობენ განათლებული თეიმურაზის უხერხემლობაზე, გაუნათლებელი თათქარიძის გულუბრყვილობაზე, განათლების მხრივ გრიგოლ ხანძთელის ღვაწლზე. მოსწავლეები გამართავენ დისკუსიას, შედეგებს შეაჯერებენ, დაწერენ ესეს და თანატოლებს გააცნობენ.

მეთოდური რესურსი:
როგორ დავწეროთ ესე
https://edu.aris.ge/news/rogor-davwerot-kargi-ese-14-nabiji.html

აქტივობის შემსრულებელი – საგნობრივი კათედრები

აქტივობის განხორციელების დრო – ორი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, საგნობრივი კათედრები, სკოლის ადმინისტრაცია

III ეტაპი
პროექტის განხორციელება

მოსწავლეთა აქტივობა:

პროექტის განხორციელების პროცესში მოსწავლეები ეძებენ გადაკვეთის წერტილებს და თანამშრომლობენ სასკოლო საზოგადოების წევრებთან:

- სკოლის სხვა მოსწავლეებთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან;

Don't Copy

- სკოლის სხვა მასწავლებლებთან;
- სკოლის ადმინისტრაციასთან;
- გარე პარტნიორებთან;

მოსწავლეები წარადგენენ პროექტს სასკოლო საზოგადოების წინაშე.

საჭირო რესურსები:

ფუნქციურ-კომპონენტური უნარები და რესურსები, რომლებიც ამ უნარებს ავითარებს

ფუნქციურ-კომპონენტური უნარები:
შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება, კრიტიკული აზროვნება.

ფუნქციურ-კომპონენტური უნარების შესახებ რესურსები, რომელთა საშუალებითაც მოსწავლეები აანალიზებენ, როგორ იურთიერთონ საზოგადოების წევრებთან გამოკვეთილ სფეროსთან მიმართებით:

- შემოქმედებითი აზროვნების შესახებ
  http://mastsavlebeli.ge/?p=16961
- პიროვნული უნარ-ჩვევები -კომუნიკაცია, კრიტიკული აზროვნება, ღირებულებები
  https://www.civiceducation.ge/ka/lessons/4-47
- კოლაბორაციული სწავლების თეორიული და პრაქტიკული საკითხები და "მსოფლიო კაფე"
  http://mastsavlebeli.ge/?p=2452
- მოქალაქე, მისი როლი და პასუხისმგებლობა
  https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-9
- პიროვნება და საზოგადოება(ხასიათი, ნება)
  https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-1
- როგორ განვავითაროთ კრიტიკული აზროვნება მოსწავლეებში?
  https://bit.ly/3rbDkzR
- კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების მიდგომების გამოყენება სწავლებაში
  http://mastsavlebeli.ge/?p=16208

Don't Copy

III ეტაპის შედეგად მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ პროექტის შედეგები

პროექტის განხორციელების შედეგად სასკოლო საზოგადოება გააქტიურდა ურთიერთსწავლების კულტურის დასანერგად. გამყარდა კავშირი არა მხოლოდ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან, არამედ გარე ორგანიზაციებთანაც (განათლების სამინისტრო, კომპანია „Mindworks-თან“). გარე ორგანიზაციასთან თანამშრომლობა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს, რადგანაც მოსწავლეები მიიღებენ უფრო მეტ მხარდაჭერასა და ინფორმაციას.
პროექტის განხორციელებამ ხელი შეუწყო სკოლაში ურთიერთსწავლებისა და თანამშრომლობის ტრადიციის დანერგვას, რაც დადებითად აისახა მოსწავლეთა პიროვნული და სასკოლო კულტურის განვითარებაზე.
პროექტის განხორციელებით გაფართოვდა საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ცოდნის დონე განათლების უფლებასა და ურთიერთსწავლებაში საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობის გააზრებასთან დაკავშირებით. მოსწავლეებმა შეძლეს თანამშრომლობა ასერტული ქცევითა და ტოლერანტული კულტურის დაცვით. მოსწავლეებმა შეძლეს თანატოლგანმანათლებელი ტრენერობით აქტიური მოქალაქის როლის მორგება, ურთიერთსწავლების დროს სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინებითა და არაძალადობრივი მეთოდებით დაგეგმეს ლოკალური ქმედებები, რომელშიც გათვალისწინებული იყო, ასევე, მომავლის პერსპექტივები. სასკოლო თემში ხელი შეეწყო ციფრული უნარების განვითარებასაც.

IV ეტაპი
მდგრადობა და მომავლის გეგმები

მოსწავლეთა აქტივობა:

მოსწავლეები სასკოლო საზოგადოების წევრებთან ერთად აფასებენ პროექტის შედეგებს და გეგმავენ, რა არის საჭირო მდგრადობის უზრუნველყოფისთვის.

საჭირო რესურსები:

პროექტის მდგრადობის უზრუნველყოფის გეგმის შემუშავება –

სასწავლო პროცესში ურთიერთსწავლების დანერგვის მიზნით პროექტის დასრულების შემდეგაც უნდა გაგრძელდეს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და თანამშრომლობა, რადგანაც ეს არის სასკოლო კულტურის განვითარების ერთ-ერთი

Don't copy

ხელშემწყობი ფაქტორი. ასევე, მნიშვნელოვანია თანამშრომლობა გარე ორგანიზაციებთან (საქართველოს განათლების სამინისტრო, კომპანია "Mindworks"), რადგან Minecraft-ის სასწავლო პროცესში ინტეგრაცია და ამ მხრივ თანატოლგანმანათლებლობის აქტიური გამოყენების პრობლემა მაინც საბოლოოდ უნდა აღმოიფხვრას. მოსწავლეების მიერ განხორციელებული პროექტის მდგრადობის მაჩვენებელი ის იქნება, რომ ის გახდება სასკოლო კურიკულუმის ნაწილი.	
IV ეტაპის შედეგად სასკოლო სასწავლო გეგმაში გაჩნდება ჩანაწერი, რომელიც იქნება მოსწავლეების მიერ განხორციელებული პროექტის მდგრადობის გარანტი. იქმნება მონიტორინგის ჯგუფი (მოსწავლე/მასწავლებელი). მოსწავლეები სასკოლო საზოგადოების წევრებთან ერთად აფასებენ პროექტის შედეგებს სოლო ტაქსონომიის დონეებით, რომელთაც აქვთ განმავითარებელი ხასიათი(შეფასების რუბრიკა იხილე დანართი **N 1).** მოსწავლეები გეგმავენ, რა არის საჭირო პროექტის მდგრადობის უზრუნველყოფისთვის. პროექტის განხორციელების შედეგად გაიზრდება საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ცოდნის დონე განათლების უფლებასთან და ამ კუთხით ურთიერთსწავლებასთან დაკავშირებით, სამუშაო პროცესი გახდება შემოქმედებითი.	

Don't Copy

დანართი N 1

მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტის შეფასების რუბრიკა

შეფასების კრიტერიუმები	**პრესტრუქტურული**	**უნისტრუქტურული**	**მულტისტრუქტურული**	**მიმართებითი**	**აბსტრაქტული**
მოსწავლემ შეძლოს გაცნობიერება, თუ რამდენად აუცილებელია განათლების უფლება ადამიანის პიროვნული განვითარების, მისი მსოფლმხედველობისა და ღირებულებების ჩამოყალიბებისთვის.	მოსწავლეს არ აქვს რელევანტური ინფორმაცია განათლების უფლებასა და ურთიერთსწავლებასთან დაკავშირებით.	მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტური რებული ასოციაცია/წარმოდგენა ურთიერთსწავლებასთან დაკავშირებით. შეუძლია მხოლოდ განათლების უფლების და ურთიერთსწავლების დასახელება.	მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განათლების უფლებასა და ამ თვალსაზრისით ურთიერთსწავლების გამოყენებაზე. მას არ შეუძლია ურთიერთმიმართების დანახვა განათლების უფლებასა და დროს პიროვნული განვითარებისთვის აუცილებელ სოციალურკონტაქტებს შორის.	მოსწავლეს შეუძლია გაცნობიერება იმისა, თუ რამდენად აუცილებელია განათლების უფლება ადამიანის პიროვნული განვითარების, მისი მსოფლმხედველობისა და ღირებულებების ჩამოყალიბებისთვის; მას შეუძლია საკითხის ახსნა, ანალიზი, ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	მოსწავლეს შეუძლია გაცნობიერება იმისა, თუ რამდენად აუცილებელია განათლების უფლება ადამიანის პიროვნული განვითარების, მისი მსოფლმხედველობისა და ღირებულებების ჩამოყალიბებისთვის; მას სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი, უკავშირებს პირად გამოცდილებას.

Do not copy

მოსწავლემ შეძლოს გაანალიზება, რომ ყველა ადამიანს აქვს განათლების უფლება და როგორ უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები ამ უფლებების დაცვას.	მოსწავლეს არ აქვს არანაირი ცოდნა და გამოცდილება კონსტიტუციით მინიჭებული განათლების უფლების მიმართ, იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას ან/და საერთოდ აცდენილია მნიშვნელობას/აზრს.	მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ განათლების უფლებაზე. შეუძლია მხოლოდ საკითხის დასახელება, მარტივი, ზედაპირული კავშირების დამყარება.	მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა კონსტიტუვციით განსაზღვრულ ადამიანის განათლების უფლებასა და ურთიერთსწავლებაზე, ესმის საკითხის არსი, მაგრამ განათლების უფლებასა და შორის მიმართებებს ვერ ამყარებს.	მოსწავლეს შეუძლია გაანალიზება, რომ ყველა ადამიანს აქვს განათლების უფლება და როგორ უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები ამ უფლებების დაცვას. აქვს იმის კომპეტენცია, რომ შეადაროს, დაამყაროსა მიმართებები, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორია, ახსნას მიზეზებისა და შედეგების კუთხით.	მოსწავლეს შეუძლია გაანალიზება, რომ ყველა ადამიანს აქვს განათლების უფლება და როგორ უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები ამ უფლებების დაცვას. მას შეუძლია განზოგადება, იდეების გადატანა ახალ სფეროში.
მოსწავლემ შეძლოს აქტიური მოქალაქის როლის მორგება, იზრუნოს თანატოლების განათლებაზე და ითანამშრომლოს	მოსწავლეს არ აქვს წარმოდგენა აქტიურ მოქალაქეობაზე, ურთიერთსწავლებაზე და ამ თვალსაზრისით სახელმწიფო სტრუქტურებთან	მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტური რებული წარმოდგენა აქტიურ მოქალაქეობაზე, თანატოლების განათლებაზე,	მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგ ენა განათლების უფლებასა და	მოსწავლეს შეუძლია აქტიური მოქალაქის როლის მორგება, იზრუნოს თანატოლების განათლებაზე და ითანამშრომლოს საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან,	მოსწავლეს შეუძლია აქტიური მოქალაქის როლის მორგება, იზრუნოს თანატოლების განათლებაზე და ითანამშრომლოს

Don't copy

საზოგადოებრივ ინსტიტუტებთა, არასამთავრობო ორგანიზაციებთა ნ, განათლების უფლების პოპულარიზების მიზნით სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინები თ დაგეგმოს ლოკალური ქმედებები.	თანამშრომლობაზ ე. იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას ან/და საერთოდ აცდენილია მნიშვნელობას/ა ზრს.	საზოგადოებრივ ორგანიზაციებთა ნ თანამშრომლობაზ ე. შეუძლია მხოლოდ საკითხის დასახელება, მარტივი, ზედაპირული კავშირების დამყარება.	ურთიერთსწავლება ზე, თანატოლების განათლებაზე, ამ მიზნით საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე, ესმის საკითხის არსი, მაგრამ მიმართებებს ვერ ამყარებს.	არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინებით დაგეგმოს ლოკალური ქმედებები განათლების უფლების პოპულარიზების მიზნით. აქვს იმის კომპეტენცია, რომ შეადაროს, დაამყაროსა მიმართებები, გააანალიზოს.	საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთა ნ, სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინები თ დაგეგმოს ლოკალური ქმედებები განათლების უფლების პოპულარიზების მიზნით. მას შეუძლია იდეების ტრანსფერი, პროექტის მიზნის შესასრულებლად თანამშრომლობი თ აქტივობას უკავშირებს პირად გამოცდილებას.

Don't Copy

პროექტი N 3

პროექტის დასახელება:

მირანდას უფლებები – სამართლიანი სასამართლოსა და კანონის უზენაესობის გარანტი

პროექტის ტიპი ადვოკატირება
პროექტის განხორციელების ვადები: პროექტის განხორციელება გათვლილია ერთ სემესტრზე (დაახლოებით 14-18 საათი); თითოეულ აქტივობას მითითებული აქვს განხორციელების სავარაუდო ვადა.
პროექტის სამიზნე ჯგუფი: X კლასის მოსწავლეები
კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ თემასთან/თემებთან: ადამიანის უფლებები
პროექტის შესაბამისობა სამიზნე ცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან: საზოგადოება, დემოკრატია, სამოქალაქო მონაწილეობა, მდგრადი განვითარება
კავშირი XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციასთან: წიგნიერება, რაოდენობრივი წიგნიერება, სამოქალაქო კომპეტენცია

Don't Copy

I ეტაპი

სფეროს (თემის დახასიათება), პრობლემების იდენტიფიცირება სფეროსთან მიმართებით

მოსწავლეთა აქტივობა:

- მოსწავლეები ირჩევენ მირანდას უფლებების თემას, რომელიც მნიშვნელოვნად ეჩვენებათ სასკოლო თემისთვის;
- გაეცნობიან ლიტერატურას შერჩეულ სფეროსთან დაკავშირებით;
- გააკეთებენ სიტუაციურ ანალიზს; საამისოდ ისინი არჩევენ შესაბამის წყაროებსა და კვლევის მეთოდებს.

ძირითადი რესურსები:

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 174-ე მუხლის 1-ლი ნაწილი-დაკავების წესი; https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=142
2. საქართველოს კონსტიტუცია, მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36
3. „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, შტეფან ტრექსელი, გვ. 221-225 https://bit.ly/3ubVna7
4. „ადამიანის უფლებები და მართლმსაჯულება საქართველოში“ (საზოგადოების დამოკიდებულება და ინფორმირებულობა), კვლევის ანგარიში, 2017, გვ. 7-8; გვ. 42-54 http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/7951UNDP_GE_DG_Human_Rights_Survey_2017_geo.pdf

დამატებითი რესურსები:

5. მირანდასუფლებები(კითხვა-პასუხი) https://bit.ly/3Tm9PY6
6. საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი იმიტირებული სასამართლო პროცესის შესახებ http://www.tcj.gov.ge/ka/news/576/
7. იმიტირებული სასამართლო პროცესი https://tcc.court.ge/ka/Forms/ProcessImitation

Draft Copy

8. სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6 მუხლთან დაკავშირებით სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება (სისხლის სამართლებრივი ასპექტები), გვ. 19-22 https://www.supremecourt.ge/fils/upload-file/pdf/samartliani-sasamartlo-ganxilvis-upleba(sisxli).pdf
9. მირანდა გაფრთხილება და შენი უფლებები https://bit.ly/3ik0eRa
10. მირანდას უფლებები და გაფრთხილება https://bit.ly/3S7TnuN

საკვანძო კითხვები:

- რას მოიაზრებს მირანდას უფლებები?
- შენი აზრით, რამდენად მოქმედებს მირანდას უფლებების დარღვევა ადამიანის პიროვნულ განვითარებაზე?
- რატომ არის დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულება?
- როგორ უზრუველყოფს საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები(დეკლარაციები, კონვენციები) დაკავებულის უფლებების(დაკავებულს უნდა განემარტოს თავისი უფლებები)დაცვას?
- რამდენად მიჰყვება ადამიანის უფლებების დაცვის დემოკრატიის პრინციპს საქართველოს კონსტიტუცია, როგორ მოქმედებს კანონის უზენაესობის პრინციპი და მირანდას უფლებები?
- როგორ უზრუნველყოფს თემი პიროვნების უსაფრთხოების დაცვას ისე, რომ არ დაირღვეს ინდივიდისა და სოციუმის ჰარმონიული ურთიერთობა?
- როგორ ზრუნავენ აქტიური მოქალაქეები ადვოკატირებით, ლობირებით საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე, მათ შორის, დაკავებულის უფლებების დაცვაზეც?
- რამდენად მნიშვნელოვანია აქტიური მოქალაქეების მიერ საზოგადოებრივი პრობლემის მოგვარების დროს თანამშრომლობა ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან?
- რატომ არის აუცილებელი სამოქალაქო მონაწილეობის დროს სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება და არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება?
- რა გლობალური საფრთხეები შეიძლება განვითარდეს, როცა თემი გულგრილ დამოკიდებულებას იჩენს ადამიანის უფლებების დარღვევის თვალსაზრისით და რამდენად მნიშვნელოვანია მომავლის პერსპექტივების გათვალისწინება ლოკალური ნაბიჯების გადადგმისას?

Do not copy

I ეტაპის შედეგად მოსწავლემ უნდა ჩამოაყალიბოს სიტუაციური ანალიზი

ადამიანის უფლებების დაცვა დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპია. არსებობს ადამიანის უფლებათა კატეგორიები, რომელთა დაცვაც მნიშვნელოვანია ადამიანის ღირსებისა და სიცოცხლის უზრუნველსაყოფად. ეს უფლებები შეიძლება მიეკუთვნებოდეს როგორც სამოქალაქო, ისე ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ თავისუფლებებს. როგორც წესი, სამოქალაქო და პოლიტიკური მოქმედებები ზღუდავს და გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოებში აქცევს სახელმწიფოს ქმედებების ფარგლებს. მაგალითად, უფლება იმისა, რომ დაკავებულს უნდა განემარტოს თავისი უფლებები და თავისუფლებები განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციით და მისი დარღვევა გარკვეულ სამართლებრივ შედეგებთან ასოცირდება. აღნიშნულ უფლებებს ე. წ. „მირანდას უფლებების“ სახელითაც მოიხსენიებენ.

დაკავებულის უფლებების რეალიზაცია, ქართული კანონმდებლობის მიხედვით, სხვადასხვა სამართლებრივი ნორმით არის რეგულირებული. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის **მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის** მიხედვით, „დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი“.*

უფლებათა ჩამონათვალს აზუსტებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის **174-ე მუხლის 1-ელი ნაწილი** – დაკავების წესი. ამ ნორმის მიხედვით, თუ არსებობს დაკავების საფუძველი, სამართალდამცავი (დამკავებელი) ვალდებულია, დაკავებულს გასაგები ფორმით განუმარტოს, რა დანაშაულის ჩადენაშია ბრალდებული და აცნობოს, რომ მას აქვს: ადვოკატის ყოლის, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება, ასევე, აქვს უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული.**

---

*საქართველოს კონსტიტუცია, მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი“

https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

**საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 174-ე მუხლის 1-ელი ნაწილი-დაკავების წესი;
https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=142

Don't Copy

კვლევების შედეგები აჩვენებს, რომ საზოგადოებაში არის ინფორმაციის ნაკლებობა ადამიანის უფლებების შესახებ, ასევე, გამოიკვეთა, რომ ინფორმაცია თანაბრად ხელმისაწვდომი არ არის.
გაეროს განვითარების პროგრამისთვის სოციალური კვლევების ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით 50% ინფორმაციას ადამიანის უფლებებისა, მათ შორის, დაკავებულის უფლებები) და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომად არ თვლის. ყოველი 10 გამოკითხულიდან 9 აცხადებს, რომ მათთვის ინფორმაციის წყარო მხოლოდ ტელევიზიაა (92%), ყოველი მეხუთე რესპონდენტი ბეჭდური მედიიდან ისურვებდა ინფორმაციის მიღებას (19%). რიგით მესამე, ყველაზე სასურველი წყარო, სოციალური ქსელებია (17%), რასაც საინფორმაციო ინტერნეტპორტალები მოჰყვება (12%). ტელევიზია თანაბრად სასურველი წყაროა ყველა ასაკში – თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში მას ასახელებს 87% და მეტი. რაც უფრო მაღალია გამოკითხულთა ასაკი, მით უფრო ნაკლებია მათი სურვილი, მიიღონ ინფორმაცია ელექტრონულად, სოციალური ქსელებიდან და პორტალებიდან.***

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში (როგორც საჯარო, ასევე კერძო) ნაკლები დრო ეთმობა ადამიანის უფლებების შესახებ განათლებას. ეს ეხება როგორც საგაკვეთილო პროცესს, ასევე კლასგარეშე აქტივობებსა თუ სამოქალაქო აქტივიზმისა და ადამიანის უფლებათა სწავლების პრაქტიკულ ინსტრუმენტებს. შედეგად, მოსწავლეთა ცოდნა ადამიანის უფლებების შესახებ, უმეტეს შემთხვევაში, ზედაპირული და ფასადურია.****

განსაკუთრებით საშუალო საფეხურის მოსწავლეებში აუცილებლობას წარმოადგენს ადამიანის უფლებების (მათ შორის, მირანდას უფლებების) ცოდნა, რადგან დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქემ უნდა იცოდეს და დაიცვას თავისი და სხვათა უფლებები. საჭიროა სასკოლო საზოგადოების გააქტიურება და ისეთი ღონისძიების დაგეგმვა, როგორიც ამ პრობლემას გამოასწორებს. სკოლაში უნდა ჩატარდეს არა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებასა და ცოდნის გაღრმავებაზე ორიენტირებული ღონისძიებები, არამედ მაქსიმალურად უნდა გაიზარდოს თანამშრომლობა გარე ორგანიზაციებთან (მაგალითად, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სასამართლო, პროკურატურა და ა. შ), ისეთ სტრუქტურულ ერთეულებთან, რომელთან ერთობლივი მუშაობითაც სასკოლო საზოგადოება ლოკალურ დონეზე შეძლებს პრობლემის გამოსწორებას მომავლის პერსპექტივების გათვალისწინებით.

***„ადამიანის უფლებები და მართლმსაჯულება საქართველოში“, კვლევის ანგარიში, 2017 წ; http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/7951UNDP_GE_DG_Human_Rights_Survey_2017_geo.pdf

****საქართველოს სახალხო დამცველი „კვლევა ადამიანის უფლებების სწავლებისა და სასწავლო გარემოს შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში“, 2018 წ; გვ.4 https://drive.google.com/file/d/19389edwSwrL_VmqEjtu1knBWAuT9kv1K/view?usp=sharing

Don't Copy

II ეტაპი
იდეები და შესაძლებლობები

მოსწავლეთა აქტივობა:

- მოსწავლეები გამოკვეთენ ფორმებს აქტივობებისთვის, აყალიბებენ აქტივობების იდეებს;
- მოსწავლეები ქმნიან მიზნების იერარქიას: აქტივობის მიზანი, პროექტის მიზანი;
- მოსწავლეები აყალიბებენ მოსალოდნელ შედეგებს: რა გავლენას მოახდენს პროექტი სასკოლო საზოგადოების განვითარებაზე, აანალიზებენ, თუ რა რესურსები სჭირდებათ დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად, რამდენად ხელმისაწვდომია ეს რესურსები;
- მოსწავლეები აყალიბებენ სამოქმედო გეგმას დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად.

საჭირო რესურსები:

პროექტების ანალოგიები სფეროსთან დაკავშირებით –

კარგი იქნება, თუ მოსწავლეები გაეცნობიან თანატოლთა მიერ ადამიანის უფლებებისა და სამართლიანი სასამართლოს თემაზე განხორციელებული პროექტების მაგალითებს. ქვემოთ არის იდეების ჩამონათვალი შესაბამისი ბმულებით:

- თბილისის მე-12 საჯარო სკოლის პროექტი „უფლებები და სოციალური პასუხისმგებლობა“ https://www.facebook.com/1839989872927334/posts/2822422544684057/
- პროექტი "სასამართლო სისტემის მხარდაჭერა საქართველოში" https://rm.coe.int/support-for-judicial-reform-in-georgian/16807358f2

II ეტაპის შედეგად მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ პროექტის სატიტულო ნაწილი: მიზანი, შედეგი, აქტივობა, სამოქმედო გეგმა

პროექტის მიზანი:

Don't Copy

ბრალდებულისათვის მინიჭებული ძირითადი უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება, მირანდას უფლებების გააზრება, სამართლიანი სასამართლოსა და კანონის უზენაესობის პრინციპის გაანალიზება.

პროექტის ამოცანები:

1. მოსწავლემ გააცნობიეროს ადამიანის უფლებების დარღვევა, რამდენად მოქმედებს პიროვნულ განვითარებასა და უსაფრთხოების დაცვაზე; როგორ უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები დაკავებულის უფლებების დაცვას;
2. მოსწავლემ შეძლოს გააზრება, თუ რა მნიშვნელობა აქვს აქტიური მოქალაქის ზრუნვას დაკავებულის უფლებების დაცვაზე, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობაზე; თუ რა ლოკალური და გლობალური საფრთხეები შეიძლება მოჰყვეს თემის მაცხოვრებელთა გულგრილ დამოკიდებულებას მაშინ, როცა ირღვევა ადამიანის უფლებები;
3. მოსწავლემ შეძლოს ცნობიერების ამაღლება სამართლიანი სასამართლოსა და კანონის უზენაესობის შესახებ, ასევე, გაიაზროს, რომ სამოქალაქო მონაწილეობის დროს აუცილებელია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება და არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება.

მოსწავლეები აყალიბებენ მოსალოდნელ შედეგებს:

რა გავლენას მოახდენს პროექტი სასკოლო საზოგადოების განვითარებაზე?

პროექტის განხორციელების შედეგად გაიზრდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა პრობლემის გადაჭრისკენ მიმართული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში.
ამაღლდება საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ცნობიერება ადამიანის უფლებებზე, დემოკრატიულ სასამართლოსა და სამართლიანობაზე. მოსწავლეები გაიღრმავებენ მირანდას უფლებების შესახებ ცოდნას, იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს ადამიანის უფლებების დარღვევა მის პიროვნულ განვითარებაზე და რეალურ ცხოვრებაში გამოიყენებენ.

Don't copy

მოსწავლეები მიიღებენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს დემოკრატიულ სახელმწიფოში მირანდას უფლებები, როგორ უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები ამ უფლებების დაცვას, რა მნიშვნელობა

აქვს აქტიური მოქალაქის ზრუნვას დაკავებულის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, რა ლოკალური და გლობალური საფრთხეები შეიძლება მოჰყვეს თემის მაცხოვრებელთა გულგრილობას მაშინ, როცა ირღვევა ადამიანის უფლებები; მოსწავლეები აიმაღლებენ ცნობიერებას სამართლიანი სასამართლოსა და კანონის უზენაესობის შესახებ; გაიაზრებენ, რომ სამოქალაქო მონაწილეობის დროს გამორიცხულია ძალადობრივი მოქმედებები და აუცილებელია სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინება.

პროექტის განხორციელებით გამყარდება კავშირი არა მხოლოდ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან, არამედ გარე ორგანიზაციებთანაც. სასკოლო თემში ჩამოყალიბდება სამართლიანი სასამართლოსა და კანონის უზენაესობის მიმართ პოზიტიური განწყობა.

პროექტის სამოქმედო გეგმა

ამოცანა 1

მოსწავლემ გააცნობიეროს ადამიანის უფლებების დარღვევა, რამდენად მოქმედებს პიროვნულ განვითარებასა და უსაფრთხოების დაცვაზე; როგორ უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები დაკავებულის უფლებების დაცვას;

ნაბიჯი 1

მოსწავლეების მიერ სასკოლო საზოგადოებაში გამოკითხვის ჩატარება „რა ვიცი მირანდას უფლებების შესახებ, როგორ უზრუნველყოფს თემი პიროვნების უსაფრთხოების დაცვას?“ და შედეგების ანალიზი;

მოსწავლეთა აქტივობა:

Don't Copy

აქტივობის მიზანი: პროექტის შემდგომი ღონისძიებების დასაგეგმად საჭიროა გაგება, რა ინფორმაცია და ცოდნა არსებობს სასკოლო თემში მირანდას უფლებებზე და რა როლი აქვს თემს, პიროვნების უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები დაგეგმავენ გამოკითხვის ჩატარებას;
- შეიმუშავებენ კითხვარებს (მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისთვის);
- ჩაატარებენ გამოკითხვას მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან;

რეკომენდაცია მასწავლებელს:

როდესაც პროექტის ამოცანა არის ინფორმაციის მიღება, ეფექტური იქნება, პირველ და ბოლო ნაბიჯებში დაიგეგმოს გამოკითხვა. ეს პროექტის შედეგის გაზომვის საუკეთესო გზაა. . კითხვარის შედგენა შეიძლება პროგრამა Forms-ში, თუმცა, შესაძლოა ფურცლებზეც იყოს დაბეჭდილი კითხვები.

საჭირო რესურსი:

კითხვარების შედგენის წესები
https://bit.ly/3S2YTih

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

Don't Copy

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, სკოლის ადმინისტრაცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა

ნაბიჯი 2

ინტერაქტიული ლექციის ჩატარება თემაზე „რა უნდა ვიცოდეთ მირანდას უფლებების შესახებ და რამდენად აუცილებელია პიროვნების უსაფრთხოების დაცვა“

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ გააზრება, როგორ იცავს კანონი დაკავებულის უფლებებს, როგორ აისახება უფლებების დაცვა ადამიანის პიროვნულ განვითარებაზე, რატომ არის მნიშვნელოვანი კანონის უზენაესობისა და სამართლიანი სასამართლოსადმი შესაბამისი განწყობა-დამოკიდებულების ჩამოყალიბება.

აქტივობის აღწერა:

მოსწავლეები დაგეგმავენ ინტერაქტიული ლექციის ჩატარებას თემაზე „რა უნდა ვიცოდეთ მირანდას უფლებების შესახებ“;

- შეხვედრისთვის ლიტერატურას მოიძიებენ;
- აუდიტორიას მოამზადებენ;
- ლექციას ჩაატარებენ;
- ლექციის შემდეგ საკითხებს ერთობლივად განიხილავენ კითხვა-პასუხის რეჟიმში;
- იმსჯელებენ და გამოიტანენ დასკვნებს.

საჭირო რესურსები:

Don't Copy

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 174-ე მუხლის 1-ელი ნაწილი- დაკავების წესი – „მირანდას უფლებები“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=146#!
- მირანდა გაფრთხილება და შენი უფლებები https://bit.ly/3ik0eRa
- მირანდას გაფრთხილება https://bit.ly/3vpJrDd

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა

ნაბიჯი 3

დისკუსია თემაზე „მირანდას გაფრთხილება, დაკავებულის უფლებების დარღვევა და პიროვნების უსაფრთხოებაზე ზრუნვა თემში“;

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა განიხილონ დაკავებულის უფლებების დარღვევის საკითხი, რომელსაც შემაფერხებელი გავლენა აქვს ადამიანის პიროვნულ განვითარებაზე. იმსჯელონ, რა როლი აქვს თემს პიროვნების უსაფრთხოებაზე ზრუნვის თვალსაზრისით, დისკუსიისას ასერტულობის დაცვით გამოთქვან მოსაზრებები.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები დაგეგმავენ დისკუსიას სახელწოდებით „მირანდას გაფრთხილება, დაკავებულის უფლებების დარღვევა და პიროვნების უსაფრთხოებაზე ზრუნვა თემში“;
- გააანალიზებენ საჭირო ინფორმაციას;

Don't Copy

- განსაზღვრავენ დისკუსიის დროს და წესებს;
- სივრცეს მოაწყობენ ისე, რომ ყველა მოსწავლეს შეეძლოს ერთმანეთთან თვალით კონტაქტი;
- გამართავენ დისკუსიას;
- მოსწავლეები შეაჯამებენ დისკუსიის შედეგებს.

ძირითადი რესურსი:

მირანდას გაფრთხილება და დაკავებულის უფლებები https://bit.ly/3ik0eRa

მეთოდური რესურსი:

- დისკუსიის წესები – „განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება“, სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის, მარიანა ხუნძაყიშვილი, სარა ბივერი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2018 წ, გვ.147

  https://bit.ly/3rn4yDD

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა

ნაბიჯი 4

პრეზენტაციის ჩატარება „ადამიანის ღირსება და ადამიანის უფლებები“-სამართლებრივი დოკუმენტის (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის **174-ე, 175-ე, 176-ე მუხლები**) განხილვა; საუბარი მირანდას უფლებებზე;

Don't Copy

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება მირანდას უფლებების შესახებ, საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო დოკუმენტების მიმართებას ადამიანის უფლებების (მათ შორის, დაკავებულის უფლებების) დაცვის თვალსაზრისით.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები დაგეგმავენ პრეზენტაციას;
- მასალებს მოიძიებენ;
- აუდიტორიას მოამზადებენ;
- გამართავენ პრეზენტაციას;
- შედეგებს შეაჯამებენ.

ძირითადი რესურსები:

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 174-ე, 175-ე, 176-ე მუხლები https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=142
- ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო „მოკლედ უფლებების შესახებ“ http://myrights.gov.ge/ka/my%20rights/on%20human%20rights

მეთოდური რესურსები:

- „როგორ მოვემზადოთ კარგი პრეზენტაციისთვის“, სოფიკო ლობჟანიძის სტატია ჟურნალ „მასწავლებელში“- http://mastsavlebeli.ge/?p=278

Don't Copy

- პრეზენტაცია, „განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის", სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის, მარიანა ხუნძაყიშვილი, სარა ბივერი, 2018 წ, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, გვ. 155 https://bit.ly/3rn4yDD

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა

ნაბიჯი 5

ინფორმირების მიზნით ფლაერების დამზადება მირანდას უფლებებზე და სასკოლო თემში გავრცელება;

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა მიიღონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ იცავს საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები დაკავებულის უფლებებს; ინფორმაციის დეფიციტის აღმოსაფხვრელად ეს საუკეთესო ნაბიჯია, რომ არ დაირღვეს მირანდას უფლებები, თემი გახდეს ინფორმირებული დაკავებულის უფლებების შესახებ.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები დაგეგმავენ შეხვედრას საინფორმაციო ფლაერების დამზადებასთან დაკავშირებით;
- მოაწყობენ შეხვედრას ფლაერების დიზაინისა და შინაარსობრივი საკითხების განსახილველად. ფლაერში უნდა ჩანდეს, როგორ მოქმედებს კანონის უზენაესობის პრინციპი და მირანდას უფლებები;
- ფლაერებს დაამზადებენ და გაავრცელებენ თემში.

Don't copy

საჭირო რესურსები:

- მოკლედ უფლებების შესახებ
  https://bit.ly/3K4AKUa
- ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, შტეფან ტრექსელი, გვ.489
  https://bit.ly/3ubVna7
- როგორ დავამზადოთ საინფორმაციო ფლაერი-

https://parku.ru/ka/sozdanie-flaera-kak-sdelat-listovku-maket-reklamnoi-listovki-chem-menshe/

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა

ამოცანა 3

მოსწავლემ შეძლოს გააზრება, თუ რა მნიშვნელობა აქვს აქტიური მოქალაქის ზრუნვას დაკავებულის უფლებების დაცვაზე, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობაზე; თუ რა ლოკალური და გლობალური საფრთხეები შეიძლება მოჰყვეს თემის მაცხოვრებელთა გულგრილ დამოკიდებულებას მაშინ, როცა ირღვევა ადამიანის უფლებები;

ნაბიჯი 1

Don't Copy

შეხვედრა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) წარმომადგენელთან დაკავებულის უფლებებისა და, ზოგადად, ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით.

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გაიაზრონ, რა მნიშვნელობა აქვს აქტიური მოქალაქის ზრუნვას დაკავებულის უფლებების დაცვის საქმეში და ამ მხრივ თანამშრომლობას საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან, იმსჯელონ ადამიანის უფლებათა დარღვევის ლოკალურ და გლობალური საფრთხეებზე, რაც ხელს შეუწყობს ანალიზისა და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივითა და სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით მოსწავლეები მოიწვევენ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (არასამეწარმეო იურიდიული პირი) წარმომადგენელს;
- შეხვედრისთვის მოამზადებენ აუდიტორიას;
- შეხვედრის შემდეგ გაიმართება კითხვა-პასუხი. მოსწავლეებს ექნებათ კითხვები იურისტთან ბრალდებულისთვის მინიჭებულ ძირითად უფლებებზე, სამართლიან სასამართლოზე, სამართლებრივ ასპექტებზზე, გასაჩივრების, როგორც ბრალდებულისთვის გარანტირებულ უფლებაზე და ა.შ;
- მოსწავლეები შედეგებს შეაჯამებენ.

საჭირო რესურსი:

„ადამიანის ძირითადი უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, შტეფან ტრექსელი, გვ. 221-225, https://bit.ly/3ubVna7

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი

Don't Copy

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის ადმინისტრაცია, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია(საია).

ნაბიჯი 2

სასკოლო თემის ინფორმირების მიზნით ვიდეორგოლის მომზადება დაკავებულის უფლებების დაცვის საკითხზე და სკოლის Facebook გვერდზე გამოქვეყნება; მასში უნდა ჩანდეს დაკავებულის უფლებათა დარღვევა და ის საფრთხეები, რომლებიც შეიძლება საზოგადოების გულგრილობას მოჰყვეს.

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ გააზრება, თუ რა მნიშვნელობა აქვს აქტიური მოქალაქის ზრუნვას დაკავებულის უფლებების დაცვაზე, რა ლოკალური და გლობალური საფრთხეები შეიძლება მოჰყვეს თემის მაცხოვრებელთა გულგრილ დამოკიდებულებას მაშინ, როცა ირღვევა ადამიანის უფლებები.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები მოაწყობენ შეხვედრას ვიდეორგოლის ჩაწერის საკითხებზე;
- განიხილავენ ვიდეორგოლის სიუჟეტს;
- მოამზადებენ მასალებს და შეთანხმდებიან, რომ ვიდეორგოლში უნდა იყოს ინფორმაცია:

„დაკავებულ ან დაპატიმრებულს პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს: რა დანაშაულის ჩადენაშია ის ბრალდებული; გასაგები ფორმით შეატყობინოს დაკავების საფუძველი, აცნობოს, რომ მას აქვს უფლება ადვოკატზე, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული, რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შეასაძლებელია მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული სასამართლოში, დაუშვებელი მტკიცებულებაა ის განცხადება, რომელიც დაკავებულმა ამ ნაწილით გათვალისწინებული განმარტების მიღებამდე გააკეთა“.

Don't Copy

- სიუჟეტში უნდა აღინიშნოს დაკავების უფლებების დარღვევაზე, იმ საფრთხეებზე, რომელიც მოსდევს საზოგადოების გულგრილობას;
- შემდეგ შექმნიან ვიდეორგოლს და გამოაქვეყნებენ სკოლის Facebook გვერდზე.

საჭირო რესურსი:

როგორ შევქმნათ ვიდეორგოლი

https://www.youtube.com/watch?app=desktop&v

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა

ამოცანა 4

მოსწავლემ შეძლოს ცნობიერების ამაღლება სამართლიანი სასამართლოსა და კანონის უზენაესობის შესახებ, ასევე, გაიაზროს, რომ სამოქალაქო მონაწილეობის დროს აუცილებელია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება და არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება.

ნაბიჯი 1

საინფორმაციო **პოსტერების კონკურსის** მოწყობა სახელწოდებით ,,სამართლიანი სასამართლო-ადამიანის უფლებების დაცვის გარანტი“ და სკოლის Facebook გვერდზე გამოქვეყნება;

Don't Copy

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: სასკოლო საზოგადოება გახდეს ინფორმირებული სამართლიანი სასამართლოსა და კანონის უზენაესობის შესახებ, მოსწავლეებმა გაიაზრონ, რომ აქტიური მოქალაქეები რეაგირებენ ადამიანის უფლებების დარღვევაზე და სამოქალაქო მონაწილეობისათვის აუცილებელია სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინება.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები მოაწყობენ შეხვედრას საინფორმაციო პოსტერის შექმნასთან დაკავშირებით;
- შეიმუშავებენ პოსტერის შეფასების კრიტერიუმებს;
- შეთანხმდებიან შინაარსობრივ მხარეზე (პოსტერში უნდა ჩანდეს მოკლე ინფორმაცია სამართლიანი სასამართლოსა და კანონის უზენაესობაზე, მირანდას უფლებების დაცვაზე);
- შეთანხმდებიან პოსტერის ტექნიკურ დეტალებზე(როგორი უნდა იყოს ფორმატი, სათაური, ტექსტი, სურათები, ფოტოები, სქემა და ა. შ);
- შეარჩევენ ჟიურის წევრებს;
- მოაწყობენ საინფორმაციო პოსტერების გამოფენას სკოლის Facebook გვერდზე;
- მონაწილეები შეაფასებენ შედეგებს.

საჭირო რესურსი:

საინფორმაციო პოსტერის შექმნა
https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-2/students-manual-10/tool-2/toolbox-6/

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა

Don't Copy

ნაბიჯი 2

კინოფილმის ჩვენება **„ორნი ქალაქში“** და **დებატების** გამართვა თემაზე „კარგი და ცუდი პოლიციელი“ (ფილმიდან გამომდინარე);

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გაიაზრონ, თუ რა მნიშვნელობა აქვს პიროვნების მიმართ არაძალადობრივ მოქმედებას, სამართლიან სასამართლოსა და კანონის უზენაესობას (მითითებულ ფილმში პირიქით ხდება და ეს უნდა გააცნობიერონ).

მოსწავლეები კომპიუტერის ლაბორატორიაში ნახავენ რეჟისორ ჟოზე ჯოვანის ფილმს „ორნი ქალაქში“(ქართულ ენაზე). ფილმში ადვოკატი ჟერმენი(როლს ასრულებს ჟან გაბენი) ცდილობს, გამოასწოროს პატიმრები, რომ მათ დაივიწყონ ცუდი წარსული. ასე დაეხმარა ჯინოსაც (როლს ასრულებს ალენ დელონი), ციხიდან გამოიყვანა დროზე ადრე და იზრუნა იმაზე, რომ გული არ გატეხოდა. ციხიდან გამოსული ჯინო ცდილობს, ახალი ცხოვრება დაიწყოს და ზურგი აქციოს დამნაშავეთა სამყაროს. ის პატიოსნად მუშაობს და ოპტიმისტურად უყურებს მომავალს, მაგრამ მას მოსვენებას არ აძლევს ერთი პოლიციელი, რომელიც სულ კუდში დასდევს. პოლიციელს სჯერა, რომ დამნაშავეს არაფერი გამოასწორებს, სამარის გარდა. ჯინოს და პოლიციელის ერთ-ერთ შეხვედრას ჩხუბი და პოლიციელის მოკვლა მოჰყვა. ჯინოს გაასამართლებენ და სიკვდილით დასჯიან. ფილმში სამართლებრივი სფეროს ორი ანტიპოდია – ერთი მხრივ, დაუნდობელი პოლიციელი, რომელიც მხოლოდ დევნასა და დასჯაზე ფიქრობს და მეორე მხრივ, ადამიანის გამოსწორებაზე ორიენტირებული ადვოკატი, რომელსაც სურს, დამნაშავეთა სამყაროს გამოსტაცოს ადამიანები, რომელთა გადარჩენის შანსიც არის.

აქტივობის აღწერა:

- ფილმის ნახვის შემდეგ მოსწავლეები დებატების მოსაწყობად ორ ჯგუფად გაიყოფიან: მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად;.
- თითოეული ჯგუფი მოამზადებს არგუმენტებს, აირჩევს გამომსვლელს და მოსწავლეს, რომელიც დააკვირდება გამომსვლელთა რეგლამენტს;
- ბოლოს დამკვირვებლები გააკეთებენ კომენტარებს, თუ რა დასკვნები გააკეთეს დებატებიდან;

Don't copy

მეთოდური რესურსი:

დებატების მოწყობის წესი:

https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-2/students-manual-10/tool-2/toolbox-12/

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა

ნაბიჯი 3

ვიზიტი საქალაქო სასამართლოში და **იმიტირებული სასამართლო** სხდომის გამართვა;

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლემ შეძლოს მირანდას უფლებებზე, სამართლიანი სასამართლოსა და კანონის უზენაესობის შესახებ არსებული ცოდნის გამოყენება; გაიაზროს, რომ სამოქალაქო მონაწილეობის დროს აუცილებელია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება და არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება.

- მოსწავლეები გაეცნობიან კაზუსს;
- მოემზადებიან იმიტირებული სასამართლო პროცესის ჩასატარებლად: როლების განაწილება (მოსამართლე, ბრალდებული, მოწმეები, სამართალდამცავი, ადვოკატი, პროკურორი, სასამართლოს მდივანი);
- თითოეული როლის შესაბამის სიტუაციაში გარკვევა საკანონმდებლო ნორმების გაცნობით, სამართალდამცავისა და მასწავლებლის კონსულტაციით;
- მოსწავლეები განიხილავენ და გააანალიზებენ კაზუსს;

Don't Copy

- ჩაატარებენ იმიტირებულ სასამართლო პროცესს;
- ბოლოს გამართავენ შემაჯამებელ განხილვას.

კაზუსი

ჯუმბერი ძალიან სწრაფად გადაადგილდებოდა მანქანით ქუჩაში, როდესაც მის უკან მომავალი საპატრულო მანქანის ციმციმა შუქები დაინახა. მან თავისი მანქანა გზის პირას გააჩერა. ოფიცერი მიუახლოვდა ჯუმბერს და სთხოვა, რომ იგი მანქანიდან გადმოსულიყო. ჯუმბერი მანქანიდან გადავიდა და ოფიცერმა ჰკითხა, იცოდა თუ არა რამდენად სწრაფად მიდიოდა. ოფიცრის კითხვის პასუხად, ჯუმბერმა აღიარა, რომ ის გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდა. აღნიშნული საუბარი იწერებოდა.

პატრულის მიერ და შემდგომ სასამართლო პროცესზეც, ბრალმდებელმა მხარემ ის წარმოადგინა, როგორც მტკიცებულება. აღნიშნული ჩანაწერის შესახებ ჯუმბერი ამტკიცებს, რომ რადგან იგი დააკავეს და დაკითხეს მირანდას გაფრთხილების გარეშე, მისი აღიარება არ უნდა დაუშვას სასამართლომ.

საჭირო რესურსები:

- საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი იმიტირებული სასამართლო პროცესის შესახებ
  http://www.tcj.gov.ge/ka/news/576/
- თბილისის საქალაქო სასამართლო
  https://tcc.court.ge/ka/Forms/ProcessImitation
- იმიტირებული სასამართლო პროცესი
  https://tcc.court.ge/ka/Forms/ProcessImitation
- სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებით სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება (სისხლის სამართლებრივი ასპექტები)

  https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samartliani-sasamartlo-ganxilvis-upleba(sisxli).pdf

Don't Copy

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ორი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, გარე ორგანიზაცია (საქალაქო სასამართლო)

ნაბიჯი 4

მოსწავლეების მიერ სასკოლო საზოგადოების **განმეორებითი გამოკითხვის** ჩატარება „რა შევისწავლე მირანდას უფლებებისა და პიროვნების უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების შესახებ?“ და შედეგების ანალიზი;

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა შეაჯამონ, როგორ განხორციელდა პროექტი, რამ იმუშავა, რამ ვერა და, ასევე, შემდგომი ღონისძიებები დაგეგმონ; რა ინფორმაცია და ცოდნა არსებობს სასკოლო თემში მირანდას უფლებებისა და პიროვნების უსაფრთხოების დაცვის შესახებ.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები მოაწყობენ სამუშაო შეხვედრას, სადაც შეიმუშავებენ კითხვარებს;
- მოსწავლეები შეიმუშავებენ სხვადასხვა კითხვარს (მოსწავლისთვის, მასწავლებლისთვის);
- ჩაატარებენ მოსწავლეებისა და მასწავლებლების გამოკითხვას;
- შედეგებს შეაჯამებენ;

საჭირო რესურსი:

Don't Copy

კითხვარების შედგენის წესები

https://bit.ly/3S2YTih

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, სკოლის ადმინისტრაცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა

ინტერდისციპლინური აქტივობები

ქართული ენა და ლიტერატურა

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გაიაზრონ და ესეში წარმოადგინონ, თუ რა ლოკალური და გლობალური საფრთხეები შეიძლება მოჰყვეს თემის მაცხოვრებელთა გულგრილ დამოკიდებულებას მაშინ, როცა ირღვევა ადამიანის უფლებები, რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ინფორმირებულობას ამ თვალსაზრისით, რა როლი აქვს აქტიურ მოქალაქეს თემში არაძალადობრივი კულტურის დამკვიდრების საქმეში.

აქტივობის აღწერა:

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება ადამიანის უფლებებზე, სამართლიან სასამართლოზე, ესუბრება შტეფან ცვაიგის ნოველაზე **„მარადიული ძმის თვალები“.** ამ ნაწარმოების მიხედვით მოსწავლეებმა უნდა დაწერონ ესე „ადამიანის უფლებები და სამართლიანი სასამართლო“. მასწავლებელი ურჩევს მოსწავლეებს იმ აუცილებელ საკითხებზე ყურადღების გამახვილებას, რომლებიც ესეში უნდა ჩანდეს. მაგალითად, თუ რა მნიშვნელობა აქვს აქტიური მოქალაქის ზრუნვას დაკავებულის უფლებების დაცვაზე, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობაზე.

Don't Copy

- მოსწავლეები ჯგუფებში განიხილავენ მასალას;
- გამართავენ დისკუსიას. სამართლიანი სასამართლოს საკითხზე მსჯელობისას პარალელს გაავლებენ ქართულ ლიტერატურაში შესწავლილ რომელიმე სხვა ნაწარმოებთან. მაგალითად, ალექსანდრე ყაზბეგის **„ხევისბერი გოჩა“** (გუგუას გასამართლება), გიორგი ლეონიძის **„ნატვრის ხე“** (მარიტას გასამართლება) და ა. შ (ყველა მათგანი ისწავლება სასკოლო პროგრამით);
- დაწერენ ესეს და გააცნობენ თანატოლებს.

ისტორია

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ გაანალიზება, რა ინფორმაციას გვაწვდიან ისტორიული წყაროები დაკავებულის უფლებებზე, რამდენად მნიშვნელოვანია მირანდას უფლებები, სამართლიანი სასამართლო, კანონის უზენაესობის პრინციპი და სტატიაში წარმოადგინონ.

აქტივობის აღწერა:

ისტორიის მასწავლებელი მოსწავლეებს დაავალებს **ორი ისტორიულ წყაროს** ერთმანეთთან შედარებას (საბჭოთა პერიოდის და თანამედროვე საქართველოს რეალურ ვითარებაზე, დაკავებულის უფლებებზე). წყაროების შედარების შემდეგ მოსწავლეებმა უნდა დაწერონ **საგაზეთო სტატია** სახელწოდებით „ადამიანის უფლებების დარღვევით წარმოქმნილი პრობლემების წარმოჩენა და პრევენციული გზების დასახვა საბჭოთა და თანამედროვე საქართველოში“. სტატიის საშუალებით მოსწავლეები შეძლებენ იმის გაანალიზებას, რატომ არის წყაროების ინტერპრეტაცია დისკუსიის საგანი, როგორ მოქმედებს კანონის უზენაესობის პრინციპი და მირანდას უფლებები; ის დაეხმარება, რომ შესწავლილი მასალებიდან და ისტორიული წყაროებიდან გამომდინარე, მოსწავლეებმა სწორად გაამახვილონ ყურადღება საჭირო საკითხებზე.

- მოსწავლეები არსებული ცოდნისა და ისტორიული წყაროების გამოყენებით დაწერენ სტატიებს, რომელშიც ისაუბრებენ ბრალდებულისათვის მინიჭებულ ძირითად უფლებებზე, სამართლიანი სასამართლოსა და კანონის უზენაესობის პრინციპებზე საბჭოთა და თანამედროვე საქართველოში;

Don't Copy

- მოსწავლეები სტატიებს გაუზიარებენ თანატოლებს.

საჭირო რესურსები:

- როგორ დავწეროთ კარგი ესე
  https://edu.aris.ge/news/rogor-davwerot-kargi-ese-14-nabiji.html- https://www.etaloni.ge/geo/main/index/35865
- როგორ დავწეროთ სტატია
  https://rogor.ge/article/1103-rogor-davcerot-kargi-statia/

აქტივობის შემსრულებელი – საგნობრივი კათედრები

აქტივობის განხორციელების დრო – ორი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, საგნობრივი კათედრები, სკოლის ადმინისტრაცია

III ეტაპი

პროექტის განხორციელება

მოსწავლეთა აქტივობა:

პროექტის განხორციელების პროცესში მოსწავლეები ეძებენ გადაკვეთის წერტილებს და თანამშრომლობენ სასკოლო საზოგადოების წევრებთან:

- სკოლის სხვა მოსწავლეებთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან;
- სკოლის სხვა მასწავლებლებთან;
- სკოლის ადმინისტრაციასთან;
- გარე პარტნიორებთან;

მოსწავლეები წარადგენენ პროექტს სასკოლო საზოგადოების წინაშე.

საჭირო რესურსები:

Don't Copy

ფუნქციურ-კომპონენტური უნარები და რესურსები, რომლებიც ამ უნარებს ავითარებს

ფუნქციურ-კომპონენტური უნარები:
შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება, კრიტიკული აზროვნება.
ფუნქციურ-კომპონენტური უნარების შესახებ რესურსები, რომლებიც მოსწავლეებს ასწავლის, როგორ იურთიერთონ საზოგადოების წევრებთან გამოკვეთილ სფეროსთან მიმართებით:

- შემოქმედებითი აზროვნების შესახებ
  http://mastsavlebeli.ge/?p=16961
- პიროვნული უნარ-ჩვევები -კომუნიკაცია, კრიტიკული აზროვნება, ღირებულებები
  https://www.civiceducation.ge/ka/lessons/4-47
- კოლაბორაციული სწავლების თეორიული და პრაქტიკული საკითხები და "მსოფლიო კაფე"
  http://mastsavlebeli.ge/?p=2452
- მოქალაქე, მისი როლი და პასუხისმგებლობა
  https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-9
- პიროვნება და საზოგადოება(ხასიათი, ნება)
  https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-1
- როგორ განვავითაროთ კრიტიკული აზროვნება მოსწავლეებში?
  https://bit.ly/3rbDkzR
- კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების მიდგომების გამოყენება სწავლებაში
  http://mastsavlebeli.ge/?p=16208

III ეტაპის შედეგად მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ პროექტის შედეგები

პროექტის განხორციელებამ დადებითად იმოქმედა სასკოლო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე. ხელი შეეწყო საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ცოდნის ამაღლებას ბრალდებულისათვის მინიჭებული ძირითადი უფლებების შესახებ, მირანდას გაფრთხილების, გასაჩივრების უფლებაზე, სამართლიანი სასამართლოსა და კანონის უზენაესობის პრინციპებზე; აგრეთვე, იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს ადამიანის უფლებების დარღვევა მის პიროვნულ განვითარებაზე, რომელსაც რეალურ ცხოვრებაში გამოიყენებენ.

Don't Copy

მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს დემოკრატიულ სახელმწიფოში მირანდას უფლებები, როგორ უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები ამ უფლებების დაცვას, რა მნიშვნელობა აქვს აქტიური მოქალაქის ზრუნვას დაკავებულის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, რა ლოკალური და გლობალური საფრთხეები შეიძლება მოჰყვეს თემის მაცხოვრებელთა გულგრილობას მაშინ, როცა ირღვევა ადამიანის უფლებები; გაიაზრეს, რომ სამოქალაქო მონაწილეობის დროს გამორიცხულია ძალადობრივი მოქმედებები და აუცილებელია სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინება. პროექტის განხორციელების დროს მოსწავლეები თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან, მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან, გარე ორგანიზაციებთან (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საქალაქო სასამართლო), მოსწავლეებმა მიიღეს ღრმა ინფორმაცია დაკავებულის უფლებების შესახებ. გაიზარდა სასკოლო საზოგადოების (სკოლის ადმინისტრაციის, მოსწავლეთა თვითმმართველობის, მოსწავლეების, პედაგოგიური საბჭოს) ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში. სასკოლო თემში ჩამოყალიბდა სამართლიანი სასამართლოსა და კანონის უზენაესობის მიმართ პოზიტიური განწყობა.
IV ეტაპი მდგრადობა და მომავლის გეგმები
მოსწავლეთა აქტივობა: მოსწავლეები სასკოლო საზოგადოების წევრებთან ერთად აფასებენ პროექტის შედეგებს და გეგმავენ, რა არის საჭირო მდგრადობის უზრუნველყოფისთვის. **საჭირო რესურსები:** პროექტის მდგრადობის უზრუნველყოფის გეგმის შემუშავება პროექტის განხორციელების შედეგად გაიზრდება საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ცოდნის დონე დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებზე. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა ადამიანის უფლებებისა (მათ შორის, დაკავებულის უფლებები) და სამართლიანი სასამართლოს შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით უნდა გაგრძელდეს პროექტის დასრულების შემდეგაც, რადგანაც დაკავებულის უფლებების დაცვა მეტად აქტუალური საკითხია.

Don't copy

სასკოლო საზოგადოებამ ინტენსიურად უნდა ითანამშრომლოს სახელმწიფო სტრუქტურებთან და სხვა გარე ორგანიზაციებთან, რომელიც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება პრობლემის გადაჭრის გზაზე. პროექტი გახდება სასკოლო კურიკულუმის ნაწილი, რაც მის მდგრადობას განაპირობებს.
IV ეტაპის შედეგად სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაჩნდება ჩანაწერი, რომელიც იქნება მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტის მდგრადობის გარანტი. იქმნება მონიტორინგის ჯგუფი(მოსწავლე/მასწავლებელი). მოსწავლეები სასკოლო საზოგადოების წევრებთან ერთად აფასებენ პროექტის შედეგებს სოლო ტაქსონომიის დონეებით, რომელთაც აქვთ განმავითარებელი ხასიათი(შეფასების რუბრიკა იხილე დანართი **N 1).** მოსწავლეები გეგმავენ, რა არის საჭირო მდგრადობის უზრუნველყოფისათვის. პროექტის სარგებელი გრძელვადიან პერსპექტივაში ის არის, რომ მისი განხორციელების შედეგად პრობლემის იდენტიფიცირებისას განხილული მირანდას უფლებების დარღვევის შემთხვევების შესახებ ცნობიერება ამაღლდება; გაიზრდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და მონაწილეობის მნიშვნელობის საქმეში.

Don't Copy

დანართი N1

მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტის შეფასების რუბრიკა

შეფასების კრიტერიუმები	**პრესტრუქტურული**	**უნისტრუქტურული**	**მულტისტრუქტურული**	**მიმართებითი**	**აბსტრაქტული**
მოსწავლემ გააცნობიეროს ადამიანის უფლებების დარღვევა, რამდენად მოქმედებს პიროვნულ განვითარებასა და უსაფრთხოების დაცვაზე; როგორ უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები დაკავებულის უფლებების დაცვას.	მოსწავლეს არ აქვს რელევანტური ინფორმაცია მირანდას უფლებასთან დაკავშირებით, ასევე, არ აქვს ინფორმაცია, როგორ იცავს კონსტიტუცია დაკავებულის უფლებებს.	მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა მირანდას უფლებასთან დაკავშირებით, არ აქვს ინფორმაცია, როგორ იცავს კონსტიტუცია დაკავებულის უფლებებს, შეუძლია მხოლოდ საკითხის დასახელება.	მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა მირანდას უფლებასთან დაკავშირებით. მას არ შეუძლია ურთიერთმიმართეგ ის დანახვა მირანდას უფლებების დარღვევასა და ადამიანის უსაფრთხოების დაცვას შორის.	მოსწავლეს შეუძლია ცნობიერების ამაღლება მირანდას უფლებებზე; გააანალიზოს და ახსნას, რამდენად მოქმედებს მისი დარღვევა ადამიანის პიროვნულ განვითარებაზე, როგორ ზრუნავს თემი პიროვნების უსაფრთხოების დაცვაზე, როგორ უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები დაკავებულის უფლებების დაცვას, როგორ მოქმედებს კანონის უზენაესობის პრინციპი და	მოსწავლეს შეუძლია ცნობიერების ამაღლება მირანდას უფლებებზე; გააანალიზოს, რამდენად მოქმედებს მისი დარღვევა ადამიანის პიროვნულ განვითარებაზე, როგორ ზრუნავს თემი პიროვნების უსაფრთხოების დაცვაზე, როგორ უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები დაკავებულის უფლებების დაცვას, როგორ მოქმედებს კანონის უზენაესობის

Don't copy

				მირანდას უფლებები; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	პრინციპი და მირანდას უფლებები; მას სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი, უკავშირებს პირად გამოცდილებას, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზები ს/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს.
მოსწავლემ შეძლოს გააზრება, თუ რა მნიშვნელობა აქვს აქტიური მოქალაქის ზრუნვას დაკავებულის უფლებების დაცვაზე, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთ	მოსწავლეს არ აქვს არანაირი ცოდნა დაკავებულის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას ან/და საერთოდ აცდენილია	მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა დაკავებულის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. შეუძლია მხოლოდ მირანდას გაფრთხილების	მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა, თუ რა მნიშვნელობა აქვს აქტიური მოქალაქის ზრუნვას დაკავებულის უფლებების დაცვაზე, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან,	მოსწავლეს შეუძლია იმის გაანალიზება, თუ რა მნიშვნელობა აქვს აქტიური მოქალაქის ზრუნვას დაკავებულის უფლებების დაცვაზე, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო	მოსწავლეს შეუძლია იმის გააზრება, თუ რა მნიშვნელობა აქვს აქტიური მოქალაქის ზრუნვას დაკავებულის უფლებების დაცვაზე, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო

Don't Copy

ან, სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობაზე; თუ რა ლოკალური და გლობალური საფრთხეები შეიძლება მოჰყვეს თემის მაცხოვრებელთა გულგრილ დამოკიდებულებას მაშინ, როცა ირღვევა ადამიანის უფლებები;	მნიშვნელობას/აზრს.	დასახელება, მარტივი, ზედაპირული კავშირების დამყარება.	არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობაზე; ესმის საკითხის არსი, მაგრამ შედეგებთან მიმართებებს ვერ ამყარებს.	სტრუქტურებთან თანამშრომლობაზე; თუ რა ლოკალური და გლობალური საფრთხეები შეიძლება მოჰყვეს თემის მაცხოვრებელთა გულგრილ დამოკიდებულებას მაშინ, როცა ირღვევა ადამიანის უფლებები; აქვს იმის კომპეტენცია, რომ შეადაროს, დაამყაროსა მიმართებები, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორია, ახსნას საკითხი მიზეზებისა და შედეგების კუთხით.	სტრუქტურებთან თანამშრომლობაზე; თუ რა ლოკალური და გლობალური საფრთხეები შეიძლება მოჰყვეს თემის მაცხოვრებელთა გულგრილ დამოკიდებულებას მაშინ, როცა ირღვევა ადამიანის უფლებები; შეუძლია სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში.
მოსწავლემ შეძლოს ცნობიერების ამაღლება სამართლიანი	მოსწავლეს არ აქვს წარმოდგენა სამართლიანი სასამართლოსა	მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული წარმოდგენა	მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო	მოსწავლეს შეუძლია ცნობიერების ამაღლება სამართლიანი სასამართლოსა და	მოსწავლეს შეუძლია ცნობიერების ამაღლება სამართლიანი სასამართლოსა და

Don't Copy

სასამართლოსა და კანონის უზენაესობის შესახებ, ასევე, გაიაზროს, რომ სამოქალაქო მონაწილეობის დროს აუცილებელია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება და არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება	და კანონის უზენაესობის შესახებ.	სამართლიანი სასამართლოსა და კანონის უზენაესობის შესახებ.	ასოციაცია/წარმოდგ ენა სამართლიანი სასამართლოსა და კანონის უზენაესობის შესახებ, ასევე, იმის შესახებ, რომ სამოქალაქო მონაწილეობის დროს აუცილებელია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება და არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება. მას შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე.	კანონის უზენაესობის შესახებ, ასევე, გაიაზროს, რომ სამოქალაქო მონაწილეობის დროს აუცილებელია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება და არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება შეუძლია საკითხის შესახებ მიმართებების დამყარება, გააანალიზება, ახსნა მიზეზებისა და შედეგების კუთხით.	კანონის უზენაესობის შესახებ, ასევე, გაიაზროს, რომ სამოქალაქო მონაწილეობის დროს აუცილებელია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება და არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება მოსწავლეს შეუძლია საკითხის ირგვლივ დასკვნების გაკეთება, აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში.

Don't Copy

პროექტი N 4

პროექტის დასახელება:

მონაწილეობა სასკოლო სივრცის კეთილმოწყობაში

პროექტის ტიპი ინფრასტრუქტურული
პროექტის განხორციელების ვადები: პროექტის განხორციელება გათვლილია ერთ სემესტრზე (დაახლოებით 14-18 საათი); თითოეულ აქტივობას მითითებული აქვს განხორციელების სავარაუდო ვადა.
პროექტის სამიზნე ჯგუფი: X კლასის მოსწავლეები
კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ თემასთან/თემებთან: გარემოს დაცვა
პროექტის შესაბამისობა სამიზნე ცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან: საზოგადოება, დემოკრატია, სამოქალაქო მონაწილეობა, მდგრადი განვითარება
კავშირი XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციასთან: წიგნიერება, სამოქალაქო კომპეტენცია, ციფრული წიგნიერება

Don't Copy

I ეტაპი სფეროს (თემის დახასიათება), პრობლემების იდენტიფიცირება სფეროსთან მიმართებით
მოსწავლეთა აქტივობა: • მოსწავლეები ირჩევენ სასკოლო სივრცის კეთილმოწყობის თემას, რომელიც მნიშვნელოვნად ეჩვენებათ სასკოლო თემისთვის; • მოსწავლეები ეცნობიან შესაბამის ლიტერატურას შერჩეულ სფეროსთან დაკავშირებით; • მოსწავლეები აკეთებენ სიტუაციურ ანალიზს; საამისოდ ისინი არჩევენ შესაბამის წყაროებსა და კვლევის მეთოდებს. **ძირითადი რესურსები:** 1. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოვლა-პატრონობის სახელმძღვანელო, გვ. 11-13, 68 https://elibrary.emis.ge/uploads/other/131.pdf 2. როგორ მოვხატოთ სკოლის დერეფნები https://www.etaloni.ge/geo/main/index/17175 **დამხმარე რესურსები:** 3. სკოლა და თემი, სტატია ჟურნალ „მასწავლებელში“ http://mastsavlebeli.ge/?p=1747 4. სარეკრეაციო სივრცეების განვითარების სტანდარტი თანასწორუფლებრივი სარგებლობის უზრუნველსაყოფად თბილისის მუნიციპალიტეტი, გვ. 32, 34 https://tbilisi.gov.ge/img/original/2019/10/23/47.pdf **საკვანძო კითხვები:** • რა იგულისხმება სკოლის კეთილმოწყობაში? • რა როლი აქვს თანამშრომლობასა და ასერტულ ქცევას სასკოლო სივრცის კეთილმოწყობის საქმეში?

Don't Copy

- რამდენად გასათვალისწინებელია საზოგადოებრივი ინტერესები და მომავლის პერსპექტივები სკოლის კეთილმოწყობის ლოკალურ ქმედებებში?
- შენი აზრით, როგორ უნდა გაიაზროს მოსწავლემ სამოქალაქო მონაწილეობა ისე, რომ გაითვალისწინოს სხვა ადამიანთა ინტერესები?
- შენი აზრით, რამდენად უწყობს ხელს თანამშრომლობითი ურთიერთობები ადამიანის პიროვნულ განვითარებას და შესაბამისი განწყობა-დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას?
- როგორ უნდა შეძლოს აქტიურმა მოქალაქემ სკოლისათვის სასარგებლო საქმეში მოხალისეობრივი საქმიანობა ისე, რომ არ დაირღვეს ადამიანის კოლექტიური უფლებები და რამდენად ეფექტურია ასეთ დროს სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა?
- როგორ უნდა დაგეგმონ აქტიურმა მოქალაქეებმა თანამშრომლობა, რომ შედეგი ორიენტირებული იყოს სკოლის პრობლემების მოგვარებაზე?
- რატომ არის აუცილებელი საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინება სკოლის საერთო სივრცის კეთილმოსაწყობ ღონისძიებებში?
- რამდენად მნიშვნელოვანია სკოლის კეთილმოწყობის ლოკალურ ქმედებებში პასუხისმგებლობის გაცნობიერება, მომავლის პერსპექტივების გათვალისწინებით?

I ეტაპის შედეგად მოსწავლემ უნდა ჩამოაყალიბოს სიტუაციური ანალიზი

მოსწავლეთა განვითარებაში სკოლის როლი უმნიშვნელოვანესია. იგი ქმნის უნიკალურ გარემოს, სადაც ბავშვი თავისი ცხოვრების მნიშვნელოვან დროს ატარებს, ვითარდება, უყალიბდება ღირებულებათა სისტემა და სწავლისა და ცხოვრებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. ვინაიდან სკოლა საზოგადოების განუყოფელი ნაწილია, მასზე არსებითად აისახება საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები.

ჯონ დიუი აღნიშნავს, რომ სკოლა სოციალური ინსტიტუტია, ვინაიდან განათლება სოციალურ პროცესს წარმოადგენს. სკოლა საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმაა, სადაც ყველა ის საშუალება იყრის თავს, რომელიც ბავშვს ყველაზე ეფექტური გზებით შეაძლებინებს კაცობრიობის მიერ დანატოვარი რესურსის ათვისებას და საკუთარი ძალების საზოგადო მიზნებისთვის გამოყენების საშუალებას მისცემს. შესაბამისად, სასკოლო ცხოვრება მოზარდისთვის შინ, სამეზობლოსა თუ სათამაშო მოედანზე ცხოვრების ერთგვარი რეპეტიციაა. მოზარდის სრულფასოვან პიროვნებად და მოქალაქედ ჩამოყალიბებაში სკოლას გადამწყვეტი

Don't Copy

როლი აკისრია. საინტერესოა, რა როლს ასრულებს სკოლა თავის ირგვლივ არსებული გარემოსა და ადგილობრივი თემის განვითარებაში? სკოლას დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება და შეუძლია გავლენის მოხდენა თემში მიმდინარე პროცესებზე. სკოლა არის საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც კეთილმოწყობასა და მუდმივ მოვლა-პატრონობას საჭიროებს. სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობამ შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს სკოლის მოვლა-პატრონობის საქმეში. კერძოდ, მოსწავლეთა ნებაყოფლობითი გაერთიანებები და კლუბები შეიძლება გახდნენ სკოლის გარემოს გაუმჯობესების როგორც ინიციატორები, ასევე, ამ ინიციატივების განმახორციელებლები. მაგალითად, საქართველოს რამდენიმე სკოლაში მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები სკოლის ეზოს დასუფთავებასა და გამწვანებაში. არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანია ამ კუთხით სკოლის ვებბლოგის წარმოება და სხვა სკოლებთან ინფორმაციის გაცვლა.*

„საზოგადოების განწყობა საქართველოში"– კვლევა, აღნიშნული სახელწოდებით, ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა **(NDI)** 2018 წლის დეკემბერში ჩაატარა და გვიან გაასაჯაროვა. კვლევის მიზანი ისეთი პოლიტიკისა და მმართველობის ჩამოყალიბებაა, რომელიც მოსახლეობის საჭიროებებზე მეტად იქნება მორგებული. განათლების სფერო ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობისათვის ჯერ კიდევ არაა მნიშვნელოვანი. მეტიც, ის ვერც მნიშვნელოვანი საკითხების სამეულში ხვდება და ვერც ხუთეულში.

ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის **(NDI)** კვლევის მიხედვით, ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხებს შორის განათლება მერვე ადგილზეა სამუშაო ადგილების, სიღარიბის, ინფლაციის, ტერიტორიული მთლიანობის, პენსიების, ხელფასებისა და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების შემდეგ. მას გამოკითხულთა მხოლოდ 12% ასახელებს. ამავდროულად, მოსახლეობის 28 %-ის აზრით, განათლების სფერო არასწორი მიმართულებით ვითარდება; 30% მიიჩნევს, რომ საერთოდ არ იცვლება; 35% თვლის, რომ სწორი მიმართულებით მიდის; 7%-ს კი აღნიშნულ კითხვაზე პასუხი არ აქვს. სკოლების კეთილმოწყობა გამოკითხულთა საკმაოდ მცირე რაოდენობისათვის აღმოჩნდა ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხი. სკოლების კეთილმოწყობას მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოკითხულთა 5% მიიჩნევს საჭიროდ, ბაღებისას კი მხოლოდ 3 %.**

---

*„მოსწავლეთა თვითმმართველობის როლი სკოლის მოვლა-პატრონობაში", გვ.68

**„განათლება მოსახლეობისათვის მნიშვნელოვან საკითხებს შორის მერვე ადგილზეა", სტატია- https://edu.aris.ge/news/ganatleba-mosaxleobisatvis-mnishvnelovan-sakitxebs-shoris-merve-adgilzea.html

Don't Copy

კვლევითი მონაცემები ადასტურებს იმასაც, რომ მოსწავლეები ვერ აცნობიერებენ სკოლის კეთილმოწყობის საკითხს და ვერ გრძნობენ პასუხისმგებლობას. სკოლა უზრუნველყოფილია ღია და დახურული სპორტული მოედნებით, დიდი იზოლირებული ეზოთი, საბავშვო კუთხეებითა და სასკოლო-სასწავლო ლაბორატორიებით. სკოლის ფიზიკური გარემოს სანიტარული მდგომარეობა და სათანადო მოვლა-პატრონობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია იმ მრავალ ფაქტორს შორის, რომლებიც ქვეყანაში საშუალო განათლების წარმატებას განაპირობებს. საზოგადოების მრავალმხრივი განვითარების კვალდაკვალ, საგანმანათლებლო სფეროს ამ სექტორის მოთხოვნები დღითი დღე იზრდება. ***

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებელია მოსწავლეთა მიერ სკოლის, როგორც სამუშაო და სოციალური სივრცის, კეთილმოწყობისა და ამ მხრივ დაგეგმილ ღონისძიებებში საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობის გააზრება. სკოლის ადმინისტრაციამ ხელი უნდა შეუწყოს სკოლის კეთილმოწყობისკენ მიმართულ ღონისძიებებში მოსწავლეთა ინიციატივებს. ამ მხრივ ეფექტური იქნება თანამშრომლობა გარე ორგანიზაციებთან.

II ეტაპი

იდეები და შესაძლებლობები

მოსწავლეთა აქტივობა:

- მოსწავლეები გამოკვეთენ ფორმებს აქტივობებისთვის, აყალიბებენ აქტივობების იდეებს;
- მოსწავლეები ქმნიან მიზნების იერარქიას: აქტივობის მიზანი, პროექტის მიზანი;
- მოსწავლეები აყალიბებენ მოსალოდნელ შედეგებს: რა გავლენას მოახდენს პროექტი სასკოლო საზოგადოების განვითარებაზე, აანალიზებენ, თუ რა რესურსები სჭირდებათ დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად, რამდენად ხელმისაწვდომია ეს რესურსები;
- მოსწავლეები აყალიბებენ სამოქმედო გეგმას დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად.

***ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოვლა-პატრონობის სახელმძღვანელო https://elibrary.emis.ge/uploads/other/131.pdf

Don't Copy

საჭირო რესურსები:

პროექტების ანალოგიები სფეროსთან დაკავშირებით

იდეების ჩამოყალიბების პროცესში კარგი იქნება, თუ მოსწავლეები გაეცნობიან სკოლის კეთილმოწყობის თემაზე განხორციელებული პროექტების მაგალითებს. ქვემოთ იხილეთ იდეების ჩამონათვალი შესაბამისი ბმულებით განხორციელებული პროექტების მაგალითზე:

- თბილისის 192-ე საჯარო სკოლის პროექტი „ურბანული ბიომრავალფეროვნებისთვის მეგობრული სკვერების შექმნა სკოლის ეზოებში“ https://edu.aris.ge/pnews/skola-romelsac-saocari-skveri-aqvs-bavshvebma-moawyves-bagi-moxates-kedlebi-da-guliswydebat-rodesac-mat-gaketebuls-sxva-afuchebs.html
- „ბედნიერების ნაბიჯები“ ხიდისთავის საჯარო სკოლაში(ფოტოები) https://www.qartli.ge/ge/akhali-ambebi/article/13529--bednierebis-nabijebi-kedlis-nakhatebi-khidisthavis-sajaro-skolashi

II ეტაპის შედეგად მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ პროექტის სატიტულო ნაწილი: მიზანი, შედეგი, აქტივობა, სამოქმედო გეგმა

პროექტის მიზანი:

სკოლის, როგორც სამუშაო და სოციალური სივრცის, კეთილმოწყობის აუცილებლობის გაცნობიერება და ამ ღონისძიებებში საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობის გააზრება.

პროექტის ამოცანები:

1. მოსწავლემ შეძლოს სასკოლო სივრცის კეთილმოწყობის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში ასერტული ქცევისა და თანამშრომლობის მნიშვნელობის გააზრება, რაც ხელს შეუწყობს მის პიროვნულ განვითარებასა და შესაბამისი განწყობადამოკიდებულების ჩამოყალიბებას;

Don't Copy

2. მოსწავლემ შეძლოს სკოლის საერთო სივრცის კეთილმოწყობის მიზნით არაძალადობრივი მეთოდებით დაგეგმილ ლოკალურ ქმედებებში გათვალისწინებული იყოს საზოგადოებრივი ინტერესები, მომავლის პერსპექტივები, დაცული იყოს ადამიანის უფლებები;
3. მოსწავლემ შეძლოს სამოქალაქო მონაწილეობის მნიშვნელობის გაცნობიერება და სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობით მოხალისეობრივი საქმიანობით იზრუნოს სკოლის კეთილმოწყობაზე ისე, რომ გაითვალისწინოს სხვა ადამიანების ინტერესები;

მოსწავლეები აყალიბებენ მოსალოდნელ შედეგებს:

რა გავლენას მოახდენს პროექტი სასკოლო საზოგადოების განვითარებაზე?

პროექტის განხორციელების შედეგად გაიზრდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სკოლის კეთილმოწყობის საქმეში.

გამყარდება სასკოლო საზოგადოების კავშირი არა მხოლოდ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან (საგნობრივი კათედრები, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის ადმინისტრაცია, სასკოლო საზოგადოება), არამედ გარე ორგანიზაციებთან (მაგალითად, რაიონის გამგეობა).

მოსწავლეები შეძლებენ სამოქალაქო მონაწილეობის გაცნობიერებას, სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობით მოხალისეობრივი საქმიანობით სკოლის კეთილმოწყობაზე ზრუნვას ისე, რომ იმოქმედონ არაძალადობრივი მეთოდებით და გაითვალისწინონ სხვა ადამიანების ინტერესები. მოსწავლეები შეძლებენ სასკოლო სივრცის კეთილმოწყობის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში თანამშრომლობის დროს ასერტული ქცევის კონტროლს.

პროექტის განხორციელება გაუმჯობესებს საშუალო საფეხურის მოსწავლეთა პასუხისმგებლობას სკოლის კეთილმოწყობის საქმეში, გაფართოვდება საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ცოდნის დონე სკოლის კეთილმოწყობის მნიშვნელობაზე და მოსწავლები დაუახლოვდებიან ადგილობრივ თემს.

Don't Copy

პროექტის სამოქმედო გეგმა

ამოცანა 1

მოსწავლემ შეძლოს სასკოლო სივრცის კეთილმოწყობის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში ასერტული ქცევისა და თანამშრომლობის მნიშვნელობის გააზრება, რაც ხელს შეუწყობს მის პიროვნულ განვითარებასა და შესაბამისი განწყობადამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

ნაბიჯი 1

მოსწავლეების მიერ კითხვარის „როგორ შევცვალოთ სკოლის ინფრასტრუქტურა?“ შემუშავება, გამოკითხვის ჩატარება და შედეგების ანალიზი.

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: გამოკითხვის ჩატარება, რათა საჭიროებიდან გამომდინარე დაიგეგმოს ინტერვენციები სკოლის კეთილმოსაწყობად.

აქტივობის აღწერა:

- თვითმმართველობის ინიციატივით შემუშავდება კითხვარები, რომლებიც განკუთვნილი იქნება მოსწავლეების, მასწავლებლების, სკოლის ადმინისტრაციისა და მშობლებისთვის. მოსწავლეები კითხვარების შედგენისას გაითვალისწინებენ ასერტული ქცევის პრინციპებს;
- შემდეგ ჩაატარებენ გამოკითხვას;
- გაანალიზებენ შედეგებს.

Don't Copy

ხელი შეეწყობა თანამშრომლობითი ურთიერთობების განვითარებას. მონაცემების დამუშავებით მოსწავლეები გამოიმუშავებენ რაოდენობრივი წიგნიერების უნარებს.

საჭირო რესურსი:

კითხვარის შედგენის მეთოდოლოგია

https://bit.ly/3bdvEIT

აქტივობის შემსრულებელი – მოსწავლეთა თვითმმართველობა

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები, სასკოლო თემი, სკოლის ადმინისტრაცია

ნაბიჯი 2

სასკოლო თემის ინფორმირების მიზნით პრეზენტაციის მოწყობა სახელწოდებით „ვითანამშრომლოთ სკოლის კეთილმოწყობის საქმეში“.

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გაიაზრონ სასკოლო სივრცის კეთილმოწყობის ღონისძიებების თანამშრომლობით დაგეგმვის აუცილებლობა, რაც დადებითად აისახება ადამიანის პიროვნულ განვითარებასა და შესაბამისი განწყობა-დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე.

აქტივობის აღწერა:

Don't Copy

- მოსწავლეები მოიძიებენ და მოამზადებენ მასალებს პრეზენტაციისთვის;
- მოაწყობენ შეხვედრას და განიხილავენ პრეზენტაციის შინაარსობრივ მხარეს; შეთანხმდებიან, რომ პრეზენტაციაში საუბარი უნდა იყოს შემდეგ ძირითად საკითხებზე: ოჯახისა და სკოლის როლი მოსწავლის ცხოვრებაში, მონაწილეობის მნიშვნელობა სკოლის, როგორც სოციალური სივრცის მოწესრიგებაში, თანამშრომლობის აუცილებლობა სკოლის კეთილმოწყობაში;
- მოამზადებენ პრეზენტაციას;
- აუდიტორიას მოაწყობენ;
- ჩატარდება პრეზენტაცია;
- მოსწავლეები შედეგებს შეაჯამებენ.

ძირითადი რესურსები:

- ოჯახისა და სკოლის როლი ბავშვის ცხოვრებაში
  https://befriend.mes.gov.ge/article/?id=36
- სკოლა და თემი
  http://mastsavlebeli.ge/?p=1747

მეთოდური რესურსები:

- როგორ მოვამზადოთ პრეზენტაცია
  https://www.youtube.com/watch?v=tiJQYanfO1I
- „როგორ მოვემზადოთ კარგი პრეზენტაციისთვის“, სოფიკო ლობჟანიძის სტატია ჟურნალ „მასწავლებელში“-
  http://mastsavlebeli.ge/?p=278
- პრეზენტაცია-„განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება“, სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის, მარიანა ხუნძაყიშვილი, სარა ბივერი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2018 წ, გვ.155
  https://bit.ly/3rn4yDD

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

Don't Copy

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, სკოლის ადმინისტრაცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა

ამოცანა 2

მოსწავლემ შეძლოს სკოლის საერთო სივრცის კეთილმოწყობის მიზნით არაძალადობრივი მეთოდებით დაგეგმილ ლოკალურ ქმედებებში გათვალისწინებული იყოს საზოგადოებრივი ინტერესები, მომავლის პერსპექტივები, დაცული იყოს ადამიანის უფლებები.

ნაბიჯი 1

მოსწავლეთა ინფორმირების მიზნით, საინფორმაციო პლაკატების შექმნა თემაზე „კეთილმოწყობილი სკოლა წარმატების საწინდარია“.

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გაიაზრონ, რომ სკოლისათვის სასარგებლო საქმეში საჭიროა არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, რომ არ იქნას დარღვეული ადამიანის უფლებები; გააანალიზონ, რომ სკოლის კეთილმოწყობის მიზნით დაგეგმილ ლოკალურ ქმედებებში საჭიროა სხვათა ინტერესების გათვალისწინებაც, რათა უფრო ნათლად განისაზღვროს მომავლის პერსპექტივები.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები მოაწყობენ სამუშაო შეხვედრას პლაკატის შინაარსობრივი და ვიზუალური მხარის განსაზღვრის მიზნით; შეთანხმდნენ, რომ პლაკატზე უნდა ჩანდეს, როგორ მოირგონ აქტიური მოქალაქის როლი სკოლის კეთილმოწყობის საქმეში, იმოქმედონ არაძალადობრივი მეთოდებით, რომ არ დაირღვეს ადამიანის უფლებები;
- მოსწავლეები მოამზადებენ პლაკატებს და განათავსებენ სასკოლო სივრცეში;

Don't Copy

საჭირო რესურსები:

- ფლიფჩარტები, მარკერები;
- რჩევები პლაკატის შესაქმნელად: https://bit.ly/3D08sJf

აქტივობის შემსრულებელი – მოსწავლეთა თვითმმართველობა

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, სკოლის ადმინისტრაცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა

ნაბიჯი 2

სკოლის კეთილმოწყობის მიზნით მოსწავლეები დაგეგმავენ და განახორციელებენ აქციას დერეფნების კედლების მოსახატად;

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ სკოლის კეთილმოწყობისადმი მზრუნველობის უნარ-ჩვევა.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები მოაწყობენ შეხვედრას, რათა დაგეგმონ აქცია სახელწოდებით „განახლებული სამყარო“;
- სკოლის ადმინისტრაციისა და სამეურვეო საბჭოს მხარდაჭერით შეიძენენ საღებავებს;
- შექმნიან ესკიზებს;

Don't Copy

- დერეფნებს მოხატავენ. მოხატვისას ისინი გაითვალისწინებენ საზოგადოებრივ ინტერესებს, იმოქმედებენ არაძალადობრივი მეთოდებით და გაიაზრებენ, რამდენად მნიშვნელოვანია იმ სივრცის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა, სადაც უხდებათ ყოფნა.

რეკომენდაცია მასწავლებელს:

სკოლის კეთილმოწყობისკენ გამიზნული იდეები მოსწავლეებს უნდა დაებადოთ, მაგრამ შესაძლოა, მასწავლებლებმაც მიაწოდონ; კარგი იქნება, თუ მოსწავლეები შეარჩევენ ხალისიან ფერებს და საკუთარი იდეების ხორცშესხმას მოხატვით განახორციელებენ. შესაძლოა საკლასო ოთახების კედლების მოხატვა და გალამაზებაც.

საჭირო რესურსები:

- როგორ მოვიწყოთ კომფორტული სამუშაო სივრცე
  http://fortis.ge/2019/06/21/komfortuli-samusao-garemo/
- სარეკრეაციო სივრცეების განვითარების სტანდარტი თანასწორუფლებრივი სარგებლობის უზრუნველსაყოფად თბილისის მუნიციპალიტეტი
  https://tbilisi.gov.ge/img/original/2019/10/23/47.pdf

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ორი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, სკოლის ადმინისტრაცია, სამეურვეო საბჭო

ამოცანა 3

მოსწავლემ შეძლოს სამოქალაქო მონაწილეობის მნიშვნელობის გაცნობიერება და სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობით მოხალისეობრივი საქმიანობით იზრუნოს სკოლის კეთილმოწყობაზე ისე, რომ გაითვალისწინოს სხვა ადამიანების ინტერესები;

Don't Copy

ნაბიჯი 1

სასკოლო საზოგადოების ინფორმირების მიზნით ბუკლეტების დამზადება სკოლის კეთილმოწყობაზე და სასკოლო თემში გავრცელება.

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლემ შეძლოს სამოქალაქო მონაწილეობის მნიშვნელობის გააზრება, საკუთარი მონაწილეობის აუცილებლობის გააზრება სკოლის კეთილმოწყობის საქმეში, თემის ინფორმირებაში, რომლის დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს საზოგადოებრივი ინტერესები და მომავლის პერსპექტივები.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები მოაწყობენ სამუშაო შეხვედრას ბუკლეტის დიზაინისა და შინაარსობრივი საკითხების განსახილველად.
- ბუკლეტის შინაარსობრივ ნაწილში ხაზგასმული იქნება: სამოქალაქო მონაწილეობის, თითოეული მოსწავლის მონაწილეობის მნიშვნელობა სკოლის კეთილმოწყობის მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებში; საზოგადოებრივი ინტერესების და მომავლის პერსპექტივების გათვალისწინება სკოლის კეთილმოწყობის საქმეში.
- მოსწავლეები შექმნიან ბუკლეტებს;
- ბუკლეტებს გაავრცელებენ თემში.

საჭირო რესურსი:

როგორ შევქმნათ საინფორმაციო ბუკლეტი-
https://www.youtube.com/watch?v=sKLUDHXmXII;

აქტივობის შემსრულებელი – მოსწავლეთა თვითმმართველობა

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

Don't copy

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, სკოლის ადმინისტრაცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა.

ნაბიჯი 2

მოსწავლეები პასუხისმგებლობით მოეკიდებიან საერთო სივრცის კეთილმოწყობას. ამ მიზნით გადაწყვეტენ სკოლის ეზოს დასუფთავებასა და გამწვანებას მოსწავლეთა თვითმმართველობის, სამეურვეო საბჭოსა და მშობელთა ჩართულობით;

ასევე, სკოლის ადმინისტრაციის შუამდგომლობით მოსწავლეები თანამშრომლობენ რაიონის გამგეობასთან, რომ მწვანე ნარგავები იყოს მათთვის ხელმისაწვდომი, რათა გაალამაზონ სკოლა.

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გააცნობიერონ სამოქალაქო მონაწილეობის მნიშვნელობა, თანამშრომლობითა და მოხალისეობრივი საქმიანობით, სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინებით გამოხატონ სკოლის კეთილმოწყობაზე ზრუნვა.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები დაგეგმავენ სკოლის ეზოს დასუფთავებისა და გამწვანების აქციას;
- მოიმარაგებენ სამუშაო იარაღებსა და ნარგავებს;
- დაასუფთავებენ ეზოს;
- მიწას გააფხვიერებენ ნარგავებისთვის;
- შემდეგ კი მარადმწვანე ბუჩქებითა და ყვავილებით გაალამაზებენ სკოლის ეზოსა და სკვერს.

საჭირო რესურსები:

- მარადმწვანე ბუჩქები და ყვავილები;
- იარაღები სამუშაოსთვის: თოხი, ბარი, ფოცხი, სარწყავი ჭურჭელი;

Don't Copy

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ორი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები, სასკოლო თემი, სკოლის ადმინისტრაცია, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, რაიონის გამგეობა.

ნაბიჯი 3

მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით და სკოლის ადმინისტრაციისა და სამეურვეო საბჭოს მხარდაჭერით მოსწავლეთა მიერ შეიქმნება „მოაზროვნის სივრცე" – სპეციალური სივრცე, რომელსაც მოსწავლეები გამოიყენებენ დებატების მოსაწყობად, დისკუსიის გასამართად, ვიქტორინის ჩასატარებლად, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად, საპატიო სტუმრების მისაღებად და ა. შ.

რეკომენდაცია მასწავლებელს:
შესაძლოა ეს სივრცე სკოლის ეზოშიც იყოს ფანჩატურის სახით. მაგალითად, ღია სამკითხველო, სადისკუსიო სივრცე და ა. შ

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გაიაზრონ, თუ რა საჭიროა მოხალისეობრივი საქმიანობისა და სკოლის კეთილმოწყობაზე ზრუნვის დროს თანამშრომლობა და სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები ჩამოაყალიბებენ ინიციატივას ისე, რომ გათვალისწინებული იყოს სხვა ადამიანთა ინტერესები;
- გააცნობენ საკუთარ ინიციატივას სკოლის ადმინისტრაციას;

Don't Copy

- სამეურვეო საბჭო გამოყოფს თანხებს, რომ აუცილებელი ნივთები შეიძინონ (სკამები, მაგიდა/მაგიდები, მარკერის დაფა, საკანცელარიო ნივთები და ა. შ)
- მოსწავლეები მოაწყობენ სივრცეს;
- მოსწავლეები განხორციელებული ინიციატივის ამსახველ სურათებს სკოლის Facebook გვერდზე გამოაქვეყნებენ.

საჭირო რესურსები:

მასალები სივრცის მოსაწყობად, სკამები, მაგიდები, მარკერის დაფა, საკანცელარიო ნივთები და ა. შ.

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ორი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, სკოლის ადმინისტრაცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამეურვეო საბჭო.

ნაბიჯი 4

მოსწავლეების მიერ სასკოლო საზოგადოების განმეორებითი გამოკითხვის ჩატარება „რა შეიცვალა სკოლის ინფრასტრუქტურაში?“ და შედეგების ანალიზი;

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა დასკვნები გააკეთონ, როგორ განხორციელდა პროექტის მიზანი, რამ იმუშავა, რამ ვერა და, ასევე, შემდგომი ღონისძიებები დაგეგმონ; რა ინფორმაცია და ცოდნა არსებობს სასკოლო თემში სკოლის კეთილმოწყობის შესახებ.

Don't Copy

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები მოაწყობენ სამუშაო შეხვედრას, სადაც შეიმუშავებენ კითხვარებს;
- მოსწავლეები შეიმუშავებენ სხვადასხვა კითხვარს (მოსწავლისთვის, მშობლისთვის, მასწავლებლისთვის);
- ჩაატარებენ მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების გამოკითხვას;
- შედეგებს შეაჯამებენ;

საჭირო რესურსი:

კითხვარების შედგენის წესები https://bit.ly/3S2YTih

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები, სასკოლო თემი, სკოლის ადმინისტრაცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა

ინტერდისციპლინური აქტივობები:

ქართული ენა და ლიტერატურა:

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გაიაზრონ და სტატიაში ასახონ არაძალადობრივი მეთოდებით თანამშრომლობის მნიშვნელობა, გააცნობიერონ სასკოლო სივრცის კეთილმოწყობის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინება და შესაბამისი განწყობა-დამოკიდებულების ჩამოყალიბება.

Don't Copy

აქტივობის აღწერა:

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს სკოლაზე, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაზე, მოსწავლეთა აღზრდაში მის მნიშვნელობაზე. სთხოვს, გაიხსენონ აკაკი წერეთლის გიმნაზიაში გატარებული დღეები, თუ როგორ მოქმედებდა ადამიანის პიროვნულ განვითარებაზე აღზრდის წესი(აკაკი წერეთლის **„ჩემი თავგადასავალი“)** და ლუარსაბ თათქარიძის აზრი სკოლასა და სწავლაზე(ილია ჭავჭავაძის **„კაცია ადამიანი?!“).** სთხოვს, ასევე, პარალელი გაავლონ და მაგალითი მოიყვანონ უცხოური ლიტერატურიდან – ჯერომ სელინჯერის **„თამაში ჭვავის ყანაში“,** რომელშიც ჰოლდენ კოლფილდის დამოკიდებულება ჩანს სკოლებზე, რომ ის ვერცერთ სკოლას ვერ მოერგო.

დაავალებს მოსწავლეებს სტატიის დაწერას სახელწოდებით „რას წარმოადგენს სკოლა და რატომ უნდა ვიზრუნო მის კეთილმოწყობაზე?“

- მოსწავლეები გაიხსენებენ ტექსტებს;
- გააანალიზებენ, იმსჯელებენ პერსონაჟებზე ჯგუფებში;
- დაწერენ სტატიას, რომელშიც საკუთარ თვალსაზრისს არგუმენტებით გაამყარებენ; მოსწავლეებმა სტატიაში, სკოლის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისი კეთილმოწყობის საკითხიც უნდა განიხილონ, რადგან სკოლას დიდი გავლენა აქვს ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების საქმეში.
- მოსწავლეები სტატიებს გააცნობენ თანატოლებს;

ისტორია

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა შეისწავლონ სკოლების კეთილმოწყობის საკითხი წარსულში, შეადარონ ახლანდელს, გამოიტანონ დასკვნები, გააანალიზონ, როგორი იყო საზოგადოების ჩართულობა წინათ და ახლა, ფოტოკოლაჟში აჩვენონ ის განსხვავება, რომელიც დროის ცვლილებამ გამოიწვია.

აქტივობის აღწერა:

Don't copy

ისტორიის მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს სკოლის მისიაზე, მის კეთილმოწყობაზე, სახელოვან ტრადიციებზე წარსულში და ახლა. სთხოვს მოსწავლეებს, მოიძიონ ინფორმაცია ისტორიული წყაროებიდან, მიუთითებს, რომელ წყაროში უნდა მოიძიონ ინფორმაცია წარსულში არსებული სკოლების კეთილმოწყობაზე და დაავალებს, შექმნან ფოტოკოლაჟი **„სკოლები ისტორიულ წარსულში და ახლა“.** ფოტოკოლაჟში უნდა წარმოჩინდეს ის განსხვავება, რაც დროის ცვლილებამ გამოიწვია.

მაგალითისთვის აჩვენებს ქუთაისის გიმნაზიის სურათებს მე-19 და 21-ე საუკუნეებში. განუმარტავს, რომ 1830 წელს ქუთაისში დაარსდა სამაზრო სასწავლებელი, რომელიც 1850 წელს გიმნაზიად გადაკეთდა. მე-19 საუკუნის ბოლოსთვის ქუთაისის გიმნაზია ერთადერთი საშუალო სასწავლებელი იყო მთელ გუბერნიაში, რომლის მემკვიდრეც არის დღეს არსებული ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის N1 სკოლა. ეს ერთი და იგივე ნაგებობაა, სადაც სხვადასხვა დროს სწავლობდნენ ცნობილი ადამიანები: აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, დავით კაკაბაძე, ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო ქიაჩელი და სხვები.

სკოლა ბოლოს გარემონტდა 2008 წელს. მასწავლებელი აჩვენებს სკოლის ფოტოებს. მოსწავლეები აკვირდებიან სკოლის ადრინდელ და ახლანდელ ნაგებობას კეთილმოწყობის თვალსაზრისით, ადარებენ ერთმანეთს, გამოაქვთ დასკვნები, გააანალიზონ, როგორი იყო საზოგადოების ჩართულობა წინათ და ახლა.

პროდუქტის შექმნისას მოსწავლეები თანამშრომლობენ, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრებს და გაცნობიერებული აქვთ, რომ სასკოლო სივრცის კეთილმოწყობა მათთვის სასიამოვნოა, რადგან სკოლა მათი მეორე სახლია.

- მოსწავლეები მოიძიებენ ფოტოებსა და ინფორმაციებს წარსულში არსებული სკოლების შესახებ;
- მოაწყობენ სამუშაო შეხვედრას ფოტოკოლაჟის დიზაინის შემუშავებასთან დაკავშირებით;
- შექმნიან ფოტოკოლაჟს სახელწოდებით „სკოლები ისტორიულ წარსულში და ახლა“;
- კომპიუტერიის ლაბორატორიაში წარადგენენ ფოტოკოლაჟს;
- ფოტოკოლაჟს განათავსებენ სკოლის Facebook გვერდზე.

საჭირო რესურსები:

- სკოლები 20 წლის წინ და ახლა
  https://bit.ly/3SK6FNv
- სკოლების ჩამოყალიბების ისტორიიდან
  http://genia.ge/?p=25948

Do not copy

- რჩევები სტატიის დასაწერად: https://rogor.ge/article/1103-rogor-davcerot-kargi-statia/
- როგორ გავაკეთოთ ფოტოკოლაჟი: https://www.youtube.com/watch?v=fBqdyt-QUUc&t=47s

აქტივობის შემსრულებელი – საგნობრივი კათედრები

აქტივობის განხორციელების დრო – ორი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, საგნობრივი კათედრები, სკოლის ადმინისტრაცია

III ეტაპი
პროექტის განხორციელება

მოსწავლეთა აქტივობა:

პროექტის განხორციელების პროცესში მოსწავლეები ეძებენ გადაკვეთის წერტილებს და თანამშრომლობენ სასკოლო საზოგადოების წევრებთან:

- სკოლის სხვა მოსწავლეებთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან;
- სკოლის სხვა მასწავლებლებთან;
- სკოლის ადმინისტრაციასთან;
- გარე პარტნიორებთან;

მოსწავლეები წარადგენენ პროექტს სასკოლო საზოგადოების წინაშე.

საჭირო რესურსები:

ფუნქციურ-კომპონენტური უნარები და რესურსები, რომლებიც ამ უნარებს ავითარებს

ფუნქციურ-კომპონენტური უნარები:

Don't Copy

შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება, კრიტიკული აზროვნება.
ფუნქციურ-კომპონენტური უნარების შესახებ რესურსები, რომლებიც მოსწავლეებს ასწავლის, როგორ იურთიერთონ საზოგადოების წევრებთან გამოკვეთილ სფეროსთან მიმართებით:

- შემოქმედებითი აზროვნების შესახებ
  http://mastsavlebeli.ge/?p=16961
- პიროვნული უნარ-ჩვევები -კომუნიკაცია, კრიტიკული აზროვნება, ღირებულებები
  https://www.civiceducation.ge/ka/lessons/4-47
- კოლაბორაციული სწავლების თეორიული და პრაქტიკული საკითხები და "მსოფლიო კაფე"
  http://mastsavlebeli.ge/?p=2452
- მოქალაქე, მისი როლი და პასუხისმგებლობა
  https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-9
- პიროვნება და საზოგადოება(ხასიათი, ნება)
  https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-1
- როგორ განვავითაროთ კრიტიკული აზროვნება მოსწავლეებში?
  https://bit.ly/3rbDkzR
- კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების მიდგომების გამოყენება სწავლებაში
  http://mastsavlebeli.ge/?p=16208

III ეტაპის შედეგად მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ პროექტის შედეგები

პროექტის განხორციელების შედეგად გაიზარდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სკოლის კეთილმოწყობის საქმეში. მოსწავლეები თანამშრომლობდნენ არა მხოლოდ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან (საგნობრივი კათედრები, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის ადმინისტრაცია, სასკოლო საზოგადოება), არამედ გარე ორგანიზაციებთანაც (მაგალითად, რაიონის გამგეობა). რაიონის გამგეობის მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა აქვს და მომავალშიც უნდა გაგრძელდეს თანამშრომლობა.

მოსწავლეებმა გააცნობიერეს სამოქალაქო მონაწილეობის აუცილებლობა, ითანამშრომლეს სახელმწიფო სტრუქტურებთან, სკოლის კეთილმოწყობაზე იზრუნეს მოხალისეობრივი საქმიანობით, არაძალადობრივი მეთოდებით და გაითვალისწინეს სხვა

Don't Copy

ადამიანების ინტერესები. მოსწავლეებმა შეძლეს სასკოლო სივრცის კეთილმოწყობის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში თანამშრომლობის დროს ასერტული ქცევის კონტროლი.

პროექტის განხორციელებამ გაუმჯობესა საშუალო საფეხურის მოსწავლეთა პასუხისმგებლობა და ცოდნის დონე სკოლის კეთილმოწყობის საქმეში;

IV ეტაპი

მდგრადობა და მომავლის გეგმები

მოსწავლეთა აქტივობა:

მოსწავლეები სასკოლო საზოგადოების წევრებთან ერთად აფასებენ პროექტის შედეგებს და გეგმავენ, რა არის საჭირო მდგრადობის უზრუნველყოფისთვის.

საჭირო რესურსები:

პროექტის მდგრადობის უზრუნველყოფის გეგმის შემუშავება

პროექტის განხორციელების შედეგად სასკოლო საზოგადოებაში სკოლის კეთილმოწყობისა და მონაწილეობის აუცილებლობის შესახებ ცნობიერება ამაღლდა, გაიზარდა ჩართულობა. ამ მხრივ უნდა გაგრძელდეს მუშაობა პროექტის დასრულების შემდეგაც, რადგანაც სკოლის კეთილმოწყობა მეტად აქტუალური საკითხია. სასკოლო საზოგადოებამ ინტენსიურად უნდა ითანამშრომლოს სახელმწიფო სტრუქტურებთან და გარე ორგანიზაციებთან, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება პრობლემის გადაჭრის გზაზე. საბოლოო ჯამში, ეს პროექტი გახდება სასკოლო კურიკულუმის ნაწილი, რაც განაპირობებს მის მდგრადობას.

IV ეტაპის შედეგად სასკოლო სასწავლო გეგმაში გაჩნდება ჩანაწერი, რომელიც იქნება მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტის მდგრადობის გარანტი.
იქმნება მონიტორინგის ჯგუფი(მოსწავლე/მასწავლებელი/მშობელი). მოსწავლეები სასკოლო საზოგადოების წევრებთან ერთად აფასებენ პროექტის შედეგებს სოლო ტაქსონომიის დონეებით, რომელთაც აქვთ განმავითარებელი ხასიათი(შეფასების რუბრიკა იხილე დანართი **N 1).** პროექტის განხორციელების შედეგად გაიზრდება საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ცოდნის დონე ამ თვალსაზრისით.

Don't Copy

დანართი N 1

მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტის შეფასების რუბრიკა

შეფასების კრიტერიუმები	**პრესტრუქტურული**	**უნისტრუქტურული**	**მულტისტრუქტურული**	**მიმართებითი**	**აბსტრაქტული**
მოსწავლემ შეძლოს სასკოლო სივრცის კეთილმოწყობის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში ასერტული ქცევისა და თანამშრომლობის მნიშვნელობის გააზრება, რაც ხელს შეუწყობს მის პიროვნულ განვითარებასა და შესაბამისი განწყობადამოკიდებულების ჩამოყალიბებას	მოსწავლეს არ აქვს რელევანტური ინფორმაცია სკოლის კეთილმოწყობას თან დაკავშირებით.	მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტური რებული ასოციაცია/წარმ ოდგენა სკოლის კეთილმოწყობას თან დაკავშირებით. შეუძლია მხოლოდ საკითხის დასახელება.	მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმ ოდგ ენა საკითხთან დაკავშირებით. მას არ შეუძლია ერთმანეთთან დააკავშიროს სასკოლო სივრცის კეთილმოწყობის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში ასერტული ქცევისა და თანამშრომლობის მნიშვნელობა.	მოსწავლეს შეუძლია სასკოლო სივრცის კეთილმოწყობის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში ასერტული ქცევისა და თანამშრომლობის მნიშვნელობის გააზრება, რაც ხელს შეუწყობს მის პიროვნულ განვითარებასა და შესაბამისი განწყობადამოკიდებულების ჩამოყალიბებას. შეუძლია საკითხის ახსნა, ანალიზი, ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ	მოსწავლეს შეუძლია სასკოლო სივრცის კეთილმოწყობის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში ასერტული ქცევისა და თანამშრომლობის მნიშვნელობის გააზრება, რაც ხელს შეუწყობს მის პიროვნულ განვითარებასა და შესაბამისი განწყობადამოკიდებულების ჩამოყალიბებას. მას შეუძლია სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში.

Do not copy

				არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	
მოსწავლემ შეძლოს სკოლის საერთო სივრცის კეთილმოწყობის მიზნით არაძალადობრივი მეთოდებით დაგეგმილ ლოკალურ ქმედებებში გათვალისწინებული იყოს საზოგადოებრივი ინტერესები, მომავლის პერსპექტივები, დაცული იყოს ადამიანის უფლებები	მოსწავლეს არ აქვს არანაირი ცოდნა და გამოცდილება გარკვეული სკოლის საერთო სივრცის კეთილმოწყობა ზე, იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას ან/და საერთოდ აცდენილია მნიშვნელობას /ა ზრს.	მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტური რებული ასოციაცია/წარმ ოდგენა სკოლის კეთილმოწყობის მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებ ზე შეუძლია მხოლოდ საკითხის დასახელება, მარტივი, ზედაპირული კავშირების დამყარება.	მოსწავლეს შეუძლია აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგ ენა სკოლის კეთილმოწყობაში აქტიური მოქალაქის როლზე. ესმის საკითხის არსი, მაგრამ მიმართებებს ვერ ამყარებს სკოლის კეთილმოწყობის მიზნით დაგეგმილ ლოკალურ ქმედებებსა და მომავლის პერსპექტივებს შორის.	მოსწავლეს შეუძლია სკოლის საერთო სივრცის კეთილმოწყობის მიზნით არაძალადობრივი მეთოდებით დაგეგმილ ლოკალურ ქმედებებში გათვალისწინებული იყოს საზოგადოებრივი ინტერესები, მომავლის პერსპექტივები, დაცული იყოს ადამიანის უფლებები. შეუძლია საკითხის ახსნა მიზეზებისა და შედეგების კუთხით.	მოსწავლეს შეუძლია სკოლის საერთო სივრცის კეთილმოწყობის მიზნით არაძალადობრივი მეთოდებით დაგეგმილ ლოკალურ ქმედებებში გათვალისწინებული იყოს საზოგადოებრივი ინტერესები, მომავლის პერსპექტივები, დაცული იყოს ადამიანის უფლებები. მას შეუძლია საკითხის ირგვლივ ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკა.

Do not copy

მოსწავლემ შეძლოს სამოქალაქო მონაწილეობის მნიშვნელობის გაცნობიერება და სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობით მოხალისეობრივი საქმიანობით იზრუნოს სკოლის კეთილმოწყობაზე ისე, რომ გაითვალისწინოს სხვა ადამიანების ინტერესები	მოსწავლეს არ აქვს წარმოდგენა სკოლის საერთო სივრცის კეთილმოწყობის მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებში საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობზე.	მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტური რებული წარმოდგენა სკოლის საერთო სივრცის კეთილმოწყობის მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებში საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობაზე.	მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგ ენა სკოლის კეთილმოწყობის მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებში საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებაზე.	მოსწავლეს შეუძლია სამოქალაქო მონაწილეობის მნიშვნელობის გაცნობიერება და სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობით მოხალისეობრივი საქმიანობით იზრუნოს სკოლის კეთილმოწყობაზე ისე, რომ გაითვალისწინოს სხვა ადამიანების ინტერესები. აქვს იმის კომპეტენცია, რომ საკითხი გაიაზროს, დაამყაროსა მიმართებები, გააანალიზოს. შეუძლია ურთიერთმიმართებები ს დანახვა საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობასა და პროექტის მიზნის მიღწევის საქმეში.	მოსწავლეს შეუძლია სამოქალაქო მონაწილეობის მნიშვნელობის გაცნობიერება და სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობით მოხალისეობრივი საქმიანობით იზრუნოს სკოლის კეთილმოწყობაზე ისე, რომ გაითვალისწინოს სხვა ადამიანების ინტერესები. პროექტის მიზნის შესასრულებელ აქტივობას უკავშირებს პირად გამოცდილებას.

Don't copy

პროექტი N5

პროექტის დასახელება:

გაიგე მეტი ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობის ფორმების შესახებ

პროექტის ტიპი ინფორმირება
პროექტის განხორციელების ვადები: პროექტის განხორციელება გათვლილია ერთ სემესტრზე (დაახლოებით 14-18 საათი); თითოეულ აქტივობას მითითებული აქვს განხორციელების სავარაუდო ვადა.
პროექტის სამიზნე ჯგუფი: X კლასის მოსწავლეები
კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ თემასთან/თემებთან: ადამიანის უფლებები
პროექტის შესაბამისობა სამიზნე ცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან: საზოგადოება, დემოკრატია, სამოქალაქო მონაწილეობა, მდგრადი განვითარება
კავშირი XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციასთან: წიგნიერება, სამოქალაქო კომპეტენცია, ციფრული წიგნიერება

Don't Copy

I ეტაპი

სფეროს (თემის დახასიათება), პრობლემების იდენტიფიცირება სფეროსთან მიმართებით

მოსწავლეთა აქტივობა:

- მოსწავლეები ირჩევენ ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობის თემას, რომელიც მნიშვნელოვნად ეჩვენებათ სასკოლო თემისთვის;
- მოსწავლეები ეცნობიან შესაბამის ლიტერატურას შერჩეულ სფეროსთან დაკავშირებით;
- მოსწავლეები აკეთებენ სიტუაციურ ანალიზს; საამისოდ ისინი არჩევენ შესაბამის წყაროებსა და კვლევის მეთოდებს.

ძირითადი რესურსები:

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების შეფასება საქართველოში", დემოკრატიისა და ადგილობრივი მმართველობის გაძლიერება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, ევროსაბჭო, 2017 წ; გვ.12-21
   https://bit.ly/3S9tzNw

2. „მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში", მონიტორინგი და რეკომენდაციები, გვ. 54-59, 94-97, 134-139 https://bit.ly/3vIFwS6

დამატებითი რესურსები:

3. ვიდეორესურსი „აქტიური მოქალაქეობა და სამოქალაქო საზოგადოება"
   https://www.facebook.com/kentseroofficial/videos/157203249752958
4. „ადგილობრივი თვითმმართველობა", ნ. ჭიაბრიშვილი, შ. მეკრავიშვილი, რ. ბაინდურაშვილი, 2019 წ
   https://bit.ly/3fXhJZz
5. პეტიცია https://ichange.gov.ge/
6. „ოქსფორდში 111 წლის პეტიცია აღმოაჩინეს - 3000 ქართველი რუსული ანექსიის წინააღმდეგ"
   https://ajaratv.ge/article/29667

Don't Copy

საკვანძო კითხვები:

- რა არის ადგილობრივი თვითმმართველობა?
- რა გავლენას ახდენს სამოქალაქო მონაწილეობა ადამიანის პიროვნულ განვითარებაზე?
- რატომ არის აუცილებელი მონაწილეობის დროს ასერტულობის დაცვა და არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება?
- რამდენად დაცულია დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპები მოქალაქეების თვითმმართველობაში მონაწილეობის დროს?
- შენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი პრობლემის მოგვარების დროს მოქალაქეების თანამშრომლობა ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან?
- შენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია აქტიური მოქალაქეების მიერ სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება ადგილობრივ თემზე/მუნიციპალიტეტზე ზრუნვისკენ მიმართული ღონისძიებების დროს?
- რატომ არის მნიშვნელოვანი დემოკრატიულ საზოგადოებაში აქტიური მოქალაქეების მონაწილეობა(მოხალისეობა, ადვოკატირება, ლობირება) ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში?
- რატომ არის აუცილებელი სამოქალაქო მონაწილეობის დროს აქტიური მოქალაქეები თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან, სახელმწიფო და სხვა სტრუქტურებთან და რამდენად დაცულია არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება?
- რამდენად მნიშვნელოვანია ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობის დროს საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება?
- შენი აზრით, რა გლობალური და ლოკალური საფრთხეები შეიძლება მოჰყვეს თემის მაცხოვრებელთა გულგრილ დამოკიდებულებას პრობლემების შემთხვევაში და რამდენად მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ინიციატივა თვითმმართველობაში მონაწილეობის დროს? პასუხი დაასაბუთე;

I ეტაპის შედეგად მოსწავლემ უნდა ჩამოაყალიბოს სიტუაციური ანალიზი

ადგილობრივი ხელისუფლება გულისხმობს რომელიმე რაიონის, მუნიციპალიტეტის ფარგლებში ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები საქართველოში თვითმმართველობის სახით არსებობს და მას მუნიციპალიტეტებში და დიდ ქალაქებში თვითმმართველობის ორგანოები-საკრებულოები და გამგეობები/მერიები ახორციელებენ. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ფუნქციებში შედის ადგილობრივი მნიშვნელობის გზების გაყვანა და კეთილმოწყობა, კომუნალური მომსახურების მოწესრიგება და ა. შ.

თვითმმართველობა ხორციელდება არა სახელმწიფო მოხელეების, არამედ მოსახლეობის, ხალხის მიერ არჩეული თვითმმართველობის ორგანოების მიერ.

თვითმმართველობა დამყარებულია მოქალაქეთა ინიციატივაზე, მოაგვარონ თავიანთი ქალაქისა და სოფლის პრობლემები. ადგილობრივი თვითმმართველობა გულისხმობს საკითხების გადაწყვეტას მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით. ამისთვის აუცილებელია მოსახლეობის ინფორმირება და ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. *

ყველა მოქალაქეს აქვს უფლება, მიიღოს ინფორმაცია თვითმმართელობის ორგანოების საქმიანობის შესახებ, წინასწარი ნებართვის გარეშე დაესწროს საკრებულოს ღია სხდომას(დასვას კითხვა, გააკეთოს განცხადება და ა. შ), წერილობით მიმართოს საკრებულოს, წერილობითი ფორმით შედგენილ პროექტს ხელს უნდა აწერდეს მოსახლეობის არანაკლებ 1 %. პროექტს უნდა ჰქონდეს დასაბუთება. საკრებულო ვალდებულია, პროექტი განიხილოს 1 თვის განმავლობაში. ასევე, ყველა მოქალაქეს უფლება აქვს, გაეცნოს ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტს, შეაფასოს თვითმმართველობის ორგანოების ანგარიშები და ა. შ.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებს წარმოადგენს: დასახლების საერთო კრება, პეტიცია, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა, მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა და საბიუჯეტო პროცესებში მონაწილეობა.**

ბოლო პერიოდის ყველაზე მასშტაბური კვლევა "საზოგადოებრივი მომსახურებით საქართველოს მოსახლეობის კმაყოფილების კვლევა", რომელიც ქართულმა კვლევითმა ორგანიზაციამ - ეისითიმ (ACT) გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის ოფისისა (SCO) და ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADC) დაკვეთით ჩაატარა.

მოქალაქეებისთვის ყველაზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჯარო მმართველობის ისეთი ფორმა, როგორიცაა ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოები. კვლევის შედეგებით ირკვევა, რომ ამ ორგანოებისადმი მოქალაქეთა მიმართვიანობა მცირდება (2013 - 20%, 2015 - 18%, 2017 - 16%). ამავე დროს, გამოკითხულთა 90%-ს საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა რაიმე სახის სამოქალაქო აქტივობაში.

---

*„ადგილობრივი თვითმმართველობა“-დ. ლოსაბერიძე, კ. კანდელაკი, მ. აბულაძე, ო. კონჯარია
https://bit.ly/3PPjuVJ
**ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=62

Don't copy

მსგავსი შედეგები ნაჩვენებია ასევე ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურ და მასშტაბურ კვლევაში თვითმმართველობის ინდექსი, რომელიც შემუშავდა პროექტის: ღია და ანგარიშვალდებული თვითმმართველობებისათვის - მუნიციპალიტეტებში გამჭირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის ეროვნული შეფასება ფარგლებში და რომელსაც ახორციელებენ კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) და მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრი (MSDC), ფონდ ღია საზოგადოება – საქართველოს (OSGF) ფინანსური მხარდაჭერით. კვლევის მიხედვით, "საბიუჯეტო დაგეგმვის პროცესში მუნიციპალიტეტების აბსოლუტური უმრავლესობა არ ითვალისწინებს მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდამჭერ პროგრამებს". თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობისა და ანგარიშვალდებულების საერთო მაჩვენებელი 2019 წელს, 2017 წლის შედეგებთან შედარებით, მაქსიმუმ 5%-ით გაიზარდა, რაც ზრდის საკმაოდ დაბალ დინამიკას წარმოადგენს.***

მონაწილეობა ძალიან წარმატებულია, როდესაც მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა– რაც გულისხმობს რესურსების, ცოდნისა და უნარ-ჩვევების არსებობას მონაწილეობის მისაღებად; აქვთ სურვილი – რაც გულისხმობს ერთგვარი მიჯაჭვულობის და კუთვნილების გრძნობას, რაც აძლიერებს მონაწილეობას აქვთ უფლებამოსილება – რაც გულისხმობს, რომ აქვთ შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა ეძახიან – რაც გულისხმობს, რომ მათ რთავს პროცესში ხელისუფლება ან მოხალისეობრივი ჯგუფები პასუხობენ – რაც გულისხმობს, რომ მათ შეუძლიათ იხილონ დადასტურება იმისა, რომ მათი მოსაზრებები ასახულია შესაბამის გადაწყვეტილებებში.****

***„ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის თანამედროვე გამოწვევები“, პოლიტიკის დოკუმენტი, 2020 წ, გვ.4
https://eecmd.org/wp-content/uploads/2020/12/Policy-Paper_Citizens-engagement-_LSG-web.pdf

****„ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის არსებული მექანიზმების შეფასება საქართველოში“, ევროსაბჭო, 2017 წ, გვ 30
https://rm.coe.int/1680784818

Don't Copy

სტატისტიკური მონაცემები საქართველოში არსებული მუნიციპალიტეტიდან, დებულება დასახლების საერთო კრების ჩატარების შესახებ დამტკიცებული აქვს 63 მუნიციპალიტეტს. გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის ივლისის თვიდან დღემდე, რამდენიმე მუნიციპალიტეტმა მოახერხა საერთო კრების ჩატარება, ხოლო პეტიციის სახით მთელს საქართველოში 2015 წლიდან დღემდე სულ დარეგისტრირდა 75 პეტიცია. რაოდენობრივად ყველაზე მეტი რაოდენობის დასახლების საერთო კრება ჩატარდა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში – სულ 466 კრება, ხოლო ყველაზე მეტი პეტიცია დარეგისტრირებულ იქნა ხულოსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში.*****

როგორც კვლევები ადასტურებს, საზოგადოება ნაკლებადაა ინფორმირებული ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობის ფორმების შესახებ და ამიტომ არ/ნაკლებად თანამშრომლობს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სკოლებში საჭიროა მოსწავლეებისთვის ინფორმაციის მიწოდება ამ თვალსაზრისით, ასევე, სასკოლო საზოგადოებისა (მოსწავლეები, მასწავლებლები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო, სკოლის ადმინისტრაცია) და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინტენსიური თანამშრომლობა. მოსწავლეებმა უნდა დაგეგმონ ის ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობის ფორმების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, პასუხისმგებლობის გათავისებასა და საკუთარი მონაწილეობის აუცილებლობის გაცნობიერებას ადგილობრივ თემში წარმოქმნილი პრობლემის გადაჭრის გზაზე.

II ეტაპი

იდეები და შესაძლებლობები

მოსწავლეთა აქტივობა:

- მოსწავლეები გამოკვეთენ ფორმებს აქტივობებისთვის, აყალიბებენ აქტივობების იდეებს;
- მოსწავლეები ქმნიან მიზნების იერარქიას: აქტივობის მიზანი, პროექტის მიზანი;
- მოსწავლეები აყალიბებენ მოსალოდნელ შედეგებს: რა გავლენას მოახდენს პროექტი სასკოლო საზოგადოების განვითარებაზე, აანალიზებენ, თუ რა რესურსები სჭირდებათ დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად, რამდენად ხელმისაწვდომია ეს რესურსები;
- მოსწავლეები აყალიბებენ სამოქმედო გეგმას დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად.

*****„ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის არსებული მექანიზმების შეფასება საქართველოში“, ევროსაბჭო, 2017 წ, გვ 21
https://rm.coe.int/1680784818

საჭირო რესურსები:

პროექტების ანალოგიები სფეროსთან დაკავშირებით

მოსწავლეები ჩამოაყალიბებენ იდეებს პროექტის შესახებ.

შეიძლება მოიფიქრონ ასეთი პროექტი „მოქალაქეთა ინიციატივა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოწესრიგებასა და კეთილმოწყობაზე“; მოსწავლეები შეისწავლიან პრობლემას, რომ გზები სახიფათოა ფეხით მოსიარულეებისთვის და ავტომობილით გადაადგილების დროსაც. წვიმიან ამინდში ტალახია და მოქალაქეები უკმაყოფილო არიან. ამიტომ ადგილობრივ თვითმმართველობას მიმართავენ პეტიციით. შეიძლება იყოს სხვა პრობლემაც, მაგალითად, სპორტული მოედნების ან სკვერების კეთილმოწყობის საკითხი.
მოსწავლემ უნდა გაიაზროს, რომ მოქალაქეთა ინიციატივასა და მონაწილეობას ადგილობრივ თვითმმართველობაში დიდი მნიშვნელობა აქვს პრობლემის გადაჭრის გზაზე.

II ეტაპის შედეგად მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ პროექტის სატიტულო ნაწილი: მიზანი, შედეგი, აქტივობა, სამოქმედო გეგმა

პროექტის მიზანი:

ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების შესახებ ცნობიერების ამაღლება და საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობის გააზრება

პროექტის ამოცანები:

1. მოსწავლემ შეძლოს აქტიური მოქალაქეობის, სამოქალაქო საზოგადოების, ადამიანის პიროვნული განვითარებისა და თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების შესახებ ცნობიერების ამაღლება და ასერტულობის დაცვით არაძალადობრივი მეთოდებით საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობის გააზრება ამ მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებში;

Don't Copy

2. მოსწავლემ შეძლოს გააზრება, როგორ იცავს საქართველოს კონსტიტუცია ადამიანის უფლებებს და მოქალაქეებისთვის თვითმმართველობაში მონაწილეობის დროს რამდენად დაცულია დემოკრატიის პრინციპები;

3. მოსწავლემ შეძლოს აქტიური მოქალაქეების თვითმმართველომაში მონაწილეობის გაცნობიერება და ადგილობრივ თემზე/მუნიციპალიტეტზე ზრუნვისკენ მიმართული ლოკალური ქმედებების დროს სხვა ადამიანების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივების გათვალისწინება;

4. მოსწავლემ შეძლოს იმის გააზრება, რომ საზოგადოებრივი პრობლემის მოგვარების მიზნით აქტიური მოქალაქე უნდა თანამშრომლობდეს სახელმწიფო სტრუქტურებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ა.შ.

მოსწავლეები აყალიბებენ მოსალოდნელ შედეგებს:

რა გავლენას მოახდენს პროექტი სასკოლო საზოგადოების განვითარებაზე?

პროექტის განხორციელების შედეგად სასკოლო საზოგადოების ჩართულობა გაიზრდება. გამყარდება კავშირი არა მხოლოდ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან, არამედ გარე ორგანიზაციებთან.
პროექტის განხორციელებით გაფართოვდება საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ცოდნის დონე ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობის ფორმებისა და საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ.
მოსწავლეები გაიაზრებენ თვითმმართველობაში მონაწილეობის დროს დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობას, გააცნობიერებენ აქტიური მოქალაქის როლს ადგილობრივ თემზე/მუნიციპალიტეტზე ზრუნვის საქმეში; გააანალიზებენ, რომ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებისას თანამშრომლობის დროს აქტიურმა მოქალაქემ ლოკალურ ქმედებაში უნდა გაითვალისწინოს სხვა ადამიანთა ინტერესები და მომავლის პერსპექტივები. პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს სასკოლო თემის ჩართულობას სოციალურ აქტივობებში.

პროექტის სამოქმედო გეგმა

ამოცანა 1

მოსწავლემ შეძლოს აქტიური მოქალაქეობის, სამოქალაქო საზოგადოების, ადამიანის პიროვნული განვითარებისა და თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების შესახებ ცნობიერების ამაღლება და ასერტულობის დაცვით

Demo copy

არაძალადობრივი მეთოდებით საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობის გააზრება ამ მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებში;

ნაბიჯი 1

მოსწავლეები ჩაატარებენ გამოკითხვას „რა ვიცი ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობის ფორმების შესახებ?“

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: შემოწმდეს, რა ინფორმაციას ფლობენ საშუალო საფეხურის მოსწავლეები ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობის ფორმების შესახებ, რაც დაეხმარება მათ შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვაში.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები შეიმუშავებენ კითხვარს. კითხვარის შედგენისას ითვალისწინებენ ასერტული ქცევის პრინციპებს;
- ჩაატარებენ გამოკითხვას;
- შედეგებს გააანალიზებენ. მონაცემების დამუშავებით ხელი შეეწყობა რაოდენობრივი წიგნიერების უნარებისა და თანამშრომლობითი ურთიერთობების განვითარებას.

რეკომენდაცია მასწავლებელს:

როცა ამოცანის მიზანია ცნობიერების ამაღლება, კარგი იქნება, თუ პირველი და ბოლო ნაბიჯები გამოკითხვას დაეთმობა. ეს პროექტის შედეგის გაზომვის საუკეთესო გზა იქნება.

საჭირო რესურსები:

- „ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის არსებული მექანიზმების შეფასება საქართველოში“, ევროსაბჭო, 2017 წ
  https://rm.coe.int/1680784818

Don't Copy

- „მე და სახელმწიფო – თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები და მნიშვნელობა“, 2017 წ; https://bit.ly/3775RQm
- კითხვარების შედგენის წესები https://bit.ly/3S2YTih

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა
თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა

ნაბიჯი 2

ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჩატარდება პრეზენტაცია სახელწოდებით „ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები“.

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების შესახებ და არაძალადობრივი მეთოდებით საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობის გააზრება.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები მოიძიებენ მასალებს და დაამუშავებენ;
- პრეზენტაციას მოაწყობენ;
- შედეგებს გააანალიზებენ;
- შედეგებს გამოსახავენ კოგნიტური სქემით (საჭირო რესურსებში იხილე კოგნიტური სქემა); ეს დაეხმარება მოსწავლეებს, ნაწილისა და მთელის, კონცეპტისა და დეტალების ურთიერთმიმართებების დადგენასა და ვიზუალურად დანახვაში, რაც უვითარებს მათ კრიტიკული აზროვნებისა და სემიოტიკური კომპეტენციის უნარებს.

Don't Copy

მეთოდური რესურსები:

- რჩევები ეფექტური პრეზენტაციის გასაკეთებლად https://www.youtube.com/watch?v=cQwNyuelJNY&t=285s
- „როგორ მოვემზადოთ კარგი პრეზენტაციისთვის“, სოფიკო ლობჟანიძის სტატია ჟურნალ „მასწავლებელში“ http://mastsavlebeli.ge/?p=278
- პრეზენტაცია-„განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება“, სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის, მარიანა ხუნძაყიშვილი, სარა ბივერი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2018 წ, გვ.155 https://bit.ly/3rn4yDD
- კოგნიტური სქემა



აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი
აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა
თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის ადმინისტრაცია

Don't Copy

ნაბიჯი 3

მოსწავლეები გამართავენ დისკუსიას თემაზე „მოქალაქე და ადგილობრივი თვითმმართველობა“;

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ სამოქალაქო აქტივიზმისა და ადგილობრივ თვითმმართველობაში საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობის გააზრება დაგეგმილ ღონისძიებებში, გაიაზრონ ასერტული ქცევის მნიშვნელობა და მისი გავლენა პიროვნების განვითარებაზე; მოსწავლეებმა შეძლონ ტოლერანტობისა და გამჭვირვალობის გაანალიზება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობის დროს.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები მოამზადებენ სადისკუსიო საკითხს „მოქალაქე და ადგილობრივი თვითმმართველობა“; დისკუსიის წინ მოსწავლეები კარგად უნდა იცნობდნენ საკითხს, რომ არ გაუჭირდეთ არგუმენტირებული მოსაზრებების გამოთქმა. ამიტომ წინასწარ დაამუშავებენ მასალებს საკითხის ასათვისებლად;
- გამართავენ დისკუსიას აკვარიუმის მეთოდით. დისკუსია ხელს შეუწყობს აქტიური მოსმენის, საკუთარი აზრის არგუმენტებით დასაბუთების, სხვისი აზრის მოსმენისა და გათვალისწინების, კომუნიკაციის უნარების განვითარებას.
- შემდეგ კი შედეგებს გააანალიზებენ.

ძირითადი რესურსი:

- მასალა დისკუსიისთვის: „ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთ ჩართულობის არსებული მექანიზმების შეფასება საქართველოში“, 2017, გვ. 21, 28 https://rm.coe.int/1680784818

მეთოდური რესურსები:

Don't copy

- დისკუსიის წესები,,განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება“, სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის, მარიანა ხუნძაყიშვილი, სარა ბივერი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2018 წ, გვ.147
  https://bit.ly/3rn4yDD
- აკვარიუმის მეთოდის დეტალები იხილე ბმულზე https://bit.ly/3LuEAWX

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი
აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა
თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის ადმინისტრაცია

ამოცანა 2

მოსწავლემ შეძლოს გააზრება, როგორ იცავს საქართველოს კონსტიტუცია ადამიანის უფლებებს და მოქალაქეებისთვის თვითმმართველობაში მონაწილეობის დროს რამდენად დაცულია დემოკრატიის პრინციპები;

ნაბიჯი 1

მოსწავლეთა ინფორმირებულობის მიზნით ინტერაქტიური ლექციის ჩატარება თემაზე „დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპები და მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები ადგილობრივ თვითმმართველობაში“;

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა მიიღონ ინფორმაცია და გაიაზრონ, როგორ იცავს საქართველოს კონსტიტუცია სამოქალაქო-პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კოლექტიურ უფლებებს.

აქტივობის აღწერა:

Don't Copy

- მოსწავლეები მოიძიებენ მასალებს ლექციისთვის;
- აუდიტორიას მოამზადებენ;
- ლექციას ჩაატარებენ;
- გაიმართება კითხვა-პასუხი
- შედეგებს შეაჯამებენ.

საჭირო რესურსი:

„ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის თანამედროვე გამოწვევები“ – პოლიტიკის დოკუმენტი, 2020წ. https://eecmd.org/wp-content/uploads/2020/12/Policy-Paper_Citizens-engagement-_LSG-web.pdf

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი
აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა
თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის ადმინისტრაცია

ნაბიჯი 2

ბლოგის შექმნა, რომელშიც განთავსდება ინფორმაცია დემოკრატიის ფუნდამენტურ პრინციპებზე და ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების შესახებ.

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გააცნობიერონ, რამდენად დაცულია მოქალაქეებისთვის თვითმმართველობაში მონაწილეობის დროს დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპები.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები მოაწყობენ სამუშაო შეხვედრას ბლოგის შექმნასთან დაკავშირებით;

Don't Copy

- ისაუბრებენ ბლოგის დიზაინზე, შინაარსობრივ მხარესა და სხვა ტექნიკური დეტალებზე;
- მოსწავლეები შექმნიან ბლოგს და ბმულს გამოაქვეყნებენ სკოლის Facebook გვერდზე.

საჭირო რესურსი:

როგორ შევქმნათ ბლოგი https://youtu.be/YGfBqQNuHUw

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი
აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ორი კვირა
თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის ადმინისტრაცია

ამოცანა 3

მოსწავლემ შეძლოს აქტიური მოქალაქეების თვითმმართველობაში მონაწილეობის გაცნობიერება და ადგილობრივ თემზე/მუნიციპალიტეტზე ზრუნვისკენ მიმართული ლოკალური ქმედებების დროს სხვა ადამიანების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივების გათვალისწინება;

ნაბიჯი 1

ანიმაციური ფილმის ჩვენება „ადამიანი, რომელიც ხეებს რგავდა“. ფილმის ჩვენების შემდეგ გაიმართება დისკუსია აქტიური მოქალაქეობის მნიშვნელობაზე უფრო ხარისხიანი გარემოს შექმნის მიზნით.

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გააცნობიერონ, რომ ადგილობრივ თემზე/მუნიციპალიტეტზე ზრუნვისკენ მიმართულ ლოკალურ ქმედებას შეიძლება გლობალური შედეგები მოჰყვეს და ამიტომ საჭიროა სხვა ადამიანთა ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივების გათვალისწინება.

Don't copy

- მოსწავლეები ნახავენ ანიმაციურ ფილმს;
- გაიმართება დისკუსია აქტიური მოქალაქეობის მნიშვნელობაზე, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის აღების აუცილებლობაზე, ადამიანის თვითმართვაზე, პასუხისმგებლობის როლზე ადამიანის პიროვნულ განვითარებაში, დადებითი მაგალითის ძალაზე საზოგადოების განვითარებისათვის;
- ბოლოს კი მოსწავლეები შედეგებს შეაჯამებენ.

ანიმაციური ფილმის ნახვითა და დისკუსიის გამართვით ხელი შეეწყობა მოსწავლეებში პასუხისმგებლობისა და საზოგადოებრივ საჭიროებებზე ზრუნვის უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებას.

ძირითადი რესურსები:

- ადამიანი, რომელიც ხეებს რგავდა https://www.youtube.com/watch?app=desktop&v=eU6j-4QwGVY&t=110s
- მასალა დისკუსიისთვის- https://rm.coe.int/1680784818

მეთოდური რესურსი:

- დისკუსიის წესები-,,განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება", სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის, მარიანა ხუნძაყიშვილი, სარა ბივერი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2018 წ, გვ.147 https://bit.ly/3rn4yDD

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი
აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა
თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის ადმინისტრაცია

ნაბიჯი 2

Don't Copy

მოასწავლეები მოაწყობენ როლურ თამაშს „დასახლების საერთო კრება“

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებში აქტიური მოქალაქის თვითმმართველობაში მონაწილეობის აუცილებლობის გააზრების ხელშეწყობა.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები მოემზადებიან როლური თამაშისთვის; ამისათვის გაეცნობიან შესაბამის მასალას, თუ როგორ უნდა წარიმართოს დასახლების საერთო კრება;
- მოსწავლეები გაინაწილებენ როლებს დასახლების საერთო კრების მოსაწყობად;
- შეარჩევენ საკითხს კრებისთვის და მუნიციპალიტეტისათვის წარსადგენად;
- შეარჩევენ კრებაზე სიტყვაში გამომსვლელებს;
- მოსწავლეები ჩაატარებენ კრებას;
- შედეგებს შეაჯამებენ.

საჭირო რესურსები:

- დასახლების საერთო კრება: https://bit.ly/3J17lsy
- მაგალითი ერთ-ერთი მუნიციპალიტეტიდან: https://chkhorotsku.gov.ge/ge/dasaxlebis-saerto-kreba

აქტივობის შემსრულებელი – მოსწავლეთა თვითმმართველობა
აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა
თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის ადმინისტრაცია

Don't Copy

ამოცანა 4

მოსწავლემ შეძლოს იმის გააზრება, რომ საზოგადოებრივი პრობლემის მოგვარების მიზნით აქტიური მოქალაქე უნდა თანამშრომლობდეს სახელმწიფო სტრუქტურებთან.

ნაბიჯი 1

მოსწავლეები დაგეგმავენ ღონისძიებას „ერთი დღე თვითმმართველობაში“, ესტუმრებიან ადგილობრივ გამგეობას, შეხვდებიან წარმომადგენლებს და ისაუბრებენ მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებზე, გაიმართება კითხვა-პასუხი.

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გაიაზრონ, რომ აქტიურმა მოქალაქემ საზოგადოებრივი პრობლემის მოგვარების მიზნით უნდა ითანამშრომლოს ადგილობრივ თვითმმართველობასთან.

აქტივობის აღწერა:

- შეხვედრისთვის მომზადება: კითხვების წინასწარ დამუშავება;
- ვიზიტი თვითმმართველობაში;
- საუბრები ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობაზე, მაგალითების განხილვა;
- კითხვა-პასუხი;
- შედეგების ანალიზი.

საჭირო რესურსები:

- „ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის არსებული მექანიზმების შეფასება საქართველოში“, ევროსაბჭო, 2017 წ, გვ. 30 https://bit.ly/3yDnDWp
- „თვითმმართველობა კითხვა-პასუხებში“, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია,

Don't Copy

https://nala.ge/uploaded/nala/2018-04/20180410135516188465567 2.pdf

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი
აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა
თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის ადმინისტრაცია, ადგილობრივი გამგეობა

ნაბიჯი 2

მოსწავლეების მიერ განმეორებითი გამოკითხვის ჩატარება „რა შევისწავლე ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობის ფორმების შესახებ და როგორ წარმომიდგენია საკუთარი მონაწილეობა ამ თვალსაზრისით?“ და შედეგების ანალიზი;

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გააკეთონ დასკვნები, როგორ განხორციელდა პროექტის მიზანი, რამ იმუშავა, რამ ვერა და, ასევე, შემდგომი ღონისძიებები დაგეგმონ. რა ინფორმაცია და ცოდნა არსებობს სასკოლო თემში ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების შესახებ.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები დაგეგმავენ გამოკითხვის ჩატარებას;
- შეიმუშავებენ კითხვარს,
- ჩაატარებენ გამოკითხვას; კითხვარის შედგენა შეიძლება პროგრამა Forms-ში, თუმცა, შესაძლოა ფურცლებზეც იყოს დაბეჭდილი კითხვები.
- მოსწავლეები შედეგებს გააანალიზებენ.

საჭირო რესურსები:

Don't Copy

- „ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის არსებული მექანიზმების შეფასება საქართველოში“, ევროსაბჭო, 2017 წ, გვ. 12-21
  https://rm.coe.int/1680784818
- სტატია „მე და სახელმწიფო – თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები და მნიშვნელობა“, 2017 წ;
  https://bit.ly/3775RQm
- კითხვარების შედგენის წესები
  https://bit.ly/3S2YTih

აქტივობის შემსრულებელი-მოსწავლეთა თვითმმართველობა
აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა
თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა

ინტერდისციპლინური კავშირები

უცხო ენა

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გაიაზრონ ადგილობრივი თემის განვითარებაში სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობა, მოირგონ გიდის როლი, გაიღრმავონ უცხო ენაზე ლაპარაკის უნარები, საკუთარი ცოდნა დაუკავშირონ პირად გამოცდილებას, განივითარონ პრეზენტაციის უნარები.

აქტივობის აღწერა:

უცხო ენის მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს ადგილობრივ თვითმმართველობასა და დასახლების ტიპებზე (ქალაქი, დაბა, სოფელი), მათ თავისებურებებზე. ის სთხოვს მოსწავლეებს, მოირგონ გიდის როლი, მოიძიონ ინფორმაცია და ასერტულობის დაცვით პრეზენტაცია გააკეთოს უცხო ენაზე „ჩემი ქალაქი/სოფელი“. მასწავლებელი დაეხმარება მასალების მოძიებაში. მოსწავლეებს სთხოვს მოამზადონ პრეზენტაცია პროგრამაში PowerPoint ან Sway და გამოაქვეყნონ სასკოლო სივრცეში. მოამზადონ ინფორმაცია დასახლების კონკრეტულ კატეგორიაზე და გააზიარონ. ინფორმაცია, შესაძლოა, მოიცავდეს შემდეგ

Don't Copy

საკითხებს: როდის და როგორ გაჩნდა დასახლება? რა ისტორიული ამბები არსებობს დასახლების შესახებ? ვინ იყვნენ პირველი მოსახლეები? რა საქმიანობას მისდევდნენ ისინი? როგორი გეოგრაფიულ–კლიმატური პირობები აქვს დასახლებას? რამდენი მოსახლე/ოჯახი ცხოვრობს ამჟამად? როგორია მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა? როგორ ერთობიან? რას საქმიანობენ თანატოლები? რა ღირსშესანიშნაობები აქვს დასახლებას? რას შეცვლიდით დასახლების ცხოვრებაში?

აქტივობის აღწერა*:*

- მოსწავლეები მოიძიებენ ინფორმაციას საპრეზენტაციოდ;
- გაიაზრებენ დასახლების კატეგორიებს;
- შექმნიან პრეზენტაციას (ინფორმაცია დასახლების კონკრეტულ კატეგორიაზე), პრეზენტაციები გაკეთდება კათედრათა თანამშრომლობით;
- თანატოლების წინაშე უცხო ენაზე მოაწყობენ პრეზენტაციას;
- პრეზენტაციას გამოაქვეყნებენ სკოლის Facebook გვერდზე.

ქართული ენა და ლიტერატურა

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გაიაზრონ ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის მნიშვნელობა; გააცნობიერონ, რომ საზოგადოებრივი პრობლემის მოგვარების მიზნით აქტიური მოქალაქე უნდა თანამშრომლობდეს სახელმწიფო სტრუქტურებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ა.შ.

აქტივობის აღწერა:

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მოსწავლეებს უზიარებს ილია ჭავჭავაძის ფრაზას: „კაცს მაგოდენად ვერა შველის თურმე ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეძლება ყოველგვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა“. სთხოვს, იმსჯელონ ფრაზაში მოყვანილი სიტყვების მნიშვნელობაზე: „კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა“. მასწავლებელი ხაზს უსვამს სიტყვათა წყვილს „კეთილად დადგენილი“ და „ცხადად განსაზღვრული“.

Don't Copy

- მოსწავლეები ყურადღებით გაეცნობიან ილია ჭავჭავაძის ფრაზას, გააანალიზებენ;
- დისკუსია გაიმართება „ჯიგსოუს“ ჯგუფებში;
- მოსწავლეები შედეგებს შეაჯამებენ.

ძირითადი რესურსები:

- „დამხმარე რესურსი პედაგოგისათვის სასწავლო თემის დასანერგად“, ავტორი ნინო ჭიაბრიშვილი, კონსულტანტი შალვა მეკრავიშვილი, რედაქტორი რიტა ბაინდურაშვილი, 2019 წ;
  https://bit.ly/3fXhJZz
- ილია ჭავჭავაძის „ცხოვრება და კანონი“, წერილი პირველი
  https://www.gdi.ge/uploads/other/0/852.pdf

მეთოდური რესურსი:

- ჯიგსოუს მეთოდი
  http://mastsavlebeli.ge/?p=2466

აქტივობის შემსრულებელი – საგნობრივი კათედრები

აქტივობის განხორციელების დრო – ორი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, საგნობრივი კათედრები, სკოლის ადმინისტრაცია

III ეტაპი
პროექტის განხორციელება

მოსწავლეთა აქტივობა:

Don't Copy

პროექტის განხორციელების პროცესში მოსწავლეები ეძებენ გადაკვეთის წერტილებს და თანამშრომლობენ სასკოლო საზოგადოების წევრებთან:

- სკოლის სხვა მოსწავლეებთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან;
- სკოლის სხვა მასწავლებლებთან;
- სკოლის ადმინისტრაციასთან;
- გარე პარტნიორებთან;

მოსწავლეები წარადგენენ პროექტს სასკოლო საზოგადოების წინაშე.

საჭირო რესურსები:

ფუნქციურ-კომპონენტური უნარები და რესურსები, რომლებიც ამ უნარებს ავითარებს

ფუნქციურ-კომპონენტური უნარები:
შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება, კრიტიკული აზროვნება.
ფუნქციურ-კომპონენტური უნარების შესახებ რესურსები, რომლებიც მოსწავლეებს ასწავლის, როგორ იურთიერთონ საზოგადოების წევრებთან გამოკვეთილ სფეროსთან მიმართებით:

- შემოქმედებითი აზროვნების შესახებ
  http://mastsavlebeli.ge/?p=16961
- პიროვნული უნარ-ჩვევები -კომუნიკაცია, კრიტიკული აზროვნება, ღირებულებები
  https://www.civiceducation.ge/ka/lessons/4-47
- კოლაბორაციული სწავლების თეორიული და პრაქტიკული საკითხები და "მსოფლიო კაფე"
  http://mastsavlebeli.ge/?p=2452
- მოქალაქე, მისი როლი და პასუხისმგებლობა
  https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-9
- პიროვნება და საზოგადოება(ხასიათი, ნება)
  https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-1
- როგორ განვავითაროთ კრიტიკული აზროვნება მოსწავლეებში?
  https://bit.ly/3rbDkzR
- კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების მიდგომების გამოყენება სწავლებაში
  http://mastsavlebeli.ge/?p=16208

Don't Copy

III ეტაპის შედეგად მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ პროექტის შედეგები

პროექტის განხორციელების დროს მოსწავლეები თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან, მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან, გარე ორგანიზაციებთან (რაიონის გამგეობა). რაიონის გამგეობის მხარდაჭერა ძალიან შედეგიანი იყო და კვლავაც უნდა გაგრძელდეს თანამშრომლობა. გაიზარდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში.

პროექტის განხორციელებით გაფართოვდა საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ცოდნის დონე ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობის ფორმებისა და საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ. საშუალო საფეხურის მოსწავლეებმა აიმაღლეს ცოდნა დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებზე, რაც დადებითად აისახება მათ პიროვნულ განვითარებაზე.

მოსწავლეებმა გაიაზრეს თვითმმართველობაში მონაწილეობის დროს დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა, გააცნობიერეს აქტიური მოქალაქის როლი ადგილობრივ თემზე/მუნიციპალიტეტზე ზრუნვის საქმეში; გააანალიზეს, რომ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებისას თანამშრომლობის დროს აქტიურმა მოქალაქემ ლოკალურ ქმედებაში უნდა გაითვალისწინოს სხვა ადამიანთა ინტერესები და მომავლის პერსპექტივები. პროექტის განხორციელებამ ხელი შეუწყო სასკოლო თემის ჩართულობას სოციალურ აქტივობებში.

IV ეტაპი

მდგრადობა და მომავლის გეგმები

მოსწავლეთა აქტივობა:

მოსწავლეები სასკოლო საზოგადოების წევრებთან ერთად აფასებენ პროექტის შედეგებს და გეგმავენ, რა არის საჭირო მდგრადობის უზრუნველყოფისთვის.

საჭირო რესურსები:

მოსწავლეები გეგმავენ, რა არის საჭირო მდგრადობის უზრუნველყოფისთვის.

პროექტი გახდება სასკოლო კურიკულუმის ნაწილი, რაც განსაზღვრავს მის მდგრადობას. პროექტის სარგებელი გრძელვადიან პერსპექტივაში ის არის, რომ მისი განხორციელების შედეგად სასკოლო საზოგადოების ჩართულობა გაიზარდა სკოლის

Don't copy

ცხოვრებაში, რომელიც უნდა გაგრძელდეს პროექტის დასრულების შემდეგაც. სასკოლო თემმა ინტენსიურად უნდა ითანამშრომლოს სახელმწიფო სტრუქტურებთან და სხვა გარე ორგანიზაციებთან, რაც სამოქალაქო აქტივიზმის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.
IV ეტაპის შედეგად სასკოლო სასწავლო გეგმაში გაჩნდება ჩანაწერი, რომელიც იქნება მოსწავლეების მიერ განხორციელებული პროექტის მდგრადობის გარანტი. იქმნება მონიტორინგის ჯგუფი (მოსწავლე/მასწავლებელი). მოსწავლეები სასკოლო საზოგადოების წევრებთან ერთად აფასებენ პროექტის შედეგებს სოლო ტაქსონომიის დონეებით, რომელთაც აქვთ განმავითარებელი ხასიათი (შეფასების რუბრიკა იხილე დანართი **N 1**).

დანართი N1

მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტის შეფასების რუბრიკა

შეფასების კრიტერიუმები	**პრესტრუქტურული**	**უნისტრუქტურული**	**მულტისტრუქტურული**	**მიმართებითი**	**აბსტრაქტული**
მოსწავლემ შეძლოს აქტიური მოქალაქეობის, სამოქალაქო საზოგადოების, ადამიანის პიროვნული განვითარებისა და თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების შესახებ ცნობიერების ამაღლება	მოსწავლეს არ აქვს რელევანტური ინფორმაცია სამოქალაქო აქტივიზმის, ადამიანის პიროვნული განვითარებისა და თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობასთა	მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტური რებული ასოციაცია/წარმოდგენა სამოქალაქო აქტივიზმის, ადამიანის პიროვნული განვითარებისა და	მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა სამოქალაქო აქტივიზმის, ადამიანის პიროვნული განვითარებისა და თვითმმართველობაშ	მოსწავლეს შეუძლია სამოქალაქო აქტივიზმის, ადამიანის პიროვნული განვითარებისა და თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების შესახებ	მოსწავლეს შეუძლია სამოქალაქო აქტივიზმის, ადამიანის პიროვნული განვითარებისა და თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის

და ასერტულობის დაცვით არაძალადობრივი მეთოდებით საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობის გააზრება ამ მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებში	ნ დაკავშირებით. მას არ შეუძლია ასერტულობის დაცვით არაძალადობრივ ი მეთოდებით საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობის გააზრება ამ მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებში.	თვითმმართველო ბაში მოქალაქეთა მონაწილეობასთა ნ დაკავშირებით. შეუძლია მხოლოდ საკითხის დასახელება. ასერტულობის დაცვით არაძალადობრივ ი მეთოდებ ით საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობის გააზრება ამ მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებში.	ი მოქალაქეთა მონაწილეობასთან დაკავშირებით. მას არ შეუძლია ასერტულობის დაცვით არაძალადობრივი მეთოდებით საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობის გააზრება ამ მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებში.	ცნობიერების ამაღლება და ასერტულობ ის დაცვით არაძალადობრივი მეთოდებით საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობის გააზრება ამ მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებში. შეუძლია საკითხის ახსნა, ანალიზი, ხედავს ურთიერთმიმართე ბებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	ფორმების შესახებ ცნობიერების ამაღლება და ასერტულობის დაცვით არაძალადობრივი მეთოდებით საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობის გააზრება ამ მიმართულე ბით დაგეგმილ ღონისძიებებში. მას სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი, უკავშირებს პირად გამოცდილებას. რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალი ზები ს/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს.
მოსწავლემ შეძლოს გააზრება, როგორ იცავს საქართველოს კონსტიტუცია	მოსწავლეს არ შეუძლია გააზრება, მოქალაქეებისთვ	მოსწავლეს არ შეუძლია გააზრება, მოქალაქეებისთვ	მოსწავლეს შეუძლია გააზრება, მოქალაქეებისთვის თვითმმართველობა	მოსწავლეს შეუძლია გააზრება, როგორ იცავს	მოსწავლეს შეუძლია გააზრება, როგორ იცავს

Dont Copy

ადამიანის უფლებებს და მოქალაქეებისთვის თვითმმართველობაში მონაწილეობის დროს რამდენად დაცულია დემოკრატიის პრინციპები	ის თვითმმართველობაში მონაწილეობის დროს რამდენად დაცულია დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპები. მოსწავლეს არ აქვს არანაირი ცოდნა და გამოცდილება გარკვეული მოქალაქეებისთვის თვითმმართველობაში მონაწილეობის დროს რამდენად დაცულია დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპების მიმართ, იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას ან/და საერთოდ აცდენილია	ის თვითმმართველობაში მონაწილეობის დროს რამდენად დაცულია დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპები. მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა მოქალაქეებისთვის თვითმმართველობაში მონაწილეობის დროს რამდენად დაცულია დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპები. შეუძლია მხოლოდ საკითხის დასახელება, მარტივი,	ში მონაწილეობის დროს რამდენად დაცულია დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპები, თუმცა, აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა მოქალაქეებისთვის თვითმმართველობაში მონაწილეობის დროს რამდენად დაცულია დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპები. ესმის საკითხის არსი, მაგრამ შედეგებთან მიმართებებს ვერ ამყარებს.	საქართველოს კონსტიტუცია სამოქალაქოპოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კოლექტიურ უფლებებს და მოქალაქეებისთვის თვითმმართველობაში მონაწილეობის დროს რამდენად დაცულია დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპები. შეუძლია საკითხის ახსნა მიზეზებისა და შედეგების კუთხით.	საქართველოს კონსტიტუცია სამოქალაქოპოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კოლექტიურ უფლებებს და მოქალაქეებისთვის თვითმმართველობაში მონაწილეობის დროს რამდენად დაცულია დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპები. შეუძლია განზოგადება, სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახვა, ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკა.

Don't Copy

	მნიშვნელობას/აზრს.	ზედაპირული კავშირების დამყარება.			
მოსწავლემ შეძლოს აქტიური მოქალაქეების თვითმმართველობაში მონაწილეობის გაცნობიერება და ადგილობრივ თემზე/მუნიციპალიტეტზე ზრუნვისკენ მიმართული ლოკალური ქმედებების დროს სხვა ადამიანების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივების გათვალისწინება	მოსწავლეს არ აქვს წარმოდგენა აქტიური მოქალაქეების თვითმმართველობაში მონაწილეობის აუცილებლობასა და ადგილობრივ თემზე/მუნიციპალიტეტზე ზრუნვისკენ მიმართული ღონისძიებების დროს სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინებაზე.	მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული წარმოდგენა აქტიური მოქალაქეების თვითმმართველობაში მონაწილეობის აუცილებლობასა და ადგილობრივ თემზე/მუნიციპალიტეტზე ზრუნვისკენ მიმართული ღონისძიებების დროს სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინებაზე.	მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა აქტიური მოქალაქეების თვითმმართველობაში მონაწილეობის აუცილებლობასა და ადგილობრივ თემზე/მუნიციპალიტეტზე ზრუნვისკენ მიმართული ღონისძიებების დროს სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინებაზე.	მოსწავლეს შეუძლია აქტიური მოქალაქეების თვითმმართველობაში მონაწილეობის გაცნობიერება და ადგილობრივ თემზე/მუნიციპალიტეტზე ზრუნვისკენ მიმართული ლოკალური ქმედებების დროს სხვა ადამიანების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივების გათვალისწინება. აქვს იმის კომპეტენცია, რომ საკითხი გაიაზროს, დაამყაროსა მიმართებები, გააანალიზოს. მას უმეტესად შეუძლია სხვა ადამიანების	მოსწავლეს შეუძლია აქტიური მოქალაქეების თვითმმართველობაში მონაწილეობის გაცნობიერება და ადგილობრივ თემზე/მუნიციპალიტეტზე ზრუნვისკენ მიმართული ლოკალური ქმედებების დროს სხვა ადამიანების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივების გათვალისწინება. შეუძლია იდეების ტრანსფერი სხვა სიტუაციაში და აქტიური

Don't copy

				წინადადებების მოსმენა, გათვალისწინება და განვითარება, ასევე, შეუძლია ურთიერთმიმართებებ ი ს დანახვა თანამაშრომლობასა და პროექტის მიზნის მიღწევის საქმეში.	მოქალაქის როლის მორგება. პროექტის მიზნის შესასრულებლად თანამშრომლობით აქტივობას უკავშირებს პირად გამოცდილებას.
მოსწავლემ შეძლოს იმის გააზრება, რომ საზოგადოებრივი პრობლემის მოგვარების მიზნით აქტიური მოქალაქე უნდა თანამშრომლობდეს სახელმწიფო სტრუქტურებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ა.შ.	მოსწავლეს არ აქვს წარმოდგენა აქტიური მოქალაქის ადგილობრივ თვითმმართველ ობაში მონაწილეობაზე.	მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტური რებული წარმოდგენა აქტიური მოქალაქის ადგილობრივ თვითმმართველ ობაში მონაწილეობაზე.	მოსწავლეს შეუძლია იმის გააზრება, რომ საზოგადოებრივი პრობლემის მოგვარების მიზნით აქტიური მოქალაქე უნდა თანამშრომლობდეს სახელმწიფო სტრუქტურებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ა.შ. შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის	მოსწავლეს შეუძლია იმის გააზრება, რომ საზოგადოებრივი პრობლემის მოგვარების მიზნით აქტიური მოქალაქე უნდა თანამშრომლობდეს სახელმწიფო სტრუქტურებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ა.შ. შეუძლია მიმართებების დამყარება,	მოსწავლეს შეუძლია იმის გააზრება, რომ საზოგადოებრივი პრობლემის მოგვარების მიზნით აქტიური მოქალაქე უნდა თანამშრომლობდეს სახელმწიფო სტრუქტურებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ა.შ. შეუძლია რჩევების შეთავაზება, ჰიპოთეზური დასკვნების გაკეთება.

Don't copy

			არსებული მიმართებების გაგების გარეშე.	გააანალიზება, ახსნა მიზეზებისა და შედეგების კუთხით.	

Don't Copy

პროექტი N 6

პროექტის დასახელება:

გადავარჩინოთ გარემო მავნე ნარჩენებისაგან

პროექტის ტიპი ინფორმირება
პროექტის განხორციელების ვადები: პროექტის განხორციელება გათვლილია ერთ სემესტრზე (დაახლოებით 14-18 საათი); თითოეულ აქტივობას მითითებული აქვს განხორციელების სავარაუდო ვადა.
პროექტის სამიზნე ჯგუფი: X კლასის მოსწავლეები
კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ თემასთან/თემებთან: გარემოს დაცვა
პროექტის შესაბამისობა სამიზნე ცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან: საზოგადოება, დემოკრატია, სამოქალაქო მონაწილეობა, მდგრადი განვითარება
კავშირი XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციასთან: წიგნიერება, სამოქალაქო კომპეტენცია, ციფრული წიგნიერება
I ეტაპი სფეროს (თემის დახასიათება), პრობლემების იდენტიფიცირება სფეროსთან მიმართებით

Don't Copy

მოსწავლეთა აქტივობა:

- მოსწავლეები ირჩევენ თემას ნარჩენების მართვაზე, რომელიც მნიშვნელოვნად ეჩვენებათ სასკოლო თემისთვის;
- მოსწავლეები ეცნობიან შესაბამის ლიტერატურას შერჩეულ სფეროსთან დაკავშირებით;
- მოსწავლეები აკეთებენ სიტუაციურ ანალიზს; საამისოდ ისინი არჩევენ შესაბამის წყაროებსა და კვლევის მეთოდებს.

ძირითადი რესურსები:

1. საქართველოს კანონი ნარჩენების მართვის კოდექსი, თავი I-IV
   https://matsne.gov.ge/ka/document/view/2676416?publication=12
2. „გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში, ნარჩენების მართვა“, წიგნი 5, 2020, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი https://elibrary.mepa.gov.ge/Ge/Library/Details/6013
3. საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ, თავი IX, მუხლი 34
   https://matsne.gov.ge/ka/document/view/33340?publication=30

დამატებითი რესურსები:

4. „გარემოს დაბინძურება და ადამიანის ჯანმრთელობა“-მწვანე ალტერნატივა
   https://greenalt.org/blogs/garemos-dabindureba-da-adamianis-janmrteloba/
5. ვიდეორგოლი გარემოს დაცვაზე
   https://www.youtube.com/watch?app=desktop&v=gs_QOJw5MDY
6. ვიდეომასალა-„ოკეანეებში პლასტმასის ნარჩენების რაოდენობა გლობალური პრობლემაა“
   https://www.amerikiskhma.com/a/plastic-waste-in-oceans/4536292.html
7. სად მიდის ნაგავი? https://euronewsgeorgia.com/2021/02/17/sad-midis-nagavi/
8. 2050 წელს, ოკეანეში თევზზე მეტი პლასტმასი იქნება! – Espacio CREA-ს ვიდეორგოლი
   https://www.marketer.ge/crea-world-environment-day/

Don't Copy

9. მომავლის ოკეანე! – Greenpeace-ის კამპანია გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ https://www.marketer.ge/ocean-of-the-future-greenpeace/
10. პოლიეთილენის პარკებს კვლავ იყენებენ - რატომ არ მუშაობს კანონი https://bit.ly/3DqNz8D
11. გზა ნარჩენების დახარისხებიდან გადამუშავებამდე https://www.youtube.com/watch?app=desktop&v=F2y7uEtZI_8&t=2s
12. ნაგვის დაყრისთვის ჯარიმები იზრდება https://droa.ge/?p=78133
13. „გარემოს დაბინძურება და ადამიანის ჯანმრთელობა“, სტატია, 2020 წ, მწვანე ალტერნატივა https://greenalt.org/blogs/garemos-dabindureba-da-adamianis-janmrteloba/
14. გარემოსცადვითი განათლება სკოლაში https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/garemosdatsvithi-ganathleba-skolashi.pdf

საკვანძო კითხვები:

- როგორ გესმის გარემოს დაცვა?
- რატომ არის მნიშვნელოვანი ადამიანის იდეები და ღირებულებები გარემოს დაცვის საქმეში და რამდენად არღვევს გარემოს დაბინძურება ადამიანის უფლებას, იცხოვროს ჯანსაღ გარემოში?
- შენი აზრით, როგორ ბინძურდება გარემო მავნე ნარჩენებისგან და რამდენად აისახება მისი შედეგები ადამიანთა ცხოვრებაზე, მათ მოთხოვნილებებზე ? პასუხი დაასაბუთე;
- რამდენად მნიშვნელოვანია ასერტულობის დაცვა გარემოს დაბინძურების პრევენციისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელებისას და როგორ აისახება ეს ადამიანის პიროვნულ განვითარებაზე, გარემოსდაცვითი კულტურის ამაღლებაზე?
- რატომ არის ნარჩენების გადამუშავება გარემოზე ზრუნვა და რა როლი აქვს დემოკრატიულ სახელმწიფოს გარემოს დაცვისა და დაბინძურების პრობლემის აღმოფხვრაში? პასუხი დაასაბუთე;
- შენი აზრით, რამდენად კატასტროფულია გარემოს დაბინძურება და რა გავლენას ახდენს ღარიბ მოსახლეობაზე?
- როგორ ზრუნავენ და რამდენად პასუხისმგებლობით ეკიდებიან დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქეები გარემოს დაბინძურების პრევენციას, რამდენად უწყობენ ხელს გარემოსდაცვითი კულტურის ამაღლებას?
- რატომ უნდა შეუერთდნენ თემში მცხოვრები ადამიანები სამოქალაქო აქტივიზმს გარემოს დაცვისა და დაბინძურების პრევენციის საქმეში და რამდენად მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინება?

Demo Copy

- შენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია სამოქალაქო მონაწილეობა გარემოს დაბინძურების პრობლემის მოსაგვარებლად დაგეგმილ ღონისძიებებში, თანამშრომლობა სახელმწიფო სტრუქტურებთან და არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება?
- გარემოს დაცვის პრობლემის მოგვარებაში რატომ არის მნიშვნელოვანი, გავითვალისწინოთ თემში მაცხოვრებელი ადამიანების ინტერესები?
- რამდენად მნიშვნელოვანია ნარჩენებისგან გარემოს დაბინძურების პრევენციის ხელშეწყობა ლოკალური ქმედებებით, რომ გლობალურ შედეგებს მივაღწიოთ?

I ეტაპის შედეგად მოსწავლემ უნდა ჩამოაყალიბოს სიტუაციური ანალიზი

არსებობს მოსაზრება, რომ გარემოს დაცვის მიზანი მხოლოდ ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა თუ იქნება, მაშინ გარემო შეიძლება დაუცველი აღმოჩნდეს. ამგვარად მოაზროვნე ადამიანები თვლიან, რომ ქვეყანაში, სადაც იზრდება მოსახლეობის რაოდენობა და ფართოვდება ქალაქები, პარალელურად, ჩვენდა სამწუხაროდ, მცირდება ხეების რაოდენობა და იკლებს მწვანე ტერიტორიის ფართობი, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბუნება რაციონალურ გამოყენებას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე თუ ვიმოქმედებთ, გაიზრდება ბუნებრივი კატასტროფების რიცხვი და პროგრესის ნაცვლად მივიღებთ რეგრესს.

ჩვენ ვერ დავიცავთ გარემოს, თუ მხოლოდ ჩვენს ინტერესებზე ვიფიქრებთ და, ამავე დროს, ვერც ჩვენი მოთხოვნები დაკმაყოფილდება, თუ ბუნებრივ რესურსებს არარაციონალურად გამოვიყენებთ. ამიტომ ბუნების დაუცველობა ჩვენთვის ხანგრძლივ სარგებელს ვერ მოიტანს.

ჩვენ ვიცით, რომ ჯანმრთელობისათვის სუფთა ჰაერი აუცილებელია, მაგრამ ამისათვის კორპუსის წინ მდგარი ერთი ხე სულაც არაა საკმარისი. ჩვენ შეგვიძლია მოვჭრათ ხეები მთის ფერდობებზე, რათა ავაშენოთ ახალი დასახლება ან გავიყვანოთ გზა, მაგრამ პრაქტიკამ აჩვენა, რომ ამას ადრე თუ გვიან აუცილებლად მოჰყვება სტიქიური უბედურება, რომლითაც მოგებულები ნამდვილად ვერ დავრჩებით. ჩვენ გარემოს ვეკუთვნით და მისთვის ზიანის მიყენება, საბოლოო ჯამში, კარგ შედეგს ვერ მოიტანს.

გარემოს დამცველთა კვლევების შედეგების მიხედვით, ადამიანის მიერ შექმნილი ხელოვნური მასალები საფრთხეს უქმნიან ეკოლოგიურ გარემოს. განსაკუთრებით იკვეთება პოლიეთილენის პარკებისა და პლასტმასის ნარჩენების მავნე გავლენის მზარდი ტენდენცია, რაც თანამედროვე ცხოვრებაში მსოფლიოს საერთო პრობლემა გახდა.

Don't copy

სკოლაში გარემოს დაცვის საკითხებში მოსწავლეთა ცოდნისა და ჩართულობის დაბალი მაჩვენებელია. მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ არსებული გარემოსდაცვითი პრობლემებიდან გამოსავალი მდგრადი განვითარებაა. არსებობს მდგრადი განვითარების სამი მიმართულება: გარემოს დაცვა, ეკონომიკური განვითარება, სოციალური კეთილდღეობა. *

განათლებამ უნდა შეძლოს: ეკონომიკური თვალსაზრისით – გახადოს მოზარდი ეკონომიკურად პასუხისმგებლიანი და დამოუკიდებელი; კულტურული თვალსაზრისით – გააცნობიერებინოს მოზარდებს საკუთარი კულტურა, სხვების კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემა; სოციალური თვალსაზრისით – გახადოს მოზარდი აქტიური მოქალაქე, რომელსაც შეუძლია თანაგანცდა; გარემოსდაცვითი თვალსაზრისით – შეაძლებინოს მოზარდს, იყოს ბუნებასთან ჰარმონიაში; ნებისმიერი ქმედების დაგეგმვისას აიღოს პასუხისმგებლობა, თუ როგორ გარემოში უნდა ცხოვრება; პერსონალური თვალსაზრისით – შეაძლებინოს მოზარდს, იყოს საკუთარ თავთან ჰარმონიაში ისევე, როგორც გარე სამყაროსთან. **

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის, თბილისის ოფისის მხარდაჭერილი კვლევის ფარგლებში, რომელიც კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა (CRRC-საქართველო) რეგულარული ომნიბუსის გამოკითხვის ფარგლებში ჩაატარა. კითხვაზე „საქართველოში გარემოს დაცვის მდგომარეობის შესახებ ცოტა ინფორმაციას იღებთ, საკმარისს, თუ ზედმეტად ბევრს?“ ქვეყნის მასშტაბით 59 %-ფლობს ძალიან ცოტა ინფორმაციას, 37 %-- საკმარის ინფორმაციას, 2%-ძალიან ბევრ ინფორმაციას, ხოლო 2%-- უარი განაცხადა პასუხზე. ***

---

*„გარემოსცადვითი და აგრარული განათლება სკოლაში“, საგანმანათლებლო მასალა, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, წიგნი 5, 2021 წ
https://elibrary.mepa.gov.ge/Ge/Library/Details/6013

**„გარემოსცადვითი და აგრარული განათლება სკოლაში“, საგანმანათლებლო მასალა, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, 2021 წ
***„გარემოს დაცვა – მხოლოდ მოქალაქეების სადარდებელი’, ელენე ხაჭაპურიძე, 2021 წ, კვლევა
https://ge.boell.org/ka/2021/08/06/garemos-datsva-mkholod-mokalakeebis-sadardebeli

Don't Copy

სკოლაში გარემოს დაცვის საკითხებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსწავლეთა ცოდნისა და ჩართულობის დაბალი მაჩვენებელია. მოსწავლეები არ ფლობენ საკმარის ცოდნას ნარჩენების მართვის თვალსაზრისით, არ გამოირჩევიან გარემოსადმი ჯანსაღი დამოკიდებულებით. ისინი ნაკლებად იღებენ პასუხისმგებლობას გარემოში მიმდინარე პროცესებზე.

ამრიგად, სასკოლო საზოგადოება სისტემატურად უნდა ჩაებას გარემოსდაცვით აქტივობებში. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა ინფორმირებულობასა და გარემოსდაცვითი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. პროექტის ფარგლებში უნდა განხორციელდეს ღონისძიებები, რომელსაც მხარს დაუჭერს როგორც სასკოლო საზოგადოება, ისე გარე ორგანიზაციები; ჩაებმებიან მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები, სასკოლო საზოგადოება, პედაგოგიური საბჭო, სკოლის ადმინისტრაცია; აუცილებელია საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მიერ გააზრებული იქნას მავნე ნარჩენებისაგან გარემოს დაბინძურების პრობლემა, პრევენციისკენ მიმართულ ღონისძიებებში მონაწილეობის აუცილებლობის გაცნობიერება. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს გარემოსდაცვითი კულტურის ამაღლებას.

II ეტაპი

იდეები და შესაძლებლობები

მოსწავლეთა აქტივობა:

- მოსწავლეები გამოკვეთენ ფორმებს აქტივობებისთვის, აყალიბებენ აქტივობების იდეებს;
- მოსწავლეები ქმნიან მიზნების იერარქიას: აქტივობის მიზანი, პროექტის მიზანი;
- მოსწავლეები აყალიბებენ მოსალოდნელ შედეგებს: რა გავლენას მოახდენს პროექტი სასკოლო საზოგადოების განვითარებაზე, აანალიზებენ, თუ რა რესურსები სჭირდებათ დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად, რამდენად ხელმისაწვდომია ეს რესურსები;
- მოსწავლეები აყალიბებენ სამოქმედო გეგმას დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად.

საჭირო რესურსები:

პროექტების ანალოგიები სფეროსთან დაკავშირებით

ეფექტური იქნება, მოსწავლეები გაეცნონ გარემოს დაცვის თემაზე განხორციელებული პროექტების მაგალითებს. ქვემოთ იხილე იდეების ჩამონათვალი შესაბამისი ბმულებით განხორციელებული პროექტების მაგალითზე:

Don't Copy

- მოსწავლეების დახმარებით სოფელ აჭვისთავში ეკოლოგიური პრობლემა მოგვარდა, მდინარე აჭყვის ტერიტორია დასუფთავდა და ნაგვის ურნები დაიდგა https://bit.ly/3A2snG9
- რუსთავის N 2 საჯარო სკოლა გვ. 5, 6, მწვანე კლუბი https://bit.ly/3oXXwUX
- „მხოლოდ იმის დაცვაა შესაძლებელი რასაც იცნობ“, გეგუთის N1 საჯარო სკოლა http://natiakiladze.blogspot.com/2020/04/blog-post_6.html

II ეტაპის შედეგად მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ პროექტის სატიტულო ნაწილი: მიზანი, შედეგი, აქტივობა, სამოქმედო გეგმა

პროექტის მიზანი:

მავნე ნარჩენებისაგან გარემოს დაბინძურების პრობლემის გააზრება, პრევენციისკენ მიმართულ ღონისძიებებში მონაწილეობის აუცილებლობის გაცნობიერება და გარემოსდაცვითი კულტურის ამაღლების ხელშეწყობა.

პროექტის ამოცანები:

1. მოსწავლემ შეძლოს მავნე ნარჩენებისგან გარემოს დაბინძურების საფრთხეებისა და ასერტულობის დაცვით პრევენციისკენ მიმართულ ღონისძიებებში საკუთარი მონაწილეობის გააზრება, რადგანაც ადამიანის მოთხოვნილებაა, იცხოვროს ჯანსაღ გარემოში;
2. მოსწავლემ შეძლოს იმის გაანალიზება, თუ როგორ აზიანებს ადამიანის ჯანმრთელობას გარემოს დაბინძურება და როგორ ირღვევა ადამიანის უფლება, იცხოვროს ჯანსაღ გარემოში და მიეცეს თავისუფალი განვითარების უფლება;
3. მოსწავლემ შეძლოს გაცნობიერება, როგორია დემოკრატიული სახელმწიფოს როლი გარემოს დაცვისა და დაბინძურების პრობლემის აღმოფხვრაში, რამდენად პასუხისმგებლობით ეკიდებიან მოქალაქეები გარემოს დაბინძურების პრევენციასა და გარემოსდაცვითი კულტურის ამაღლების ხელშეწყობას, რაც დადებითად აისახება ადამიანის პიროვნულ განვითარებაზე;
4. მოსწავლემ შეძლოს გაანალიზება, რამდენად მნიშვნელოვანია სამოქალაქო მონაწილეობა გარემოს დაცვისა და დაბინძურების პრევენციის საქმეში, პასუხისმგებლობა საქმის მიმართ, თანამშრომლობა სახელმწიფო სტრუქტურებთან,

Don't Copy

პრობლემის გადაჭრისკენ მიმართული ლოკალური ქმედებების დაგეგმვისას სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინება და არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება.

მოსწავლეები აყალიბებენ მოსალოდნელ შედეგებს:

რა გავლენას მოახდენს პროექტი სასკოლო საზოგადოების განვითარებაზე?

პროექტის განხორციელების შედეგად გაიზრდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა გარემოს დაცვის საქმეში. ამაღლდება საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ცნობიერება გარემოს დაცვის თვალსაზრისით. გამყარდება კავშირი არა მხოლოდ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან, არამედ გარე ორგანიზაციებთან.

მოსწავლეები გაიაზრებენ გარემოს დაბინძურების საფრთხეებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ადამიანის უფლების დარღვევაზე, იცხოვროს ჯანსაღ გარემოში, დემოკრატიული სახელმწიფოს როლს გარემოს დაცვისა და დაბინძურების პრობლემის აღმოფხვრაში მოქალაქეების როლს. მოსწავლეები შეძლებენ სამოქალაქო მონაწილეობის მნიშვნელობის გააზრებას გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში და ამ თვალსაზრისით, რამდენად დიდია აქტიური მოქალაქის როლი პრობლემის გადაჭრისკენ მიმართული ლოკალური ქმედებების დაგეგმვისას.

პროექტის სამოქმედო გეგმა

ამოცანა 1

მოსწავლემ შეძლოს მავნე ნარჩენებისგან გარემოს დაბინძურების საფრთხეებისა და ასერტულობის დაცვით პრევენციისკენ მიმართულ ღონისძიებებში საკუთარი მონაწილეობის გააზრება, რადგანაც ადამიანის მოთხოვნილებაა, იცხოვროს ჯანსაღ გარემოში;

ნაბიჯი 1

ინტერაქტიული **პრეზენტაციის** ჩატარება თემაზე „ნარჩენები, ადამიანი და გარემო“ და დისკუსიის გამართვა საკითხის ირგვლივ.

Don't Copy

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გააანალიზონ მავნე ნარჩენებისაგან გარემოს დაბინძურების საფრთხეები და პრევენციისკენ მიმართულ ღონისძიებებში ასერტულობის დაცვით საკუთარი მონაწილეობა გაიაზრონ.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები მოიძიებენ და შეისწავლიან შესაბამის ლიტერატურას;
- დაამუშავებენ მასალას;
- ჩაატარებენ პრეზენტაციას;
- გამართავენ დისკუსიას აზროვნების 6 ქუდის გამოყენებით.

ძალიან სახალისო და საინტერესოა მოსწავლის აზროვნება სხვადასხვა მიმართულებით: მას შეუძლია თეთრი ქუდის მორგებით ცივი გონებით მხოლოდ ინფორმაცია მიაწოდოს, წითელი ქუდის მორგებით გამოხატოს ემოციები ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, შავი ქუდით კრიტიკოსის თვალით ყველაფერი ეჭვქვეშ დააყენოს და პროექტის რუკაზე რაც შეიძლება მეტი „სარისკო ზონა“ დაიტანოს, ყვითელი ქუდით ოპტიმისტურად შეხედოს საკითხს და პოზიტიური პერსპექტივები
წარმოაჩინოს, მწვანე ქუდით ახალი იდეები და ახალი მიდგომების გამოყენება დააყენოს დღის წესრიგში, ან მოირგოს ლურჯი ქუდი და დირიჟორივით მართოს დანარჩენი ქუდების ორკესტრი. მას არ დაჭირდება ქუდის ფერის შეცვლა.

აქტივობა სახალისოდ წარიმართება, რადგან მოსწავლეები პოზიციებს შეიცვლიან სხვადასხვა ფერის ქუდის მორგებით და საკუთარ აზრებს ჯგუფს გააცნობენ.

მეთოდური რესურსები:

- რჩევები ინტერაქტიული პრეზენტაციის შესაქმნელად:
  https://bit.ly/3LE6Lms

Do not copy

- აზროვნების 6 ქუდი
  https://bit.ly/3iTamRe
- რჩევები დისკუსიისთვის აზროვნების 6 ქუდის გამოყენებით
  https://www.izrune.ge/?id=96

აქტივობის შემსრულებელი – მოსწავლეთა თვითმმართველობა

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში– მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა

ნაბიჯი 2

მოსწავლეები ნახავენ რეჟისორ რონ ფრიკეს დოკუმენტურ ფილმს „ბარაკა/Baraka“ და განხილვა;

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლემ გაიაზროს ბუნების მშვენიერება, განიცადოს მასთან სიახლოვის ნეტარება, ჩამოუყალიბდეს გარემოს დაბინძურებასთან ბრძოლის განცდა და ასერტულობის დაცვით პრევენციისკენ მიმართულ ღონისძიებებში საკუთარი მონაწილეობის აუცილებლობა დააყენოს.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები მოამზადებენ კომპიუტერის ლაბორატორიას ფილმის საჩვენებლად, ფილმი ასახავს ადამიანისა და ბუნების ურთიერთქმედებას. სახელწოდება (ბარაკა) ძველი სპარსული წარმოშობისაა და ნიშნავს "ნეტარებას"..."ბარაკა" საოცარი

Don't Copy

შესაძლებლობაა, ვიმოგზაუროთ ჩვენი პლანეტის ულამაზეს ადგილებში. ის საშუალებას იძლევა, დავინახოთ არა მარტო ხელშეუხებელი ბუნების, არამედ ხმაურიანი დიდი ქალაქების მშვენიერება;

- ფილმის ნახვის შემდეგ მოსწავლეები ერთმანეთს შთაბეჭდილებებს გაუზიარებენ;
- მოსწავლეები შედეგებს შეაჯამებენ.

საჭირო რესურსი:

დოკუმენტური ფილმი „ბარაკა“:

https://bit.ly/3BWFWGM

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა

ნაბიჯი 3

მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით საინფორმაციო პლაკატების შექმნა სახელწოდებით „დავიცვათ გარემო დაბინძურებისაგან“ და სასკოლო სივრცეში განთავსება.

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა მიიღონ ინფორმაცია გარემოს დაბინძურებაზე, იგრძნონ პასუხისმგებლობა და პრევენციისკენ მიმართულ ღონისძიებებში დაინახონ საკუთარი მონაწილეობის საჭიროება.

აქტივობის აღწერა:

Don't Copy

- მოსწავლეები მოაწყობენ სამუშაო შეხვედრას, სადაც შეიმუშავებენ პლაკატების ფორმატს, ვიზუალურ და შინაარსობრივ შეთანხმდებიან;
- მოსწავლეები შექმნიან პლაკატებს;
- პლაკატებს განათავსებენ სასკოლო სივრცეში.

საჭირო რესურსი:

რჩევები პლაკატის შესაქმნელად

https://ka.hydroponicsbc.com/3650-.html

აქტივობის შემსრულებელი – მოსწავლეთა თვითმმართველობა

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა

ამოცანა 2

მოსწავლემ შეძლოს იმის გაანალიზება, თუ როგორ აზიანებს ადამიანის ჯანმრთელობას გარემოს დაბინძურება, როგორ ირღვევა ადამიანის უფლება, იცხოვროს ჯანსაღ გარემოში და მიეცეს თავისუფალი განვითარების შესაძლებლობა;

ნაბიჯი 1

მოსწავლეები მოიწვევენ ექიმს. ის ისაუბრებს ადამიანის ჯანმრთელობისთვის გარემოს დაბინძურებით მიყენებულ ზიანზე. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მოსწავლეები შექმნიან ვიდეორგოლს სახელწოდებით - „დაბინძურებული გარემო და ადამიანის ჯანმრთელობა“.

Don't Copy

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გააანალიზონ გარემოს დაბინძურების მავნე გავლენის მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობაზე და ვიდეორგოლის საშუალებით გადმოსცენ, როგორ ირღვევა ადამიანის ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება.

აქტივობის აღწერა:

- თვითმმართველობის ინიციატივითა და სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭრით მოსწავლეები მოიწვევენ ექიმს;
- შეხვედრამდე მოსწავლეები მოიძიებენ მასალებს, შეისწავლიან დაბინძურებული გარემოს მავნე გავლენას;
- შეხვედრის შემდეგ გაიმართება კითხვა-პასუხი.
- მოსწავლეები მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შექმნიან ვიდეორგოლს, სადაც საუბარი იქნება იმაზე, თუ რა ზიანი შეიძლება მოუტანოს ადამიანის ჯანმრთელობას დაბინძურებულმა გარემომ;
- მოსწავლეები ვიდეორგოლს განათავსებენ სკოლის Facebook გვერდზე.

საჭირო რესურსები:

- გარემო და ჯანმრთელობა
  https://eiec.gov.ge/Home.aspx/Topics/OverView/14
- როგორ გავაკეთოთ ვიდეორგოლი
  https://youtu.be/Kbq9pP2estk

აქტივობის შემსრულებელი – მოსწავლეთა თვითმმართველობა
აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა
თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, გარე ორგანიზაცია (ამ შემთხვევაში, სამედიცინო დაწესებულება).

Don't copy

ნაბიჯი **2**

ფლაერების დამზადება სლოგანით „გარემოს დაცვა ჯანმრთელობაზე ზრუნვაა“ და თემში გავრცელება.

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლებმა გაიაზრონ და გაავრცელონ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გარემოს დაბინძურება არის ადამიანის ჯანსაღი ცხოვრების უფლების დარღვევა.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები მოაწყობენ შეხვედრას ფლაერების ვიზუალურ და შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებით. ფლაერში უნდა იყოს იმაზე საუბარი, რომ გარემოს დაბინძურებით ირღვევა ადამიანის უფლება, იცხოვროს ჯანსაღ გარემოში;
- მოსწავლეები დაამზადებენ ფლაერებს;
- ფლაერებს გაავრცელებენ თემში.

საჭირო რესურსი:

როგორ შევქმნათ ფლაერი

https://ka.observatoriodepaliativos.org/make-a-flyer-2375

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა

Don't Copy

ამოცანა 3

მოსწავლემ შეძლოს გაცნობიერება, როგორია დემოკრატიული სახელმწიფოს როლი გარემოს დაცვისა და დაბინძურების პრობლემის აღმოფხვრაში, რამდენად პასუხისმგებლობით ეკიდებიან მოქალაქეები გარემოს დაბინძურების პრევენციასა და გარემოსდაცვითი კულტურის ამაღლების ხელშეწყობას, რაც დადებითად აისახება ადამიანის პიროვნულ განვითარებაზე;

ნაბიჯი 1

მოსწავლეები ქმნიან **ეკოკლუბს,** რომელთა მიზანიც არის სასკოლო საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება გარემოს დაბინძურებასა და აღმოფხვრის გზების შესახებ – ჩვენ გარშემო არსებული საფრთხეები, რომლებიც თავიდან უნდა ავიცილოთ.

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: პრევენციისკენ მიმართული ღონისძიებების დაგეგმვა და გარემოსდაცვითი კულტურის ამაღლების ხელშეწყობა; კლუბის შექმნა არაფორმალური განათლების ხელშეწყობაც იქნება.

აქტივობის აღწერა:

- შეხვედრა კლუბის შექმნასთან დაკავშირებით, სადაც შემდეგი საკითხები იქნება განხილული: კლუბის შექმნის მიზანი, ლოგოს შემუშავება, ლიდერის არჩევა, სამუშაო გეგმა, წესდება, განაცხადის ფორმის შემუშავება წევრობის მსურველთათვის;
- ბლოგის შექმნა საკლუბო მუშაობისთვის;
- კლუბის ბლოგის ბმულის გამოქვეყნება სკოლის Facebook გვერდზე;

საჭირო რესურსები:

- საკლუბო მუშაობის წარმართვა https://www.youtube.com/watch?v=Yc2qabXR9sQ
- საკლუბო მუშაობისთვის

Don't copy

https://bit.ly/3oXXwUX

- როგორ შევქმნათ ბლოგი
  https://www.youtube.com/watch?v=YGfBqQNuHUw

აქტივობის შემსრულებელი – მოსწავლეთა თვითმმართველობა

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, სკოლის ადმინისტრაცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა

ნაბიჯი 2

ეკოკლუბის მიერ **„52 მწვანე რჩევის“** განთავსება კლუბის ბლოგზე და სკოლის Facebook გვერდზე, რომელიც დახმარებას გაუწევს სასკოლო თემის წევრებს, მიიღონ რჩევები და იცხოვრონ უფრო „მწვანე“, სუფთა, ჯანსაღი, გონივრული, ეკოლოგიური და ეფექტური ცხოვრებით: სახლში, საყიდლებზე სიარულისას, დასვენებისას და სხვა.

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლემ შეძლოს გაანალიზება, როგორ უწყობს ხელს დემოკრატიული სახელმწიფო გარემოსდაცვითი კულტურის ამაღლებას, როგორია მოქალაქეთა პასუხისმგებლობა გარემოს დაბინძურების პრევენციის საქმეში.

აქტივობის აღწერა:

- კლუბის წევრები მოაწყობენ შეხვედრას და „52 მწვანე რჩევას“ განიხილავენ;
- „52 მწვანე რჩევას“ კლუბის ბლოგზე გამოაქვეყნებენ;
- შემდეგ სკოლის Facebook გვერდზე გამოაქვეყნებენ, რათა სასკოლო საზოგადოების ცნობიერება ამაღლდეს გარემოსდაცვითი კულტურის განვითარების თვალსაზრისით;

Don't copy

- მოსწავლეები შედეგებს შეაჯამებენ.

საჭირო რესურსები:

„52 მწვანე რჩევა“, „გარემოსცადვითი და აგრარული განათლება სკოლაში“, 2021 წ.

https://bit.ly/3CUcFy0

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, სკოლის ადმინისტრაცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა

ნაბიჯი 3

ნახატების გამოფენა სახელწოდებით „გადაარჩინე დედამიწა“.

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ სასკოლო საზოგადოების ინფორმირება გარემოს დაცვისა და მისი გლობალური მნიშვნელობის შესახებ და გააცნობიერონ საკუთარი მონაწილეობის აუცილებლობა პრევენციისკენ მიმართულ ღონისძიებებში.

აქტივობის აღწერა:

Don't Copy

მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივითა და სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, სასკოლო თემის ინფორმირების მიზნით, სკოლის დერეფანში მოეწყობა ნახატების გამოფენა.

საჭირო რესურსები:

ფლიფჩარტი, მარკერები

აქტივობის შემსრულებელი – მოსწავლეთა თვითმმართველობა

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის ადმინისტრაცია

ამოცანა 4

მოსწავლემ შეძლოს გაანალიზება, რამდენად მნიშვნელოვანია სამოქალაქო მონაწილეობა გარემოს დაცვისა და დაბინძურების პრევენციის საქმეში, პასუხისმგებლობა საქმის მიმართ, თანამშრომლობა სახელმწიფო სტრუქტურებთან, პრობლემის გადაჭრისკენ მიმართული ლოკალური ქმედებების დაგეგმვისას სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინება და არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება.

ნაბიჯი 1

სკოლაში **სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის** წარმომადგენლის მოწვევა და ლექციის ჩატარება გარემოს დაცვაში არსებულ პრობლემებსა და გადაჭრის გზებზე, ნარჩენების მართვაზე, მოქალაქეთა მონაწილეობაზე.

მოსწავლეთა აქტივობა:

Don't Copy

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გააცნობიერონ გარემოს დაცვისა და დაბინძურების პრევენციის საქმეში საკუთარი მონაწილეობის საჭიროება, გაიაზრონ, რამდენად მნიშვნელოვანია ამ საქმეში თანამშრომლობა სახელმწიფო სტრუქტურებთან.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები დაგეგმავენ სკოლაში სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის წარმომადგენლის მოწვევას და ლექციის ჩატარებას;
- მოსწავლეები ლექციისთვის აუდიტორიას მოამზადებენ;
- ლექციის ჩატარების შემდეგ გაიმართება კითხვა-პასუხი;
- შემდეგ კი მოსწავლეები შედეგებს შეაჯამებენ.

საჭირო რესურსი:

„ნარჩენების მართვა“, გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში, V წიგნი, 2020 წ

https://bit.ly3CPy2Rh

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის ადმინისტრაცია, გარე ორგანიზაცია(ამ შემთხვევაში, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი)

ნაბიჯი 2

მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით **დასუფთავების აქციის** მოწყობა: სასკოლო სივრცის გასუფთავება, ურნების დამზადება და განთავსება;

Don't Copy

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეები პასუხისმგებლობით მოეკიდონ გარემოს დაცვისა და დაბინძურების პრობლემის გადჭრისკენ მიმართულ ლოკალურ ქმედებებს, რომელშიც მნიშვნელოვანია მომავლის პერსპექტივების გათვალისწინება გლობალური შედეგების მისაღწევად.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები დაგეგმავენ სკოლის დასუფთავების აქციას;
- თვითმმართველობა ორგანიზებას გაუკეთებს მოსწავლეთა ჩართულობას დასუფთავების აქციაში;
- მოიმარაგებენ სამუშაო იარაღებს, რომლებიც საჭიროა დასუფთავებისთვის. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სამეურვეო საბჭოს მხარდაჭერა დასუფთავებისათვის საჭირო ნივთების შესაძენად;
- მოსწავლეები მუყაოს ყუთებისგან დაამზადებენ ურნებს, რომლებსაც სხვადასხვა ფრად შეღებავენ: შეთანხმდებიან, რომ ლურჯი ფერის ყუთი ქაღალდებისთვის იქნება, ანუ მაკულატურის შესაგროვებლად, წითელი – ლითონის ნარჩენებისთვის, ყვითელი – პლასტმასისათვის, ხოლო მწვანე ფერის – მინის საგნებისათვის;
- მოსწავლეები ხელთათმანებს მოირგებენ და სკოლის ეზოს დაასუფთავებენ, ნარჩენებს ჩაყრიან შესაბამის ნაგვის ურნებში.

საჭირო რესურსი:

„ნარჩენების მართვა“, გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში, V წიგნი, 2020 წ, გვ.43

https://bit.ly/3CPy2Rh

აქტივობის შემსრულებელი – მოსწავლეთა თვითმმართველობა

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, სკოლის ადმინისტრაცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამეურვეო საბჭო

Don't copy

ნაბიჯი 3

მშობელთა ჩართულობითა და სამეურვეო საბჭოს მხარდაჭერით, აგრეთვე, მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიურობით, მოსწავლეთა მიერ **სკოლის ეზოს გამწვანება;**

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეები სკოლის გამწვანების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებას პასუხისმგებლობით მოეკიდონ, იმოქმედონ არაძალადობრივი მეთოდებით და გაითვალისწინონ სხვა ადამიანთა ინტერესები.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები დაგეგმავენ სკოლის ეზოს გამწვანებას;
- მშობელთა ჩართულობით, სასკოლო თვითმმართველობის აქტიურობით და სამეურვეო საბჭოს მხარდაჭერით მოსწავლეები შეიძენენ მარადმწვანე ბუჩქებსა და ყვავილებს;
- მოსწავლეები სკოლის ეზოში დაბარავენ მიწის ნაკვეთს და მოამზადებენ ნიადაგს ნარგავებისათვის;
- სასკოლო სივრცეში მწვანე ბუჩქები და ყვავილები განთავსდება, რაც მიმზიდველს გახდის სკოლას.

საჭირო რესურსები:

მარადმწვანე ბუჩქები, ყვავილები, სამუშაო იარაღები სკოლის ეზოს გამწვანებისთვის.

აქტივობის შემსრულებელი – მოსწავლეთა თვითმმართველობა

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო - ორი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის ადმინისტრაცია, სამეურვეო საბჭო

Don't Copy

ინტერდისციპლინური აქტივობები

ქართული ენა და ლიტერატურა

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა ესეში გააანალიზონ, როგორია დემოკრატიული სახელმწიფოს როლი გარემოს დაცვისა და დაბინძურების პრობლემის აღმოფხვრაში, რამდენად პასუხისმგებლობით ეკიდებიან მოქალაქეები გარემოს დაბინძურების პრევენციასა და გარემოსდაცვითი კულტურის ამაღლების ხელშეწყობას, რაც დადებითად აისახება ადამიანის პიროვნულ განვითარებაზე.

ქათული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება მავნე ნარჩენებისგან გარემოს დაბინძურების პრევენციაზე, დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქეების მოვალეობებზე, ადამიანის მოთხოვნილებებზე, ჯანსაღ გარემოზე. მასწავლებელი დაავალებს დაავალებს არგუმენტირებული ესეს დაწერას თემაზე „ არსებობს მოსაზრება, რომ გარემოს დაცვის მიზანი მხოლოდ ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა თუ იქნება, მაშინ გარემო შეიძლება დაუცველიც აღმოჩნდეს.“ არგუმენტირებული მსჯელობით მოსწავლეები უნდა დაეთანხმონ ამ მოსაზრებას ან უარყონ იგი.

წერის პროცესში მოსწავლემ უნდა გამოკვეთოს ძირითადი პრობლემა და მასთან დაკავშირებული სხვა მოსაზრებები, თავისი თვალსაზრისი უნდა დაასაბუთოს სხვადასხვა პოზიციიდან შესაბამისი მაგალითებით. მასწავლებელმა მუშაობის დაწყებამდე უნდა შეახსენოს მოსწავლეებს, რომ ესე შედგება სამი ძირითადი ნაწილისგან: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა. შესავალში მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული განსახილველი პრობლემა და ძირითადი თეზისი. ძირითად ნაწილში მოსწავლემ უნდა გამოხატოს თავისი მოსაზრება მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებით, ორი-სამი არგუმენტით გაამყაროს ის და საილუსტრაციოდ მოიყვანოს შესაბამისი მაგალითები. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკური და თანამიმდევრული. დასკვნით ნაწილში კი შეჯამდება გადმოცემული მოსაზრებები, მეორდება თეზისი, პირადი პოზიცია მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებით.

მასწავლებელი დაეხმარება მოსწავლეებს მასალების მოძიებაში, რომელიც ესეს წერის დროს გამოადგებათ. ესეში საჭიროა არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების წარმოდგენა, პარალელების გავლება რომელიმე ლიტერატურულ პერსონაჟთან, ან სიტუაციასთან, რაც მოსწავლეებში ავითარებს შემოქმედებით, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარებს.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები მოიძიებენ მასალებს და დაამუშავებენ;
- ესეს წერის დროს გამოიყენებენ პარალელებს;
- საკუთარ მოსაზრებებს არგუმენტებით გაამყარებენ;
- დაწერილ ესეს თანატოლებს გააცნობენ.

გეოგრაფია

აქტივობის მიზანი: დავალების შესრულების დროს მოსწავლეებმა შეძლონ გაანალიზება, თუ როგორ აზიანებს ადამიანის ჯანმრთელობას გარემოს დაბინძურება, როგორ ირღვევა ადამიანის უფლება, იცხოვროს ჯანსაღ გარემოში და მიეცეს თავისუფალი განვითარების უფლება.

აქტივობის აღწერა:

- გეოგრაფიის მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები მოიძიებენ სტატისტიკურ მონაცემებს-გარემოსდაცვითი რა სამართალდარღვევაა საქართველოში, ჰაერის დაბინძურებისა და ტყის ჭრის შემთხვევებზე;
- შეადარებენ რომელიმე სხვა ქვეყნის სტატისტიკურ მონაცემს;
- შედეგების სტატისტიკური ანალიზს გრაფიკულად გამოსახავენ Excell-ის ფაილში მონაცემთა დიაგრამას ააგებენ;
- მონაცემებს ერთმანეთს შეადარებენ T სქემით.

ამ აქტივობით ხელი შეეწყობა რაოდენობრივი წიგნიერების უნარების განვითარებას.

საჭირო რესურსები:

- დანაგვიანების მიზეზები, შედეგები და გადაჭრის შესაძლო გზები
- https://bit.ly/3BxSo0y
- რჩევები ესეს დასაწერად

Dont Copy

- https://edu.aris.ge/news/rogor-davwerot-kargi-ese-14-nabiji.html
- გარემოს დაბინძურება-სტატისტიკა, სტატისტიკის ეროვნული სამსახური. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/73/garemos-statistika
- რჩევები სტატისტიკური მონაცემების გრაფიკულად გამოსახვისათვის:

  https://bit.ly/3x10EVh

- T სქემა



აქტივობის შემსრულებელი – საგნობრივი კათედრები

აქტივობის განხორციელების დრო – ორი კვირა

Don't Copy

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, საგნობრივი კათედრები, სკოლის ადმინისტრაცია

III ეტაპი
პროექტის განხორციელება

მოსწავლეთა აქტივობა:

პროექტის განხორციელების პროცესში მოსწავლეები ეძებენ გადაკვეთის წერტილებს და თანამშრომლობენ სასკოლო საზოგადოების წევრებთან:

- სკოლის სხვა მოსწავლეებთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან;
- სკოლის სხვა მასწავლებლებთან;
- სკოლის ადმინისტრაციასთან;
- გარე პარტნიორებთან;

მოსწავლეები წარადგენენ პროექტს სასკოლო საზოგადოების წინაშე.

საჭირო რესურსები:

ფუნქციურ-კომპონენტური უნარები და რესურსები, რომლებიც ამ უნარებს ავითარებს

ფუნქციურ-კომპონენტური უნარები:
შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება, კრიტიკული აზროვნება.
ფუნქციურ-კომპონენტური უნარების შესახებ რესურსები, რომლებიც მოსწავლეებს ასწავლის, როგორ იურთიერთონ საზოგადოების წევრებთან გამოკვეთილ სფეროსთან მიმართებით:

- შემოქმედებითი აზროვნების შესახებ
  http://mastsavlebeli.ge/?p=16961
- პიროვნული უნარ-ჩვევები -კომუნიკაცია, კრიტიკული აზროვნება, ღირებულებები
  https://www.civiceducation.ge/ka/lessons/4-47
- კოლაბორაციული სწავლების თეორიული და პრაქტიკული საკითხები და “მსოფლიო კაფე”
  http://mastsavlebeli.ge/?p=2452

Don't Copy

- მოქალაქე, მისი როლი და პასუხისმგებლობა
  https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-9
- პიროვნება და საზოგადოება(ხასიათი, ნება)
  https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-1
- როგორ განვავითაროთ კრიტიკული აზროვნება მოსწავლეებში?
  https://bit.ly/3rbDkzR
- კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების მიდგომების გამოყენება სწავლებაში
  http://mastsavlebeli.ge/?p=16208

III ეტაპის შედეგად მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ პროექტის შედეგები

პროექტის განხორციელების შედეგად გაიზარდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობა გარემოს დაბინძურების პრევენციის საქმეში. ამაღლდა საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ცნობიერება გარემოს დაცვის თვალსაზრისით, რომელიც მომავალში აისახება მათ პიროვნულ განვითარებაზე. გამყარდა კავშირი არა მხოლოდ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან, არამედ გარე ორგანიზაციებთან (სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი). პროექტის ფარგლებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამეურვეო საბჭოს ფინანსურ მხარდაჭერას, ასევე, მნიშვნელოვანი იყო გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან თანამშრომლობა, რომელიც მომავალშიც უნდა გაგრძელდეს.

მოსწავლეები თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან, მასწავლებლებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან, გარე ორგანიზაციებთან; ინტენსიური იყო სასკოლო თემის ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში.

გაიზარდა მოსწავლეთა ცოდნისა და პასუხისმგებლობის დონე გარემოს დაცვისა და დაბინძურების პრევენციის საქმეში, ხელი შეეწყო გარემოსდაცვითი კულტურის განვითარებას.

მოსწავლეებმა გაიაზრეს და გააანალიზეს გარემოს დაბინძურების საფრთხეები ადამიანის ჯანმრთელობაზე, ადამიანის უფლების დარღვევაზე, იცხოვროს ჯანსაღ გარემოში, ასევე, ადამიანის მოთხოვნილებებზე. მოსწავლეებმა გაიაზრეს დემოკრატიული სახელმწიფოსა და მოქალაქეების როლი გარემოს დაცვისა და დაბინძურების პრობლემის აღმოფხვრაში. მოსწავლეებმა შეძლეს სამოქალაქო მონაწილეობის მნიშვნელობის გააზრება გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, თუ რამდენად დიდია აქტიური მოქალაქის როლი პრობლემის გადაჭრისკენ მიმართული ლოკალური ქმედებების დაგეგმვისას.

Don't copy

IV ეტაპი მდგრადობა და მომავლის გეგმები
მოსწავლეთა აქტივობა: მოსწავლეები სასკოლო საზოგადოების წევრებთან ერთად აფასებენ პროექტის შედეგებს და გეგმავენ, რა არის საჭირო მდგრადობის უზრუნველყოფისთვის. **საჭირო რესურსები:** პროექტის სარგებელი გრძელვადიან პერსპექტივაში ის არის, რომ გაიზრდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში, რომელიც უნდა გაგრძელდეს პროექტის დასრულების შემდეგაც. სასკოლო საზოგადოებამ ინტენსიურად უნდა ითანამშრომლოს სახელმწიფო სტრუქტურებთან და სხვა გარე ორგანიზაციებთან, რაც გარემოს დაცვის პრევენციის მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება. მდგრადობას განსაზღვრავს ის, რომ პროექტი გახდება სასკოლო კურიკულუმის ნაწილი.
IV ეტაპის შედეგად სასკოლო სასწავლო გეგმაში გაჩნდება ჩანაწერი, რომელიც იქნება მოსწავლეების მიერ განხორციელებული პროექტის მდგრადობის გარანტი. იქმნება მონიტორინგის ჯგუფი (მოსწავლე/მასწავლებელი/მშობელი). მოსწავლეები სასკოლო საზოგადოების წევრებთან ერთად აფასებენ პროექტის შედეგებს სოლო ტაქსონომიის დონეებით, რომელთაც აქვთ განმავითარებელი ხასიათი(შეფასების რუბრიკა იხილე დანართი **N 1).** მოსწავლეები გეგმავენ, რა არის საჭირო მდგრადობის უზრუნველყოფისთვის. პროექტის სარგებელი გრძელვადიან პერსპექტივაში ის არის, რომ გაიზრდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში. მან ინტენსიურად უნდა ითანამშრომლოს სახელმწიფო სტრუქტურებთან და სხვა გარე ორგანიზაციებთან, რაც გარემოს დაცვის პრევენციის მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

Don't Copy

დანართი N 1

მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტის შეფასების რუბრიკა

შეფასების კრიტერიუმები	**პრესტრუქტურული**	**უნისტრუქტურული**	**მულტისტრუქტურული**	**მიმართებითი**	**აბსტრაქტული**
მოსწავლემ შეძლოს მავნე ნარჩენებისგან გარემოს დაბინძურების საფრთხეებისა და ასერტულობის დაცვით პრევენციისკენ მიმართულ ღონისძიებებში საკუთარი მონაწილეობის გააზრება, რადგანაც ადამიანის მოთხოვნილებაა, იცხოვროს ჯანსაღ გარემოში	მოსწავლეს არ აქვს რელევანტური ინფორმაცია გარემოს დაცვის საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტური რებული ასოციაცია/წარმოდგენა გარემოს დაცვასთან დაკავშირებით. შეუძლია მხოლოდ საკითხის დასახელება.	მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა საკითხთან დაკავშირებით. ვერ აკავშირებს ერთმანეთთან მავნე ნარჩენებისგან გარემოს დაბინძურების საფრთხეებს და პრევენციისკენ მიმართულ ღონისძიებებში საკუთარი მონაწილეობასთან.	მოსწავლეს შეუძლია მავნე ნარჩენებისგან გარემოს დაბინძურების საფრთხეებისა და ასერტულობის დაცვით პრევენციისკენ მიმართულ ღონისძიებებში საკუთარი მონაწილეობის გააზრება. შეუძლია საკითხის ახსნა, ანალიზი, ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით	მოსწავლეს შეუძლია მავნე ნარჩენებისგან გარემოს დაბინძურების საფრთხეებისა და ასერტულობის დაცვით პრევენციისკენ მიმართულ ღონისძიებებში საკუთარი მონაწილეობის გააზრება. მას სიღრმისეულად აქვს გაანალიზებული საკითხის არსი, უკავშირებს პირად

Don't copy

				სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	გამოცდილებას. რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზები ს/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს.
მოსწავლემ შეძლოს იმის გაანალიზება, თუ როგორ აზიანებს ადამიანის ჯანმრთელობას გარემოს დაბინძურება, როგორ ირღვევა ადამიანის უფლება, იცხოვროს ჯანსაღ გარემოში და მიეცეს თავისუფალი	მოსწავლეს არ აქვს არანაირი ცოდნა და გარემოს დაბინძურებასთა ნ დაკავშირებით, იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას ან/და საერთოდ აცდენილია მნიშვნელ	მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა გარემოს დაბინძურების შედეგეთან დაკავშირებით. შეუძლია მხოლოდ საკითხის დასახელება, მარტივი, ზედაპირული კავშირების დამყარება.	მოსწავლეს შეუძლია იმის გაანალიზება, თუ როგორ აზიანებს ადამიანის ჯანმრთელობას გარემოს დაბინძურება და როგორ ირღვევა ადამიანის უფლება, იცხოვროს ჯანსაღ გარემოში, თუმცა, აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა ბულინგთან დაკავშირებით.	მოსწავლეს შეუძლია იმის გაანალიზება, თუ როგორ აზიანებს ადამიანის ჯანმრთელობას გარემოს დაბინძურება, როგორ ირღვევა ადამიანის უფლება, იცხოვროს ჯანსაღ გარემოში და მიეცეს ტავისუფალი განვითარების შესაძლებლობა. შეუძლია ახსნა მიზეზებისა და შედეგების კუთხით.	მოსწავლეს შეუძლია იმის გაანალიზება, თუ როგორ აზიანებს ადამიანის ჯანმრთელობას გარემოს დაბინძურება, როგორ ირღვევა ადამიანის უფლება, იცხოვროს ჯანსაღ გარემოში და მიეცეს თავისუფალი განვითარების შესაძლებლობა. შეუძლია განზოგადება,

Do not copy

განვითარების შესაძლებლობა	ობას/ა ზრს.		ესმის საკითხის არსი, მაგრამ გარემოს დაბინძურების შედეგებთან და პრევენციის გზებთან მიმართებებს ვერ ამყარებს.		სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახვა, ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკა.
მოსწავლემ შეძლოს გაცნობიერება, როგორია დემოკრატიული სახელმწიფოს როლი გარემოს დაცვისა და დაბინძურების პრობლემის აღმოფხვრაში, რამდენად პასუხისმგებლობით ეკიდებიან მოქალაქეები გარემოს დაბინძურების პრევენციასა **და გარემოსდაცვითი კულტურის**	მოსწავლეს არ აქვს წარმოდგენა გარემოს დაცვისა და დაბინძურების პრობლემის აღმოფხვრასთან დაკავშირებით.	მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტური რებული წარმოდგენა გარემოს დაცვისა და დაბინძურების პრობლემის აღმოფხვრასთან დაკავშირებით.	მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა გაცნობიერება, უჭირს დემოკრატიული სახელმწიფოს როლის დაკავშირება მოქალაქეთა პასუხისმგებლობასთან გარემოს დაცვის საკითხზე.	მოსწავლეს შეუძლია გაცნობიერება, როგორია დემოკრატიული სახელმწიფოს როლი გარემოს დაცვისა და დაბინძურების პრობლემის აღმოფხვრაში, რამდენად პასუხისმგებლობით ეკიდებიან მოქალაქეები გარემოს დაბინძურების პრევენციასა და გარემოსდაცვითი კულტურის ამაღლების ხელშეწყობას, რაც დადებითად აისახება	მოსწავლეს შეუძლია გაცნობიერება, როგორია დემოკრატიული სახელმწიფოს როლი გარემოს დაცვისა და დაბინძურების პრობლემის აღმოფხვრაში, რამდენად პასუხისმგებლობით ეკიდებიან მოქალაქეები გარემოს დაბინძურების პრევენციასა და გარემოსდაცვითი კულტურის ამაღლების

Don't Copy

ამაღლების ხელშეწყობა, რაც დადებითად აისახება ადამიანის პიროვნულ განვითარებაზე				ადამიანის პიროვნულ განვითარებაზე. აქვს იმის კომპეტენცია, რომ საკითხი გაიაზროს, დაამყაროსა მიმართებები, გააანალიზოს.	ხელშეწყობას, რაც დადებითად აისახება ადამიანის პიროვნულ განვითარებაზე. შეუძლია იდეების ტრანსფერი, საკუთარ ცოდნას უკავშირებს პირად გამოცდილებას.
მოსწავლემ შეძლოს გაანალიზება, რამდენად მნიშვნელოვანია სამოქალაქო მონაწილეობა გარემოს დაცვისა და დაბინძურების პრევენციის საქმეში, პასუხისმგებლობა საქმის მიმართ, თანამშრომლობა სახელმწიფო სტრუქტურებთან, პრობლემის	მოსწავლეს არ აქვს წარმოდგენა გარემოს დაცვისა და დაბინძურების პრევენციაზე.	მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტური რებული წარმოდგენა გარემოს დაცვისა და დაბინძურების პრევენციაზე.	მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა გაანალიზება, რამდენად მნიშვნელოვანია სამოქალაქო მონაწილეობა გარემოს დაცვისა და დაბინძურების პრევენციის საქმეში. მას შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება,	მოსწავლეს შეუძლია გაანალიზება, რამდენად მნიშვნელოვანია სამოქალაქო მონაწილეობა გარემოს დაცვისა და დაბინძურების პრევენციის საქმეში, პასუხისმგებლობა საქმის მიმართ, თანამშრომლობა სახელმწიფო სტრუქტურებთან, პრობლემის გადაჭრისკენ მიმართული	მოსწავლეს შეუძლია გაანალიზება, რამდენად მნიშვნელოვანია სამოქალაქო მონაწილეობა გარემოს დაცვისა და დაბინძურების პრევენციის საქმეში, პასუხისმგებლობა საქმის მიმართ, თანამშრომლობა სახელმწიფო

გადაჭრისკენ მიმართული ლოკალური ქმედებების დაგეგმვისას **სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება და არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება.**			მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე.	ლოკალური ქმედებების დაგეგმვისას სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება და არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება. შეუძლია მიმართებების დამყარება, გააანალიზება, ახსნა მიზეზებისა და შედეგების კუთხით.	სტრუქტურებთან, პრობლემის გადაჭრისკენ მიმართული ლოკალური ქმედებების დაგეგმვისას სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება და არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება. შეუძლია ჰიპოთეზური დასკვნების გაკეთება.

Don't Copy

პროექტი N 7

პროექტის დასახელება:

ვებრძოლოთ ადიქციას!

პროექტის ტიპი ინფორმაციული
პროექტის განხორციელების ვადები: პროექტის განხორციელება გათვლილია ერთ სემესტრზე (დაახლოებით 14-18 საათი); თითოეულ აქტივობას მითითებული აქვს განხორციელების სავარაუდო ვადა.
პროექტის სამიზნე ჯგუფი: X კლასის მოსწავლეები
კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ თემასთან/თემებთან: ჯანსაღი ცხოვრება
პროექტის შესაბამისობა სამიზნე ცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან: საზოგადოება, დემოკრატია, სამოქალაქო მონაწილეობა, მდგრადი განვითარება
კავშირი XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციასთან: წიგნიერება, რაოდენობრივი წიგნიერება, სამოქალაქო კომპეტენცია

Don't Copy

I ეტაპი სფეროს (თემის დახასიათება), პრობლემების იდენტიფიცირება სფეროსთან მიმართებით
მოსწავლეთა აქტივობა: • მოსწავლეები ირჩევენ ადიქციის თემას, რომელიც მნიშვნელოვნად ეჩვენებათ სასკოლო თემისთვის; • მოსწავლეები ეცნობიან შესაბამის ლიტერატურას შერჩეულ სფეროსთან დაკავშირებით; • მოსწავლეები აკეთებენ სიტუაციურ ანალიზს; საამისოდ ისინი არჩევენ შესაბამის წყაროებსა და კვლევის მეთოდებს. **ძირითადი რესურსები:** 1. ადიქცია https://befriend.mes.gov.ge/article/?id=24 2. „აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით მოზარდების ცოდნის, შეხედულებებისა და პრაქტიკის კვლევა“, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2022 წ, გვ. 13-26 https://uni.cf/3z4jPg2 3. „აზარტულ თამაშებთან დაკავშირებულ რისკებსა და თამაშდამოკიდებულებაზე მოზარდების ინფორმირების დონე“, UNICEF, დანართი 1, კითხვარი, გვ 36 https://uni.cf/3z4jPg2 **დამატებითი რესურსები:** 4. „აზარტულ თამაშებთან დაკავშირებულ რისკებსა და თამაშდამოკიდებულებაზე მოზარდების ინფორმირების დონე“, UNICEF, გვ 21-26 https://uni.cf/3z4jPg2 5. რას წარმოადგენს ქცევითი დამოკიდებულება/ადიქცია?! https://drugprevention.ge/2019/10/31/addiction/ 6. ადიქცია და მასთან ბრძოლის საერთაშორისო პრაქტიკა http://mastsavlebeli.ge/?p=30207 7. „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოვლა-პატრონობის სახელმძღვანელო“, „ცხოვრების ჯანსაღი წესის ძირითადი პრინციპები“, გვ.69-75, https://bit.ly/3dVx1NT 8. ჯანსაღი ცხოვრების წესი და სოციალური დაავადებები https://www.civiceducation.ge/ka/lessons/3-29

Don't Copy

9. ადიქციის და ფსიქიკური ჯანმრთელობის დარღვევების პრევენცია მოზარდებსა და ახალგაზრდებში-ახალი კვლევითი პროექტი: http://curatiofoundation.org/ge/implementing-new-research-prevention-addiction-mental-health-adolescents-georgia
10. „აზარტული თამაშების რეკლამა და არასრულწლოვანთა დაცვა საქართველოში“, თსუ, სამეცნიერო კონფერენციის კრებული, გვ 21-29 https://eta.edu.ge/uploads/konferenciebis_krebulebi/2022.12.29.pdf
11. რას წარმოადგენს ქცევითი დამოკიდებულება/ადიქცია?! https://drugprevention.ge/2019/10/31/addiction
12. „მოზარდების ინფორმირების დონე ლუდომანიის დაძლევის გზებზე“ UNICEF, გვ 26-31 https://uni.cf/3z4jPg2
13. „მოზარდებში აზარტული თამაშების პრევენცია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ დღის წესრიგში უნდა დადგეს”, UNICEF, 2020- https://uni.cf/3onImYu
14. ლუდომანია https://bit.ly/3uOBjLm
15. ალკოჰოლიზმი https://bit.ly/3IXXR1b
16. ნარკომანია https://bit.ly/3u0m3fh
17. ინტერნეტდამოკიდებულება https://bit.ly/3K3gMsQ

საკვანძო კითხვები:

- რა არის ადიქცია?
- როგორია ადიქციური ქცევა და რამდენად უარყოფითად აისახება ის ადამიანის პიროვნულ განვითარებაზე?
- რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანის ურთიერთობა სოციალურ ჯგუფებთან, ინსტიტუციებთან და რა როლს თამაშობს ასერტულობა, როდესაც საზოგადოება ცდილობს ადიქციისაგან იხსნას პიროვნება?
- შენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანის ღირსების შემლახავ ადიქციასთან ბრძოლა და როგორ უზრუნველყოფს დემოკრატიული საზოგადოება ამ პრობლემასთან ბრძოლას? პასუხი დაასაბუთე;
- როგორ ახორციელებენ ადიქციის წინააღმდეგ ბრძოლას აქტიური მოქალაქეები და რამდენად გასათვალისწინებელია სამოქალაქო მონაწილეობის (მოხალისეობა, ადვოკატირება, ლობირება) დროს არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება?
- როგორია აქტიური მოქალაქეების როლი ადიქციის წინააღმდეგ ბრძოლის, როგორც საზოგადოებრივ პრობლემებზე ზრუნვის საქმეში და რამდენად მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით თანამშრომლობა საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან?

Don't Copy

- რამდენად გათვალისწინებულია სამოქალაქო მონაწილეობის დროს სხვა ადამიანების ინტერესები და როგორ არის დაცული არაძალადობრივი მეთოდების გამოყენება ადიქციის წინააღმდეგ ბრძოლისას?
- რატომ არის მნიშვნელოვანი ადიქციასთან ბრძოლისას მომავლის პერსპექტივების გათვალისწინება?
- შენი აზრით, რამდენად გათვალისწინებულია ადიქციასთან ბრძოლის ლოკალური ქმედებების დაგეგმვისას მისი, როგორც გლობალური სენის მნიშვნელობა? პასუხი დაასაბუთე;

I ეტაპის შედეგად მოსწავლემ უნდა ჩამოაყალიბოს სიტუაციური ანალიზი

ტრადიციულად, ტერმინი „ადიქცია“ გამოიყენებოდა ნარკოდამოკიდებულების ან ალკოჰოლიზმის დაავადების აღსანიშნად, მაგრამ დღეს უკვე აღარავინ დაობს, რომ სხვადასხვა ქცევამაც შეიძლება გამოიწვიოს მიჩვევა, პრობლემური დამოკიდებულება დაკვალიფიცირდეს, როგორც მძიმე პროგრესირებადი დაავადება; უფრო მეტიც, დღესდღეობით უკვე არსებობს მკურნალობის მეთოდები ისეთი ქცევითი დარღვევებისთვის, როგორებიცაა კვებითი აშლილობა, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება, სექსუალური ადიქცია, მუდმივად საყიდლებზე სიარული და ა.შ.

დამოკიდებულება, ადიქცია ეს არის ბიო-ფსიქო-სოციალურ-სულიერი დაავადება, რომელშიც ჩართულია ტვინის დამაჯილდოებელი სისტემა. კონკრეტულად, ქცევითი დამოკიდებულების განსაზღვრებაში ერთიანი შეთანხმება არ არსებობს, თუმცა, ყველა თანხმდება იმაზე, რომ აზარტული თამაშისას ან ნებისმიერი სხვა ადიქტური ქცევის განხორციელებისას, ტვინის იგივე უბნები აქტიურდება, რომლებიც ალკოჰოლის ან ნარკოტიკის მოხმარების დროს და მიზეზი, რის გამოც ადამიანი წამალთან დაუკავშირებელ ქცევაზე დამოკიდებული ხდება, იგივეა, რასაც ის წამალდამოკიდებულებამდე მიჰყავს. შესაბამისად, პრობლემები და მახასიათებლები ყველა შემთხვევაში მსგავსია.

მშობლების არაინფორმირებულობა ხშირად ხდება აღზრდაში დაშვებული შეცდომების მიზეზი, რომელიც შემდგომში ბავშვში იწვევს ადიქციური ქცევის ჩამოყალიბებას. ადიქციური ქცევის ნიშნები შესაძლებელია მცირე ასაკშივე გაჩნდეს. ეს პრობლემები ჩნდება იმ ასაკიდან, რა ასაკშიც მშობლები ბავშვს აჩვევენ კომპიუტერზე, ipad-ზე, მობილურზე თამაშს, ტელევიზორის ყურებას და ა.შ.

Do not copy

ქცევა გადადის ჩვევაში, შემდგომში ჩნდება აქტივობის განმეორების სურვილი და ბოლოს, მოთხვნილება. მშობლების მხრიდან წახალისება კი ამ ჩვევის გამყარებას იწვევს. მაგალითად, დაკავებული, დაღლილი მშობლები თავად სთავაზობენ ბავშვს მობილურს, კომპიუტერს, ipad-ს. ამას ხშირად ბავშვის შექება მოსდევს: „კარგი ბავშვი ხარ, ამდენი ხანი ჩუმად რომ ითამაშე და ხელი არ შემიშალე," „რა კარგია, რომ გაიმარჯვე ამ თამაშში" და ა.შ, რაც განამტკიცებს ადიქციურ ქცევას.*

გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ საქართველოს საპატრიარქოსთან თანამშრომლობით განხორციელდა კვლევა „მოზარდებში აზარტული თამაშების პრევენციის საერთაშორისო გამოცდილების შესახებ". კვლევა აჩვენებს, რომ ადამიანები, რომლებიც ებრძვიან ქცევით დამოკიდებულებას, მეტად მიდრეკილნი არიან ალკოჰოლზე, ნარკოტიკებზე ან სხვა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულებისკენ.

სპეციალისტები, რომლებიც მუშაობენ ნარკოდამოკიდებულების მკურნალობის სფეროში, აღნიშნავენ, რომ დამოკიდებული პაციენტები ხშირად გადადიან ერთი დამოკიდებულების ფორმიდან მეორეზე. მაგალითად, შეიძლება შეწყვიტონ ალკოჰოლის პათოლოგიური მოხმარება, მაგრამ დაიწყონ გადაჭარბებული ჭამა ან აზარტული თამაშები და პირიქით, თუმცა, ეს არ არის განაჩენი.

მნიშვნელოვანია ის, რომ დაავადების ერთი კონკრეტული ფორმისგან განკურნება ამცირებს დამოკიდებულების მეორე ფორმის განვითარების ალბათობას, ვინაიდან საქმე გვაქვს დამოკიდებულებასთან, ერთიან ადიქციასთან და არა მის ცალკეულ გამოვლინებასთან – ნარკომანიასთან, ლუდომანიასთან ან ალკოჰოლიზმთან. შესაბამისად, მკურნალობა/რეაბილიტაციაც უნდა დაიგეგმოს კომპლექსურად, დამოკიდებულების მთლიანი პრობლემის გათვალისწინებით.

გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ საქართველოს საპატრიარქოსთან თანამშრომლობით განხორციელებული კვლევის „მოზარდებში აზარტული თამაშების პრევენციის საერთაშორისო გამოცდილების შესახებ" ერთ-ერთი რეკომენდაციაა „აზარტულ თამაშებზე მოთხოვნილების მნიშვნელოვნად შემცირება შესაძლებელია ცნობიერების ამაღლების, საგანმანათლებლო ღონისძიებების, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პოლიტიკის მიღებისა და განხორციელების გზით".**

---

*„ადიქცია", ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი, მარიამ დავითაშვილის სტატია

https://befriend.mes.gov.ge/article/?id=24

**„აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ადამიანების პიროვნული მახასიათებლები", ილიას უნივერსიტეტი, სადოქტორო ნაშრომი, 2020

http://eprints.iliauni.edu.ge/10343/1/Pages%20from%20%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%A8%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94.pdf

Don't copy

კვლევაში მონაწილე მოზარდების უმრავლესობას (81 %) ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არასრულწლოვნებს ფულზე აზარტული თამაში და ონლაინ აზარტული თამაშების ვებგვერდზე რეგისტრაცია ეკრძალებათ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. თუმცა, გამოკითხული 14-17 წლის მოზარდები ნაკლებად არიან ინფორმირებული აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებასა და მასთან დაკავშირებულ რისკებზე. ყოველი 5-დან 4 მოზარდისთვის ინფორმაცია აზარტული თამაშდამოკიდებულების შესახებ არავის მიუწოდებია, ხოლო, მეორე მხრივ, თავადაც არ გასჩენიათ სურვილი, მეტი გაეგოთ ლუდომანიაზე (90%). კვლევაში მონაწილე მოზარდების 10% აღნიშნავს, რომ დაინტერესებულა თამაშდამოკიდებულების საკითხით და უცდია დამატებითი ინფორმაციის მოძიება. თუმცა, ინტერნეტში ლუდომანიასთან დაკავშირებით სრულყოფილი ინფორმაციის მიღება მოზარდების მხოლოდ 6%-მა შეძლო.***

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების ინფორმირება ადიქციის რეალური რისკების შესახებ; დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს სკოლაში ადიქციის უარყოფითი შედეგების შესახებ სხვადასხვა ღონისძიების განხორციელებას, ასევე, მნიშვნელოვანია ქცევის ცვლილებაზე ორიენტირებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო კამპანიების წარმოება სოციალური ქსელებით, რომლის დროსაც ხაზი უნდა გაესვას ადიქციის მძიმე შედეგებს.

***„აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით მოზარდების ცოდნის, შეხედულებებისა და პრაქტიკის კვლევა“, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2022 https://uni.cf/3z4jPg2

II ეტაპი

იდეები და შესაძლებლობები

Don't copy

მოსწავლეთა აქტივობა:

- მოსწავლეები გამოკვეთენ ფორმებს აქტივობებისთვის, აყალიბებენ აქტივობების იდეებს;
- მოსწავლეები ქმნიან მიზნების იერარქიას: აქტივობის მიზანი, პროექტის მიზანი;
- მოსწავლეები აყალიბებენ მოსალოდნელ შედეგებს: რა გავლენას მოახდენს პროექტი სასკოლო საზოგადოების განვითარებაზე, აანალიზებენ, თუ რა რესურსები სჭირდებათ დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად, რამდენად ხელმისაწვდომია ეს რესურსები;
- მოსწავლეები აყალიბებენ სამოქმედო გეგმას დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად.

საჭირო რესურსები:

პროექტების ანალოგიები სფეროსთან დაკავშირებით

იდეების ჩამოყალიბების პროცესში, ეფექტური იქნება, რომ მოსწავლეები გაეცნონ ადიქციისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის თემაზე განხორციელებული პროექტების მაგალითებს. ქვემოთ არის იდების ჩამონათვალი შესაბამისი ბმულებით განხორციელებული პროექტების მაგალითზე:

- სსიპ რუსთავის N 2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა განახორციელეს პროექტი ჯანსაღი ცხოვრების წესზე. ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, კლუბმა მოაწყო საღამო, სადაც მოსწავლეებს შეხვდა და ესაუბრა მსოფლიო ჩემპიონი შერეულ ორთაბრძოლაში გურამ გუგენიშვილი, გვ.4
  https://bit.ly/3oXXwUX

- USAID სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში სოფელ იყალთოს საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ადიქციის თემაზე პროექტი განახორციელეს-
  https://m.facebook.com/permalink.php?id=160975050625163&story_fbid=3841802749209023

II ეტაპის შედეგად მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ პროექტის სატიტულო ნაწილი: მიზანი, შედეგი, აქტივობა, სამოქმედო გეგმა

პროექტის მიზანი:

Don't Copy

ადიქციური ქცევის პრობლემებისა და მასთან ბრძოლის შესახებ ცნობიერების ამაღლება, გაანალიზება და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის ხელშეწყობა სასკოლო თემში

პროექტის ამოცანები:

1. მოსწავლემ შეძლოს ადამიანის ადიქციური ქცევის პრობლემების შესახებ ცნობიერების ამაღლება; იმის გააზრება, თუ რა შედეგები მოსდევს დამოკიდებულებას და რამდენად უარყოფითად აისახება ის ადამიანის პიროვნულ განვითარებაზე;
2. მოსწავლემ შეძლოს გააზრება, როგორ არეგულირებს საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები ადამიანის უფლებების (ჯანმრთელობის) დაცვას და რამდენად მნიშვნელოვანია აქტიური მოქალაქეების პასუხისმგებლობა და ასერტული ქცევა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის, როგორც მავნე დამოკიდებულებების ჩამოყალიბების ეფექტური პრევენციის თვალსაზრისით;
3. მოსწავლემ შეძლოს გაცნობიერება, თუ რამდენად ხელსაყრელია ადიქციასთან ბრძოლის საქმეში საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა და არაძალადობრივი ქმედითი ნაბიჯების განხორციელება სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინებით;
4. მოსწავლემ შეძლოს იმის გააზრება, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი აქტიური მოქალაქეების როლი ადიქციასთან ბრძოლასა და მომავლის პერსპექტივების გათვალისწინებით დაგეგმილ ლოკალურ ქმედებებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მისაღწევად.

მოსწავლეები აყალიბებენ მოსალოდნელ შედეგებს:

რა გავლენას მოახდენს პროექტი სასკოლო საზოგადოების განვითარებაზე?

პროექტის განხორციელების შედეგად გაიზრდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. გამყარდება კავშირი არა მხოლოდ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან (საგნობრივი კათედრები, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის ადმინისტრაცია, სასკოლო საზოგადოება), არამედ გარე ორგანიზაციებთან (პროექტის ფარგლებში მოწვეულები იყვნენ ფსიქოლოგი/ნარკოლოგი და არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ადიქციის კვლევისა და კონსულტაციის ცენტრის“წარმომადგენელი).

Don't copy

პროექტის განხორციელება აამაღლებს საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ცნობიერებას მავნე ჩვევებისა და მასზე დამოკიდებულების შესახებ. მოსწავლეები შეძლებენ ადიქციური ქცევის პრობლემაზე ცნობიერების ამაღლებას, დემოკრატიული სახელმწიფოს როლს ადიქციის პრობლემასთან ბრძოლაში, გაიაზრებენ, როგორ თანამშრომლობენ აქტიური მოქალაქეები ასერტულობის დაცვით სოციალურ ჯგუფებთან ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის საქმეში. მოსწავლეები გააანალიზებენ ადიქციასთან ბრძოლის ლოკალური ქმედებების დროს გარე ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მნიშვნელობას არაძალადობრივი მეთოდებითა და სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინებით. პროექტი ხელს შეუწყობს სასკოლო თემში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას.

პროექტის სამოქმედო გეგმა

ამოცანა 1

მოსწავლემ შეძლოს ადამიანის ადიქციური ქცევის პრობლემების შესახებ ცნობიერების ამაღლება; იმის გააზრება, თუ რა შედეგები მოსდევს დამოკიდებულებას და რამდენად უარყოფითად აისახება ის ადამიანის პიროვნულ განვითარებაზე;

ნაბიჯი 1

მოსწავლეების მიერ **კითხვარის** „რა ვიცი ადიქციის შესახებ?“ შემუშავება, მოსწავლეთა, მშობელთა, მასწავლებელთა გამოკითხვა და შედეგების ანალიზი.

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გაიგონ, რა იციან რესპოდენტებმა ადიქციური ქცევის პრობლემის შესახებ, რისი საჭიროება გამოიკვეთება გამოკითხვის შედეგად, რომ დაგეგმონ შესაბამისი ინტერვენციები.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები მოაწყობენ სამუშაო შეხვედრას, რათა ჩამოაყალიბონ კითხვარები;

Don't Copy

- მოსწავლეები შეიმუშავებენ სხვადასხვა კითხვარს (მოსწავლისთვის, მშობლისთვის, მასწავლებლისთვის);
- ჩაატარებენ მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების გამოკითხვას;
- მოსწავლეები შედეგებს შეაჯამებენ;

რეკომენდაცია მასწავლებელს:

იმდენად, რამდენადაც პროექტის მიზანია ადიქციური ქცევის პრობლემებისა და მასთან ბრძოლის შესახებ ცნობიერების ამაღლება, გაანალიზება და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის ხელშეწყობა სასკოლო თემში, ეფექტური იქნება, თუ დაგეგმავთ სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას პროექტის დასაწყისში და მისი დასრულების შემდეგ. ეს საუკეთესო ხერხია პროექტის შედეგების გასაზომად.

საჭირო რესურსები:

- „აზარტულ თამაშებთან დაკავშირებულ რისკებსა და თამაშდამოკიდებულებაზე მოზარდების ინფორმირების დონე“, UNICEF, დანართი 1, კითხვარი, გვ 36 https://uni.cf/3z4jPg2
- კითხვარების შედგენის წესები https://bit.ly/3S2YTih

აქტივობის შემსრულებელი – მოსწავლეთა თვითმმართველობა

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა

ნაბიჯი 2

Don't copy

მოწვეული ფსიქოლოგის/ნარკოლოგის მიერ **ლექცია-სემინარის** ჩატარება „მავნე დამოკიდებულებებისაგან გამოწვეული ფსიქო-სომატური და ქცევითი დარღვევების შესახებ არასრულწლოვნებში“.

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: ხელი შეეწყოს მოსწავლეებში ადამიანის ადიქციური ქცევის პრობლემების შესახებ ცნობიერების ამაღლებას; იმის გააზრებას, თუ რა შედეგები მოსდევს დამოკიდებულებას, რომელიც ძალიან საშიშია ადამიანის პიროვნული განვითარებისთვის.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები ფსიქოლოგს/ნარკოლოგს მოიწვევენ ლექციის ჩასატარებლად;
- აუდიტორიას მოამზადებენ; შეხვედრას დაესწრებიან მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები;
- მოისმენენ ლექცია-სემინარს;
- საკითხის ირგვლივ გამართავენ დისკუსიას.

ძირითადი რესურსები:

- რას წარმოადგენს ქცევითი დამოკიდებულება/ადიქცია?!

  https://drugprevention.ge/2019/10/31/addiction/
- „აზარტულ თამაშებთან დაკავშირებულ რისკებსა და თამაშდამოკიდებულებაზე მოზარდების ინფორმირების დონე“, UNICEF, გვ 21-26
- https://uni.cf/3z4jPg2

მეთოდური რესურსი:

- დისკუსიის წესები: https://bit.ly/3iZ9KJP

Don't Copy

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის ადმინისტრაცია, გარე ორგანიზაცია(ფსიქოლოგი/ნარკოლოგი)

ნაბიჯი 3

მოსწავლეების მიერ **პრეზენტაციის** ჩატარება სასკოლო თემში სახელწოდებით „ფსიქიკური და ქცევითი დამოკიდებულებების შესახებ'.

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა შეისწავლონ ადიქციური ქცევის პრობლემები და გაიაზრონ მიჯაჭვულობის საშიში გავლენა ადამიანის პიროვნულ განვითარებაზე.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები დაიყოფიან მცირე ჯგუფებად;
- მოიძიებენ ლიტერატურას და დაამუშავებენ;
- მოაწყობენ პრეზენტაციას სასკოლო თემში.

ძირითადი რესურსები:

- ადიქცია
  https://befriend.mes.gov.ge/article/?id=24
- ადიქცია და მასთან ბრძოლის საერთაშორისო პრაქტიკა

Don't Copy

http://mastsavlebeli.ge/?p=30207

მეთოდური რესურსები:

- დამხმარე მასალები პრეზენტაციის ასაწყობად და ეფექტურად წარმოსადგენად(ორი რესურსი)
  https://www.youtube.com/watch?v=cQwNyuelJNY
  https://www.youtube.com/watch?v=21u14eQgwVM

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა

ამოცანა 2

მოსწავლემ შეძლოს გააზრება, როგორ არეგულირებს საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები ადამიანის უფლებების (ჯანმრთელობის) დაცვას და რამდენად მნიშვნელოვანია აქტიური მოქალაქეების პასუხისმგებლობა და ასერტული ქცევა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის, როგორც მავნე დამოკიდებულებების ჩამოყალიბების ეფექტური პრევენციის თვალსაზრისით;

ნაბიჯი 1

სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგიური საბჭოს მხარდაჭერით სასკოლო თემის წარმომადგენლებს შეხვდება მანდატური და გაიმართება „საუბრები ადიქციასთან დაკავშირებულ სამართლებრივ დოკუმენტებზე“.

მოსწავლეთა აქტივობა:

Don't Copy

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გააცნობიერონ, როგორ არის მოწესრიგებული საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო დოკუმენტებით ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის უფლება.

აქტივობის აღწერა:

სკოლის სააქტო დარბაზში სასკოლო თემის წარმომადგენლები შეიკრიბებიან და მანდატური ისაუბრებს ადიქციასთან დაკავშირებულ სამართლებრივ დოკუმენტებზე. შეხვედრას დაესწრებიან მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები. შეხვედრის შემდეგ გაიმართება კითხვა-პასუხი, შემდეგ კი მოსწავლეები შედეგებს შეაჯამებენ.

საჭირო რესურსები:

ტექნიკური აღჭურვილობა საკითხთან დაკავშირებული მასალების ჩვენების მიზნით

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, პედაგოგიური საბჭო, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის ადმინისტრაცია, მანდატურის სამსახური

ნაბიჯი 2

საინფორმაციო პლაკატების შექმნა სლოგანით „ვებრძოლოთ ადიქციას და ვიცხოვროთ ჯანსაღი ცხოვრების წესით!“;

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გაიაზრონ აქტიური მოქალაქის მისია დემოკრატიულ სახელმწიფოში, რომელიც ებრძვის ადიქციას და ასერტული ქცევით, ტოლერანტობის პრინციპებით თანამშრომლობს სოციალურ ჯგუფებთან ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით.

Don't Copy

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები მოაწყობენ სამუშაო შეხვედრას საინფორმაციო პლაკატების შექმნასთან დაკავშირებით;
- შეთანხმდებიან პლაკატის ფორმატის, შრიფტისა და ლოგოს შემუშავებაზე;
- შექმნიან პლაკატებს და სასკოლო სივრცეში განათავსებენ.

საჭირო რესურსები:

- ინტერვიუ ფსიქოლოგთან "პრევენცია ადიქციური პრობლემის მართვაში ძალიან მნიშვნელოვანია" https://www.ambebi.ge/article/66970-mozardi-da-interneti/
- „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოვლა-პატრონობის სახელმძღვანელო", „ცხოვრების ჯანსაღი წესის ძირითადი პრინციპები", გვ.69-75, https://bit.ly/3aY4buW
- რჩევები პლაკატის შესაქმნელად: https://ka.hydroponicsbc.com/3650-.html

აქტივობის შემსრულებელი – მოსწავლეთა თვითმმართველობა

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა

ნაბიჯი 3

ვიდეორგოლის შექმნა, რომელშიც საუბარი იქნება აქტიური მოქალაქეების პასუხისმგებლობას ასერტულ ქცევაზე ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის, როგორც მავნე დამოკიდებულები ჩამოყალიბების ეფექტური პრევენციის თვალსაზრისით.

Don't Copy

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გააანალიზონ, რა როლი აქვს აქტიური მოქალაქის პასუხისმგებლობასა და ასერტულ ქცევას ადიქციასთან ბრძოლისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის საქმეში.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები მოაწყობენ სამუშაო შეხვედრას ვიდეორგოლის შექმნასთან დაკავშირებით;
- შეთანხმდებიან ვიდეორგოლის შინაარსობრივ და ვიზუალურ მხარეზე;
- შექმნიან ვიდეორგოლს და სკოლის Facebook გვერდზე განათავსებენ.

საჭირო რესურსი:

როგორ შევქმნათ ვიდეორგოლი https://www.youtube.com/watch?v=71rcIw5GXtY

აქტივობის შემსრულებელი-მოსწავლეთა თვითმმართველობა

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო-ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში-მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა

ამოცანა 3

Don't Copy

მოსწავლემ შეძლოს გაცნობიერება, თუ რამდენად ხელსაყრელია ადიქციასთან ბრძოლის საქმეში საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა და არაძალადობრივი ქმედითი ნაბიჯების განხორციელება სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინებით.

ნაბიჯი 1

არასამთავრობო ორგანიზაცია „ადიქციის კვლევისა და კონსულტაციის ცენტრის“ წარმომადგენლის მოწვევა სკოლაში და შეხვედრის მოწყობა.

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გააცნობიერონ და იფიქრონ ადიქციის წინააღმდეგ არაძალადობრივი მეთოდებით ბრძოლის ალტერნატიულ გზებზე, დამოკიდებულებების პრევენციასა და კონსულტაციაზე, ამ თვალსაზრისით თანამშრომლობაზე გარე ორგანიზაციებთან ისე, რომ გათვალისწინებული იყოს სხვა ადამიანების ინტერესები.

აქტივობის აღწერა:

მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივითა და სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით მოიწვევენ არასამთავრობო ორგანიზაცია „ადიქციის კვლევისა და კონსულტაციის ცენტრის“ წარმომადგენელს;

შეხვედრისას გაიმართება საუბარი, რასაც მოჰყვება მოსწავლეების ჩართვა დისკუსიაში. საუბარი იქნება ადიქციის სახეობებზე, მის შედეგებზე, მასთან ბრძოლის ალტერნატიულ გზებზე. მოსწავლეები დეტალურად გააცნობიერებენ ადიქციის პრობლემას, დამაზუსტებელ კითხვებს დასვამენ და იმსჯელებენ.

Don't Copy

რეკომენდაცია მასწავლებელს:

ამავე საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ მოიწვიოთ, ასევე, ექიმი ან ადიქციის საკითხებზე მომუშავე ფსიქოლოგი. თუ ვერ მოხერხდება სკოლაში არასამთავრობო ორგანიზაცია „ადიქციის კვლევის და კონსულტაციის ცენტრის“ წარმომადგენლის მოწვევა, მაშინ შესაძლოა, მოსწავლეებს აჩვენოთ ვიდეორესურსი, რომელიც ამავე ორგანიზაციას ეკუთვნის. ეს არის ინტერვიუ ფსიქოლოგ მარინა კაჭარავასთან სახელწოდებით „ადამიანი თვითონ არის თავისი ცხოვრების სცენარისტიც და რეჟისორიც“(იხილე საჭირო რესურსებში) .

საჭირო რესურსები:

- ინტერვიუ ფსიქოლოგ მარინა კაჭარავასთან სახელწოდებით „ადამიანი თვითონ არის თავისი ცხოვრების სცენარისტიც და რეჟისორიც“ https://www.facebook.com/AdiktsiisKvlevisaDaKonsultatsiisTsentri/posts/pfbid0qTjchdp9W49mXUQKQdfTBNGdTD33QL71c CUbqxXJExsvUjy44uyfkDyCaDSWRhfKl
- „აზარტული თამაშების რეკლამა და არასრულწლოვანთა დაცვა საქართველოში“, თსუ, სამეცნიერო კონფერენციის კრებული, გვ 21-29 https://eta.edu.ge/uploads/konferenciebis_krebulebi/2022.12.29.pdf
- რას წარმოადგენს ქცევითი დამოკიდებულება/ადიქცია?! https://drugprevention.ge/2019/10/31/addiction/
- „მოზარდების ინფორმირების დონე ლუდომანიის დაძლევის გზებზე“ UNICEF, გვ 26-31 https://uni.cf/3z4jPg2
- „მოზარდებში აზარტული თამაშების პრევენცია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ დღის წესრიგში უნდა დადგეს”, UNICEF, 2020 https://uni.cf/3onImYu

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი
აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის ადმინისტრაცია, გარე ორგანიზაცია(ამ შემთხვევაში, არასამთავრობო ორგანიზაცია „ადიქციის კვლევის და კონსულტაციის ცენტრი“).

Don't Copy

ნაბიჯი 2

მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივითა და სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით **ვიდეორესურსის ჩვენების** დაგეგმვა სასკოლო თემში ადიქციის პრობლემასა და მასთან ბრძოლის გზებზე.

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: სასკოლო თემმა გაიაზროს და გააცნობიეროს ადიქციის პრობლემის შედეგები, მასთან ბრძოლის აუცილებლობა დაინახოს და დაგეგმოს პრევენციისკენ მიმართული ღონისძიებები.

აქტივობის აღწერა:

მოსწავლეთა თვითმმართველობის, პედაგოგიური საბჭოსა და სკოლის ადმინისტრაციის ინიციატივით სკოლის სააქტო დარბაზში მოეწყობა ვიდეორესურსის ჩვენება ადიქციის პრობლემასა და მასთან ბრძოლის გზებზე სასკოლო თემის ინფორმირების მიზნით. სასკოლო თემის წევრები მიიღებენ ინფორმაციას, იმსჯელებენ და დაფიქრდებიან არსებულ პრობლემასა და გადაჭრის გზებზე.

საჭირო რესურსი:

რა არის ადიქცია და როგორია მასთან გამკლავების გზები

https://www.youtube.com/watch?v=DnPI7TIs1mE

აქტივობის შემსრულებელი-მოსწავლეთა თვითმმართველობა

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო-ერთი კვირა

Don't copy

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში-მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები, სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგიური საბჭო, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა

ნაბიჯი 3

ფლაერების დამზადება სლოგანით „ვითანამშრომლოთ ადიქციის წინააღმდეგ ბრძოლაში!“ და სასკოლო თემში გავრცელება.

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: ფლაერებით მოსწავლეებმა მიიღონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა და არაძალადობრივი ქმედითი ნაბიჯების განხორციელება ადიქციასთან ბრძოლის საქმეში.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები დაგეგმავენ შეხვედრას საინფორმაციო ფლაერების დამზადებასთან დაკავშირებით;
- მოაწყობენ შეხვედრას ფლაიერების დიზაინისა და შინაარსობრივი საკითხების განსახილველად. ფლაერში უნდა ჩანდეს, რამდენად მნიშვნელოვანია ადიქციასთან ბრძოლის საქმეში საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა და არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება.
- მოსწავლეები ფლაერებს დაამზადებენ და გაავრცელებენ თემში.

საჭირო რესურსი:

- როგორ დავამზადოთ საინფორმაციო ფლაერი-

Don't Copy

https://parku.ru/ka/sozdanie-flaera-kak-sdelat-listovku-maket-reklamnoi-listovki-chem-menshe/

აქტივობის შემსრულებელი-მოსწავლეთა თვითმმართველობა

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო-ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში-მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები, სასკოლო თემი, სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა

ამოცანა 4

მოსწავლემ შეძლოს იმის გააზრება, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი აქტიური მოქალაქეების როლი ადიქციასთან ბრძოლასა და მომავლის პერსპექტივების გათვალისწინებით დაგეგმილ ლოკალურ ქმედებებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მისაღწევად.

ნაბიჯი 1

სასკოლო კლუბის შემნა სახელწოდებით ,,მზად ვართ, ვებრძოლოთ ადიქციას".

კლუბის აქტივობები:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გააანალიზონ, რა როლი აქვს აქტიურ მოქალაქეს ადიქციასთან ბრძოლაში და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის საქმეში რამდენად მნიშვნელოვანია მომავლის პერსპექტივებზე გათვლილი ლოკალური ქმედებები. კლუბის შექმნით ხელი შეეწყობა არაფორმალურ განათლებას.

აქტივობის აღწერა:

- სამუშაო ჯგუფებისა და სამუშაო სივრცის ჩამოყალიბება-კლუბის Facebook გვერდის შექმნა;

Don't Copy

- პრეზენტაციების მოწყობა სხვადასხვა დროს სასკოლო თემში შემდეგ საკითხებზე: ლუდომანია; ალკოჰოლიზმი; თამბაქო და ალკოჰოლი; ინტერნეტდამოკიდებულება;
- დისკუსიების გამართვა;
- ფლაერების გაკეთება სახელწოდებით „არა ადიქციას!“ და გავრცელება თემში;

საჭირო რესურსები:

- ლუდომანია- https://bit.ly/3uOBjLm
- ალკოჰოლიზმი- https://bit.ly/3IXXR1b
- ნარკომანია- https://bit.ly/3u0m3fh
- ინტერნეტდამოკიდებულება- https://bit.ly/3K3gMsQ
- რჩევები ფლაერის შესაქმნელად- https://ka.observatoriodepaliativos.org/make-a-flyer-2375

აქტივობის შემსრულებელი- მოსწავლეთა თვითმმართველობა

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – სამი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის ადმინისტრაცია, კლუბის წევრები

ნაბიჯი 2

ბლოგის შექმნა სახელწოდებით „ადიქციასთან ბრძოლა“ და ბმულის გავრცელება სკოლის **Facebook** გვერდზე

Don't Copy

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეები გაიაზრებენ, რა მნიშვნელობა აქვს აქტიური მოქალაქის მზაობას ადიქციასთან ბრძოლაში, რამდენად პროდუქტიულია გონივრულად დაგეგმილი ლოკალური ქმედებები გლობალური შედეგების მისაღწევად; ხელი შეეწყოს თანამშრომლობას საერთო საქმისთვის.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები მოაწყობენ შეხვედრას ბლოგის შექმნასთან დაკავშირებით:
- შეთანხმდებიან ბლოგის ვიზუალურ მხარეზე;
- მოილაპარაკებენ შინაარსობრივ მიმართულებებზე;
- გაინაწილებენ დავალებებს, ვინ რა მიმართულებით გამოაქვეყნებს ბლოგზე სტატიებს(ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, თამბაქოს მოხმარება, აზარტომანია, ინტერნეტდამოკიდებულება);
- მოსწავლეები შეხვედრის შედეგებს შეაჯამებენ.

საჭირო რესურსი:

როგორ შევქმნათ ბლოგი
https://youtu.be/YGfBqQNuHUw

აქტივობის შემსრულებელი-პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო-ორი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში-მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის ადმინისტრაცია

Don't copy

ნაბიჯი 3

მოსწავლეების მიერ სასკოლო საზოგადოებაში **განმეორებითი გამოკითხვის** ჩატარება „რა შევისწავლე ადიქციისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ?“ და შედეგების ანალიზი;

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა დასკვნები გააკეთონ, როგორ განხორციელდა პროექტის მიზანი, რამ იმუშავა, რამ ვერა და, ასევე, შემდგომი ღონისძიებები დაგეგმონ; რა ინფორმაცია და ცოდნა არსებობს სასკოლო თემში ადიქციისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები მოაწყობენ სამუშაო შეხვედრას, რათა შეადგინონ კითხვარები;
- მოსწავლეები შეიმუშავებენ სხვადასხვა კითხვარს (მოსწავლისთვის, მშობლისთვის, მასწავლებლისთვის);
- ჩაატარებენ მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების გამოკითხვას;
- მოსწავლეები შედეგებს გააანალიზებენ.

საჭირო რესურსი:

კითხვარების შედგენის წესები
https://bit.ly/3S2YTih

Don't Copy

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, სკოლის ადმინისტრაცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა

ინტერდისციპლინური აქტივობები

ისტორია

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ გააზრება და პრეზენტაციაში წარმოადგინონ, რა როლი აქვს აქტიურ მოქალაქეს ადიქციასთან ბრძოლის საქმეში და რა მნიშვნელობა აქვს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.

აქტივობის აღწერა:

ისტორიის მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ წარსულიდან ადიქციაზე დამოკიდებული ცნობილი ისტორიული პირები და წარმოადგინონ პრეზენტაციები პროგრამა Sway/Padlet/Powerpoint-ში თემაზე „რას მოგვითხრობს ისტორია ადიქციაზე?“ მასწავლებელი დაეხმარება მოსწავლეებს საჭირო ისტორიული წყაროების მოძიებაში. სთხოვს, გაიხსენონ, რომ თრიაქი მეფეების გასართობი იყო, ასევე, ბევრი ცნობილი ისტორიული პირი იყო ალკოჰოლზე დამოკიდებული. პრეზენტაციაში მოყვანილი მაგალითები გაამყარონ ისტორიული წყაროებით, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები და დაასაბუთონ არგუმენტებით. პრეზენტაციების შემდეგ გაიმართება დისკუსია „ადიქცია-დაავადება თუ მავნე ჩვევა?“

- მოსწავლეები გაეცნობიან წყაროებს;
- მოამზადებენ პრეზენტაციას, რომელშიც ისტორიული წყაროებით ფაქტებზე იმსჯელებენ და საკუთარ მოსაზრებებს არგუმენტებით გაამყარებენ;
- პრეზენტაციის შემდეგ გამართავენ დისკუსიას;
- მოსწავლეები შედეგებს შეაჯამებენ.

Don't Copy

ბიოლოგია

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გაიღრმავონ ცოდნა ადიქციის მავნე გავლენის შესახებ ჯანმრთელობაზე და გააანალიზონ აქტიური მოქალაქის მიერ ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მნიშვნელობა.

აქტივობის აღწერა:

ბიოლოგიის მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს, რომ ჯანსაღი ცხოვრება მოიაზრებს დადებითი სოციალური კავშირების ჩამოყალიბებას, საკუთარ თავზე ზრუნვას, ჯანსაღ ურთიერთობებს და ა.შ. შესაბამისად, ჯანსაღი ცხოვრების წესი ფიზიკური, გონებრივი და სოციალური კეთილდღეობის ნაზავია.

დაავალებს მოსწავლეებს, მოიძიონ მასალები და ჩაწერონ ვიდეორგოლი, რომელშიც იქნება საუბარი ადიქციასა და მისი დაძლევის გზებზე, აგრეთვე, ჯანსაღი ცხოვრების წესზე. ვიდეორგოლში მასწავლებელი დაეხმარება მოსწავლეებს მასალების მოძიებაში.

- მოსწავლეები მოიძიებენ მასალებს ადიქციასა და ჯანსაღი ცხოვრების წესზე;
- მოილაპარაკებენ, რა უნდა იყოს ვიდეორგოლის მთავარი სათქმელი: ვიდეორგოლში უნდა ჩანდეს, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების გათვალისწინება აგვარიდებს მნიშვნელოვან რისკებს ჯანმრთელობის თვალსაზრისით. ვიდეორგოლის ბოლოს უნდა ჩანდეს რჩევა, საჭიროების შემთხვევაში, დახმარება სთხოვონ ექიმს და ფსიქოლოგს;
- შექმნიან ვიდეორგოლს და გააზიარებენ სკოლის Facebook გვერდზე;

საჭირო რესურსები:

ისტორია

- სვიმონ I დელი
  https://bit.ly/3NIRAtQ

Don't Copy

- მწვანილის ამბავი და გორის ციხის გათავისუფლება https://bit.ly/3wWVHwr
- რა დაუჯდა ქართულ ჯარს თრიაქით გაბრუებული ქართლის მეფის ბრძანების აღსრულება, ისტორიკოსი, პროფესორი ვაჟა კიკნაძე გვიამბობს
  http://old.tbiliselebi.ge/index.php?newsid=2519
- მეფე სვიმონ, ბერი ეგნატაშვილი, „ქართლის ცხოვრება“
  https://www.orthodoxy.ge/istoria/qartlis_tskhovreba/egnatashvili4.htm

ბიოლოგია

- ნარკოტიკები და ალკოჰოლი

  https://www.med.ge/index.php/articles/narcology/410-narkotikebi-da-alkoholi
- თამბაქო და ალკოჰოლი

  https://sites.google.com/site/magalaaa/tambako-da-alkoholi
- ჯანსაღი ცხოვრების წესი და სოციალური დაავადებები
  https://www.civiceducation.ge/ka/lessons/3-29
- რა არის ჯანსაღი ცხოვრების წესი?
  https://ekimo.ge/blog/ra-aris-jansaghi-ckhovrebis-tsesi

აქტივობის შემსრულებელი – საგნობრივი კათედრები

აქტივობის განხორციელების დრო – ორი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, საგნობრივი კათედრები, სკოლის ადმინისტრაცია

III ეტაპი

პროექტის განხორციელება

Don't Copy

მოსწავლეთა აქტივობა:

პროექტის განხორციელების პროცესში მოსწავლეები ეძებენ გადაკვეთის წერტილებს და თანამშრომლობენ სასკოლო საზოგადოების წევრებთან:

- სკოლის სხვა მოსწავლეებთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან;
- სკოლის სხვა მასწავლებლებთან;
- სკოლის ადმინისტრაციასთან;
- გარე პარტნიორებთან;

მოსწავლეები წარადგენენ პროექტს სასკოლო საზოგადოების წინაშე.

საჭირო რესურსები:

ფუნქციურ-კომპონენტური უნარები და რესურსები, რომლებიც ამ უნარებს ავითარებს

ფუნქციურ-კომპონენტური უნარები:
შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება, კრიტიკული აზროვნება.
ფუნქციურ-კომპონენტური უნარების შესახებ რესურსები, რომლებიც მოსწავლეებს ასწავლის, როგორ იურთიერთონ საზოგადოების წევრებთან გამოკვეთილ სფეროსთან მიმართებით:

- შემოქმედებითი აზროვნების შესახებ http://mastsavlebeli.ge/?p=16961
- პიროვნული უნარ-ჩვევები -კომუნიკაცია, კრიტიკული აზროვნება, ღირებულებები https://www.civiceducation.ge/ka/lessons/4-47
- კოლაბორაციული სწავლების თეორიული და პრაქტიკული საკითხები და "მსოფლიო კაფე" http://mastsavlebeli.ge/?p=2452
- მოქალაქე, მისი როლი და პასუხისმგებლობა https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-9
- პიროვნება და საზოგადოება(ხასიათი, ნება) https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-1
- როგორ განვავითაროთ კრიტიკული აზროვნება მოსწავლეებში? https://bit.ly/3rbDkzR
- კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების მიდგომების გამოყენება სწავლებაში http://mastsavlebeli.ge/?p=16208

Don't Copy

III ეტაპის შედეგად მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ პროექტის შედეგები

პროექტის განხორციელების დროს მოსწავლეებმა გააცნობიერეს, რომ ადამიანს აქვს თავისუფალი განვითარებისა და ჯანმრთელობის დაცვის უფლება; საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები ამ უფლებების დაცვას უზრუნველყოფს.

მოსწავლეები თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან, გარე ორგანიზაციებთან (მოწვეული იყო ფსიქოლოგი/ნარკოლოგი და არასამთავრობო ორგანიზაცია „ადიქციის კვლევისა და კონსულტაციის ცენტრის“წარმომადგენელი), რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და მომავალშიც უნდა გაგრძელდეს ეს თანამშრომლობა.

პროექტის განხორციელების შედეგად გაიზარდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში.
პროექტის განხორციელებამ აამაღლა საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ცნობიერება მავნე ჩვევებისა და მასზე დამოკიდებულების შესახებ.
მოსწავლეებმა შეძლეს ადიქციური ქცევის პრობლემაზე ცნობიერების ამაღლება, დემოკრატიული სახელმწიფოს როლის გააზრება ადიქციის პრობლემასთან ბრძოლაში, გააანალიზეს, ასერტულობის დაცვით როგორ თანამშრომლობენ აქტიური მოქალაქეები სოციალურ ჯგუფებთან ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის საქმეში. მოსწავლეებმა გააანალიზეს ადიქციასთან ბრძოლის ლოკალური ქმედებების დროს გარე ორგანიზაციებთან (ამ შემთხვევაში, არასამთავრობო ორგანიზაცია „ადიქციის კვლევისა და კონსულტაციის ცენტრი“) არაძალადობრივი მეთოდებითა და სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინებით თანამშრომლობის მნიშვნელობა.
პროექტმა ხელი შეუწყო სასკოლო საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.

IV ეტაპი
მდგრადობა და მომავლის გეგმები

მოსწავლეთა აქტივობა:

მოსწავლეები სასკოლო საზოგადოების წევრებთან ერთად აფასებენ პროექტის შედეგებს და გეგმავენ, რა არის საჭირო მდგრადობის უზრუნველყოფისთვის.

საჭირო რესურსები:

Do not copy

პროექტის განხორციელების შედეგად გაიზარდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში, რომელიც უნდა გაგრძელდეს პროექტის დასრულების შემდეგაც. სასკოლო საზოგადოებამ ინტენსიურად უნდა ითანამშრომლოს სახელმწიფო სტრუქტურებთან და სხვა გარე ორგანიზაციებთან, რაც ადიქციის პრევენციის მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება. სასკოლო სასწავლო გეგმაში აისახება, რომ ეს პროექტი გახდება სასკოლო კურიკულუმის ნაწილი.
IV ეტაპის შედეგად სასკოლო სასწავლო გეგმაში გაჩნდება ჩანაწერი, რომელიც იქნება მოსწავლეების მიერ განხორციელებული პროექტის მდგრადობის გარანტი. იქმნება მონიტორინგის ჯგუფი(მოსწავლე/მასწავლებელი/მშობელი). მოსწავლეები სასკოლო საზოგადოების წევრებთან ერთად აფასებენ პროექტის შედეგებს სოლო ტაქსონომიის დონეებით, რომელთაც აქვთ განმავითარებელი ხასიათი(შეფასების რუბრიკა იხილე დანართი **N 1).** მოსწავლეები გეგმავენ, რა არის საჭირო მდგრადობის უზრუნველყოფისთვის. პროექტის სარგებელი გრძელვადიან პერსპექტივაში ის არის, რომ მისი განხორციელების შედეგად გაიზრდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში.

Don't Copy

დანართი N 1

მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტის შეფასების რუბრიკა

შეფასების კრიტერიუმები	**პრესტრუქტურული**	**უნისტრუქტურული**	**მულტისტრუქტურული**	**მიმართებითი**	**აბსტრაქტული**
მოსწავლემ შეძლოს ადიქციური ქცევის პრობლემების შესახებ ცნობიერების ამაღლება; იმის გააზრება, თუ რა შედეგები მოსდევს დამოკიდებულებას და რამდენად უარყოფითად აისახება ის მის პიროვნულ განვითარებაზე	მოსწავლეს არ აქვს რელევანტური ინფორმაცია ადიქციური ქცევის პრობლემასთან დაკავშირებით.	მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტური რებული ასოციაცია/წარმ ოდგენა ადიქციური ქცევის პრობლემებთან დაკავშირებით.	მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგ ენა ადიქციური ქცევისა და მასთან ბრძოლის შესახებ; მას არ შეუძლია კონსტრუქციული კრიტიკის მიწოდება.	მოსწავლეს შეუძლია იმის გააზრება, თუ რა შედეგები მოსდევს დამოკიდებულებას და რამდენად უარყოფითად აისახება ის მის პიროვნულ განვითარებაზე; შეუძლია საკითხის ახსნა, ანალიზი, ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	მოსწავლეს შეუძლია ადიქციური ქცევის პრობლემების შესახებ ცნობიერების ამაღლება; იმის გააზრება, თუ რა შედეგები მოსდევს დამოკიდებულებას და რამდენად უარყოფითად აისახება ის მის პიროვნულ განვითარებაზე; მას სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი, უკავშირებს პირად გამოცდილებას. რაც მას ამ ცოდნის

Don't Copy

					განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზებ ს/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს.
მოსწავლემ შეძლოს გააზრება, როგორ არეგულირებს საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები ადამიანის უფლებების(ჯანმრთელობის) დაცვას და რამდენად მნიშვნელოვანია აქტიური მოქალაქეების პასუხისმგებლობა და ასერტული ქცევა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის, როგორც მავნე	მოსწავლეს არ აქვს არანაირი ცოდნა და გამოცდილება იმის შესახებ, თუ როგორ არეგულირებს საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები ადამიანის უფლებების(ჯანმრთელობის) დაცვას. იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ	მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა იმასთან დაკავშირებით, თუ არეგულირებს საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები ადამიანის უფლებების(ჯანმრთელობის) დაცვას, შეუძლია მხოლოდ საკითხის	მოსწავლეს შეუძლია იმის გააზრება, როგორ არეგულირებს საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები ადამიანის უფლებების(ჯანმრთელობის) დაცვას და რამდენად მნიშვნელოვანია აქტიური მოქალაქეების პასუხისმგებლობა და ასერტული ქცევა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის, როგორც მავნე	მოსწავლეს შეუძლია ადიქციის ახსნა მიზეზებისა და შედეგების კუთხით, არეგულირებს საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები ადამიანის უფლებების(ჯანმრთელობის) დაცვას და რამდენად მნიშვნელოვანია აქტიური მოქალაქეების პასუხისმგებლობა და ასერტული ქცევა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის, როგორც მავნე დამოკიდებულებების	მოსწავლეს შეუძლია გააზრება, როგორ შედეგების კუთხით, არეგულირებს საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები ადამიანის უფლებების(ჯანმრთელობის) დაცვას და რამდენად მნიშვნელოვანია აქტიური მოქალაქეების პასუხისმგებლობა და ასერტული ქცევა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის, როგორც მავნე დამოკიდებულებებ

დამოკიდებულებების ჩამოყალიბების ეფექტური პრევენციის თვალსაზრისით;	ინფორმაციას ან/და საერთოდ აცდენილია მნიშვნელობას /ა ზრს.	დასახელება, მარტივი, ზედაპირული კავშირების დამყარება.	დამოკიდებულებების ჩამოყალიბების ეფექტური პრევენციის თვალსაზრისით; თუმცა, აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა ადიქციასთან დაკავშირებით. ესმის საკითხის არსი, მაგრამ ადიქციის შედეგებთან და პრევენციის გზებთან მიმართებებს ვერ ამყარებს.	ჩამოყალიბების ეფექტური პრევენციის თვალსაზრისით;	ის ჩამოყალიბების ეფექტური პრევენციის თვალსაზრისით;
მოსწავლემ შეძლოს გაცნობიერება, თუ რამდენად ხელსაყრელია ადიქციასთან ბრძოლის	მოსწავლეს არ აქვს წარმოდგენა ადიქციის მავნე ჩვევასა და მასთან ბრძოლის	მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტური რებული წარმოდგენა	მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმო	მოსწავლეს შეუძლია გაცნობიერება, თუ რამდენად ხელსაყრელია ადიქციასთან	მოსწავლეს შეუძლია იმის გააზრება, თუ რამდენად ხელსაყრელია ადიქციასთან ბრძოლის საქმეში

Don't Copy

საქმეში საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა და არაძალადობრივი ქმედითი ნაბიჯების განხორციელება სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინებით	აუცილებლობის მნიშვნელობაზე.	ადიქციის მავნე ჩვევასა და მასთან ბრძოლის აუცილებლობის მნიშვნელობაზე.	დგ ენა, თუ რამდენად ხელსაყრელია ადიქციასთან ბრძოლის საქმეში საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა და არაძალადობრივი ქმედითი ნაბიჯების განხორციელება სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინებით.	ბრძოლის საქმეში საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა და არაძალადობრივი ქმედითი ნაბიჯების განხორციელება სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინებით. აქვს იმის კომპეტენცია, რომ საკითხი გაიაზროს, დაამყაროსა მიმართებები, გააანალიზოს.	საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა და არაძალადობრივი ქმედითი ნაბიჯების განხორციელება სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინებით. შეუძლია იდეების ტრანსფერი სხვა სიტუაციაში და აქტიური მოქალაქის როლის მორგება.
მოსწავლემ შეძლოს იმის გააზრება, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი აქტიური მოქალაქეების როლი ადიქციასთან	მოსწავლეს არ აქვს წარმოდგენა აქტიური მოქალაქეების როლზე ადიქციასთან ბრძოლაში.	მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტური რებული წარმოდგენა აქტიური მოქალაქეების	მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა	მოსწავლეს შეუძლია გაანალიზება, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი აქტიური მოქალაქეების როლი ადიქციასთან ბრძოლასა და მომავლის	მოსწავლეს შეუძლია გააზრება, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი აქტიური მოქალაქეების როლი ადიქციასთან ბრძოლასა და

Don't copy

ბრძოლასა და მომავლის პერსპექტივების გათვალისწინებით დაგეგმილ ლოკალურ ქმედებებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მისაღწევად.		როლზე ადიქციასთან ბრძოლაში.	ადიქციასთან ბრძოლაში აქტიური მოქალაქეების როლის, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის შესახებ; მას შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე.	პერსპექტივების გათვალისწინებით დაგეგმილ ლოკალურ ქმედებებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მისაღწევად; შეუძლია მიმართებების დამყარება, გააანალიზება, ახსნა მიზეზებისა და შედეგების კუთხით.	მომავლის პერსპექტივების გათვალისწინებით დაგეგმილ ლოკალურ ქმედებებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მისაღწევად; შეუძლია საკითხის ირგვლივ ჰიპოთეზური დასკვნების გაკეთება.

Don't copy

პროექტი N 8

პროექტის დასახელება:

ვიზრუნოთ შინაურ ცხოველებზე

პროექტის ტიპი ქველმოქმედება
პროექტის განხორციელების ვადები: პროექტის განხორციელება გათვლილია ერთ სემესტრზე (დაახლოებით 14-18 საათი); თითოეულ აქტივობას მითითებული აქვს განხორციელების სავარაუდო ვადა.
პროექტის სამიზნე ჯგუფი: X კლასის მოსწავლეები
კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ თემასთან/თემებთან: ჯანსაღი ცხოვრება
პროექტის შესაბამისობა სამიზნე ცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან: საზოგადოება, დემოკრატია, სამოქალაქო მონაწილეობა, მდგრადი განვითარება
კავშირი XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციასთან: წიგნიერება, პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია, სამოქალაქო კომპეტენცია

Don't Copy

I ეტაპი სფეროს (თემის დახასიათება), პრობლემების იდენტიფიცირება სფეროსთან მიმართებით
მოსწავლეთა აქტივობა: • მოსწავლეები ირჩევენ შინაურ ცხოველებზე ზრუნვის თემას, რომელიც მნიშვნელოვნად ეჩვენებათ სასკოლო თემისთვის; • მოსწავლეები ეცნობიან შესაბამის ლიტერატურას შერჩეულ სფეროსთან დაკავშირებით; • მოსწავლეები აკეთებენ სიტუაციურ ანალიზს; საამისოდ ისინი არჩევენ შესაბამის წყაროებსა და კვლევის მეთოდებს. **ძირითადი რესურსები:** 1. ცხოველთა უფლებების მსოფლიო დეკლარაცია, გვ. 1-2 http://gspsa.org.ge/wp-content/uploads/2016/01/cxoveltauflebebismsofliodeklaracia.pdf 2. შინაური ცხოველების დაცვის ევროკონვენცია, გვ. 1-10 https://bit.ly/3bCVW7M 3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 259, ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობა https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=241 **დამატებითი რესურსები:** 4. „ადმინისტრაციული ორგანოების ვალდებულება ადამიანის კომპანიონ ცხოველთა დაცვისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის სფეროში“, სამაგისტრო ნაშრომი, თსუ, 2019, გვ. 48-51 https://openscience.ge/bitstream/1/1061/1/samagistro%20gabidzishvili.pdf 5. შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობის წესი და პატრონთა პასუხისმგებლობა http://www.jmg.ge/news-single.php?id=31

Don't Copy

6. კანონი შინაური ცხოველების კეთილდღეობაზე – რა უნდა იცოდნენ მეპატრონეებმა

   https://netgazeti.ge/news/363649/

7. შინაური ცხოველების მოვლა
   https://bit.ly/3v7n7hl
8. „ისტორია ძაღლ ჰაჩიკოზე“

   https://bit.ly/3dTsc7U
9. რა გავლენას ახდენენ ცხოველები ბავშვის განვითარებაზე

   http://mastsavlebeli.ge/?p=17073
10. „7 მიზეზი, თუ როგორ აუმჯობესებს ადამიანის ცხოვრებას შინაური ცხოველი“, ზოოკლუბი https://zooclub.ambebi.ge/zuu/saintereso/4595-7-mizezi-thu-rogor-aumjobesebs-adamianis-ckhovrebas-shinaurickhoveli.html
11. ადამიანი და ცხოველების პრეისტორიული „ფერმა“

    http://liberali.ge/articles/view/36879/adamiani-da-tskhovelebis-preistoriuli-ferma
12. ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობის სტატისტიკა საქართველოში

    https://idfi.ge/ge/statistics_on_animal_cruelt_in_georgia
13. სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო

    http://ma.gov.ge/

საკვანძო კითხვები:

- რატომ უნდა ვიზრუნოთ შინაურ ცხოველებზე?
- შენი აზრით, რა როლს თამაშობენ შინაური ცხოველები მოზარდის პიროვნების ჩამოყალიბებაში, მის ფსიქიკურ და ფიზიკურ განვითარებაში?
- ადამიანის მოთხოვნილებებში მნიშვნელოვანია როგორც ადამიანებთან, ისე ცხოველებთან ურთიერთობაც და მათ მიმართ ემპათიის გამოვლენა, როგორც ხელშემწყობი ფაქტორი, ადამიანის პიროვნული განვითარებისათვის?

Don't Copy

რამდენად მნიშვნელოვანია ასერტული ქცევა შინაური ცხოველების დაცვის მიზნით გატარებული მოქმედებების განხორციელებისას? • რა როლს ასრულებს ადამიანის ღირსება შინაურ ცხოველებთან დამოკიდებულებაში? • რამდენად არის დაცული შინაური ცხოველების უსაფრთხოება დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუციით და რა პასუხისმგებლობას აკისრებს კანონი მათ პატრონებს? • შენი აზრით, რამდენად მაღალია სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხარისხი შინაური ცხოველების დაცვის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში? პასუხი დაასაბუთე; • რატომ თანამშრომლობენ სახელმწიფო სტრუქტურებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან აქტიური მოქალაქეები, როცა სურთ, გამოავლინონ ცხოველებისადმი ემპათია? • შენი აზრით, რამდენად დაცულია არაძალადობრივი მოქმედებებისა და სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინების ხარისხი სამოქალაქო მონაწილეობის დროს შინაური ცხოველების მოვლისა და თანაგრძნობის ხელშემწყობი მოქმედებების გატარებისას? პასუხი დაასაბუთე; • რატომ არის აუცილებელი საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება შინაურ ცხოველებზე ზრუნვის სასარგებლოდ გატარებული ღონისძიებების დაგეგმვისას? • რამდენად მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ შინაური ცხოველების დასაცავად გადადგმულ თითოეულ ლოკალურ ნაბიჯს შეიძლება გლობალური შედეგები მოჰყვეს?
I ეტაპის შედეგად მოსწავლემ უნდა ჩამოაყალიბოს სიტუაციური ანალიზი ცხოველების მოშინაურებამ ადამიანის ევოლუციაზე უდიდესი გავლენა იქონია. ალბათ სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც ადამიანი შემგროვებლური მეურნეობიდან მწარმოებლურზე გადავიდა და ბინადარ ცხოვრებას მიჰყო ხელი. ჯერ კიდევ ძველი ჩინელები ამბობდნენ: „ცხოველი ადამიანის მეგობარი და ნათესავია; იგი განიცდის იმავე გრძნობებს, რომლებიც ადამანისთვის არის დამახასიათებელი: შიმშილს, წყურვილს, შიშსა და ტკივილს". გარდა ამისა, ცხოველი ხშირად ქცეულა თავისი პატრონის მკურნალად, ზოგიერთი ცხოველის ერთგული ბუნება მალამოდ დასდებია ადამიანის სულს. ამის დამადასტურებელი უამრავი ცხოვრებისეული მაგალითი არსებობს. ადამიანსა და ცხოველს შორის კავშირი ყოველთვის ძალიან ძლიერი იყო. სწორედ ამიტომაა, რომ დღეს შინაური ცხოველი ბევრი ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ერთ-ერთი კვლევის თანახმად, გამოკვლეულთა 95% თავის შინაურ ცხოველს ოჯახის წევრად მიიჩნევს. სხვა ცოცხალ ორგანიზმზე ზრუნვა გვიჩენს განცდას, რომ ჩვენს არსებობას მიზანი და მნიშვნელობა აქვს. ამგვარი შეგრძნება კი საკმაოდ სასარგებლოა ჩვენი მენტალური ჯანმრთელობისთვის. შინაური ცხოველებისა და მენტალური ჯანმრთელობის

Draft Copy

შესახებ 2016 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად, მოხუცებს გალიაში მყოფი ხუთი ჩიტი მისცეს. მკვლევრებმა მათი განწყობა რვა კვირის განმავლობაში გააკონტროლეს. შემდეგ ისინი იმ საკონტროლო ჯგუფს შეადარეს, რომელიც შინაურ ცხოველებზე არ ზრუნავდა. შედეგად კი, იმათ, ვისაც შინაურ ცხოველებზე ზრუნვა უწევდათ, ნაკლებად აღენიშნებოდათ დეპრესიისა და მარტოობის ნიშნები.*

მაიამისა და სენტ-ლუისის უნივერსიტეტის ფსიქოლოგებმა შინაური ცხოველების სარგებელზე სამი ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომელთა შედეგებიც ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციამ გამოაქვეყნა. კვლევებმა აჩვენა, რომ შინაური ცხოველების მეპატრონეების კეთილდღეობა სხვადასხვა კუთხით გაუმჯობესდა: მოემატათ თვითშეფასება, ფიზიკურად უფრო აქტიურები გახდნენ, ნაკლებად მარტოსულად გრძნობდნენ თავს, მეტად ექსტროვერტები გახდნენ, დაძლიეს სხვადასხვა შიში.

დაავადებათა კონტროლის ცენტრის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შინაურმა ცხოველმა შესაძლოა, ბავშვი შფოთვებისგან და შიშებისგან დაიცვას. ეს სწორედ მათ კვლევაში გამოვლინდა, როცა 643 ბავშვის შფოთვის მაჩვენებელი გაზომეს. მას, ვისაც სახლში შინაური ცხოველი ჰყავდა, ღელვისა და შიშის ნაკლები პროცენტულობა გამოუვლინდა, ვიდრე მას, ვისაც არ ჰყავდა.

შინაური ცხოველების და მენტალური ჯანმრთელობის გარშემო ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ ცხოველებთან თამაში და კომუნიკაცია სტრესის ჰორმონებს ამცირებს. აღნიშნულ ეფექტს შესაძლოა, ცხოველთან მხოლოდ 5 წუთიანი ინტერაქციის შედეგადაც კი მივაღწიოთ. სწორედ ამიტომ, შინაური ცხოველები ხშირად ძალიან ეხმარებიან შფოთვების მქონე ადამიანებს. ძაღლთან ან კატასთან თამაში ზრდის სერატონინისა და ოქსიტოცინის დონეს. ეს ის ჰორმონებია, რომლებიც ჩვენს ნერვულ სისტემას ამშვიდებს. მაგალითად, როდესაც ჩვენდა უნებურად შინაური ცხოველის სასაცილო ქმედებებზე გვეცინება, სწორედ მაშინ გამოიყოფა აღნიშნული ჰორმონები და შედეგად, ჩვენი ბედნიერების დონეც იმატებს.

შინაურ ცხოველებს ჩვენს ცხოვრებაზე მრავალმხრივი დადებითი ეფექტი აქვთ. ისინი გვეხმარებიან, გავიუმჯობესოთ ჩვენი მენტალური მდგომარეობა და, ამავდროულად, ჯანსაღი ცხოვრების წესსაც მივდიოთ. თუმცა, ყველაზე მეტად ისინი სხვებზე ზრუნვის სწავლაში გვეხმარებიან.

---

*რა დადებითი ეფექტი აქვს შინაურ ცხოველთან თანაცხოვრებას?
https://bit.ly/3oXXwUX

Don't Copy

ბოლო პერიოდში საქართველოში სოციალური ქსელებისა თუ მედიის საშუალებით არაერთხელ გავრცელებულა ცხოველთა მიმართ ძალადობისა და სასტიკი მოპყრობის ამსახველი კადრები. ბუნებრივია, ეს იწვევს საზოგადოების დაინტერესებას, დაეკისრა თუ არა ამ დანაშაულში მხილებულ პირებს პასუხისმგებლობა? ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობისთვის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსები.

ცხოველთა მიმართ სასტიკი მოპყრობისა და წამების წინააღმდეგ ბრძოლა გლობალურ გამოწვევას წარმოადგენს. "ცხოველთა მიმართ სასტიკი მოპყრობის პრევენციის ამერიკული საზოგადოების" (ASPCA) თანახმად, ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობის ფაქტი ყოველ 60 წამში ერთხელ ფიქსირდება. ამ ფონზე განსაკურებით პრობლემურია, რომ გლობალურ დონეზე არ არსებობს ერთიანი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც დააწესებდა ცხოველთა დაცვის სავალდებულო მინიმალურ სტანდარტებს. მსგავსი სტანდარტები შემუშავებულია ცხოველთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, თუმცა მათ არ აქვთ საერთაშორისო კონვენციის სტატუსი და აღნიშნულ სტანდარტთა შესრულება მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს წევრი ქვეყნებისთვის. ცხოველთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანებულია 180 ქვეყანა, მათ შორის საქართველოც.**

ცხოველთა მიმართ სასტიკი მოპყრობის პრობლემის მასშტაბის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია შესაბამის სტატისტიკურ მონაცემებთან წვდომა. სწორედ ამ მიზნით IDFI-მ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) და საქართველოს უზენაეს სასამართლოს. მიღებული მონაცემების თანახმად, ბოლო წლებში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი გამოძიებათა დაწყების მაჩვენებელი ცხოველთა წამების და მათდამი სასტიკი მოპყრობის (სსკ-ის **259-ე მუხლი**) ფაქტებზე. 2018 წლის განმავლობაში გამოძიების დაწყების შემთხვევათა რაოდენობა მკვეთრად აღემატება გასული წლების მაჩვენებლებს. მაღალია 2019 წლის პირველი ხუთი თვის მაჩვენებელიც.

გარდა სახელმწიფო პოლიტიკის და კანონმდებლობის დახვეწისა, აუცილებელია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ. აღნიშნული საკითხი გათვალიწინებული უნდა იყოს სკოლამდელი აღზრდისა და სასკოლო განათლების პროგრამებში.***

**ცხოველთა მიმართ სასტიკი და არასათანადო მოპყრობის მდგომარეობა საქართველოში, IDFI, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, გვ.3
https://idfi.ge/public/upload/IDFI_2019/visegrad/Animal_Cruelty_Georgian.pdf

***ცხოველთა მიმართ სასტიკი და არასათანადო მოპყრობის მდგომარეობა საქართველოში, IDFI, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, გვ.6
https://idfi.ge/public/upload/IDFI_2019/visegrad/Animal_Cruelty_Georgian.pdf

როგორც უახლესი კვლევები გვიჩვენებს, მოქალაქეები და, მათ შორის, მოსწავლეებიც ნაკლებ ინფორმაციას ფლობენ შინაურ ცხოველთა პატრონობის წესსა და პასუხისმგებლობაზე, ასევე, არ გააჩნიათ მათ მიმართ მოვლისა თანაგრძნობის უნარ-ჩვევები. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ცნობიერების ამაღლება შინაური ცხოველების ზრუნვის საჭიროებაზე, მათ მიმართ ემპათიის, დაცვის უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებაზე. პრობლემის გადასაჭრელად მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების გააქტიურება და თანამშრომლობა გარე ორგანიზაციებთან.

II ეტაპი

იდეები და შესაძლებლობები

მოსწავლეთა აქტივობა:

- მოსწავლეები გამოკვეთენ ფორმებს აქტივობებისთვის, აყალიბებენ აქტივობების იდეებს;
- მოსწავლეები ქმნიან მიზნების იერარქიას: აქტივობის მიზანი, პროექტის მიზანი;
- მოსწავლეები აყალიბებენ მოსალოდნელ შედეგებს: რა გავლენას მოახდენს პროექტი სასკოლო საზოგადოების განვითარებაზე, აანალიზებენ, თუ რა რესურსები სჭირდებათ დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად, რამდენად ხელმისაწვდომია ეს რესურსები;
- მოსწავლეები აყალიბებენ სამოქმედო გეგმას დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად.

საჭირო რესურსები:

პროექტების ანალოგიები სფეროსთან დაკავშირებით

წარმოდგენილი პროექტი ქველმოქმედებაზეა ორიენტირებული. მოსწავლეები სტუმრობენ ცხოველთა სოფელს და საკვები მიაქვთ. მოსწავლეებს შეუძლიათ ქველმოქმედება სხვა მიმართულებითაც განახორციელონ პროექტში. მაგალითად, ბავშვთა და მოხუცებულთა სახლებს, მონასტრებს ეწვიონ და მათ ბინადრებს ყოველდღიურ საქმიანობაში მიეხმარნენ. ქვემოთ მინიშნებული ბმულებით მოსწავლეები გაეცნობიან განხორციელებული პროექტების მაგალითებს. ეს მათ დაეხმარება პროექტისთვის იდეების ჩამოყალიბებაში.
საქველმოქმედო კლუბის ერთ-ერთი აქტივობა:

• გივი ზალდასტანიშვილის სახელობის თბილისის ამერიკული აკადემიის საქველმოქმედო კლუბი, გვ.4
https://bit.ly/3oXXwUX

II ეტაპის შედეგად მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ პროექტის სატიტულო ნაწილი: მიზანი, შედეგი, აქტივობა, სამოქმედო გეგმა

პროექტის მიზანი:

შინაური ცხოველების ზრუნვის საჭიროებაზე ცნობიერების ამაღლება და მათ მიმართ ემპათიის, დაცვის უნარ-ჩვევის ჩამოყალიბება

პროექტის ამოცანები:

1. მოსწავლემ შეძლოს გაანალიზება, რამდენად მნიშვნელოვანია შინაური ცხოველების მიმართ ემპათიის გამოვლენა ადამიანის პიროვნული განვითარებისათვის და რა როლს თამაშობს ასერტული ქცევა შინაური ცხოველების დაცვის მიზნით გატარებული მოქმედებების განხორციელებისას;
2. მოსწავლემ შეძლოს გააზრება, როგორ იცავს დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია შინაურ ცხოველებს და რა პასუხისმგებლობას აკისრებს კანონი მათ პატრონებს;
3. მოსწავლემ შეძლოს გააანალიზება, რომ აქტიური მოქალაქის მიერ შინაური ცხოველებისადმი თანაგრძნობის გამოვლენისა და მათზე ზრუნვის (მაგალითად, საქველმოქმედო ღონისძიებები) ხელშემწყობი მოქმედების გატარებისას საჭიროა თანამშრომლობა სახელმწიფო სტრუქტურებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
4. მოსწავლემ შეძლოს გაცნობიერება, რამდენად მნიშვნელოვანია არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა, სხვა ადამიანთა ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივების გათვალისწინება შინაურ ცხოველებზე ზრუნვისკენ მიმართული ლოკალური ქმედებების დროს.

Draft Copy

მოსწავლეები აყალიბებენ მოსალოდნელ შედეგებს:

რა გავლენას მოახდენს პროექტი სასკოლო საზოგადოების განვითარებაზე?

პროექტის განხორციელების შედეგად ამაღლდება საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ცნობიერება შინაურ ცხოველებზე ზრუნვის საქმეში. გამყარდება სასკოლო საზოგადოების კავშირი არა მხოლოდ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან, არამედ გარე ორგანიზაციებთან.

მოსწავლეები შეძლებენ იმის გააზრებას, როგორ იცავს დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია შინაურ ცხოველებს და რა პასუხისმგებლობას აკისრებს კანონი მათ პატრონებს; მოსწავლეები შეძლებენ, აგრეთვე, იმის გაანალიზებას, რომ აქტიური მოქალაქის მიერ შინაური ცხოველებისადმი თანაგრძნობის გამოვლენისა და მათზე ზრუნვის ხელშემწყობი მოქმედების გატარებისას საჭიროა თანამშრომლობა სახელმწიფო სტრუქტურებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან; მოსწავლეები შეძლებენ გაცნობიერებას, რომ შინაურ ცხოველებზე ზრუნვისკენ მიმართული ლოკალური ქმედებების დროს საჭიროა სხვა ადამიანთა ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივების გათვალისწინება.

პროექტის განხორციელებით განვითარდება სასკოლო საზოგადოებაში შინაური ცხოველების დაცვის, ზრუნვის, მათდამი ემპათიის უნარ-ჩვევები და ამ საქმის მიმართ პასუხისმგებლობა გაიზრდება.

პროექტის სამოქმედო გეგმა

ამოცანა 1

მოსწავლემ შეძლოს გაანალიზება, რამდენად მნიშვნელოვანია შინაური ცხოველების მიმართ ემპათიის გამოვლენა ადამიანის პიროვნული განვითარებისათვის და რა როლს თამაშობს ასერტული ქცევა შინაური ცხოველების დაცვის მიზნით გატარებული მოქმედებების განხორციელებისას;

ნაბიჯი 1

Don't copy

ნოდარ დუმბაძის მოთხრობის მიხედვით გადაღებული მოკლემეტრაჟიანი **ფილმის** ჩვენება სახელწოდებით „ძაღლი“ და განხილვა.

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლემ შეძლოს გაანალიზება, პიროვნული განვითარებისთვის რამდენად მნიშვნელოვანია ცხოველების მიმართ ემპათია, როგორ უნდა განხორციელდეს შინაური ცხოველების დაცვის მიზნით გატარებული ღონისძიებები, რომ მოხერხდეს ასერტული ქცევის კონტროლი და საკუთარი ნააზრევი ესეს სახით დაწეროს.

- მოსწავლეები ნახავენ რეჟისორ ლეილა გორდელაძის ფილმს „ძაღლი“, რომელიც ადამიანის და შინაური ცხოველისადმი დამოკიდებულებაზეა; აქ ვხვდებით სასტიკ მოპყრობასაც და ემპათიის შემთხვევებსაც. სიუჟეტი მეტად დამაფიქრებელია;
- ფილმის ნახვის შემდეგ მოსწავლეები იმსჯელებენ, რამდენად საჭიროა ადამიანის მხრიდან შინაური ცხოველებისადმი ემპათიის გამოვლენა, გააანალიზებენ ფილმში ნანახ სიტუაციებს და გამოთქვამენ მოსაზრებებს, რა შეიძლება გაკეთდეს შინაური ცხოველების დასაცავად;
- მოსწავლეები შედეგებს შეაჯამებენ;
- დაწერენ ესეს და გააცნობენ თანატოლებს.

საჭირო რესურსი:

„ძაღლი“, 1974 წ. ქართული მხატვრული ფილმი, ნოდარ დუმბაძის მოთხრობის მიხედვით

https://youtu.be/EhoOaIh97q4

მეთოდური რესურსი:
როგორ დავწეროთ ესე
https://edu.aris.ge/news/rogor-davwerot-kargi-ese-14-nabiji.html

ნაბიჯი 2

Don't Copy

მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივითა და პედაგოგიური საბჭოს მხარდაჭერით **საინფორმაციო პოსტერების** კონკურსის მოწყობა თემაზე „ გიყვარს შინაური ცხოველები? გამოიჩინე ემპათია, იზრუნე მათზე!“

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა საინფორმაციო პოსტერის სახით გადმოსცენ საკუთარი სათქმელი შინაური ცხოველების მიმართ ემპათიის გამოვლენაზე, მათ დაცვაზე, იმაზე, თუ როგორ მოქმედებს ადამიანის ასეთი ქცევა მის პიროვნულ განვითარებაზე, რომელშიც დაიცავენ ასერტული ქცევის პრინციპს და გაავრცელონ სასკოლო თემში(სკოლის Facebook გვერდზე გამოაქვეყნონ).

საჭირო რესურსი:

როგორ შევქმნათ საინფორმაციო პოსტერი
https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-2/students-manual-10/tool-2/toolbox-6/

აქტივობის შემსრულებელი – მოსწავლეთა თვითმმართველობა

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა

Don't Copy

ნაბიჯი 2

შემთხვევის განხილვა და დისკუსიის მოწყობა საკითხზე „რატომ უნდა ვიზრუნოთ შინაურ ცხოველებზე და გამოვხატოთ მათ მიმართ ემპათია?“ და წერილის მიწერა ცხოველთა პატრონებისადმი სახელწოდებით „დააფასე მისი ერთგულება, არ გაწირო!“

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: დისკუსიის საშუალებით მოსწავლემ შეძლოს გაანალიზება, რამდენად აისახება შინაური ცხოველების მიმართ ემპათიის გამოვლენა ადამიანის პიროვნულ განვითარებაზე და რატომ არის აუცილებელი ასერტული ქცევა მათი დაცვის მიზნით გატარებულ ღონისძიებებში.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები განიხილავენ შემთხვევას რეალური ცხოვრებიდან. ეს ეხება დაავადებული ცხოველების ევთანაზიას; ამ პროცედურის დროს პატრონები ხშირად გადიან გარეთ იმ მიზეზით, რომ უჭირთ მძიმე სცენის ყურება, თუმცა, მომაკვდავი ცხოველები ამ დროს ყველაზე მეტად საჭიროებენ პატრონის თანადგომასა და ალერსს;
- მასალის გაცნობის შემდეგ მოსწავლეები გამართავენ დისკუსიას;
- მოსწავლეები მოიყვანენ მაგალითებს პირადი გამოცდილებიდან და შედეგებს შეაჯამებენ;
- მოსწავლეები მისწერენ წერილს ცხოველთა პატრონებს და სკოლის Facebook გვერდზე გამოაქვეყნებენ.

ძირითადი რესურსები:

- დისკუსიაზე განსახილველი შემთხვევა

  https://bit.ly/3Eaf9tk
- ცხოველთა ევთანაზია

  https://tabula.ge/ge/news/573884-alibegashvili-mkholod-daavadebuli-agresiuli

Don't copy

- „7 მიზეზი, თუ როგორ აუმჯობესებს ადამიანის ცხოვრებას შინაური ცხოველი“, ზოოკლუბი https://zooclub.ambebi.ge/zuu/saintereso/4595-7-mizezi-thu-rogor-aumjobesebs-adamianis-ckhovrebas-shinaurickhoveli.html

მეთოდური რესურსი:

- დისკუსიის წესები,,განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება“, სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის, მარიანა ხუნძაყიშვილი, სარა ბივერი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2018 წ, გვ.147
  https://bit.ly/3rn4yDD

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა

ამოცანა 2

მოსწავლემ შეძლოს გააზრება, როგორ იცავს დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია შინაურ ცხოველებს და რა პასუხისმგებლობას აკისრებს კანონი მათ პატრონებს

ნაბიჯი 1

თვითმმართველობის ინიციატივით სკოლაში GSPSA – საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოების წარმომადგენლის მოწვევა და შეხვედრის მოწყობა

Don't Copy

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გააცნობიერონ, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია იცავს შინაურ ცხოველებს და პასუხისმგებლობას აკისრებს კანონი მათ პატრონებს.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები მოიწვევენ სკოლაში GSPSA-საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოების წარმომადგენელს;
- მოაწყობენ შეხვედრას, სადაც საუბარი იქნება შინაური ცხოველების დაცვაზე. შეხვედრაზე განიხილება, ასევე, ის ნიუანსები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციაში ცხოველთა მეპატრონეების პასუხისმგებლობაზე; გაიმართება კითხვა-პასუხი, მოსწავლეები საკითხის ირგვლივ გამართულ მსჯელობაში გამოიყენებენ პირადი გამოცდილების მაგალითებს და საკუთარ მოსაზრებებს არგუმენტებით გაამყარებენ;
- მოსწავლეები შეხვედრის შედეგებს შეაჯამებენ.

ძირითადი რესურსები:

- საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ
  https://matsne.gov.ge/ka/document/view/33352?publication=19
- შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობის წესი და პატრონთა პასუხისმგებლობა
  http://www.jmg.ge/news-single.php?id=31
  ცხოველების მიმართ სასტიკი მოპყრობის ფაქტები და კანონმდებლობა
  https://www.youtube.com/watch?v=ElN7AijhbJQ
- კანონი შინაური ცხოველების კეთილდღეობაზე – რა უნდა იცოდნენ მეპატრონეებმა
  https://netgazeti.ge/news/363649/

მეთოდური რესურსი:

Don't Copy

- დისკუსიის წესები-„განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება“, სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის, მარიანა ხუნძაყიშვილი, სარა ბივერი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2018 წ, გვ.147

  https://bit.ly/3rn4yDD

აქტივობის შემსრულებელი – მოსწავლეთა თვითმმართველობა

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის ადმინისტრაცია, გარე ორგანიზაცია(GSPSA).

ამოცანა 3

მოსწავლემ შეძლოს გააანალიზება, რომ აქტიური მოქალაქის მიერ შინაური ცხოველებისადმი თანაგრძნობის გამოვლენისა და მათზე ზრუნვის (მაგალითად, საქველმოქმედო ღონისძიებები) ხელშემწყობი მოქმედების გატარებისას საჭიროა თანამშრომლობა სახელმწიფო სტრუქტურებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან;

ნაბიჯი 1

კინოფილმის „ისტორია ძაღლ ჰაჩიკოზე“ ჩვენება და განხილვა.

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გააანალიზონ, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში აქტიური მოქალაქის მიერ საჭიროა შინაური ცხოველებისადმი თანაგრძნობის გამოვლენისა და მათზე ზრუნვის ხელშემწყობი მოქმედების გატარება.

Don't Copy

აქტივობის აღწერა:

მოსწავლეები ნახავენ ფილმს. ფილმი გადაღებულია რეალური ისტორიის მიხედვით. ძაღლი ყოველდღე ხვდებოდა თავის პატრონს მატარებლის სადგურთან. მოულოდნელად მამაკაცი გარდაიცვალა, თუმცა, ძაღლი ისევ მიდიოდა მატარებლის სადგურთან და ერთგულად ელოდებოდა პატრონს...

- მოსწავლეები განიხილავენ ფილმს, ერთმანეთს გაუზიარებენ აზრებს, მოსწავლეები მსჯელობისას მოიყვანენ მაგალითებს თანამედროვე ცხოვრებიდან, დაუკავშირებენ პირად გამოცდილებას.
- მოსწავლეები გამოიტანენ დასკვნებს ნანახი ფილმიდან.

ძირითადი რესურსი:

- კინოფილმი „ისტორია ძაღლ ჰაჩიკოზე“
  https://bit.ly/3dTsc7U

მეთოდური რესურსი:

- დისკუსიის წესები-„განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება“, სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის, მარიანა ხუნმაყიშვილი, სარა ბივერი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2018 წ, გვ.147
  https://bit.ly/3rn4yDD

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა

Don't Copy

ნაბიჯი 2

ვიზიტი ქველმოქმედების მიზნით „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოების(GSPSA)“ცხოველების სოფელში(მცხეთა, სოფ. წილკანი).

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლემ შეძლოს აქტიური მოქალაქის როლის მორგება ცხოველების მიმართ თანაგრძნობისა და ზრუნვის დროს და ამ თვალსაზრისით ითანამშრომლოს არასამთავრობო ორგანიზაციასთან.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, სკოლის ადმინისტრაციისა და სამეურვეო საბჭოს მხარდაჭერით ქველმოქმედების მიზნით მოსწავლეები ესტუმრებიან „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოების(GSPSA)“ ცხოველთა სოფელს (მცხეთა, სოფ. წილკანი);
- მოსწავლეები გაეცნობიან GSPSA-ს საქმიანობას, ცხოველთა სოფლის მისიასა და ცხოველების ისტორიებს;
- მოსწავლეები გაეცნობიან ცხოველების მდგომარეობას და მათთვის ორგანიზაციას გადასცემენ საკვებს.

რეკომენდაცია მასწავლებელს:

თუ ვერ მოხერხდა ვიზიტი წილკნის ცხოველების სოფელში, მაშინ შეიძლება მოსწავლეები ესტუმრონ თამაზ ელიზბარაშვილის ძაღლების თავშესაფარს თბილისში. თუ ვიზიტი შეუძლებელია, მაშინ შესაძლოა გაიგზავნოს საკვები და დაიგეგმოს ონლაინშეხვედრა.

საჭირო რესურსები:

- საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება http://gspsa.org.ge/category/cruelty-to-animals/

Don't Copy

- თამაზ ელიზბარაშვილის ძაღლების თავშესაფარი
  http://www.doghome.ge/

აქტივობის შემსრულებელი – მოსწავლეთა თვითმმართველობა

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ორი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა , „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება(GSPSA).

ამოცანა 4

მოსწავლემ შეძლოს გაცნობიერება, რამდენად მნიშვნელოვანია არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა, სხვა ადამიანთა ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივების გათვალისწინება შინაურ ცხოველებზე ზრუნვისკენ მიმართული ლოკალური ქმედებების დროს.

ნაბიჯი 1

ფლაერების შექმნა სახელწოდებით ,,ვიზრუნოთ შინაურ ცხოველებზე" და სასკოლო თემში გავრცელება

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გაიაზრონ, რამდენად აუცილებელია ცხოველებზე ზრუნვის საქმეში გონივრულად გადადგმული ლოკალური ნაბიჯები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება არაძალადობრივი ქმედებები, სხვა ადამიანთა ინტერესები და მომავლის პერსპექტივები.

Don't Copy

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები მოაწყობენ შეხვედრას ფლაერების დამზადებასთან დაკავშირებით;
- იმსჯელებენ ფლაერის დიზაინსა და შინაარსობრივ მხარეზე;
- მოსწავლეები შექმნიან ფლაერებს, რომელშიც აუცილებლად უნდა ჩანდეს, რომ შინაურ ცხოველებზე ზრუნვა და პასუხისმგებლობა დემოკრატიული სახელმწიფოს ყველა მოქალაქის ვალია;
- მოსწავლეები ფლაერებს გაავრცელებენ სასკოლო თემში.

საჭირო რესურსები:

- როგორ ვიზრუნოთ შინაურ ცხოველებზე
  https://ekimo.ge/blog/ramdenime-gza-tu-rogor-vizrunot-chvens-otkhfekha-megobrebze
- როგორ შევქმნათ ფლაერი
  https://www.youtube.com/watch?v=L3cK-Bowc3Q

აქტივობის შემსრულებელი – პროექტის გუნდი

აქტივობის განხორციელების სავარაუდო დრო – ერთი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის ადმინისტრაცია

ინტერდისციპლინური აქტივობები:

ქართული ენა და ლიტერატურა

მოსწავლეთა აქტივობა:

Don't Copy

აქტივობის მიზანი: მოსწავლებმა გააანალიზონ შინაურ ცხოველთა მოვლა-პატრონობის პრობლემა, დაასაბუთონ მათ მიმართ ემპათიის გამოვლენის საჭიროება, ხაზი გაუსვან მათი დაცვის მიზნით გატარებულ ღონისძიებებში ასერტული ქცევის მნიშვნელობას, შინაური ცხოველის პატრონების პასუხისმგებლობას კანონის მიმართ.

აქტივობის აღწერა:

მასწავლებელი მიაწვდის მოსწავლეებს ნაწარმოებების ფრაგმენტებს (კავკასიური ნაგაზის ერთგულება და თავგანწირვა დაჭრილი ცხენის მიმართ) გოდერძი ჩოხელის წიგნიდან **„წითელი მგელი“,** ასევე, არჩილ სულაკაურის **„ბიჭი და ძაღლი“** (ფრაგმენტი, როდესაც ძაღლის დაჭერას ბადით შეეცდება კაცი და ბიჭი ძაღლს გადაარჩენს). მასწავლებელი დაავალებს მოსწავლეებს, დაწერონ საგაზეთო სტატია სახელწოდებით „შინაურ ცხოველთა მოვლა-პატრონობის საქმეში არსებული პრობლემები“. სთხოვს, გაიხსენონ ისტორიიდან, მაგალითები მოიყვანონ რეალური ცხოვრებიდან, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები, რომლებსაც არგუმენტებით გაამყარებენ.

- მოსწავლეები გაეცნობიან მასწავლებლის მითითებულ მასალებს;
- დაწერენ სტატიას, რომელშიც გაიხსენებენ საკითხის ირგვლის ცნობილ ფაქტებს, მხატვრული ნაწარმოებების მაგალითებს დაუკავშირებენ პირად გამოცდილებას; საკუთარ მოსაზრებებს არგუმენტებით გაამყარებენ; სტატიაში გააშუქებენ ცხოველთა მოვლა-პატრონობის საკითხს;
- მოსწავლეები საგაზეთო სტატიას თანატოლებს გააცნობენ;

ისტორია

მოსწავლეთა აქტივობა:

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა სრულად გაიაზრონ ისტორიულ ჭრილში სხვადასხვა საზოგადოების დამოკიდებულება შინაური ცხოველების მიმართ; გააანალიზონ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დემოკრატიულ სახელმწიფოში აქტიური მოქალაქის მხრიდან შინაურ ცხოველებზე ზრუნვა და ამ მიზნით გატარებული ღონისძიებები, რატომ არის აუცილებელი კანონის სიმკაცრე დაუცველი ცხოველების მიმართ სასტიკი მოპყრობის ფაქტებზე.

Don't Copy

აქტივობის აღწერა:

ისტორიის მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს, თუ როგორ იცვლება საზოგადოება დროში, თითოეულ საზოგადოებას ახასიათებდა საერთო ნიშნები: მათ წევრებს ჰქონდათ საერთო იდენტობა, ინტერესი, საზრუნავი და თანხმდებოდნენ ქცევის წესებსა და ღირებულებებზე;

საზოგადოების წევრებს ხშირად აქვთ სტერეოტიპული წარმოდგენები რიგ საკითხებზე, მათ შორის, შინაურ ცხოველებთან დამოკიდებულებაზე. როგორია დემოკრატიული საზოგადოების მენტალიტეტი, როგორ მოქმედებს დემოკრატიული სახელმწიფოს კანონი ცხოველების მიმართ სასტიკი მოპყრობის ფაქტებზე. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გამოიყენონ არსებული ცოდნა, მოიძიონ ინფორმაცია, საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად წარმოადგინონ არგუმენტები და შექმნან პრეზენტაცია სახელწოდებით „დაუცველი შინაური ცხოველები“. სთხოვს მოსწავლეებს, გაიაზრონ დღეს არსებული მწვავე პრობლემა, ისაუბრონ ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობის ფაქტებზე. პრეზენტაცია შეუძლიათ გააკეთონ პროგრამა Powerpoint/ Sway/Padlet/Storyjumper-ში და სხვა).

- მოსწავლეები შეისწავლიან ისტორიულ მასალებს – სხვადასხვა საზოგადოების დამოკიდებულება დაუცველ შინაურ ცხოველებზე;
- შექმნიან პრეზენტაციას და გაუზიარებენ თანატოლებს.

ძირითადი რესურსები:

- გოდერძი ჩოხელის „წითელი მგელი“(ძაღლის და ცხენის ეპიზოდი)
- არჩილ სულაკაურის „ბიჭი და ძაღლი https://poetry.ge/poets/archil-sulakauri/childish/3-bichi-da-zagli
- შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობის წესი და პატრონთა პასუხისმგებლობა http://www.jmg.ge/news-
- კანონი შინაური ცხოველების კეთილდღეობაზე – რა უნდა იცოდნენ მეპატრონეებმა https://netgazeti.ge/news/363649/
- შინაური ცხოველების მოვლა https://bit.ly/3v7n7hl

Don't Copy

მეთოდური რესურსები:

- როგორ დავწეროთ საგაზეთო სტატია https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-2/students-manual-10/tool-2/toolbox-10/
- „როგორ მოვემზადოთ კარგი პრეზენტაციისთვის“, სოფიკო ლობჟანიძის სტატია ჟურნალ „მასწავლებელში“- http://mastsavlebeli.ge/?p=278

აქტივობის შემსრულებელი – საგნობრივი კათედრები

აქტივობის განხორციელების დრო – ორი კვირა

თანამშრომლობა აქტივობის ფარგლებში – მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო თემი, საგნობრივი კათედრები, სკოლის ადმინისტრაცია

III ეტაპი

პროექტის განხორციელება

მოსწავლეთა აქტივობა:

პროექტის განხორციელების პროცესში მოსწავლეები ეძებენ გადაკვეთის წერტილებს და თანამშრომლობენ სასკოლო საზოგადოების წევრებთან:

- სკოლის სხვა მოსწავლეებთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან;
- სკოლის სხვა მასწავლებლებთან;
- სკოლის ადმინისტრაციასთან;
- გარე პარტნიორებთან;

მოსწავლეები წარადგენენ პროექტს სასკოლო საზოგადოების წინაშე.

საჭირო რესურსები:

ფუნქციურ-კომპონენტური უნარები და რესურსები, რომლებიც ამ უნარებს ავითარებს

Don't copy

ფუნქციურ-კომპონენტური უნარები:
შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება, კრიტიკული აზროვნება.
ფუნქციურ-კომპონენტური უნარების შესახებ რესურსები, რომლებიც მოსწავლეებს ასწავლის, როგორ იურთიერთონ საზოგადოების წევრებთან გამოკვეთილ სფეროსთან მიმართებით:

- შემოქმედებითი აზროვნების შესახებ
  http://mastsavlebeli.ge/?p=16961
- პიროვნული უნარ-ჩვევები, კომუნიკაცია, კრიტიკული აზროვნება, ღირებულებები
  https://www.civiceducation.ge/ka/lessons/4-47
- კოლაბორაციული სწავლების თეორიული და პრაქტიკული საკითხები და "მსოფლიო კაფე"
  http://mastsavlebeli.ge/?p=2452
- მოქალაქე, მისი როლი და პასუხისმგებლობა
  https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-9
- პიროვნება და საზოგადოება(ხასიათი, ნება)
  https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-1
- როგორ განვავითაროთ კრიტიკული აზროვნება მოსწავლეებში?
  https://bit.ly/3rbDkzR
- კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების მიდგომების გამოყენება სწავლებაში
  http://mastsavlebeli.ge/?p=16208

III ეტაპის შედეგად მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ პროექტის შედეგები

პროექტის განხორციელების შედეგად ამაღლდა საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ცოდნის დონე შინაურ ცხოველებზე ზრუნვის საქმეში. მოსწავლეებმა მოიგეს აქტიური მოქალაქის როლი, პასუხისმგებლობა გამოიჩინეს და მიიღეს მონაწილეობა ცხოველთა ზრუნვისკენ მიმართულ ღონისძიებებში, რაც მომავალში დადებითად აისახება მათ პიროვნულ განვითარებაზე.

მოსწავლეები თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან, მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან, გარე ორგანიზაციებთან (საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება, თამაზ ელიზბარაშვილის ძაღლების თავშესაფარი), ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოებასთან თანამშრომლობა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს.

პროექტის განხორციელების შედეგად გაიზარდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში. მოსწავლეებმა გაიაზრეს, როგორ იცავს დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია შინაურ ცხოველებს და რა პასუხისმგებლობას აკისრებს

Don't Copy

კანონი მათ პატრონებს. მოსწავლეებმა გააანალიზეს, რომ აქტიური მოქალაქის მიერ შინაური ცხოველებისადმი თანაგრძნობის გამოვლენისა და მათზე ზრუნვის ხელშემწყობი მოქმედების გატარებისას საჭიროა თანამშრომლობა სახელმწიფო სტრუქტურებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან; შეძლეს გაცნობიერება, რომ შინაურ ცხოველებზე ზრუნვისკენ მიმართული ლოკალური ქმედებების დროს საჭიროა სხვა ადამიანთა ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივების გათვალისწინება.

პროექტის განხორციელებით სასკოლო თემში მოხდა შინაური ცხოველების დაცვის, ზრუნვის, მათდამი ემპათიის უნარ-ჩვევების განვითარება და ამ საქმეში პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება.

IV ეტაპი

მდგრადობა და მომავლის გეგმები

მოსწავლეთა აქტივობა:

მოსწავლეები სასკოლო საზოგადოების წევრებთან ერთად აფასებენ პროექტის შედეგებს და გეგმავენ, რა არის საჭირო მდგრადობის უზრუნველყოფისთვის.

საჭირო რესურსები:

პროექტის სარგებელი გრძელვადიან პერსპექტივაში ის არის, რომ პროექტის განხორციელების შედეგად გაიზრდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში, რომელიც უნდა გაგრძელდეს პროექტის დასრულების შემდეგაც; სასკოლო თემმა ინტენსიურად უნდა ითანამშრომლოს სახელმწიფო სტრუქტურებთან და სხვა გარე ორგანიზაციებთან, რაც შინაურ ცხოველთა დაცვის პრევენციის მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება. საბოლოო ჯამში, პროექტი გახდება სასკოლო კურიკულუმის ნაწილი.

IV ეტაპის შედეგად სასკოლო სასწავლო გეგმაში გაჩნდება ჩანაწერი, რომელიც იქნება მოსწავლეების მიერ განხორციელებული პროექტის მდგრადობის გარანტი.
იქმნება მონიტორინგის ჯგუფი (მოსწავლე/მასწავლებელი). მოსწავლეები სასკოლო საზოგადოების წევრებთან ერთად აფასებენ პროექტის შედეგებს სოლო ტაქსონომიის დონეებით, რომელთაც აქვთ განმავითარებელი ხასიათი(შეფასების რუბრიკა იხილე დანართი **N 1).**

Don't Copy

დანართი N 1

მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტის შეფასების რუბრიკა

შეფასების კრიტერიუმები	**პრესტრუქტურული**	**უნისტრუქტურული**	**მულტისტრუქტურული**	**მიმართებითი**	**აბსტრაქტული**
მოსწავლემ შეძლოს გაანალიზება, რამდენად მნიშვნელოვანია შინაური ცხოველების მიმართ ემპათიის გამოვლენა ადამიანის პიროვნული განვითარებისათვის და რა როლს თამაშობს ასერტული ქცევა შინაური ცხოველების დაცვის მიზნით გატარებული მოქმედებების	მოსწავლეს არ აქვს რელევანტური ინფორმაცია საკითხთან დაკავშირებით. მას არ შეუძლია გააზრება, რა როლს თამაშობს ასერტული ქცევა შინაური ცხოველების დაცვის მიზნით გატარებული მოქმედებების განხორციელების ას.	მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტური რებული ასოციაცია/წარმოდგენა საკითხთან დაკავშირებით. შეუძლია მხოლოდ საკითხის დასახელება. მას არ შეუძლია გაანალიზება, რა როლს თამაშობს ასერტული ქცევა შინაური ცხოველების დაცვის მიზნით გატარებული მოქმედებების განხორციელების ას.	მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა საკითხთან დაკავშირებით. მას არ შეუძლია ერთმანეთთან დააკავშიროს შინაური ცხოველების მიმართ ემპათიის გამოვლენა ადამიანის პიროვნული განვითარებასთან.	მოსწავლეს შეუძლია გაანალიზება, რამდენად მნიშვნელოვანია შინაური ცხოველების მიმართ ემპათიის გამოვლენა ადამიანის პიროვნული განვითარებისათვის და რა როლს თამაშობს ასერტული ქცევა შინაური ცხოველების დაცვის მიზნით გატარებული მოქმედებების განხორციელებისას. შეუძლია საკითხის ახსნა, ანალიზი, ხედავს ურთიერთმიმართებებს	მოსწავლეს შეუძლია გაანალიზება, რამდენად მნიშვნელოვანია შინაური ცხოველების მიმართ ემპათიის გამოვლენა ადამიანის პიროვნული განვითარებისათვის და რა როლს თამაშობს ასერტული ქცევა შინაური ცხოველების დაცვის მიზნით გატარებული მოქმედებების განხორციელების ას. მას სიღრმისეულად

Don't copy

განხორციელების ას				საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	აქვს გააზრებული საკითხის არსი, უკავშირებს პირად გამოცდილებას.
მოსწავლემ შეძლოს გააზრება, როგორ იცავს დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია შინაურ ცხოველებს და რა პასუხისმგებლობ ას აკისრებს კანონი მათ პატრონებს	მოსწავლეს არ აქვს არანაირი ცოდნა და გამოცდილება გარკვეული საკითხის მიმართ, იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას ან/და საერთოდ აცდენილია მნიშვნელობას/ა ზრს	მოსწავლეს არ შეუძლია გააზრება, როგორ იცავს დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია შინაურ ცხოველებს და რა პასუხისმგებლობ ას აკისრებს კანონი მათ პატრონებს. მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტური რებული ასოციაცია/წარმ ოდგენა საკითხთან დაკავშირებით. შეუძლია მხოლოდ საკითხის დასახელება,	მოსწავლეს შეუძლია გააზრება, როგორ იცავს დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია შინაურ ცხოველებს და რა პასუხისმგებლობას აკისრებს კანონი მათ პატრონებს, თუმცა, აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგ ენა საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლეს შეუძლია გააზრება, როგორ იცავს დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია შინაურ ცხოველებს და რა პასუხისმგებლობას აკისრებს კანონი მათ პატრონებს. შეუძლია საკითხის ახსნა მიზეზებისა და შედეგების კუთხით.	მოსწავლეს შეუძლია გააზრება, როგორ იცავს დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია შინაურ ცხოველებს და რა პასუხისმგებლობ ას აკისრებს კანონი მათ პატრონებს. შეუძლია საკითხის განზოგადება, სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახვა, ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკა.

Draft copy

		მარტივი, ზედაპირული კავშირების დამყარება.			
მოსწავლემ შეძლოს გააანალიზება, რომ აქტიური მოქალაქის მიერ შინაური ცხოველებისადმი თანაგრძნობის გამოვლენისა და მათზე ზრუნვის (მაგალითად, საქველმოქმედო ღონისძიებები) ხელშემწყობი მოქმედების გატარებისას საჭიროა თანამშრომლობა სახელმწიფო სტრუქტურებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან.	მოსწავლეს არ აქვს წარმოდგენა მოსწავლეს არ აქვს წარმოდგენა შინაური ცხოველებისადმი თანაგრძნობის გამოვლენისა და მათზე ზრუნვის ხელშემწყობ მოქმედებებზე.	მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტური რებული წარმოდგენა შინაური ცხოველებისადმ ი თანაგრძნობის გამოვლენისა და მათზე ზრუნვის ხელშემწყობი მოქმედების გატარებაზე.	მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგ ენა იმის შესახებ, რომ აქტიური მოქალაქის მიერ შინაური ცხოველებისადმი ზრუნვის გამოვლენისას საჭიროა თანამშრომლობა სახელმწიფო სტრუქტურებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან;	მოსწავლეს შეუძლია გააანალიზება, რომ აქტიური მოქალაქის მიერ შინაური ცხოველებისადმი თანაგრძნობის გამოვლენისა და მათზე ზრუნვის ხელშემწყობი მოქმედების გატარებისას საჭიროა თანამშრომლობა სახელმწიფო სტრუქტურებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან. აქვს იმის კომპეტენცია, რომ საკითხი გაიაზროს, დაამყაროსა მიმართებები, გააანალიზოს.	მოსწავლეს შეუძლია გააანალიზება, რომ აქტიური მოქალაქის მიერ შინაური ცხოველებისადმი თანაგრძნობის გამოვლენისა და მათზე ზრუნვის ხელშემწყობი მოქმედების გატარებისას საჭიროა თანამშრომლობა სახელმწიფო სტრუქტურებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთა ნ. მას შეუძლია იდეების ტრანსფერი სხვა სიტუაციაში და აქტიური მოქალაქის როლის მორგება.

Don't copy

მოსწავლემ შეძლოს გაცნობიერება, რამდენად მნიშვნელოვანია არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა, სხვა ადამიანთა ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივების გათვალისწინება შინაურ ცხოველებზე ზრუნვისკენ მიმართული ლოკალური ქმედებების დროს	მოსწავლეს არ აქვს წარმოდგენა შინაურ ცხოველებზე ზრუნვისკენ მიმართულ ლოკალურიქმედებებზე.	მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული წარმოდგენა შინაურ ცხოველებზე ზრუნვისკენ მიმართულ ლოკალურიქმედებებზე.	მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა შინაურ ცხოველებზე ზრუნვისკენ მიმართულ ლოკალურ ქმედებებზე. მას შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე.	მოსწავლეს შეუძლია გაცნობიერება, რამდენად მნიშვნელოვანია არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა, სხვა ადამიანთა ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივების გათვალისწინება შინაურ ცხოველებზე ზრუნვისკენ მიმართული ლოკალური ქმედებების დროს. შეუძლია მიმართებების დამყარება, გააანალიზება, ახსნა მიზეზებისა და შედეგების კუთხით.	მოსწავლეს შეუძლია გაცნობიერება, რამდენად მნიშვნელოვანია არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა, სხვა ადამიანთა ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივების გათვალისწინება შინაურ ცხოველებზე ზრუნვისკენ მიმართული ლოკალური ქმედებების დროს. შეუძლია რჩევების შეთავაზება, ჰიპოთეზური დასკვნების გაკეთება.

Don't copy

გამოყენებული ლიტერატურა

1. „პროექტის წერის და მართვის სახელმძღვანელო“, USAID, PH international, 2021 წ;

2. „პროექტის მართვის სახელმძღვანელო პრინციპები“, სამოქალაქო საზოგადოების კვლევისა და განვითარების ცენტრი (CSRDC), ავტორები: ლიზა სოფრომაძე და ნინო ლოლაძე;

3. „სამართლებრივი კულტურა, ნაწილი 2“, მარიანა ხუნძაყიშვილი, დამხმარე სახელმძღვანელო საჯარო და კერძო სკოლების უფროსკლასელთათვის, 2020 წ;

4. „მოქალაქეობრივი განათლება“, სახელმძღვანელო, ავტორები: დავით მალაზონია, სოფიკო ლობჟანიძე, შორენა მაღლაკელიძე, ნინო ჭიაბრიშვილი, ნათია ნაცვლიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2021 წ;

5. „ზოგადი რჩევები პროექტის დაწერის მსურველთათვის“, Erasmus+, ფონდი-ღია საზოგადოება საქართველო, 2015 წ;

6. „პროექტის დიზაინი, პროექტის ჩარჩოს შედგენის ტექნიკები“,ტრენინგის დამხმარე მასალა, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 2007 წ;

7. „პროექტის წერის და მართვის სახელმძღვანელო“, სახელმძღვანელო განკუთვნილია სამოქალაქო განათლების და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის მცირე გრანტებუს კონკურსის მონაწილეებისთვის, 2011 წ

Don't Copy

Don't Copy